ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა  და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი

**განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა**

**თამარ გეგეშიძე**

# **უნივერსიტეტის  განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა**

**(ცოდნის სტატუსი და უნივერსიტეტის მომავალი)**

განათლების მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის (PhD) მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

# დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **ქეთევან ჭკუასელი**

**თბილისი 2019**

# სარჩევი


სამადლობელი სიტყვა ..... ii

აბსტრაქტი..... iii

**Abstract** ..... vii

შესავალი ..... 1

თავი I. ორატორები და ფილოსოფოსები განათლების შესახებ ..... 15

1.1 ორატორებისა და ფილოსოფოსების დაპირისპირება განათლების საკითხების და ცოდნის სტატუსის გარშემო ანტიკურ ეპოქაში ..... 15

თავი II. განათლების იდეების განვითარება და პირველი უნივერსიტეტების შექმნა. უნივერსიტეტის ოთხი მოდელი ..... 37

2.1 განათლების იდეები და პირველი უნივერსიტეტები ..... 37

**2.2** უნივერსიტეტის ოთხი მოდელი ჯონ ბ. ქობისა და მარკუს პიტერ ფორდის მიხედვით..... 48

თავი **III.** უნივერსიტეტების განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა..... 69

თავი **IV.** უნივერსიტეტი ტექნოლოგიური ცნობიერების კონტექსტში და ცოდნის სტატუსი..... 88

თავი **V.** იდეები პოსტმოდერნული უნივერსიტეტის შესახებ ..... 102

**5.1** კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტი ..... 102

**5.2** ჰიპერუნივერსიტეტი როგორც პოსტმოდერნული უნივერსიტეტი ..... 122

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები..... 139

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები ..... 154

## სამადლობელი სიტყვა

მსურს მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც შემაძლებინა სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთი ჭკუასელს, რომლის რჩევებით, დარიგებით და გულისხმიერებით შევძელი კონცენტრირება მომეხდინა საკვლევი თემის გარშემო და გავმკლავებოდი უამრავ სამეცნიერო ლიტერატურას. მსურს, აგრეთვე, გულითადი მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებს, კოლეგებს, ოჯახის წევრებს, პედაგოგებს და ლექტორებს, რომლებიც მამხნევებდნენ შემეცნების, კვლევის ამ რთულ გზაზე. არ იშურებდნენ რჩევებს, მოტივაციის ასამაღლებელ სიტყვებს და დარიგებებს.

# აბსტრაქტი

**საკვანძო სიტყვები**: პოსტმოდერნული უნივერსიტეტი, რელიგიური ცნობიერება, ნაციონალური ცნობიერება, ინდუსტრიული ცნობიერება, ტექნოლოგიური ცნობიერება, გლობალური უნივერსიტეტი, ჰიპერუნივერსიტეტი

ნაშრომი ეხება უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების, უნივერსიტეტის განვითარების ისტორიის პერიოდიზაციის ხელახალ გადააზრებასა და ცოდნის სტატუსის ცნების ისტორიული და თანამედროვე შინაარსების გაშლას, დეფინიციის მცდელობას საუნივერსიტეტო განათლების კონტექსტში. თანამედროვე უნივერსიტეტის იდეის, ცოდნის სტატუსის ისტორიული დინამიკის განხილვას უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის გზით. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია დებატები პოსტმოდერნული პოზიციიდან, რომელიც სვამს მნიშვნელოვან კითხვას: როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტი ინფორმაციულ ერაში და გადარჩება თუ არა ის იმ სახით, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ მას, როგორც მოდერნული ტიპის ინსტიტუციას.

უნივერსიტეტმა თავისი არსებობის თითქმის ათასი წლის მანძილზე განვითარების დიდი და რთული გზა გაიარა, რელიგიური იდეოლოგიების პარადიგმებიდან, პროგრესული სეკულარიზაციიდან, კულტურული ნაციონალიზმის იდეებიდან, მეცნიერების ინსტიტუციონალიზაციიდან დღემდე. დღევანდელი ვითარება, რომელსაც პოსტმოდერნი უწოდეს, უნივერსიტეტს წინა საუკუნეებიდან განსხვავებული გამოწვევების წინაშე აყენებს. ეს გამოწვევებია გლობალიზაციის გზაზე ინფორმაციული, ციფრული ტექნოლოგიების რევოლუციით დაწყებული, დღეს მიმდინარე კვლევებით დამთავრებული ხელოვნური ინტელექტის სფეროში. დებატები საუნივერსიტეტო განათლებაზე და ცოდნის სტატუსზე ციფრული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის გავლენის შესახებ ახალი დაწყებულია. ჩვენი მიზანია ამ აქტუალურ და მნიშვნელოვან დებატებზე, რომელიც დღეს პლანეტის წამყვანი ქვეყნების ინტელექტუალურ ტოპოსში მიმდინარეობს,

საქართველოში აკადემიური წრეების, საუნივერსიტეტო განათლებაში ჩართული პროფესიონალების, ახალგაზრდა მკვლევარების ყურადღება გავამახვილოთ, ერთგვარი სტიმული მივცეთ ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში ამ მიმართულებით დისკუსიების დაწყებას.

სადისერტაციო ნაშრომის სიახლეა უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის შექმნა, უნივერსიტეტის იდეის ისტორიული პერიოდიზაციის მსოფმხედველობრივი პარადიგმების რეფლექსიის გზით. სადისერტაციო ნაშრომი ზოგადად ეხება განათლების ფილოსოფიის საკითხებს, კერძოდ, უნივერსიტეტების განვითარების ეტაპების ახალ კლასიფიკაციის მცდელობას, ცოდნის სტატუსს და უნივერსიტეტის მომავალს.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის როგორც მსოფმხედველობრივი პარადიგმების შექმნა. უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების, პერიოდიზაციის, მოდელების და ცოდნის სტატუსის განათლების ფილოსოფიის კონტექსტში კვლევა. შეძლებისდაგვარად განვჭვრიტოთ უნივერსიტეტის შესაძლო მომავალი საუნივერსიტეტი განათლებაში დღეს არსებული პოსტმოდერნული პარადიგმების საფუძველზე.

დისერტაციაში გამოყენებულია თეორიული კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს თეორიული მასალის ფილოსოფიურ, კონცეპტუალურ განხილვას. თეორიული მასალის დამუშავების შედეგად მიღებული კონცეპტუალური მოდელები, პატერნები და სტრუქტურები გამოვიყენეთ საკვლევი საგნის დეფიციინიისთვის და კონკრეტული საკითხების გამოსაკვეთად. ამ კვლევისთვის საჭირო გახდა მოცულობითი ლიტერატურის დამუშავება, კერძოდ, განათლების ფილოსოფიის მიმართულებით, განათლების პოლიტიკის, ცნობიერების ფილოსოფიის, ეპისტემოლოგიის, ანდროიდული ეპისტემოლოგიის, პოსტმოდერნიზმის იდეების განხილვა, შესწავლა, ანტიკური განათლების ისტორიული კონცეპტების დამუშავება, ანდროიდული ეპისტემოლოგიის ახალი

მიმდინარეობისა კვლევა. თეორიული კვლევის მეთოდოლოგიის განხორციელებისთვის გამოვიყენეთ ჰერმენევტიკის და კრიტიციზმის მეთოდი.

პირველი უნივერსიტეტების შექმნიდან  უნივერისტეტებმა განვითარების დიდი და რთული ათასწლოვანი გზა გაიარეს.  ამერიკელი თეოლოგის ჯონ ბ. ქობის და ამერიკელი ფილოსოფოსისი მარკუს პიტერ ფორდის  მიხედვით განხილულმა მოდელებმა გვაჩვენეს ის ძირითადი პარადიგმები, რის საფუძველზეც ვითარდებოდა უნივერსიტეტის იდეა და ცოდნის სტატუსი. თუმცა თანამედროვე ვითარებიდან გამომდინარე მათ მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია დღეს საკმარისი არ არის, ამიტომაც ვეცადეთ გაგვეკეთებეინა ახალი კალისიფიკაცია, რომელიც შეძლებდა დღეს უნივერსიტეტის წინაშე მდგარ მნიშვნელოვანი გამოწვევების მეტ-ნაკლებად სრულფასოვნად კლასიფიცირებას და ისეთი მსოფმხედველობრივი პარადიგმების სრუქტურირებას, რის საფუძველზეც შესაძლებელია უნივერსიტეტის მომავლის შესახებ  დებატების გააქტიურება მულტლიდისციპლინარულ და ინტერდისციპლინარულ რეგისტრში. უნივერისტეტის განვითარების ეტაპების  ჯონ ბ. ქობისეული და ფორდისეული კლასიფიკაციის საფუძველზე და კვლევის შედეგად შევიმუშავეთ ახალი ტიპის კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციის მიხედვით უნივერსიტეტის იდეის განვითარება მოხდა და ხდება შემდეგ ეტაპებზე

- **რელიგიური ცნობიერება;**
- **ნაციონალური ცნობიერება;**
- **ინდუსტრიული ცნობიერება;**
- **ტექნოლოგიური ცნობიერება.**

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც ტექნოლოგიური საოცრებებით იქნება გამორჩეული. ციფრული ტექნოლოგიური საოცრებები 90 - იანი წლებიდან მოყოლებული ქმნის ახალ განზომილებას, რომელსაც ვუწოდეთ ტექნოლოგიური ცნობიერება. ამ განზომილებაში უნივერსიტეტის მთავარი მამოძრავებელი იდეა უნდა იყოს  სტუდენტში შემოქმედებით უნარების განვითარება, რაც იქნება მთავარი განმასხვავებელი ძალა იქნება სუპერ გონების მქონე  ანდროიდების სამყაროსგან,

რომელსაც კაცობრიობა მალე იხილავს. შესაბამისად, ციფრული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის განვითარება ქმნის ახალ ეკონომიკურ რეალობას, რომელთან ადაპტაცია და რელევანტურობა მოდერნული ტიპის უნივერსიტეტებს უჭირთ. კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ უნივერსიტეტის მიზანი იქნება სტუდენტის მხოლოდ შრომის ბაზრისთვის მომზადება, დიდი ალბათობით, ასეთი უნივერსიტეტი და სტუდენტი წარუმატებელი იქნება, ვინაიდან მთელ რიგ სამუშაოებს რობოტები ჩაანაცვლებენ უახლოეს ორმოცდაათ წელში. ეს იქნება უნივერსიტეტების გამოწვევა ტექნოლოგიური ცნობიერების ველში, რომელშიც ახლა ვიმყოფებით.

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური ცნობიერების ეტაპზე უნივერსიტეტებმა სტუდენტები უნდა აღჭურვონ ისეთი განათლებით და უნარებით, რომ მათ შეძლონ ადაპტაცია ტექნოლოგიებით ნაკარნახევ ახალ ეკონომიკურ რეალობასთან, გლობალურ გამოწვევებზე რეაგირება შემოქმედებითი მიდგომებით. წარმოსახვის, შემოქმედებითი უნარების განვითარება - ეს უნდა გახდეს უმაღლესი განათლების მთავარი მამოძრავებელი იდეა. ცოდნა და შემოქმედებითი უნარების განვითარება ქმნის ისეთ ნიადაგს, რის საფუძველზეც არის შესაძლებელი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებმა შეძლონ ახალი იდეების გენერირება და პროგრესის შექმნა.

# Abstract

**Keywords:** Postmodern university, religious consciousness, national consciousness, industrial consciousness, technological consciousness, global university, hyper-university

The paper is about re-examination of university development stages, periodization of the history of the university development stages, expanding the historical and modern concepts of knowledge, an attempt of definition in the university knowledge context. Discuss the modern university idea, historical dynamics of the knowledge status with the new classification of the university development stages. Nowadays, the debates from the standpoint of postmodern position are quite relevant, which raises important questions: What should the university look like in the era of information and will it survive exactly the way we know it, as a modern institution type.

For almost a thousand years of its existence, the university has been through a great and difficult path, from the paradigms of religious worldview, progressive secularism, cultural nationalism ideas, institutionalization of science until today. The current condition, that was called postmodernity, makes the challenges different from the previous centuries, starting with the informative, digital revolution on the path of globalization, finalized with current ongoing studies in the field of artificial intelligence. Debates about the influence of digital technologies and artificial intelligence on the university education and knowledge status have just been initiated. Our goal regarding these relevant and important debates in the intellectual topos of the leading countries is to draw the attention of the professionals and young scientists engaged in Georgian academic circles and university education, as well as to stimulate the initiation of debates in the Georgian university space about the above mentioned direction.

The novelty of the thesis is the creation of the new classification of university development stages through the reflection of worldview paradigms of historical periodization of the university idea. The doctoral thesis is generally about the issues of education philosophy,

namely the attempt of a new classification of the university development stages, knowledge status and a future of the university.

The aim of the thesis is the creation of a new classification of university development stages as and worldview paradigm as well as the study of university development stages, periodization, models and knowledge status in the context of education philosophy; to possibly anticipate the probable future of the university on the basis of the current postmodern paradigms existing in the university education.

The theoretical research methodology which implies to the philosophical, conceptual discussion of the theoretical materials. The conceptual models, patterns and structures obtained after the processing of the theoretical materials were used in order to define the research subject and to address specific issues. This study required to process a huge volume of literature, namely in the field of education philosophy, discussing the education policy, consciousness philosophy, epistemology, android epistemology, postmodern ideas and a study of historical concepts of an antique education as well as a new discipline of android epistemology. We used a method of hermeneutics and criticism methods in order to conduct the theoretical research methodology.

The universities have undergone a huge and difficult path of development since the creation of the first universities. According to the American theologist John B. Cobb and an American philosopher Marcus Peter Ford, the models discussed showed us the basic paradigms on the basis of which the university idea and knowledge status have been developed. However, according to the current conditions, the classification obtained by them is not enough, that's why we tried to initiate new classification, that would make it possible to more or less fully classify challenges that face the university and to structure such worldview paradigms that would make it possible to initiate debates about the future of the university at a multi and interdisciplinary level. We processed a new classification type on the basis of the classification of university development stages by John B. Cobb and Marcus Peter Ford.

According to this classification the development of university idea has evolved and will take place at the following stages:

- **Religious consciousness;**
- **National consciousness;**
- **Industrial consciousness;**
- **Technological consciousness.**

We live in a world that will be exceptional with technological wonders. Since 90s the wonders of digital technologies create new dimensions, which we called a technological consciousness. The main driving idea in this dimension should be the development of the student's creative skills, which will be the main differentiating power from the world of super-minded androids that humanity will face soon. Accordingly, the development of digital technologies and artificial intelligence creates a new economic reality. The modernistic types of universities have difficulties with adaptation and relevancy towards such reality. As a result of the study we can assume that if the goal of the university is to just prepare the student for the labor market, it will be highly probable that such university and student will be unsuccessful. And the reason behind that will be the robots replacing a whole lot of jobs in the near fifty years. This will be the challenge of the universities in the space of technological consciousness, which we currently live in.

On the stage of technological consciousness, the universities must provide students with education and skills to let them adapt with the new economic reality dictated by technologies, to be able to react on the global challenges with the creative approaches. Development of imagination and creative skills should become the main driving idea of higher education. The knowledge and the development of the creative skills form such a foundation, that enables the graduates to generate new ideas and progress.

# შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი - **„უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა (ცოდნის სტატუსი და უნივერსიტეტი)“** ეხება უნივერსიტეტის განვითარების ეტაპებს ახალი კლასიფიკაციის შემუშავებას, ცოდნის სტატუსის ცნების ისტორიული და თანამედროვე შინაარსების გაშლას საუნივერსიტეტო განათლების კონტექსტში, თანამედროვე უნივერსიტეტის იდეის განხილვას უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის გზით. ვითარებას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, კულტურული და აზროვნების არამოდერნული მოდუსიდან გამომდინარე, უწოდეს პოსტმოდერნი - ვითარება მოდერნის შემდეგ, რომელსაც კონკრეტული ერთი მიმართულება არ გააჩნია (Lyotard, 1979). საკმაოდ რთულია პოსტმოდერნის ცნების დეფინიცია ერთმნიშვნელოვნად. ფრანგი ფილოსოფოსის ჟან-ფრანსუა ლიოტარის (1924-1998) მიხედვით, პოსტმოდერნი აზროვნების განსაკუთრებულ მდგომარეობად უნდა მოვიაზროთ. დღევანდელი სამყაროს ონტოლოგიური სივრცე მრავალგანზომილებიანია და, თუ ფრანგ ფილოსოფოსს ჟაკ დერიდას (1930-2004) დავესესხებით, სრულიად განსხვავებული მენტალური, კულტურული სამყაროები ერთად თანაარსებობენ, რასაც იზოსთენიის[1] პრინციპს უწოდებს. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც საგნები მრავალგანზომილებიან სივრცეში თანაარსებობენ. შესაბამისად, მათი ერთგანზომილებიანი, სწორხაზოვანი დეფინიცია თითქმის არაფრის მომცემია. საგნების[2] მრავალსახოვან გამოვლინებაში ხელიდან გვისხლტება საგნის არსი, თითქოს შეუძლებელია მისი ფენომენოლოგიური ჭვრეტა[3].

---

[1]ტერმინი „იზოსთენია“ ბერძნულია (*ισοσθενεια*), იზოსთენიის პრინციპი მომდინარეობს ძველი ბერძენი ფილოსოფოსის კარნეადე კირენელისგან (214-192 ძვ.წ.აღრ.), რომელმაც პლატონის ტრადიციებზე დაფუძნებული „მესამე აკადემია“ დაარსა. კარნეადე მოგვიანებით სკეპტიციზმის მიმდევარი გახდა. იზოსთენიის ცნება სკეპტიკოს ფილოსოფოსებთან ფართოდ არის გამოყენებული.

[2]ტერმინი „საგანი“ აქ გამოყენებული ფართო მნიშვნელობით, რომელიც მოიცავს როგორც ონტოლოგიურ, ისე მენტალურ, კოგნიტურ და ეპისტემოლოგიურ მოცემულობებს.

[3]შემეცნების ფენომენოლოგიური მეთოდი შემოღებულია გერმანელი ფილოსოფოს ედმუნდ ჰუსერლის (1859-1938) მიერ. ფენომენოლოგიურ მეთოდს ჰუსერლი მოიხსენიებს როგორც „თავად საგნებთან მიბრუნებას“, რომელიც გულისხმობს საგნის არსის ჭვრეტას ისეთს, როგორიც არის თავისთავადობაში ყოველგვარი წანამღძვრებისა და წინასწარგანწყობების გარეშე, საგნის ჭვრეტა ისე როგორც ის ჩანს,

ლიოტარი ამბობს, რომ პოსტმოდერნი არის კულტურა ტრანსფორმაციის შემდეგ (Lyotard, 1979). საგნები ტრანსფორმირდება, სახეს იცვლის დარაგვრჩება ასეთი ტრანსფორმაციის შემდეგ? შესაძლოა საგნების ტრანსფორმაციამ შეცვალა საგნების აღქმა, შეცვალა თავად შემეცნება/ეპისტემე.

ქრონოლოგიურად პოსტმოდერნის დაბადება უნდა ვივარაუდოთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ლიოტარი 1943 წელს მიიჩნევს გადამწყვეტ თარიღად. ეს წელი ომში ახალი ტექნოლოგიების შემოტანას და ატომური ბომბის შექმნის იდეას უკავშირდება. 1934 წელს ლიტერატურის კრიტიკოსმა ფედერიკო დე ონის სანჩესმა (1885-1966) ტერმინი "პოსტმოდერნიზმი" ლიტერატურული კირიტიკის კონტექსტში გამოიყენა. არნოლდ ტოინბის (1889-1975) მიერ კი პოსტმოდერნიზმის ცნება კონსტრუირებულ იქნა როგორც თანამედროვე ეპოქის აღმნიშვნელი და განსხვავებული მოდერნისგან - ვითარება მოდერნის შემდეგ. თუმცა ტოინბი ტერმინ „ულტრამოდერნს" იყენებს პოსტმოდერნის ნაცვლად (Toynbee, 1946). 1979 წლიდან, როცა - ჟან-ფრანსუა ლიოტარმა დაწერა წიგნი „პოსმტოდერნული ვითარება: მოხსენება ცოდნაზე", პოსტმოდერნიზმი მოიაზრება როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა, ხოლო - პოსტმოდერნი როგორც ფილოსოფიური კატეგორიის ცნება, რომელიც აღნიშნავს თანამედროვე სამყაროს ონტოლოგიურ თუ ეპისტემოლოგიურ მდგომარეობას. პოსტმოდერნიზმი არის არა მარტო არაკლასიკური აზროვნების მოდელი, არამედ პოსტ-არა-კლასიკური ვითარება აზროვნებაში და ის დიდად არის დავალებული ნიცშეს ფილოსოფიისგან, როგორც აზროვნების არაკლასიკური ფორმისგან. თანამედროვე კულტურა თავის თავს მოიაზრებს როგორც პოსტმოდერნს - უწყვეტ პროცესუალობას, შესაბამისად, ფილოსოფია დერიდასეული

---

ავლენს თავის თავს როგორც ასეთს. ფენომენოლოგია მომდინარეობს ბერძნული ტერმინიდან „ფენომენი", რომელიც გერმანელი ფილოსოფოსის მარტინ ჰაიდეგერის (1889-1976) მიერ ძალიან საინტერესოდ არის განმარტებული წიგნში: „ყოფიერება და დრო". „Phainomenon" მოდის ბერძნული ზმნიდან „phainesthai", რომელიც ნიშნავს ჩენას, ვლენას. თავად ზმნა მოდის ბერძნული სიტყვიდან phos, რომელიც ნიშნავს სინათლეს. ამდენად, ზმნა „phainesthai" შეიძლება განმვარტოთ როგორც სინათლეში ჩენა და გამოვლენა, ხოლო ამ ზმნიდან ნაწარმოები არსებითი სახელი „Phainomenon" როგორც სინათლეში გამოვლენილი. ფენომენოლოგიური მეთოდი გულისხმობს საგნების არსის სინათლეში, სიცხადეში დაყენებას ისე, როგორც ისინი არიან თავისთავადობაში როგორც ასეთი.

გაგებით თავის თავს აკონსტიტუირებს როგორც  პოსტფილოსოფიას. დერიდას თუ დავეთანხმებით ეს არის მეტაფილოსოფია[4], რაც ნიშნავს ტრადიციული ონტოლოგიურ ეპისტემოლოგიური განზომილებიდან გასვლას,  კლასიკურ-სემანტიკურ-აქსიოლოგიურ პრიორიტეტებზე უარის თქმას (Derrida, 1967). ის არ იყენებს არანაირ დიხოტომიას აზროვნებაში, მაგალითად:  იმამენტური და ტრანსცედენტური, ცენტრი და პერიფერია, ქალი და მამაკაცი, თეთრი და შავი, ბოროტება და სიკეთე. პოსტმოდერნულობის მთავარ ნიშნად შეიძლება გამოვყოთ პლურალიზმი და დერიდას მიერ გამოყენებული იზოსთენიის პრინციპი, რომელიც ძველი ბერძენი ფილოსოფოსის კარნეადეს (214-129ძვ.წ. აღრ.) მოძღვრებაში გხვდება, რაც გულისხმობს ნებისმიერ განსხვავებულ, საპირისპირო თეორიას, შეხედულებას ტოლძალოვანი  არსებობის უფლება აქვს (თევზაძე, 2008)

ლიოტარი თვლის, რომ პოსტმოდერნული ვითარება ენობრივი თამაშების კონცეფციას ეფუძნება. ენობრივი თამაშები კი ნიშნავს, რომ გამოთქმის განსხვავებული სახეები შეიძლება განისაზღვროს  წესების საშუალებით, რომლებიც განაპირობებენ მის ხასიათს და შესაძლო გამოყენებას:

1) თამაშის წესი არ არის ენის ლეგიტიმაცია;
2) წესების შეცვლა ნიშნავს თამაშის შეცვლას;
3) ნებისმიერი გამოთქმა ეს არის შესვლა ენობრივ თამაშში (Lyotard, 1979)

აქედან გამომდინარე, ცოდნას და აზროვნებას საფუძვლად უდევს ენობრივი თამაშები. ენობრივი თამაშები ქმნიან ნარატივებს. ნარატივი კი არის  ერთიანი ცოდნის ატრიბუციული ფორმა: 1) თავის თავში მოიცავს ენობრივი თამაშების მრავალფეროვნებას (დენოტატიური, პრესკრიფციული, პერფორმაციული), რომლებიც 2) თავის მხრივ ემორჩილება წესებს, და ბოლოს 3)  ნარატივი დროის სტრუქტურირებას ახდენს (რაც კონკრეტულად ჩვენი ნაშრომის განხილვის საგანი არ არის). როგორც ლიოტარი აღნიშნავს, დასავლური კულტურისთვის თვისებრივი მახასიათებელია  მეცნიერების, ეთიკის და პოლიტიკის ენის/ნარატივის ნათესაობა,

[4]Joll, N. (2017). *Metaphilosophy*. Retrievedfromhttps://www.iep.utm.edu/con-meta/#SH4d

მათ შორის ენობრივი საზღვრების მოშლა, რამაც გამოიწვია თანამედროვე კულტურის და, განსაკუთრებით, საუნივერსიტეტო განათლების კრიზისი, რადგან უნივერსიტეტი ეს არის ცოდნის შექმნისა და ცოდნის გადაცემა/ტრანსმისიის უმთავრესი ადგილი (Lyotard, 1979), არა მხოლოდ როგორც ლოკალური ადგილი კონკრეტული კოორდინატებით, არამედ როგორც ვირტუალური სივრცეც, რომელზეც ნაშრომში ვისაუბრებთ.

თუ დერიდას ნათქვამს გავიზიარებთ და ვიტყვით, რომ პოსტმოდერნი ეს არის ანტიკურობა ბრჭყალებში მეცნიერებების დისციპლინარული საზღვრების თვალსაზირისით, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, დღეს მეცნიერული ცოდნის სამანები მოიშალა. დღევანდელი ტექნოკრატიული სამყარო და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის კვლევისა და მეცნიერული ცოდნის გადაცემის/ტრანსმისიის ფუნქციას. კიბერნეტიკულ პარადიგმაში გადაწყვეტილი მეცნიერული საკითხები ქმნის სინამდვილეზე მიმართული თხრობის პროფანაციას, რის შედეგადაც იქმნება განსხვავებული პარადიგმები ცოდნის სტატუსის შესახებ. ცოდნის გადაცემა/ტრანსმისია მხოლოდ უნივერსიტეტში ხდება (Lyotard, 1979). თუ თანამედროვე სამყაროში იცვლება ცოდნის და შემეცნების სტატუსი, შესაბამისად, იცვლება მისი ფუნქციონალური დატვირთვა საზოგადოებაში და, ამასთან, იცვლება უნივერსიტეტის სტატუსიც. ინფორმაციული სამყაროს ჰეგემონია ადამიანური ცხოვრების ყველა დონეზე ახდენს გავლენას. ეს მატრიცა უნივერსიტეტის ფუნქციაზეც აისახება, ვინაიდან დღეს მიდის ყველა სფეროს ინფორმატიზაცია. არსებობს იმის ალბათობაც, რომ თანამედროვე უნივერსიტეტის იდეა ამ მიმართულებითაც მოიაზრებოდეს, რისი დასტურიცაა ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი ჩართვა არა მხოლოდ მეცნიერული კვლევის, არამედ სწავლების სფეროშიც.

მეცნიერული დისკურსი ყოველთვის განსხვავდებოდა ნარატივებისაგან, თხრობისაგან. შეგვიძლია თხრობა აქ მოვიაზროთ როგორც უნივერსალური კატეგორია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ექსისტენცია სამყაროში და ონტოლოგიური

გარკვეულობა გარკვეული ტიპის თხრობაა. მეცნიერება კი, რომელიც ქმნის თავის მეთოდოლოგიას, იყენებს ექსპერიმენტს, ვერიფიცირების თუ ფალსიფიცირების სხვადასხვა მეთოდებს გამოცდილებაში საკუთარი ჰიპოთეზის დასადასტურებლად ან უარსაყოფად, გარკვეულწილად ქმნის თავის ენას, რომელიც განსხვავდება ნარატივისგან. ეს ერთგვარი მეცნიერული მეტანარაციაა. მეტანარატივები მეცნიერების პროგრესის შედეგია. თუ პოსტმოდერნული დეკონტრუქცია მეტანარატივების მიმართ უნდობლობაა, შესაბამისად, პროგრესი იწვევს ამ უნდობლობას. მეცნიერება კი იქმნება უნივერსიტეტებში, ანუ მეტანარატივების შემოქმედი უნივერსიტეტებია და ყველაზე მეტად კულტურის სხვა გამოვლინებებთან ერთად, იგი ახმოვანებს პოსტმოდერნული დეკონსტრუქციის აუცილებლობას. დღეს ინტელექტალურ წრეებში არსებული დებატები საუნივერსიტეტო განათლების შესახებ სხვა რეგისტრში მიმდინარეობს, ვიდრე ეს ხდებოდა წინა საუკუნეებში, განსაკუთრებით, განმანათლებლობის, მოდერნის ეპოქაში. მოდერნს ჩვენ ვუწოდებთ ვითარებას პოსტმოდერნამდე, რომელიც როგორც კულტურული, სოციალური და ინტელექტუალური განზომილება შეიძლება ავთვალოთ განმანათლებლობიდან. როგორც სასექსის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი ჯერარდ დელანტი თავის სტატიაში: „აქვს თუ არა უნივერსიტეტს მომავალი?“ აღნიშნავს, თანამედროვეობის დებატებში უნივერსიტეტის იდეის გარშემო დომინირებს ორი პოზიცია: ლიბერალური და პოსტმოდერნული (Odin, Manicas, 2004, Chapter 14). უნივერსიტეტის იდეის შესახებ ლიბერალური შეხედულებები წარმოდგენილია კარდინალ ჯონ ჰენრი ნიუმენის (1801-1890) კონსერვატიული კონცეფციებში, რომელიც უნივერსიტეტს და ცოდნის სტატუსს კლასიკური თეოლოგიის პრიზმაში და მორალურ-ეთიკურ რეგისტრში განიხილავს. პოსტმოდერნული თეზისის მიხედვით კი, მოდერნული ტიპის უნივერსიტეტები განიცდიან ერთგვარ დაბერებას, ისე როგორც სხვა მოდერნული ტიპის ინსტიტუციები და ამის მიზეზია ინფორმაციული ერა, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მოიტანა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში. დღეს კი ხელოვნური ინტელექტის თემის გააქტიურებამ შეუწყო ხელი.

“ლიბერალური შეხედულებებით უნივერსიტეტი არსებითად რეპროდუქციულია, ცოდნის გადამცემი, ვიდრე, კრეატული, ახალი ცოდნის შემქნელი” (Odin, Manicas, 2004, Chapter 14, p. 242), თუმცა ჩვენ ეს მოსაზრება სადავო გვგონია, რადგან ბერლინის უნივერსიტეტი, რომელიც 1809 წელს დაარსა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა (1767-1835), პირველ რიგში, იყო კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც სწორედ ახალი ცოდნის შექმნის იდეით დაარსდა. ჰუმბოლდტის იდეა გულისხმობდა სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას. ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის მოდელი როგორც სანიმუშო კვლევითი უნივერსიტეტის მოდელი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა XIX საუკუნეში გადაიტანა როგორც წარმატებული მოდელი.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია დებატები პოსტმოდერნული პოზიციიდან, რომელიც სვამს მნიშვნელოვან კითხვას: როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტი ინფორმაციულ ერაში და გადარჩება თუ არა ის იმ სახით, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ მას, როგორც მოდერნული ტიპის ინსტიტუციას.

უნივერსიტეტმა თავისი არსებობის თითქმის ათასი წლის მანძილზე განვითარების დიდი და რთული გზა გაიარა, რელიგიური იდეოლოგიების პარადიგმებიდან, პროგრესული სეკულარიზაციიდან, კულტურული ნაციონალიზმის იდეებიდან, მეცნიერების ინსტიტუციონალიზაციიდან - დღემდე. დღევანდელი ვითარება, რომელსაც პოსტმოდერნი უწოდეს, უნივერსიტეტს წინა საუკუნეებიდან განსხვავებული გამოწვევების წინაშე აყენებს. ეს გამოწვევებია გლობალიზაციის გზაზე ინფორმაციული, ციფრული ტექნოლოგიების რევოლუციით დაწყებული, დღეს მიმდინარე კვლევებით დამთავრებული ხელოვნური ინტელექტის სფეროში. დებატები საუნივერსიტეტო განათლებაზე და ცოდნის სტატუსზე ციფრული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის გავლენის შესახებ ახალი დაწყებულია.

**სადისერტაციო ნაშრომის მიზანია:**

- შეისწავლოს უნივერსიტეტის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები

- ფილოსოფიური-მსოფმხედველობრივ კონტექსტში იკვლიოს უნივერსიტეტის მოდელები და საუნივერსიტეტო განათლების მიმართება ცოდნის სტატუსთან
- უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების დღემდე არსებული პარადიგმების კვლევა

**სადისერტაციო ნაშრომის სიახლეა** უნივერსიტეტის იდეის და მისი განვითარების ეტაპების განათლების ფილოსოფიის კონტექსტში კვლევა და ზოგადად პედაგოგიკის მეცნიერებების საკითხების ფილოსოფიური კვლევის კონტექსტში დაბრუნება, ვინაიდან ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში არა მხოლოდ საქართველოში, თანამედროვე მსოფლიოში განათლების საკითხები ნაწილობრივ ჩამოშორდა ფილოსოფიური რეფლექსიის ტოპოსს, რაც არ მიგვაჩნია პოზიტიურ მოვლენად, ვინაიდან განათლების მეცნიერებების ფუნდამენტური მეთოდოლოგიური საფუძველი არის ფილოსოფია. ამ ნაშრომით შევეცადეთ კვლავ წარმოგვედგინა საუნივერსიტეტო განათლების საკითხები ფილოსოფიური დისკურსიდან, რასაც შეიძლება განათლების ფილოსოფიის საკითხების კვლევა ვუწოდოთ. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის შექმნა უნივერსიტეტის იდეის ისტორიული განვითარების ეტაპების მსოფმხედველობრივი პარადიგმების რეფლექსიის გზით. სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც ეხება განათლების ფილოსოფიის საკითხებს, კერძოდ, უნივერსიტეტების განვითარების ეტაპების ახალ კლასიფიკაციას, ცოდნის სტატუსს და უნივერსიტეტის მომავალს, ჩვენი აზრით, განათლების ფილოსოფიის საკითხთა კვლევის რანგში დგება.

ნაშრომში გამოკვლეული იქნება თანამედროვე საუნივერისტეტო განათლების ის კონდიცია, რომელსაც შეიძლება ვუწოდეთ პოსტმოდერნული უნივერსიტეტის იდეა, ცოდნის სტატუსი საუნივერსიტეტო განათლების ისტორიულ კონტექსტში და თანამედროვე უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის დღევანდელი ვითარება და მისი შესაძლო მომავალი. როგორ იქმნებოდა და იქმნება ცოდნის სტატუსის ცნების

შინაარსები ისტორიულ დინამიკაში საუნივერსიტეტო განათლების კონტექსტში, შეძლებისდაგვარად განვჭვრიტოთ უნივერსიტეტის შესაძლო მომავალი ციფრულ ტექნოკრატიულ გარემოში.

ნაშრომში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- როგორია ცოდნის სტატუსი და როგორი შეიძლება იყოს ჩვენი ცოდნა. როგორ გავაუმჯობესოთ არსებული იდეური მიდგომები საუნივერსიტეტო განათლებაში ისე, რომ გადაილახოს როგორც განათლების, ისე კულტურის კრიზისი, რასაც მოჰყვება ონტოლოგიური თუ მეტაფიზიკური ხასიათის კრიზისიც, რომლის წინაშეც დღეს მსოფლიო დგას (Ford, 2002). რა მიმართულებით იფიქროს უნივერსიტეტმა, რომ გაუმკლავდეს თანამედროვეობაში არსებულ გამოწვევებს. როგორი იქნება უნივერსიტეტის მომავალი ტექნოკრატიულ ეპოქაში. ამ ტიპის კითხვებს ლიოტარი უკავშირებს პოსტმოდერნულ ვითარებას და ამასთან, ენობრივი თამაშების და ნარატივების დელეგიტიმაციას. იმ ტიპის ნარატივებს, რომლებიც განაპირობებენ ცონდის სტატუსს, მის გადაცემას, შექმნასა და განვითარებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დისერტაციის მიზანია ეს საკითხები განვიხილო თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების მაგალითზე.
- ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით შედეგად მომხდარმა ტრანსფორმაციებმა გამოიწვია ცოდნის სტატუსის და მეცნიერული დისკურსის განსხვავებულ პლათფორმაზე გადასვლა. მეცნიერული ცოდნა ცალკე მდგომი დისკურსის სივრცეა, რომელსაც თავისი თამაშის წესები აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციული, ციფრული ვირტუალური სივრცის გაჩენამ და ტექნოლოგიურმა პროგრესმა გავლენა მოახდინა ცნობიერების გარდაქმნაზე და ცოდნის სტატუსზე. ინფორმაციული ცირკულაციის სიხშირემ, ინფორმაციის უწყვეტმა ნაკადმა გაარღვია ცოდნის ცნების აქამდე არსებული შინაარსი, შედეგად, ცოდნასა და ინფორმაციას შორის მოხდა ერთგვარი ტრანსგრესია და ცოდნის სტატუსი, როგორც უმაღლესი მიზანი და

იდეა - არისტოტელესეული პოსტულატი - ცოდნა ცოდნისთვის, ხელშეუხებელი არ დარჩა. ცოდნის ტრანსლირება ტექნოლოგიურ ენაზე ხდება ბაიტების, მეგაბაიტების, ტერაბაიტების დონეზე, შედეგად, მისი ინფორმაციული სტრუქტურირება ვირტუალურ სამყაროში. ცოდნის გადაცემა, ცოდნის როგორც ნაწერის მხოლოდ ონტოლოგიური მოცემულობა აღარ არსებობს. დღეს ცოდნა ინფორმაციულ ერთეულებად ითარგმნება (ბაიტები, მეგაბაიტები, ტერაბაიტები). ამდენად, ცოდნის ტრანსლირება მოხდა ინფორმაციულ ერთეულებად. როგორც ლიოტარი თვლის, ეს ინფორმაციული მოცემულობა გულისხმობს ცოდნას, უახლეს ტექნოლოგიებს, რომელიც იქცა ძალაუფლებად და შეიძლება ვთქვათ, რომ ცოდნის სტატუსმა შეიძინა ძალაუფლების შინაარსი, მეტიც, ის გახდა ძალაუფლების სიმბოლო, რომელიც ჩამბულია ადამიანებსა და ქვეყნებს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლაში (Lyotard, 1979). თანამედროვე სამყაროში მიდის ბრძოლა არა მხოლოდ რესურსებისთვის, არამედ ინფორმაციული ძალაუფლებისთვის. ვინც ფლობს მეტ ცოდნას, ის ფლობს ძალაუფლებას. რომ დავაკონკრეტოთ, მეცნიერული ცოდნა და ტექნოლოგიური ცოდნა აქ შინაარსობრივად აკუმულირებულია და ის ხდება ინფორმაციული სოციუმის მთავარი იარაღი. სახელმწიფოების ძალაუფლების ტოპოსი ვრცელდება იმდენად, რამდენადაც მას აქვს მეცნიერული და ტექნოლოგიური ცოდნის შედეგად შექმნილი რესურსები, რისი საშუალებითაც ის განავრცობს თავის ძალაუფლებას. ლიოტარის განმარტებით, მეცნიერული ცოდნა არის საყოველთაო ტოტალური ცოდნა, ის კონფლიქტშია სხვა სახეობის ცოდნასთან, რომელსაც ნარატივს ვეძახით, ხოლო მეცნიერული ცოდნა მეტანარატივია (Lyotard, 1979).

- ტექნოკრატიულ საზოგადოებაში მეცნიერული ცოდნა გარდაიქმნება ტოტალური ხასიათის ცოდნად, სადაც საზოგადოების მთავარი არსობრივი განსაზღვრელია მისი ფუნქციონალურობა, თვითრეგულირებადობა (Lyotard, 1979). ცოდნა როგორც ასეთი და მისი სტატუსი თანამედროვე საზოგადოებაში არის მეცნიერული ცოდნის ტოლფასი. ცოდნის

მეცნიერულობა და მისი ძალაუფლება პირდაპირ დაკავშირებულია ცოდნის ლეგიტიმაციასთან, რომელიც უფრო მეტად სოციო-პოლიტიკური და არა მხოლოდ ეპისტემოლოგიური ხასიათისაა. ცოდნა როგორც ასეთი არ დაიყვანება არც მეცნიერებაზე, არც სწავლებაზე, არც უნარებზე, აქედან გამომდინარე, ცოდნაზე მეცნიერული სტატუსის მინიჭება და მისი ძალაუფლების სიმბოლოდ ქცევა მხოლოდ ერთი მხარეა, რომელსაც ლეგიტიმურ შინაარსებს ანიჭებს საზოგადოების დომინანტი ნაწილი, როგორც პოლიტიკური ერთეული. თუმცა ეპისტემოლოგიური თვალსაზრისით ცოდნის შინაარსები ამ ვიწრო დისკურსზე უფრო ფართოა: რა ვიცით, როგორ ვიცით, რა არის ცოდნა? ამ ეპისტემოლოგიურ კითხვებს რაღაც ტიპის საყოველთაოდ ლეგიტიმური დისკურსებით ვერ შემოსაზღვრავენ, თუმცა ჩვენი საუნივერსიტეტო განათლების და, შეიძლება ითქვას, საზოგადოების ცნობიერების განვითარების საზღვრებს, მართავს მეცნიერული ცოდნის ლეგიტიმურობა, რომელიც თანამედროვე სამყაროში მეტწილად რედუცირდება კომერციალიზაციაზე, გამოყენებადობაზე და სარგებლიანობაზე.

- უნივერსიტეტში მეცნიერული ცოდნის, ლეგიტიმური ცოდნის შექმნა და გადაცემა/ტრანსმისია ხდება. ხოლო ასეთი ცოდნა, როგორც ძალაუფლების წყარო მართავს მთელ პლანეტას. საუნივერსიტეტო განათლებას, როგორსაც ჩვენ მას ვიცნობთ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული სწავლების, ცოდნის გადაცემის, შექმნის ათასწლიანი გამოცდილება აქვს. ათასი წლის მანძილზე შექმნილმა და დაგროვილმა მეტანარატივებმა მოიტანა მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესი, თუმცა დედამიწა ახლა ყველაზე მეტად დგას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე[5], პლანეტის უმეტეს ქვეყანაში

[5]უცვლელად გადმომაქვს ნობელიანტების 1992 წლის 18 ნოემბრის განცხადების ნაწყვეტი, რომელიც დასათაურებულია შემდეგნაირად: „მსოფლიო მეცნიერები აფრთხილებენ კაცობრიობას“: „Human beings and the natural world are on a collision course. Human activities inflict harsh and often irreversible dmaage on the enviroment and on critical resourses. If not checked, , many of our current practices put at serious risck of future tha we wish for human society and the plant and the animal kingdom, and may so alter

განათლების, წიგნიერების დონე უარესდება (მათ შორის, საქართველოშიც)[6] და მილიარდამდე ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში, ხოლო მსოფლიო ბანკის მონაცემებით დედამიწის მოსახლეობის თითქმის 50% დღეში 5.50$-ზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს[7]. თანამედროვე უნივერსიტეტები რთული და ხშირად წინააღმდეგობრივი ხასიათის ერთეულები არიან. რა იგულისხმება ამ დებულებაში. ერთი მხრივ, ის ემსახურება ახალი ცოდნის შექმნისა და გადაცემის იდეას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს მეცნიერული ცოდნის (მეტწილად იგულისხმება ტექნოლოგიური ცოდნა) ძალაუფლებად ლეგიტიმაციას პოლიტიკური ინსტიტუციების თუ ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენით. რაც, თავის მხრივ, სწავლა და სწავლების რედუცირებას ახდენს ეკონომიზმის მსოფმხედველობაზე, თანამედროვე სამყაროში ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულობის გამო. ტექნოკრატიულ საზოგადოებაში შექმნილი კონკურენცია სხვა გზას არ უტოვებს უნივერსიტეტს ჩაერთოს შრომის ბაზარზე არსებულ კონკურენციაში. თუ უნივერსიტეტი არის ცოდნის შემოქმედი, რაც შემდგომ გავლენას ახდენს საზოგადოების ცნობიერებაზე, რატომ არ შეუძლია მას და უნივერსიტეტის ლიდერებს შეცვალონ ვითარება და, შესაბამისად, ცოდნის სტატუსს მიანიჭონ უფრო ფართო შინაარსები, ვიდრე ცალმხრივი პრაგმატული თუ ეკონომიზმის იდეაფიქსებია? თუ უნივერსიტეტს ეს არ შეუძლია, მაშინ ის ვერ ხდება ცოდნის შემოქმედი და თუ შეუძლია, მაგრამ ამისთვის არაფერს აკეთებს, მაშინ უნივერსიტეტი უდანაშაულო სუბიექტი სულაც არ გამოდის კულტურული, ეკონომიკური თუ სოციალური

---

the living world that it will be unable to sustain life in the manner that we know, Fundamental changes are urgent if we are to avoid the collision our present cours will bring about. " (Ford, 2002, p.2).

[6] Countries With The Worst Education Systems. This page last updatet on december 1, 2017, by James Burton. Retrieved from https://www.worldatlas.com/articles/countries-spending-the-least-on-education-in-the-world.html

[7] Global Extrem Poverty, by Max Oser and Esteban Ortiz-Ospina, Retrieved from https://ourworldindata.org/extreme-poverty;11 facts about global poverty, Retrieved from https://www.dosomething.org/us/facts/11-facts-about-global-poverty; Nearly half the world lives on less than $5.50 a day, press release, october 17, 2008. Retrieved from https://www.worldbank.org/en/news/press-release/2018/10/17/nearly-half-the-world-lives-on-less-than-550-a-day;

კრიზისების ფონზე. ეკონომიზმის მსოფხედვას შეიძლება ვუწოდოთ ფილოსოფიური მატერიალიზმი, რომელიც ინდუსტრიული განვითარების ტენდენციებით არის ნაკარნახევი და XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა უნივერსიტეტების მთავარი წამყვანი იდეა, რომლის მიხედვითაც ისინი აგებენ საკუთარ კურიკულუმებსა და სწავლების მეთოდებს. შრომის ბაზრის პრიმატი გარკვეულწილად სწორედ ეკონომიზმის, ფილოსოფიური მატერიალიზმის იდეოლოგიასთან არის კავშირში.

- ამერიკელი მკვლევარის ბარტონ კლარკის (1921-2009) უმაღლესი განათლების მარკეტიზაციის იდეის (Clark, 1984) ინტერპრეტირება შეიძლება მოხდეს ამ სახით - უნივერსიტეტი ეს არის საზოგადოების სერვისის მიმწოდებელი, რომელმაც უნდა უპასუხოს გლობალიზაციის, მარკეტიზაციის გამოწვევებს. ეს პოსტულატი არ არის მცდარი, მაგრამ, ამავე დროს, გვავიწყდება, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ საზოგადოების სერვისის მიმწოდებელი არ შეიძლება იყოს. თუ ის ცოდნის შემოქმედია, მაშინ საზოგადოების ცნობიერების შემოქმედიც გამოდის. თუ უნივერსიტეტს ვაქცევთ მხოლოდ საზოგადოების სერვისის მიმწოდებლად, რომელიც იღებს ლეგიტიმურ დაკვეთებს ლეგიტიმური საზოგადოებიდან და შემდგომ უნივერსიტეტში არსებული ცოდნის ლეგიტიმაციას ახდენს. ამ გზით შექმნილ მეტანარატივებს ისევ საზოგადოების დაკვეთით ქმნის და თავად არაფერს კარნახობს საზოგადოებას ცნობიერების გაფართოებისთვის, მაშინ ვიღებთ ჩაკეტილ სისტემას, სადაც საუნივერსიტეტო განათლება კი არ გამოდის საზოგადოების განვითარების მასტუმილირებელი ლიდერი, არამედ ლეგიტიმური საზოგადოებისგან წამოსული ლეგიტიმური დაკვეთების შემსრულებელი და არანაირად ახალი ცოდნის შემოქმედი. ასეთი ტიპის უნივერსიტეტი უფრო ვიწრო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ემსგავსება, ვიდრე იდეების შემოქმედს. უნივერსიტეტი, როგორც ცოდნის შემოქმედი და გადამცემი არ არის მხოლოდ დაკვეთის შემსრულებელი და საზოგადოების სერვისის მიმწოდებელი. შეუძლებელია უნივერსიტეტი თავისი შინაარსით,

როგორც ახალი ცოდნის შემოქმედი და გადამცემი არ იყოს საზოგადოების იდეური გენერატორი.

ამ ნაშრომის შექმნით გვსურს აქტუალურ და მნიშვნელოვან დისკუსიებზე, რომელიც დღეს პლანეტის წამყვანი ქვეყნების ინტელექტუალურ ტოპოსში მიმდინარეობს, საქართველოში აკადემიური წრეების, საუნივერსიტეტო განათლებაში ჩართული პროფესიონალების, ახალგაზრდა მკვლევარების ყურადღება გავამახვილოთ, ერთგვარი სტიმული მივცეთ ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში ამ მიმართულებით დისკუსიების დაწყებას. ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარს დაანახოს თანამედროვე უნივერსიტეტის ვითარება და ცოდნის სტატუსი კრიტიკული განსჯის რეგისტრიდან, განსაკუთრებით, ცოდნის სტატუსი ისტორიული პერსპექტივიდან, მისი ახლანდელი ვითარებიდან და სავარაუდო ფუტუროლოგიური გადასახედიდან - თუ როგორი იქნება უნივერსიტეტის მომავალი, რომელიც დაკავშირებულია დღეს პირდაპირ თუ ირიბად ციფრულ ტექნოლოგიურ რევოლუციასთან.

დისერტაციაში გამოყენებულია **თეორიული კვლევის მეთოდოლოგია,** რომელიც გულისხმობს თეორიული მასალის ფილოსოფიურ, კონცეპტუალურ განხილვას. თეორიული მასალის დამუშავების შედეგად მიღებული კონცეპტუალური მოდელები, პატერნები და სტრუქტურები გამოვიყენეთ საკვლევი საგნის დეფიციინიისთვის, კონკრეტული საკითხების გამოსაკვეთად და დისერტაციაში დასახული მიზნის მისაღწევად. ამ კვლევისთვის საჭირო გახდა მოცულობითი ლიტერატურის დამუშავება, კერძოდ, განათლების ფილოსოფიის მიმართულებით, განათლების პოლიტიკის, ცნობიერების ფილოსოფიის, ეპისტემოლოგიის, ანდროიდული ეპისტემოლოგიის, პოსტმოდერნიზმის იდეების განხილვა, ანტიკური განათლების ისტორიული კონცეპტების დამუშავება, ახალი მიმდინარეობის - ანდროიდული ეპისტემოლოგიის კვლევა. თეორიული კვლევის მეთოდოლოგიის განხორციელებისთვის გამოვიყენეთ ჰერმენევტიკის და კრიტიციზმის მეთოდი. ჰერმენევტიკის მეთოდი სათავეს იღებს ძველი ბერძნული

ფილოსოფიიდან. განსაკუთრებით, ნეოპლატონიკოსები იყენებდნენ მას, როგორც უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ მეთოდს ტექსტების ინტერპრეტაციისთვის. გერმანელი ფილოსოფოსის ვილჰელ დილთაის (1833-1911) მიერ ჰერმენევტიკის მეთოდი იქნა მნიშვნელოვნად გადამუშავებული და გერმანელი ჰერმენევტიკოსის ჰანს გეორგ გადამერის (1900-2002) ფილოსოფიაში განვრცობილი. ტერმინი „ჰერმენევტიკა“ ბერძნული სიტყვიდან “ἑρμηνευτικὴτέχνη” მომდინარეობს და ნიშნავს ახსნის, თარგმნის და განმარტების ხელოვნებას. თავად ტერმინის ფუძე უკავშირდება ბერძნული პანთეონის ღმერთ ჰერმევსს, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს ფუქნციას წარმოადგენდა ოლიმპოს ღმერთების განზრახვის, ნათქვამის მიტანა და ახსნა ადამიანებისთვის.

ჰერმენევტიკის მეთოდი გულისხმობს ტექსტის და შინაარსების სტრუქტურების სიცხადეში, სააშკარაოზე გამოტანას. შეიძლება ითქვას, ტექსტებში, პოსტულატებში ნაგულისხმევი საზრისების, მოსაზრებების გაგებას, გაშლას, ახსნას და მსჯელობაში განვითარებას და გაცნობიერებას.

კრიტიციზმი როგორც ფილოსოფიური მეთოდი შემუშავებულია გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის მიერ (1724-1804) და გულისხმობს საყოველთაოდ მიღებული შეხდულებებისადმი თუ კონცეპტებისადმი კრიტიკულ მიდგომას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვეცადეთ გადაგვეხედა არსებული შეხდულებები ცოდნის სტატუსზე, უნივერსიტეტის იდეაზე, მის მომავალზე და წარმოგვედგინა სავარაუდო ტენდენციები, რომელიც შესაძლოა გამოიკვეთოს საუნივერსიტეტო განათლების მომავალში.

# თავი I. ორატორები და ფილოსოფოსები განათლების შესახებ

## 1.1 ორატორებისა და ფილოსოფოსების დაპირისპირება განათლების საკითხების და ცოდნის სტატუსის გარშემო ანტიკურ ეპოქაში

ამ თავში განვიხილავთ ორატორების და ფილოსოფოსების დაპირისპირებას განათლების იდეების გარშემო, რომელმაც განაპირობა არა მხოლოდ ცოდნის სტატუსის შინაარსები, არამედ განათლების ვექტორი ანტიკური ხანიდან მოყოლებული, რომელიც რომაული იმპერიიდან მემკვიდრეობით გადაეცა ადრინდელი შუა საუკუნეების ევროპას, შემდგომ შუა საუკუნეებს და მომდევნო ეპოქებს. პირველი უნივერსიტეტების დაარსების იდეური საფუძვლები სწორედ ამ ფილოსოფიურ და ორატორულ დაპირისპირებაში უნდა ვეძებოთ. ორატორების და ფილოსოფოსების ცნობილი დავის განხილვა დაგვეხმარება უნივერისტეტის იდეის განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის შექმნაში. ძველ საბერძნეთში, ელინისტურ ხანაში და შემდეგ რომის იმპერიაში არსებობდა ორი ინტელექტუალური ტრადიცია: ორატორებისა და ფილოსოფოსების. ორატორული ტრადიციები დაკავშირებულია ისოკრატესთან (436-338 ძვ.წ. აღრ.), ხოლო ფილოსოფიური ტრადიციები, კერძოდ, განათლების საკითხებში პლატონთან (427-346 ძვ. წ. აღრ.) და არისტოტელესთან (384-322 ძვ. წ. აღრ). ორატორების და ფილოსოფოსების ხედვა ცოდნის, შემეცნების და განათლების თემებზე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. სოკრატემდე და პლატონამდე განათლების საკითხების წინ წამოწევა უკავშირდება, აგრეთვე, სოფისტებს, განსაკუთრებით, პროტაგორას (485-410 ძვ. წ. აღრ.), რომელიც სოკრატეს (470 – 399 ძვ. წ. აღრ.) თანამედროვე იყო. განათლების ისტორიიდან ეს მონაკვეთი დაკავშირებულია ორატორების და ფილოსოფოსების დავასთან განათლებისა და ცოდნის შექმნის, გადაცემის საკითხების გარშემო ლიბერალური განათლების კონტექსტში. დასავლურ ცივილიზაციაში განათლების იდეებისა და ცოდნის არსის, შემეცნების, ცოდნის შექმნის, ცოდნის გადაცემის იდეების შესახებ დისკურსები ლიბერალური განათლების კონტექსტში იქმნებოდა. ამიტომ გვერდს ვერ ავუვლით ლიბერალური განათლების ცნების განმარტებას, იმისთვის, რომ უფრო ცხადი

გახდეს თუ როგორი ტიპის დისკუსიები მიმდინარეობდა  განათლების იდეების გარშემო.  ორატორული ტრადიციები, რომელიც იწყება ისოკრატედან,  რომაულ სამყაროში გრძელდება ციცერონის (106-43 ძვ.წ.აღრ.),  კვინტილიანეს (35-97 ახ. წ აღრ.), შემდეგ ადრეულ შუა საუკუნეებში ავგუსტინეს (354-430), მარციანუს კაპელას (დ.425-გარდაცვალების თარიღი უცნობია), კასიოდორეს (484-584),  ისიდორეს  (570-636), ალკუინის (735-804),  რემიგიუსის (841-908) სახით. იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ თუ როგორ ვითარდებოდა ეს დებატები ორატორებთან და ფილოსოფოსებთან უნდა მოვყვეთ როგორ  წარმოიშვა ტერმინი „ლიბერალური განათლება“. განათლების ფილოსოფიისა და განათლების ისტორიის მკვლევარი, პროფესორი ბრიუს ა. ქიმბოლი თავის წიგნში „ორატორები და ფილოსოფოსები: ლიბერალური განათლების იდეის ისტორია“ (Orators and Philisiphers: A hystory of the Idea of Liberal Education) (1986, 1987, 1995) დეტალურად  მოგვითხრობს ლიბერალური განათლების წარმოშობას ტერმინოლოგიური გამოწვლილვითი განხილვის საშუალებით.  ზოგადად, ფილოსოფიური ტერმინების განმარტებები საკმაოდ რთული და  მოუხელთებელი საკითხია, ვინაიდან ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ავტორებთან შესაძლოა სრულიად სხვა შინაარსების მქონე განმარტებებს გადავაწყდეთ.  თავად ტერმინს „ლიბერალური განათლება, “როგორც შვიდ თავისუფალ ხელოვნებას“  უფრო შუა საუკუნეების ტრადიციებიდან ვიცნობთ.  ეს ტრადიციები დაკავშირებულია ორატორების მსოფხედვასთან, რომელიც შუა საუკუნეებში გააგრძელეს ჰიუ სენტ ვიქტორმა (1096-1141) და ჯონ სალსბერიმ (1115-1180), თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შუა საუკუნეებში განათლებაში გაძლიერდა ფილოსოფიური ტრადიციები, განსაკუთრებით, არისტოტელიზმი, რომლის მეთოდოლოგიური სისტემატიზაცია თეოლოგიაში თომა აქვინელის (1225-1274) სახელს უკავშირდება.  არისტოტელეს ფილოსოფიური დოქტრინები გახდა შუა საუკუნეების თეოლოგიის უმთავრესი საფუძველი. თეოლოგიის სწავლება არისტოტელეს ფილოსოფიურ მეთოდოლოგიაზე იდგა. ორატორული ტრადიციები შუა საუკუნეებში კი არისტოტელიზმმა ჩაანაცვალა. ტერმინ „ლიბერალურს“ ლათინური საფუძველი აქვს და მომდინარეობს სიტყვიდან  „Liberalis“, ამ სიტყვის

ფუძე liber დაკავშირებით ბრიუს ა. ქიმბოლი ავითარებს აზრს, რომ ტერმინი „liber" უკავშირდება წიგნს (Kimball,1995). „ლიბერალური განათლება" თავდაპირველად წარმოიშვა ანტიკური საბერძნეთში, თუმცა განსხვავებული სახელწოდებით მოიხსენიება, რომელზეც მოგვიანებით დეტალურად ვისაუბრებთ. რომაულ სამყაროში ტერმინი „ლიბერალური განათლება" შემდეგი სახითაც გვხდება: Disciplinae Liberalis, Studia Liberalia, Doctrinae Liberales, Artes Liberales, Litterae Liberales. რომის იმპერიაში განსაკუთრებით გავრცელდა ტერმინი „Artes Liberales", ციცერონიც ასე მოიხსენიებს ლიბერალურ განათლებას ლათინურად (Kimball, 1995). შუა საუკუნეებშიც ეს ტრადიცია გაგრძელდა. ქართულად ის შეიძლება ვთარგმნოთ როგორც თავისუფალი ხელოვნებანი, აგრეთვე, როგორც თავისუფალი მეცნიერებები ან/და უბრალოდ ლიბერალური განათლება. ზოგადად, ტერმინოლოგიების გამოყენება შეთანხმების საგანია, თუმცა მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მათი წარმოშობა და ვარიაციები გავრცელებული განათლების ფილოსოფიასა და განათლების ისტორიაში. ძველ საბერძნეთსა და რომში განათლების უფლება თავისუფალ მოქალაქეს ჰქონდა, ამიტომაც ცნება „ლიბერალური განათლება" გულისხმობს თავის თავში, აგრეთვე, თავისუფალ ადამიანს, რომელსაც აქვს როგორც პოლიტიკური, ისე პირადი თავისუფლება. რომის იმპერიაში კი განათლების უფლება ჰქონდათ არისტოკრატებს, რომელთაც პატრიციები ეწოდებოდათ. ამიტომ ლიბერალური განათლება მოიაზრებდა კეთილშობილ მოქალაქეთა აღზრდა-განათლებას. ანტიკური ეპოქის შვიდი თავისუფალი ხელოვნებანი შუა საუკუნეების ტრივიუმისა და კვადრიუმისაგან შინაარსობრივი თვალსაზირისით განსხვავდებოდა. ტრივიუმი შედგებოდა სამი დისციპლინისაგან, რომელიც მოიცავდა სიტყვიერებას, ესენია: გრამატიკა, რეტორიკა და ლოგიკა (ზოგჯერ დიალექტიკა), ხოლო კვადრიუმი მოიცავდა მათემატიკური დისციპლინებს (ბერძნულად „μάθημα" ნიშნავს სწავლას, ცოდნას), როგორებიცაა: არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია. აღსანიშნავია, რომ მუსიკა პითაგორადან მოყოლებული ე.წ. მათემატიკურ დისციპლინათა რიცხვში გადიოდა. ცხადია, Septem Artes Liberales დისციპლინები შუა საუკუნეებში შეიცვალა შინაარსობრივად, განსაკუთრებით, სიტყვიერება,

რომელსაც მოიცავდა ტრივიუმი. ეს ეხება, აგრეთვე, გრამატიკის დისციპლინას მნიშვნელოვნად, შემდეგ რეტორიკას და დიალექტიკას. ბრიუს ა. ქიმბოლის აზრით უფრო ლოგიკურია ლიბერალური განათლების საფუძვლები ვეძებოთ ანტიკურ საბერძნეთში, ვინაიდან პირველი იყო საბერძნეთი დასავლურ ცივილიზაციაში ვინც პედაგოგიური განაზრებანი დაიწყო (Kimball,1995). ეს იყო ძვ. წელთ აღრიცხვის V საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც პრესოკრატელი ფილოსოფოსები, სოფისტები აქტიურად ეწეოდნენ საგანმანათლებლო მოღვაწეობას და ბიძგი მისცეს დისკუსიებს განათლების, ცოდნის სტატუსის, ცოდნის არსის, ცოდნის შექმნისა და გადაცემის კუთხით. სოკრატეს და პლატონის დებატები განათლების გარშემი აჩვენებს ამ საკითხების აქტუალობას ათენის ქალაქ-სახელმწიფოში. გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბერძნეთში საზოგადოებრივი სკოლების იდეა გაჩნდა, სადაც თავისუფალი მოქალაქეების ბავშვები დადიოდნენ სამეცადინოდ. სწორედ ბერძნული სიტყვიდან „σχολή ” მომდინარეობს ლათინური ტერმინი “Skhole”. ბერძნული სიტყვა „σχολή ” თავდაპირველად ნიშნავდა მოცალეობას, თავისუფალ დროს, ფიზიკური სამუშაოსგან თავისულებას. შემდეგ ლათინური ენის სივრცეში შეიძინა სხვა მნიშვნელობები, როგორიცაა დასწავლა, მსჯელობა, რომელ აქტივობებსაც სწორედ თავისუფალი დრო ჭირდება. სოფისტები კერძოდ ამეცადინებდნენ მოწაფეებს, გარკვეული საფასურის ნაცვლად, ასწავლიდნენ გრამატიკას, რეტორიკას და ეს არ ხდება გარკვეული ტიპის დისკუსიების, დისპუტებისა და მსჯელობების ფორმატით. სოკრატეს ბიოგრაფიაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან დეტალს, როგორიცაა მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. სოკრატე ყოველდღე მიდიოდა აგორაზე ან ნადიმებზე, რომელიც ძირითადად იმართებოდა ათენელი არისტოკრატების ოჯახში, განსაკუთრებით, პერიკლესთან. აგორაზე სოკრატე ასწავლიდა ფილოსოფიურ აზროვნებას, სწავლება მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში და ჰქონდა მსჯელობითი, განსჯითი ხასიათი, რაც განსხვავდებოდა სოფისტების ფორმატისგან. სოკრატეს მეთოდი ემსახურებოდა განსჯაში ობიექტური ჭეშმარიტების აღმოჩენას, ცოდნის შექმნას და დიალექტიკური მეთოდით ობიექტური ჭეშმარიტების ძიებას, ხოლო სოფისტების

მოდელი ეფუძნებოდა ჭეშმარიტების აღქმის სუბიექტივისტურ მიდგომებს, რაც, აგრეთვე, გულისხმობდა ცოდნის სტატუსზე პრაგმატული შინაარსების მინიჭებას, გამოყენებადი ცოდნების გადაცემასა და გავრცელებას. ბრიუს ა. ქიმბოლის თვალსაზრისით, ძველ საბერძნეთში ლიბერალური განათლების სინონიმად უნდა მივიჩნიოთ ცნება „Enkuklios Paideia“, რაც სიტყვა სიტყვით გულისხმობს შემდეგს: ზოგადი აღზრდა. აღსანიშნავია, რომ ბერძნული სიტყვა „Eenkuklios“ ნიშნავს საერთოს, ზოგადს და აქედან მოდის ტერმინი „ენციკლოპედია“, ხოლო „Paideia“ ნიშნავს აღზრდას, საიდანაც შემდეგ დაიბადა ტერმინი „პედაგოგიკა“. ამდენად ბრიუს ა. ქიმბოლის მოსაზრებიდან თუ გამოვალთ, Artes Liberales ბერძნულად ეწოდება Enkuklios Paideia (Kimball, 1995). Artes Liberales ეს არის ციცერონის ტერმინი გამოყენებული მის წიგნში De Inventione. Enkuklios Paideia უკვე რომაულ სამყაროში დამკვიდრდა როგორც Septem Artes Liberales (Kimball, 1995).

პლატონის ფილოსოფიაში ადამიანის განვითარების ყველაზე მაღალი საფეხურია Arete, იგივე სიქველე, რომელიც თავის თავში მოიცავს ყველა არსებულ სათნოებას, რაც უნდა ახასიათებდეს ადამიანს. სოკრატისეული და პლატონისეული სიქველე იდეალისტური ბუნებისაა და პლატონის ეპისტემოლოგიაც იდეალისტური პრინციპებიდან განისაზღვრება. ცოდნა არის იდეათა სამყაროდან მოტანილი ადამიანის სულის მიერ, ხოლო შემეცნების პროცესი მისი გახსენება. ეს შეხედულება ეხმიანება პითაგორასეულ მეტემფსიქოზის, სულთა გადასახლების თეორიას. პითაგორას გავლენა პლატონის ფილოსოფიაზე მნიშვნელოვნად იკვეთება, განსაკუთრებით, შემეცნების თეორიაში. Arete-სიქველე წმინდად იდეალისტური ხასიათისაა და ადამიანი საკუთარი თავის შეცნობის გზაზე აღწევს ცნობიერების ამ მდგომარეობას. Gnothis Seauton - შეიცან თავი შენი შეგვიძლია იდეალისტური ეპისტემლოგიის მთავარ პოსტულატად ჩავთვალოთ. სოფისტები კი გორგია, პროტაგორა, პროდიკე, ჰიპია, რომელსაც პლატონმა მიუძღვნა თავისი ერთი დიალოგი „დიდი ჰიპია“ შემეცნებას არ განიხილავდნენ იდეალისტურად, ისინი ასწავლიდნენ გამოყენებით გრამატიკას, რეტორიკასა და დიალექტიკას. მათი

სწავლების მეთოდები მოიცავდა ანალიტიკურ მიდგომებს, მაგრამ არა სოკრატული მეთოდის პრინციპებს. სოფისტების განათლება პრაგმატული ხასიათის იყო და მათთან Arete-სიქველის შინაარსები მოიცავს პრაქტიკულ ხედვებს. სოფისტები ძველი საბერძნეთის თავისუფალ მოქალაქეებს ასწავლიდნენ პოლიტიკური დებატების არგუმენტირებულ წარმართვას, რეტორიკის იმ ხერხებს თუ როგორ მოეგოთ მოკამათისთვის დებატებში. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა სოკრატეს და პლატონისა, სოფისტების წინააღმდეგ გამოდიოდა ძველი ბერძენი მოაზროვნე ისოკრატე, ორატორი და ძველი ანტიკური განათლების თეორიტიკოსი, რომლის ნააზრევის გავლენის საფუძველზე რომაელმა ორატორებმა ჩამოაყალიბეს მოსაზრებები განათლების შესახებ.

პლატონის მიერ შექმნილი იდეალისტური შეხდულებები განათლებაზე გულისხმობდა, რომ სინამდვილეში ობიექტური ჭეშმარიტება მიუღწეველია. ამიტომ შემეცნების პროცესი არის დაუსრულებელი და ადამიანი მუდამ უნდა ესწრაფვოდეს საკუთარი თავის შეცნობასა და ჭეშმარიტების ძიებას. ამის საფუძველზე თვითონ პლატონი მკვეთრად განასხვავებდა ერთმანეთისგან ტერმინებს „სოფიას“ და „ფილოსოფიას“. ის იმეორებდა პითაგორას მოსაზრებას, რომ ადამიანს შეუძლია იყოს სიბრძნის მოყვარული და არა სიბრძნის მფლობელი, სოფისტები კი სხვაგავარდ ფიქრობდნენ და ისინი ათენის თავისუფალ მოქალაქეებს ასწავლიდნენ უკვე მოპოვებულ ცოდნას, სიბრძნეს, გრამატიკის, რეტორიკის, არითმეტიკის, დიალექტიკის დისციპლინების საშუალებით და, ამავე დროს, მიიჩნევდნენ, რომ ჭეშმარიტება სუბიექტური ხასიათისაა. თუ პროტაგორას (490-420 ძვ.წ.აღრ.) სიტყვებს მოვიშველიებთ “ადამიანი არის ყველაფრის საზომი”[8]. ეს პოსტულატი შესაძლოა ადასტურებდეს სუბიექტივისტურ, რელატივისტურ მიდგომებს შემეცნებაში. სოკრატეს და პლატონის მიერ დამკვიდრებული ინტელექტუალური კულტურა და განათლების იდეალისტური თეორიები ანტიკური საბერძნეთსა და

[8]Πάντωνχρημάτωνμέτρονεστίνάνθρωπος- ადამიანი არის ყველაფერის საზომი, სოფისტი პროტაგორას მოზღვრებიდან შემორჩენილი ფრაგმენტია, რომლის საფუძველზე მსჯელობენ სოფისტების სუბიექტივისტურ და რელატივისტურ მიდგომებზე შემეცნების თეორიაში. პროტაგორას ეს ფრაზა მოხსენიებული აქვს პლატონს დიალოგ „თეეტეტში“

რომში არ განხორციელებულა პრაქტიკაში, თუ არ ჩავთვლით უშუალოდ პლატონის აკადემიას და არისტოტელეს ლიკეუმს. სინამდვილეში ისოკრატეს  განათლების იდეები და მიდგომები გახდა  წამყვანი ანტიკური საბერძნეთის საგანმანათლებლო სივრცეში, რაზეც მერე დაშენდა რომაელი ორატორების შეხდულებები.  ამ საკითხებს ქვემოთ შევეხებით დეტალურად.

ისოკრატე თავის ნაშრომებში „სოფისტების წინააღმდეგ“  და “Antidosis” აკრიტიკებს სოფისტებს.  მისი კრიტიკის მთავარი ობიექტია სოფისტების არა მხოლოდ მსოფმხედველობრივი პარადიგმები, არამედ სწავლებაში განსაკუთრებული აქცენტების კეთება რეტორიკულ ტექნიკებზე, ნაკლებ ანალიტიკურ მიდგომებზე და არ იწონებს სოფისტების მიერ  Arete-სიქველის ქცევას განათლების იდეალად. მოგეხსენებათ, სიქველე სოფისტებთან გაგებულია როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელსაც მსწავლელი იძენს რეტორიკული დახელოვნების გზით. ისოკრატეს იდეალი კი იყო ორატორი, რომლის ღირებულებები ეფუძნება კეთილშობილური შინაარსების მქონე სიქველეს და აღიარებს  ათენის ქალაქ-სახელმწიფოს დემოკრატიულ, პოლიტიკურ ფასეულობებს. თავად ისოკრატეს ნაშრომში არ გვხვდება პლატონის კრიტიკა, მაგრამ  ბრიუს ა. ქიმბოლის აზრით, ისოკრატე ირიბად აკრიტიკებს პლატონს, როდესაც ის მიიჩნევს, რომ დიალექტიკური მეთოდი არ არის მართებული გზა შემეცნებაში ჭეშმარიტების აღმოსაჩენად, რამდენადაც დიალექტიკა პლატონის ფილოსოფიის მთავარი წამყვანი მეთოდია (Kimball, 1995). მიუხედავად იმისა, რომ სოკრატეს და პლატონის ფილოსოფიური გავლენები არცთუ ისე უმნიშვნელო იყო ათენში,  განათლების ისოკრატესეული მოდელი გახდა დომინანტი, განსაკუთრებით, ელინისტურ ხანაში, საიდანაც მემკვიდრეობით გადავიდა რომაულ სამყაროში. ისოკრატეს განათლების მოდელი მდგომარეობდა შემდეგში:  ის თვლიდა, რომ რეტორიკა აუცილებელი დისციპლინაა ადამიანის განათლებისთვის, მაგრამ რეტორიკა და გარამატიკაც არ უნდა ისწავლებოდეს ისე, როგორც ამას აკეთებდნენ სოფისტები. სოფისტების პრაგმატიზმი და პლატონის დიალექტიკური მეთოდი და იდეალისტური

შეხედულებები ერთნაირად მიუღებელი იყო ისოკრატესათვის. მისი აზრით, ათენის მოქალაქე უნდა საუბრობდეს ბრწყინვალედ და აზროვნებდეს სწორად. სწორად აზროვნებაში ის გულისხმობდა ჭეშმარიტების არც სოფისტურ და არც პლატონისეულ გაგებას, არამედ ქალაქ-სახელმწიფოს პოლიტიკური იდეალებიდან გამომდინარე სამართლიანობის იმ პრიციპების გააზრებას რეტორიკის, გარამატიკის ისეთი დასწავლით, რომ განათლებულ მოქალაქეს შეეძლოს საკუთარი აზრების, არგუმენეტების სწორად წარმოჩენა, ისე რომ არ არღვევდეს იმ მნიშვნელოვან ღირებულებებსა და ფასეულობებს, რასაც ეყრდნობა ქალაქ-სახელმწიფოების მმართველობა, პოლიტიკური, სამხედრო თუ სასამართლო სისტემა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისოკრატეს ცოდნას არა მხოლოდ პოლიტიკურ სტატუსს, არამედ ბრიუს ა. ქიმბოლის აზრით ჰუმანისტურ საზრისებსაც ანიჭებს (Kimball,1995). შედეგად ეს ტრადიცია გაგრძელდა რომის იმპერიაში და პლატონის, არისოტეტელეს შეხედულებები განათლების შესახებ არ დანერგილა პრაქტიკაში, როგორც მათი განათლების იდეების მოდელის პირდაპირი განხორციელება. რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა ამ შედეგს. "ისოკრატეს შეხდულებები იყო უფრო კონგენიალური, განათლების ტრადიციები ეყრდნობოდა ჰომეროსსა და სხვა პატივსაცემ პოეტებს, ვიდრე პლატონის იდეები, რომელიც თავის დიალოგში „სახელმწიფო"თვლიდა, რომ პოეტები არ უნდა იყვნენ იდეალურ სახელმწიფოში, რადგან ისინი ასუსტებენ ადამიანებს" (Kimball, 1995, p.19).

განათლების ფილოსოფიაში ხშირად იპოვით გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ პლატონის, არისტოტელეს სპეკულატური, ჭვრეტითი იდეები განათლებაში დომინირებდა ანტიკურ საბერძნეთში როგორც საგანმანათლებლო მოდელი, რომლის საფუძველზე შეიძლება განხორციელებულიყო სწავლება ათენის სკოლებში. პლატონის იდეების განხორციელება ხდებოდა აკადემიაში, ხოლო არისტოტელეს ფილოსოფიური და საგანმანათლებლო იდეების განხორციელება პერიპატეტიკულ სკოლაში. ელინისტურ ხანაში პლატონის აკადემია დაიშალა სხვადასხვა მიმდინარეობებად. ისოკრატეს ინტეგრირებული იდეები კი უფრო მისაღები გახდა

ელინისტური ეპოქისთვის და შემდგომ რომის იმპერიისთვის, ვიდრე პლატონის და არისტოტელეს იდეალიზმი და რეალიზმი. ამდენად, სწორედ ისოკრატეს საგანმანათლებლო იდეებია ის ფუნდამენტი, რომელზეც მოხდა ლიბერალური განათლების დაშენება, განვითარება და იდეოლოგიური გავრცელება რომის იმპერიაში, შემდგომ კი ადრეულ შუა საუკუნეებში. თუმცა არისტოტელეს არაბული ფილოსოფიური ინტერპეტირების განვრცობის შემდეგ დასავლურ სამყაროში მოხდა ამ იდეების რეაბილიტაცია და დანერგვა თეოლოგიაში, შედეგად შუა საუკუნეების ევროპის უნივერსიტეტებში არისტოტელიზმის პრინციპების შეტანა. ისოკრატეს განათლების იდეების ინტეგრირებული მოდელი კი გულისხმობდა როგორც იდეალისტური, ისე პრაქტიკული მიდგომების გათვალისწინებას სწავლებაში. ისოკრატეს განათლების იდეების გამარჯვებაs ელინისტურ ხანაში მოწმობს სასწავლო კურიკულუმში გიმნასტიკის არსებობა. ფიზიკური წვრთნა და ვარჯიში აუცილებელი იყო სამხედრო მომზადებისთვის და გიმნასტიკასთან ერთად ისწავლებოდა მუსიკა, რომელიც იყო ელინური ტრადიციების გაგრძელება და მას, აგრეთვე, ჰქონდა სარიტუალო, საკულტო, თუ შეიძლება ითქვას, რელიგიური დანიშნულება. მუსიკის საშუალებით ხდებოდა გარკვეული დითარამბების შეთხზვა სხვადასხვა ღმერთებისთვის. ფიზიკური მომზადების ეს ტრადიცია მემკვიდრეობით მიიღო რომის იმპერიამ და ციცერონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გიმნასტიკას და თავის შეხდულებებში განათლების შესახებ ის ხაზს უსვამდა, რომ ფიზიკური მომზადება ფუნდამენტურია სრულფასოვანი რომაელი მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად. მაგალითად, რომში არსებობდა ასეთი ტრადიცია - Toga Virilis[9], ანუ ზრდასრულობის ტოგა, როდესაც რომაელი მამრობითი სქესის მოქალაქე ხდებოდა სრულწლოვანი გარკვეული ფიზიკური და ინტელექტუალური მომზადების შემდეგ. მას გადაეცემოდა ტოგა და შეეძლო თავისუფლად ჩართულიყო რომის პოლიტიკურ, სამხედრო თუ სამოქალაქო ცხოვრებაში. რომაელი პატრიციები მეტწილად დაკავებულები იყვნენ სამხედრო და პოლიტიკური ცხოვრებით.

[9]Toga Virilis - თეთრი ტოგა, რომელიც აღნიშნავდა ზრდასრულობას. თავისუფალ რომაელ მამაკაც მოაქალქეს 15 წლის ასაკიდან ჰქონდა მისი ტარების უფლება. თეთრი ტოგის ჩაცმის შემდეგ ის ითვლებოდა სრულფასოვან მოქალაქედ (Gwynn, 1926).

Enkuklios Paideia იყო იგივე ლიბერალური განათლება ანტიკურ საბერძნეთში ე.წ. პედაგოგიკურ საუკუნეში, როგორც ბრიუს ა. ქიმბოლი უწოდებს (Kimball, 1995). ის ჩამოყალიბდა შვიდი დისციპლინის სახით, რომელსაც რომში ეწოდა Septem Artes Liberales. ეს შვიდი დისციპლინა იყო უმთვარესი, რომელიც ისწავლებოდა ანტიკურ საბერძნეთში და რომში გიმნასტიკასთან ერთად. Septem Artes Liberales - ის იდეამ და დისციპლინებმა სრულყოფილი სახე მიიღო მარციანუს კაპელასთან და კასიოდორესთან უკვე გვიან ანტიკურ ხანაში, როდესაც ქრისტიანობა გავრცელდა, თუმცა ტრივიუმის და კვადრიუმის დისციპლნები ძველი ბერძნების მიერ არის შექმნილი. მათემატიკური, იგივე მეცნიერული დისციპლინების შექმნაში დიდი როლი მიუძღვის პითაგორას მათემატიკაზე დაფუძნებულ ფილოსოფიას, თუმცა ამასთან პლატონი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა გეომეტრიის სწავლებას და ის თვლიდა, რომ ფილოსოფია გეომეტრიის გარეშე წარმოუდგენელია. პითაგორელების სწავლებებმა და მათ მიერ განვითარებულმა არითმეტიკამ, ევკლიდეს გეომეტრიამ დიდი როლი შეასრულა კვადრიუმის დისციპლინების სრულყოფაში. ასტრონომია, გეომეტრია, არითმეტიკა და მუსიკა, როგორც კვადრიუმის უმთავრესი დისციპლინები, შემეცნების, ცოდნის შექმნის და გადაცემის ისეთი მყარი ფუნდამენტი იყო, რასაც შემდგომი საუკუნეების საუნივერსიტეტო განათლება დაეყრდნო. ასტრონომიის, გეომეტრიის, არითმეტიკის და მუსიკის სწავლება პითაგორელების წყალობით ერთიან ჰოლისტურ სისტემად მოიაზრებოდა და განსაზღვრავდა ანტიკური სამყაროს ცოდნის სტატუსსა და საგანმანათლებლო კულტურას.

როგორც ბრიუს ა. ქიმბოლი აღნიშნავს, ტრივიუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დისციპლინა რეტორიკა ათენში მოტანილ იქნა სირაკუზადან სოფისტ გორგიას მიერ ძვ. წ. აღრიცხვის V საუკუნის ბოლოსკენ. "საჯარო გამოსვლები და რეტორიკული დებატები გახდა ყოველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოების თავისუფალი მოქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი. დემოკრატიული პოლიტიკა მოითხოვდა უნარებს სასამართლოში, სათათბირო და პანეგირიკულ რეტორიკას.

რეტორიკის ხუთ ნაწილად დაყოფა მოგვიანებით აღწერილია ციცერონის მიერ, რაც საყოველთაოდ მისაღები გახდა: გამოგონება, დალაგება, სტილი, მეხსიერება და მიწოდება. სოფისტები იყვნენ პირველები, რომლებაც დაიწყეს ამ დისციპლინის სწავლება და ტექნიკური სახელმძღვანელოების შექმნა ძვ. წ აღრიცხვის V და IV საუკუნეებში, თუმცა სოკრატე პლატონი და არისოტოტელე აღნიშნავდნენ, რომ სოფისტებმა ვერ შეძლეს ამ დისციპლინის საფუძველდმებარე პრინციპების წარმოდგენა და შემდგომ არისტოტელეს სახელს მიეწერება რეტორიკის სისტემატიზირება" (Kimball, 1995, p.24).

დიალექტიკის შექმნა ფილოსოფიის ისტორიაში მიეწერება სოკრატეს და პლატონს. დიალოგ „მენონში", რომელიც პლატონის ფილოსოფიის ადრეული დიალოგია, სრულფასოვნად ჩანს დიალექტიკის მეთოდების გამოყენება სოკრატეს მიერ მონა ბიჭთან საუბარში. სოკრატე ცდილობს მონას, რომელმაც არ იცის არითმეტიკის და გეომეტრიის საფუძვლები, გაახსენებინოს დავიწყებული ცოდნა იდეათა სამყაროდან მოტანილი და ამოახსნევინოს გეომეტრიული ამოცანა. თუმცა არსებობს ის ვერსიაც, რომ პირველად სოფისტებმა დაიწყეს დიალექტიკის სწავლება გრამატიკის საშუალებით. "გრამატიკის საფუძვლები, როგორც სიტყვიერების მესამე დისციპლინა, ირიცხება სოფისტების  პროდიკეს და პროტაგორას სახელზე" (Kimball, 1995, p.24). ელინისტურ ხანაში კი  სტოიკოსების მიერ მოხდა ტრივიუმის დისციპლინების ლოგიკისა და გრამატიკის სისტემატიზაცია, მანამდე ლოგიკის სახელმძღვანელოს შექმნა არისტოტელეს სახელზეა, თუმცა როგორც ვთქვით ელინისტურ ხანაში  სტოიკოსმა ქრიზიპოსმა (280-205 ძვ.წ. აღრ.) გაამდიდრა ლოგიკისა და გრამატიკის დისციპლინები.

"გრამატიკა თითქმის იყო ფორმალური დისციპლინა ძვ.წ. აღრიცხვის მეორე თუ პირველ საუკუნემდე, იმდენად რამდენადაც გრამატიკა წარმოიშვა ძვ. წ. აღრიცხვის მეხუთე საუკუნეში  ენისგან და ლიტერატურისგან, ის განვითარებულ იქნა სოფისტებისა და ორატორების მიერ, ხოლო დავიწყებული ფილოსოფოსების მიერ, გრამატიკის ფესვები უნდა ვეძებოთ  ძველი ბერძნული პოეზიის „მუსიკალურ

განათლებაში“ და ამდენად, გრამატიკის მასწავლებელმა მემკვიდრეობით მიიღო ზრუნვა ეთიკასა და ისტორიაზე, რაც შედეგად გადატანილ იქნა რომაულ განათლებაში. ფაქტია, რომ ბერძნული ტერმინი Grammatike Techne მომდინარეობს ტერმინიდან „სიტყვა“, Gramma და კვინტილიანემ მოგვიანებით Gramma თარგმნა როგორც ლიტერატურა Gramma-ს ლათინური ექვივალენტის Lettera-ს გამო. კავშირი ეთიკას, ისტორიას და გარამატიკას შორის არის მნიშვნელოვანი და ბუნებრივი. მისი სტრუქტურის სწავლების შემდეგ მოწაფე იწვრთნება ეპიკურ პოეზიაში და ჰიმნებში, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს ისტორიას” (Kimball, 1995, p. 25). როგორც ბრიუს ა. ქიმბოლი აღნიშნავს, ამ ტიპის ცოდნა ემსახურებოდა მოწაფეებში კულტურული ტრადიციებისადმი პატივისცემას და მათ აღზრდა განვითარებას ეთიკურ და მორალურ პრინციპებზე. თანდათან ისტორიისადმი ყურადღება ინკორპორირებულ იქნა რეტორიკაში როგორც ციცერონი და კვინტილიანე აღნიშნავს (Kimball, 1995)

პლატონის და არისტოტელეს იდეები განათლებაზე, მათი ნაშრომების მიხედვით რეალურად ეწინააღმდეგება ცოდნის გადაცემისადმი ასეთ მიდგომას. თვით არისტოტელე ეჭვის თვალით უყურებდა გრამატიკის სწავლებას იმ თვალსაზრისით, რომ მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო რაციონალური აზროვნების განვითარება, ვიდრე სწავლებაში ემოციონალური აქცენტების კეთება, რაც გვხვდება პოეზიაში. პლატონთან კი მითუმეტეს, ლირიული პოეზია არ არის მოწონებული მის დიალოგ „სახელმწიფოში“ და ის თვლიდა, რომ მხოლოდ ეპიკურ, საგმირო პოეზია უნდა ისწავლებოდეს. არისტოტელე რაციონალისტი იყო და ის გონებას მიიჩნევდა შემეცნებაში ყველაზე მნიშვნელოვან და წამყვან ფაქტორად, პრინციპულად შეიძლება ითქვას, რომ რაციონალისტური რედუქციონიზმის ტრადიცია არისტოტელესგან მოდის, რაც შემდგომ თეოლოგიურ პრიზმაში განვითარდა თომა აქვინელთან, ხოლო ლოკთან და ჰობსთან, როგორც ფილოსოფიური მატერიალიზმი. რაციონალიზმის მიხედვით, გრძნობადი აღქმისგან მიღებული ცოდნა არ არის სრულფასოვანი ცოდნა, ის მხოლოდ მასალაა ცოდნის ასაგებად. ცოდნის ასაგებად სჭირდება არგუმენტირება, დასაბუთება, საკმაო საფუძვლის მქონე მსჯელობის

შედეგად გარკვეულ  დასკვნებამდე მისვლა. რაციონალიზმის მიხედვით ნებისმიერი სახის ემპირიისგან მიღებული ცოდნის ინტერპრეტაციაა საჭიროა გონების, თანმიმდევრული მსჯელობის საშუალებით. სწორედ ასეთი მიდგომა აქვს არისტოტელეს თავის ფილოსოფიაში.

ფილოსოფიური დავა, რომელიც მიმდინარეობდა რეტორიკასა და დიალექტიკას შორის კარგად გამოიკვეთა პლატონის დიალოგ „ფედროსში“. ამ დისკუსიაში პლატონი თითქოს იხრება იმ აზრისკენ, რომ რეტორიკის შესწავლა  არანაკლებ მნიშვნელოვანია დიალექტიკაზე,  მაგრამ რეალურად სოფისტებისა და პლატონის დავა არ გადაწყვეტილა ამით. არისტოტელემ თავის ფილოსოფიაში რეტორიკის სისტემატიზირება  გააკეთა არა როგორც დემონსტრატიული მსჯელობის ხელოვნება, არამედ თეორიული ფილოსოფიის ლოგიკური სილოგიზმების მეთოდიკა შექმნა, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სოფისტების რეტორიკისგან. დიალექტიკა როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური ფილოსოფიური მეთოდი პლატონიდან მოყოლებული ყველაზე  ცოცხალ მეთოდად იქცა, რომელმაც სრულფასოვანი სახე გერმანელი ფილოსოფოსის გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის (1770-1831) ფილოსოფიაში მიიღო.  „დასაბუთების რეტორიკული მეთოდი, როგორც არისტოტელე ამბობდა, ენთიმემური ხასიათისაა, რომელსაც სილოგისტური ბუნება აქვს და ყოველთვის შეზავებული იქნება ემოციებით, მგრძნობელობითა და წინასწარგანსაზღვრულობებით, რომელიც გავლენას მოახდეს დარწმუნებაზე.  ამ თვალსაზრისით, რეტორიკა ხდება არაზუსტი, ულიტილიტარული,  ლოგიკისა და დიალექტიკის საფუძველზე წამოჭრილი უფრო პრინციპული საკითხების გამოსაკვლევად და შესასწავლად, მეტადრე  შემზღუდავი” (Kimball, 1995, p. 26). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ არისტოტელემ უკუაგდო სოფისტების რეტორიკა, რომელიც  მხოლოდ დარწმუნების დემონსტრაციულ მეთოდად მიიჩნია და არაფერი ღირებულება არ გააჩნდა თეორიული ფილოსოფიური კვლევებისთვის, ვინაიდან დასაბუთების რეტორიკული მიდგომები განიხილა როგორც ადამიანის გრძნობებზე ზემოქმედება და არა ლოგიკურად მწყობრი მსჯელობა, რის საფუძველზე

შესაძლებელია რაციონალური დასკვნების გაკეთება და, რომელიც მნიშვნელოვანია შემეცნების პროცესში. როგორც ჩანს, ფილოსოფოსების მიერ სოფისტების უარყოფილმა რეტორიკამ  დიდი მნიშვნელობა შეიძინა რომაელ ორატორებთან ციცერონთან, ვარონთან. თუ არისტოტელესთან ლოგიკა და დიალექტიკა განცალკევებულია რეტორიკისგან, ორატორებთან პირიქითაა, რეტორიკა მოიცავს ლოგიკას და დიალექტიკას.  "ვარონი (116-27 ახ. წ აღრ.) დიალექტიკას მიიჩნევდა ეტიმოლოგიურ მეცნიერებად, რომელიც არის ხიდი ენის და ლიტერატურის შესასწავლად გრამატიკაში, ხოლო შემდგომი სრულყოფილი შესწავლა მისი ხდება რეტორიკაში...  ციცერონმა (106-43 ძვ. წ. აღრ.)  ლოგიკა რეტორიკას დაუქვემდებარა და ეს ტრადიცია კვინტილიანემ (35-97 ახ. წ.აღრ.) გააგრძელა" (Kimball, 1995, p. 27).

როგორც ვხედავთ ფილოსოფოსებისა და ორატორების წარმოდგენა  შვიდი თავისუფალი ხელოვნებების ტრივიუმისა და კვადრიუმის სწავლებაზე ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. როგორც  აღვნიშნეთ, არისტოტელე  აცალკევებდა ლოგიკას, დიალექტიკას და რეტორიკას, როცა ორატორები დიალექტიკას და ლოგიკას, რეტორიკას, როგორც უმაღლეს ხელოვნებას უქვემდებარებდნენ. რაც შეეხება მათემატიკას და გეომეტრიას პლატონის აზრით, ეს ორი დისციპლინა უმთავრესია ფილოსოფიური აზროვნებისთვის, მისთვის გეომეტრიის და მათემატიკის  გარეშე წარმოუდგენელი იყო ფილოსოფია და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განიცდიდა პითაგორას გავლენას, მაშინ როცა სოფისტები ფიქრობდნენ, რომ რეტორიკა უფრო უმაღლესი ხელოვნებაა,  ვიდრე მათემატიკა და მათემატიკის შესწავლას დიდ დროს არც უთმობდნენ. ეს ტრადიცია ერთგვარად გაგრძელდა რომის იმპერიაში ციცერონთანაც,  კვინტილიანესთანაც. რეტორიკა უფრო საჭირო და უმნიშვნელოვანეს დისციპლინად მიიჩნევა რომაელი პატრიცი მოქალაქის აღზრდაში, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში.  პლატონის აზრით, კვადრიუმში შემავალი დისციპლინები - გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა, არითმეტიკა - გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისთვის. როდესაც მუსიკის სწვალებაზე

ვამბობთ, პლატონთან იგულისხმება ჰეროიკული სტილის მუსიკა, გამოირიცხება ლირიკული ჟანრი. ხოლო ორატორებთან ცენტრალური მნიშვნელობისაა ის დისციპლინები, რომელიც მიემართება რეტორიკას. როგორც ბრიუს ა. ქიმბოლი შენიშნავს, გარდა დისციპლინებს შორის განსხვავებული მოსაზრებებისა, ფილოსოფოსებსა და ორატორებს შორის იყო უთანხმოება ზოგადად სპეციალიზაციის საკითხებშიც. "ანტიკური განათლების ისტორიის თანახმად, ორატორები თავიანთი კურიკულუმის მიხედვით განათლებას ასრულებდნენ რეტორიკის სპეციალიზაციით, მაშინ როცა პლატონი და არისტოტელე რეკომენდაციას უწევდნენ სხვადასხვა ხელოვნებების დაუფლებას. ამდენად, მიუხედავად ამ ფაქტისა, რეტორიკის დისციპლინა იყო როგორც დამაგვირგვინებელი. ორატორების დახელოვნება რეტორიკაში გრძელდებოდა ექვსი წლის ასაკიდან ოც წლამდე, მაშინ როცა პლატონისა და არისტოტელეს აზრით ადამიანის განათლება უნდა გაგრძელებულოყო ზრდასრულობის შემდეგ, თუ მას სურდა დახელოვნებულიყო რომელიმე მიმართულებით" (Kimball, 1995, p.28). რომაულ განათლებაში Toga Virilis- ის ტრადიცია სწორად ამ მიდგომას გულისხმობდა, როცა რომაელი პატრიცი დაასრულებდა განათლებას, მას გადაეცემოდა ზრდასრულობის ტოგა და ის ხდებოდა სრულუფლებინი მოქალაქე, რომელსაც შეეძლო რომის სამართლებრივ, სამხედრო, რელიგიურ, თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მოღვაწეობა. კვინტილიანეც და ციცერონიც თავიანთ ნაშრომებში საუბრობენ ამ ტიპის განათლების შესახებ, რომელიც მკვეთრად განსხვადებოდა ფილოსოფოსების შეხედულებებისგან, თუმცა, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინ "ფილოსოფიის" გაგება სხვადასხვა ფილოსოფიურ სკოლებშიც განსხვავდებოდა. პითაგორა ცნება „ფილოსოფიაში" გულისხმობდა სიბრძნის სიყვარულს არა რომელიმე კონკრეტულ ასაკამდე, არამედ მთელი ცხოვრება. ფილოსოფოსობა პლატონთანაც და არისტოტელესთანაც ჭვრეტითი, თეორიული საქმიანობაა, რომელიც გრძელდება სიკვდილამდე და სოკრატე ცნება ფილოსოფიას ამ შინაარსითაც კი წარმოგვიდგენს, რომ ფილოსოფია ეს არის სიკვდილისათვის

მზადება[10]. წარმოუდგენელია ადამიანი ფილოსოფიური აზროვნებით და განათლებით დაკავებული იყოს მხოლოდ გარკვეულ ასაკამდე, მაშინ, როცა ციცერონთან და კვინტილიანესთან ცნება „ფილოსოფიას“ პლატონისგან და არისტოტელესგან  განსხვავებული შინაარსები აქვს და იგი, თუ შეიძლება ითქვას, პირდაპირ დაკავშირებული რეტორიკულ ხელოვნებასთან. რეტორიკა როგორც მჭერმეტყველების, დარწმუნების და  ადამიანის მენტალური თუ სოციალური რეალიზების მისაღწევად ყველაზე სრულყოფილი და უმაღლესი ხელოვნება ციცერონისთვის  ფილოსოფიური ბუნებისაა. ეს ტრადიცია რეალურად ბერძენი ორატორი ისოკრატესგან მომდინარეობს, სოფისტებისგან განსხვავებით, მას რეტორიკა არა მარტო უმაღლეს რანგში ჰყავდა აყვანილი, არამედ ფილოსოფიურ რანგში. ფილოსოფია როგორც ცხოვრების მოდუსი პლატონთან და არისტოტელესთან ცხოვრების ბოლომდე განსაზღვარვს ადამიანის გონებრივ, მენტალურ,  განვითარებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათი აზრით განათლება, სწავლება არა გარკვეულ ასაკამდე, არამედ ცხოვრების ბოლომდე უნდა ხორციელდებოდეს, მაშინ, როცა ისოკრატესთან, ციცერონთან და კვინტილიანესთან განათლების მიღება და ორატორად დახელოვნება განსაზღვრულია გარკევულ ასაკამდე. შემდეგ მოქალაქე უკვე მზად არის შეუდგეს პოლიტიკურ, რელიგიურ, ლიტერატურულ, სამართლებრივ, თუ სამხედრო საქმიანობას რომის იმპერიაში. როგორც ვხედავთ, თვით განათლების შინაარსების, მისი ტექნიკური მოწყობისა და კურიკულუმის შემადგენელი დისციპლინების შინაარსებში კი დიდი სხვაობაა ფილოსოფოსებსა და ორატორებს შორის. კურიკულუმის ფორმულირებაც და დისციპლინების თანმიმდევრობაც განსხვავებულია ბერძენ ფილოსოფოსებსა და რომაელ ორატორებს შორის. თვით ისოკრატეს ტრადიციაც ბერძნული ორატორული შეხდულებები მოდიფიცირდა რომაულ სამაყაროში და იქ უფრო ფორმალიზებული ხასიათი შეიძინა და კურიკულუმიც უფრო მკვეთრად ჩამოყალიბებული იყო, თუმცა გარკვეული ტიპის ცვლილებებსაც  განიცდიდა. “ვარონი, რომლის ენციკლოპედიური

[10]ფილოსოფია  არის სიკვდილისათვის მზადება, ამ იდეას ავითარებს სოკრატე  პლატონის დიალოგ „ფედონში“.ამ დიალოგში საუბარია სოკრატეს ცხოვრების უკანასკნელ პერიოდზე, როცა მას სასჯელად თავის მოკვლა მიუსაჯა ათენის სასამართლომ.

ტრაქტატი ყველაზე კითხვადი იყო, ახსენებს ცხრა დისციპლინას: მედიცინა, არქიტექტურა, ფილოსოფია და პლიუს ექვსი ხელოვნება ტრივიუმიდან და კვადრიუმიდან" (Kimball, 1995, p. 30). მიუხედვად იმისა, რომ რომაულ სამყაროში ტრივიუმისა და კვადრიუმის დისციპლინები გარკვეულ ფორმალიზებული ხასიათისაა, ციცერონის აზრით, რომაული განათლება არ ყოფილა არც კანონით ფიქსირებული და არც სტანდარტიზებული. რაც შეეხება ვარონის მიერ ჩამოყალიბებულ ლიბერალური განათლების დისციპლინებს, ის ძირითადად ასახელებს სამ დისციპლინას სიტყვიერებიდან და ხუთს მათემატიკური ხელოვნებებიდან. რომაული სამყაროს სხვადასხვა ავტორებთან ლიბერალური განათლების შემადგენელი დისციპლინების სხვადასხვა ვარიანტებიც გვხვდება, რომელიც დროის გარკვეული მოთხოვნების შესაბამისად იცვლებოდა და ხშირად ემატებოდა მედიცინა, არქიტექტურა, ფილოსოფია. ამ ავტორებისგან განსაკუთრებით, აღსანიშნავია მარციანუს კაპელა, რომელიც თავის წიგნში „De nuptiis Philologia et Mercurii" (ფილოლოგიისა და მერკურის ქორწინების შესახებ) შემდეგი სახით აღწერს ლიბერალურ განათლებას: "წიგნში მოხუცი თავის ვაჟიშვილს უყვება ოლიმპოს ღმერთი მერკური როგორ ეუფლება და იგებს ფილოლოგიის გულს, რომელიც არის ახალგაზრდა, განათლებული ქალი. ზეცაში ქორწინების რიტუალზე მერკური თავის საპატარძლოს წარუგდენს შვიდ მოსამსახურეს, რომელიც განასახიერებს ლიბერალური განათლების შვიდ დისციპლინას. თითოეული მათგანი ქორწინების რიტუალის განმავლობაში სათითაოდ არის აღწერილი. მარციანუს კაპელა ვარონზე დაყრდნობით და ციცერონის განდიდებით გამოდის დიალექტიკის და ლოგიკის ხანგრძლივი სწავლების წინააღმდეგ რეტორიკის სასარგებლოდ და განადიდებს მათემატიკურ მეცნიერებებს მათი ფაქტობრივი ცოდნისთვის, ხოლო გეომეტრია თითქმის გაჰყავს გეოგრაფიის რანგში" (Kimball, 1995, p.31). მარციანუს კაპელა აგრძელებს ისოკრატეს, ვარონისა და ციცერონის ტრადიციებს იმ თვალსაზრისით, რომ ლოგიკა და დიალექტიკა არის რეტორიკის მსახური დისციპლინები და მათი რეტორიკისგან განცალკევებით სწავლება არ წარმოადგენს აუცილებლობას, ვინაიდან რეტორიკის შემადგენელ ნაწილებად და დანამატად

ითვლება ორატორებთან. მარციანუს კაპელა ამ ალეგორიებით ლიბერალური განათლების საკითხებში ოლიმპოს ღმერთის მერკურის ჩარევასთან დაკავშირებით არის მინიშნება იმაზე, რომ ამ სახით წარმოდგენილი განათლება არის ღმერთებისგან დაშვებული და შედეგად აუცილებელიც ამ ფორმით განხორციელდეს.

ამ მსჯელობებიდან გამომდინაროებს, რომ ანტიკურ განათლებაში, ისოკრატედან მოყოლებული მარციანუს კაპელას და კასიოდორეს ჩათვლით, ხორციელდებოდა ორატორების მიერ შემუშავებული კურიკულუმი და ტრადიციები, რაც მათ დანერგეს და რომელიც განვითარდა რომაულ სამყაროში, აგრეთვე, გვიან ანტიკურ ხანაში, ადრეულ შუასაკუნეებამდე. თვით ნეტარი ავგუსტინეც ამ ტრადიციებით აღზრდილი იყო და განათლებაში ყველაზე სწორ გზას სწორედ ორატორების ტრადიციაში ხედავდა. სამართლიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ პლატონის და არისტოტელეს შეხედულებებმა განათლებაზე დიდი გავლენა მოახდინეს ელინისტურ ხანაში. თავად ელინიზმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფუძემდებლი ალექსანდრე მაკედონელი არისტოტელეს ფილოსოფიური შეხედულებებით აღიზარდა, მაგრამ რეალურად განათლების იდეებში ორატორებმა გაიმარჯვეს და ისოკრატედან მოყოლებული შუა საუკუნეებამდე მათი შეხდულებების მიხედვით ვითარდებოდა ლიბერალური განათლების იდეები და ცოდნის სტატუსის შინაარსები ამ მიდგომებით განისაზღვრებოდა. ორატორების მოსაზრება განათლებასთან დაკავშირებით პრაგმატული ხასიათის იყო, განსხვავებით არისტოტელეს და პლატონის შეხდულებებისგან. კვინტილიანეს და ციცერონის მიერ პლატონის და არისტოტელეს შეხდულებები კრიტიკულად არის განხილული. თავად ციცერონი მიიჩნევდა, რომ „ცოდნა ცოდნისთვის“ დებულება თავისი შინაარსით არ ემსახურება დიდი იდეების პრაქტიკაში განხორციელებას. თუმცა პლატონის შეხედულებები ნეოპლატონიზმის გზით ელინისტურ ხანაში და რომაულ პერიოდში დიდ გავლენას ახდენდა ორატორებზეც, სტოიკოსებზე, მათ შორის, ციცერონზეც და ის არისტოტელეს შეხდულებასაც ჭვრეტით შემეცნებაზე გარკვეულწილად იზიარებდა. ორატორების პრაგმატული მოსაზრება ცოდნასთან

დაკავშირებით გამოიხატებოდა შემდეგში: ისინი მიიჩნევდნენ, რომ ცოდნის შეძენასთან ერთად აუცილებელია მისი გაზიარება, კომუნიკაცია, გამოხატვა ლამაზად და მჭერმეტყველურად, რომელიც სახელმწიფო საქმეებში აქტიურად გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პლატონი რეტორიკას მნიშვნელოვან დისციპლინად მიიჩნევდა, ზოგადად ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსების შეხედულებები ამ თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდებოდა სოფისტების მიერ რეტორიკის აღქმასთან და მნიშვნელოვნებასთან, რასაც ისოკრატე ამტკიცებდა და რაც რომის იმპერიაში სტოიკოსებთან და ორატორებთან გაგრძელდა. ამიტომ რეტორიკა მიიჩნეოდა უმაღლეს ხელოვნებად და  რეტორიკის მასწავლებლებიც ყველაზე დაფასებული  პიროვნებები იყვნენ.

“ორატორების ეპისტემოლოგიური მიდგომა  სპეკულატური ფილოსოფიის წინააღმდეგი იყო.  ფილოსოფია მხოლოდ მაშინ იქნება ჭეშმარიტი თუ შესაძლებელია მისი  გამოხატვა და და თუ იქნება გავლენის მომხდენი” (Kimball, 1995, p. 35).  ეს გულისხმობს, რომ სპეკულატური ფილოსოფია და არისტოტელეს პოსტულატი - ცოდნა ცოდნისთვის არ წარმოადგენდა  ორატორებისთვის ღირებულებას, თუ ფილოსოფია არ იქნებოდა გამოყენებული  პოლიტიკურ, სამართლებრივ ცხოვრებაში და  ის არ მოიტანდა გარკვეულ შედეგს, არ მოახდენდა გავლენას პოლიტიკურ ცხოვრებაზე, არ იქნებოდა  მისი ცხოვრებაში განხორციელების შესაძლებლობა. მიუხედავად პლატონის იდეალისტური შეხდულებებისა, რომელიც სოკრატეს მსოფმხედველობიდან მოდის, სამართლიანი იქნებოდა აღგვენიშნა, რომ სოკრატეს დებულება - ფილოსოფია არის მზადება სიკვდილისათვის, რომელიც მან დიალოგ „ფედონში“ გააჟღერა, გარკვეულწილად გულისხმობს ფილოსოფიის პრაქტიკულ ხასიათს და მის ცხოვრების წესად ქცევას, მაგრამ ამ ტიპის მიდგომას არ გულისხმობდა ციცერონი.  **სოკრატეს და პლატონის ეპისტემოლოგიური მიდგომა უფრო სპეკულაციური ხასიათისაა და ორატორებისგან იმით განსხვავდება, რომ მჭერმეტყველების ხელოვნება და ცოდნა ცალ-ცალკე მოიაზრება, მაშინ როცა ორატორებმა ეს ორი ცნება გააერთიანეს და ცოდნის სტატუსი მოცავდა როგორც**

**გონების ჭვრეტით საქმიანობას, ისე მჭერმეტყველებას, რეტორიკულ გამოყენებას და მის ცხოვრებაში განხორციელებას, უფრო ზუსტად, პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში.** "ციცერონი აღნიშნავდა, რომ ცოდნა მჭერმეტყველების გარეშე უკეთესია, ვიდრე მჭერმეტყველება ცოდნის გარეშე, მაგრამ საუკეთესო გზაა ამ ორის გაერთიანება, რომელიც არის ორატორია" (Kimball, 1995, p. 36).

ციცერონის პრაგმატულმა მოსაზრებებმა ლიბერალური განათლების შესახებ მნიშვნელოვნად განაპირობა ტრივიუმისა და კვადრიუმის ნორმატიზება, რაც გულისხმობდა გრამატიკის, ასტრონომიის, მუსიკის, არითმეტიკის და სხვა დისციპლინების შინაარსებისგან სპეკულაციური და თეორიული მიდგომების შეცვლას პრაქტიკული სავარჯიშოებით. Artes Liberales-ის შინაარსები გარკვეულწილად მოიცავდა ფილოსოფიურ სპეკულაციებს, აბსტრაქტურ აზროვნებას და მიდგომებს გარკვეული დისციპლინების შიგნით, მაგრამ რომაული ტრადიციების გათვალისწინებით ის გულისხმობდა პრაქტიკულ წვრთნას, რომელიც მიზნობრივი დანიშნულების იყო.

ბრიუს ა. ქიმბოლი გვაძლევს ლიბერალური განათლების მახასიათებლებს, რომელიც მოგვცემს საშუალებას სრულად გავიაზროთ, თუ როგორი იყო ცონდის სტატუსი გვიან ელინისტურ და რომაულ ეპოქაში, სადაც ორატორების მიერ ჩამოყალიბებულმა განათლების იდეებმა დიდი გავლენა მოახდინეს შემდგომ განათლების განვითარებაზე, თუმცა შუა საუკუნეებში განსხვავებული კონცეფციები იყო, რომელზეც მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

"ლიბერალური განათლების პირველი მახასიათებელია კარგი მოქალაქის წვრთნა, რომელიც გაუძღვება საზოგადოებას. ციცერონის De Oratore და კვნტილიანეს Institutio Oratoria-ში გაცხადებულია შემდეგი ფუნდამენტალური მიზანი: აღზარდოს აქტიური მოქალაქე, რომელიც არის კეთილშობილი და უნივერსალურად კომპეტენტური, ასეთია სრულყოფილი ორატორი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ თემის ფარგლებში საკუთარი მოსაზრების საფუძვლიანად დასაბუთება სახელმწიფო ლიდერის პოზიციიდან" (Kimball, 1995, p.37). მეორე მახასიათებელი - ეს არის

ღირებულებების ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს ადამიანისთვის აუცილებელი ყველა სათნოების ქონას, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ადამიანს ძალუძს კარგად მართოს სახელმწიფო და სწორად წაიყვანოს საზოგადოება. მესამე მახასიათებელი გულისხმობს მოვალეობების პატივისცემას და წესების დაცვას, მეოთხე მახასიათებელი მიჰყვეს კლასიკურ ტექსტებს და იმოქმედოს ამის თანახმად. Artes Liberales ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია დოგმატული ხასიათის ეპისტემოლოგია, რომელიც გულისხმობს გარკვეულწილად სკეპტიკურ მიდგომას ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნებისადმი და არა შუა საუკუნეების დოგმატიზს. რომაელი ორატორების მოსაზრებით სპეკულატური ფილოსოფიის გზით შეუძლებელია სინამდვილის ისე შემეცნება, რომ აღმოვაჩინოთ საყოველთაო ობიექტური ჭეშმარიტება. რაღაც თვალსაზრისით, პლატონის აკადემიის სკეპტიკოსების მოსაზრებებს იმეორებდნენ, თუმცა ეწინააღმდეგებოდნენ სოკრატეს და პლატონის მიდგომებს შემეცნებისადმი, რომლის მიზანია ეძებო ობიექტური ჭეშმარიტება ჭვრეტითი გონებით. ორატორების მიდგომა უფრო პრაგმატიული ხასიათის იყო, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა მათ ანალიტიკურ მიდგომას ლიბერალური განათლების დისციპლინებში. პირიქით, ისინი ფილოსოფიას იყენებდნენ როგორც შემეცნების უმნიშვნელოვანეს მეთოდს. მხოლოდ ასეთი ფილოსოფია უნდა ყოფილიყო გარკვეული შედეგის მომტანი სახელმწიფო და სამოქალაქო ცხოვრებაში. ბრიუს ა ქიმბოლი თვლის, რომ რომაული ლიბერალური განათლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი იდეალისტურობაა. „მარციანუს კაპელას მიერ ჩამოთვლილი შვიდი თავისუფალი ხელოვნების დისციპლინები მოგვიანებით ჰუმანისტების მიერ იქნა დაფუძნებული... ლიბერალური განათლება მიღებულ იქნა როგორც კულტურის იდეალი“ (Kimball, 1995, p.38).

ქრისტიანობის გავრცელების და მოგვიანებით იუსტინიანე I-ის ბრძანებით ახ. წ. აღრიცხვის VI საუკუნეში წარმართული სკოლების დახურვის შემდეგ, ორატორების ტრადიციები და ლიბერალური განათლების იდეების გავლენა ნელ-ნელა

სუსტდებოდა. თუმცა ნეტარმა ავგუსტინემ (354-430), რომელიც ციცერონის იდეებს იზიარებდა განათლებაში, გარკვეულწილად  დიდი როლი ითამაშა წარმართული ლიბერალური განათლების აპოლოგიაში.  ქრისტიანობის მორალური მოსაზრებები თანხმობაში არ მოდიოდა წარმართულ განათლებასთან, მაგრამ ავგუსტინე თვლიდა, რომ არ შეიძლება წარმართული განათლების ღირსებების ბოლომდე უარყოფა. გარკვეული თვალსაზრისით, მას ჰქონდა მცდელობა წარმართული, ორატორული განათლება და ციცერონის შეხედულებები შეერიგებინა ქრისტიანულ მორალთან, ვინაიდან თვლიდა, რომ სტოიკოსების მორალი ახლოს იდგა ქრისტიანობასთან და უფრო მეტიც, შეგვიძლია  ვთქვათ, რომ ელინისტურმა ტრადიციებმა და ნეოპლატონურმა ფილოსოფოსიამ  დიდი გავლენა მოახდინეს ქრისტიანულ თეოლოგიაზე. ბევრი მახასიათებელი, რომელიც ქრისტიანობას როგორც რელიგიას მიეწერა, გადატანილია ელინისტური ტრადიციებიდან. "ნეტარი აგვუსტინე იმეორებს ციცერონის იდეებს იმ მოდიფიკაციით, რომ საჭიროა  სიბრძნისა და მჭერმეტყველების გაერთიანება (De Doctrina Christiana)" (Kimball, 1995, p.41). ეს ნიშნავდა ქრისტიანობისა და ორატორული იდეების გაერთიანებას, მაშინ, როცა ციცერონი მიიჩნევდა, რომ  საჭირო იყო ცოდნისა და  მჭერმეტყველების გაერთიანება, როცა იგი მსჯელობდა ფილოსოფიაზე და ორატორიაზე.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიბერალური განათლების შინაარსები და ცოდნის სტატუსი ნაკარნახევი იყო ორატორების ისოკრატეს, მარციანუს კაპელას, ვარონის, ციცერონის, კასიოდორეს მიერ, ვიდრე ფილოსოფოსების. სინამდვილეში ფილოსოფოსთა შეხდულებები განათლებაზე არ განხორციელებულა, როგორც განათლების მოდელი შუა საუკუნეებშიც, მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში არსიტოტელიზმს დიდი გავლენა ჰქონდა თეოლოგიურ დოქტრინებზე და მის სისტემატიზაციაზე. ცოდნის სტატუსის შინაარსები ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ადრეული შუა საუკენეების ჩათვლით, დაახლოებით XII საუკუნის მეორე ნახევრამდეც განისაზღვრებოდა ორატორთა შეხდულებების მიხედვით, რაც მოცემულ თავში იქნა განხილული.

# თავი II. განათლების იდეების განვითარება და პირველი უნივერსიტეტების შექმნა. უნივერსიტეტის ოთხი მოდელი

## 2.1 განათლების იდეები და პირველი უნივერსიტეტები

მნიშვნელოვანია ისტორიულ კონტექსტში განვიხილოთ პირველ თავში მოცემული ფილოსოფიური და ორატორული ტრადიციების განვითარება/გაგრძელება გვიანანტიკური ეპოქიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით. როგორ შინაარსებს იძენდა ცოდნის სტატუსი პირველი ევროპული უნივერსიტეტების შექმნამდე და როგორ აღორძინდა ფილოსოფიური ტრადიციები ლიბერალური განათლების კონტექსტში? როგორც ვიცით, განათლების იდეები, შემეცნება, ცოდნის გადაცემა, ცოდნის სტატუსის შინაარსების ფორმირება ლიბერალური განათლების სისტემაში ხორციელდებოდა და შესაბამისად ამ სისტემის კონტექსტში გვიწევს ცოდნის სტატუსის და განათლების იდეების განვითარების ისტორიული მიმოხილვა, რომლის, თუ შეიძლება ითქვას, დამკვიდრება შუა საუკუნეებში მოხდა, კერძოდ, XII საუკუნეში, ისეთ ორგანიზებულ სისტემაში, რომელსაც ლათინურად Universitas, შემდგომ უნივერსიტეტი ეწოდა. ლიბერალური განათლების სისტემაში არსებული ტრივიუმისა და კვადრიუმის დისციპლინების შინაარსობრივი და ფორმალური განსაზღვრა შუა საუკუნეებამდე, თითქმის X, XI საუკუნემდე ხდებოდა მარციანუს კაპელას, კასიოდორეს, ისიდორეს ორატორული შეხედულებების და მათ მიერ შექმნილი სახელმძღვანელოების საფუძველზე. ორატორული ტრადიციები დიდხანს გაგრძელდა ევროპაში. რომაელი პოლიტიკოსი, დიპლომატი, ორატორი კასიოდორე (484-584) ვივარიუმის მონასტერის დაამარსებელი იტალიაში, რომელიც მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრი იყო, დიდი გავლენით სარგებლობდა მაშინდელ საგნამანათლებლო წრეებში და მისი იდეებით ხორციელდებოდა სწავლება ტრივიუმისა და კვადრიუმის მიხედვით. კასიოდორეს, მარციანუს კაპელას და ისიდორეს იდეები ერთი პრინიციპიდან ამოდიოდა და ეს იყო ცოდნის სტატუსზე და განათლებაზე ორატორული შეხდულებების, კერძოდ, ტრივიუმის დისციპლინების უპირატესობა კვადრიუმის დისციპლინებთან შედარებით

განათლებული მოქალაქის აღზრდაში. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა წარმართული განათლების რელევანტურობის საკითხი ქრისტიანულ მორალთან, წარმართული ლიტერატურის დიდი ნაწილი ამოღებული იქნა სწავლებიდან, თუმცა ნეტარი აგვუსტინე ცდილობდა ნეოპლატონური იდეების გავლით წარმართული სწავლება და ქრისტიანობა შეერიგებინა ერთმანეთთან. ეს უფრო წარმატებულად შეძლო კასიოდორემ თავის ნაშრომებში. კასიოდორე ლიბერალურ განათლებაში ორატორული ტრადიციების გამგრძელებელია. ციცერონის კვალდაკვალ, ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტრივიუმის დისციპლინებს რეტორიკის უპირატესობით. შესაბამისად, კვადრიუმის დისციპლინებს შედარებით ნაკლები როლი ენიჭებოდა, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ ლიბერალური განათლების სისტემიდან იყო განდევნილი მათემატიკური დისციპლინები. "ოთხ მათემატიკურ დისციპლინას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, ვიდრე სიტყვიერებას და ოთხივე წარმოდგენილი იყო როგორც სასარგებლო ფაქტები ალეგორიებისთვის ან სამყაროში ჰარმონიის არსებობის მტკიცებულებები, მაგრამ არა როგორც გონების წვრთნა მათემატიკურ ან ფორმალურ დასაბუთებაში" (Kimball, 1995, p.46).

ორატორულ ტრადიციებს აგრძელებდა ისიდორეც (570-676), სევილიის ეპისკოპოსი. ადრეულ შუასაკუნეებში. ის, შეიძლება ითქვას, ყველაზე გავლენიანი იყო და მისი კონცეფციები ლიბერალურ განათლებაზე დიდი ხნის განმავლობაში ახდენდა გავლენას სხვა მოაზროვნეებზე, რომლებიც ქრისტიანული რელიგიის კონტექსტში ავითარებდნენ მოსაზრებებს ცოდნის სტატუსის და განათლების იდეების შესახებ. ადრექრისტიანული პერიოდი გამოირჩევა წარმართული ტრადიციების ტრანსფორმაციებით. მარციანუს კაპელას, კასიოდორეს და ისიდორეს გავლენა იმდენად დიდი იყო განათლების იდეებზე, რომ ფაქტიურად ფილოსოფოსები ვერ დომინირებდნენ ამ თვალსაზირისით, თუმცა ფილოსოფიურ ტრადიციები არ დაკარგულა და ის ბოეციუსის (480-524) მიერ იქნა გარკვეულწილად აღორძინებული. ბოეციუსი, იტალიელი ფილოსოფოსი, რომელიც რომის იმპერიის

დაცემის პერიოდში მოღვაწეობდა, ფილოსოფიის ისტორიაში გამოირჩევა როგორც ბერძნული ფილოსოფიის ლათინურ ენაზე მთარგმელი, მან მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარა ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ლათინურად დამუშავებაში, რომელსაც შემდგომი ფილოსოფიური აზროვნება დაეყრდნო. ბოეციუსს, აგრეთვე, მიეწრება ტერმინ „მეტაფიზიკის“ შემოტანა. ეს ტერმინი ბოეციუსმა უწოდა არისტოტელეს პირველ ფილოსოფიას (Philosophia Protera). ამ ტერმინის საფუძველზე ერთ-ერთი ძირითადი ფილოსოფიური დარგი - მეტაფიზიკა შეიქმნა. ბოეციუსმა, აგრეთვე, მოგვცა ფილოსოფიური დისციპლინების კლასიფიკაცია, რომელიც განსხვავდებოდა ისიდორეს კლასიფიკაციისგან. ორატორებისგან განსხვავებით, ის აგრძელებდა პლატონის ტრადიციებს და მათემატიკურ დისციპლინებს მიიჩნევდა ეპისტემოლოგიის მთავარ ფუნდამენტად, რომელზეც უნდა დაშენდეს განათლება. “კვადრიუმი ბოეციუსისთვის იყო ფილოსოფიური გზა და პლატონური ბუნების მატარებელი, რომელიც დასტურდება მის ნაშრომში De Consolatione Philosophiae” (Kimball, 1995, p.48). რომის იმპერიის დაშლის შემდეგ ადრექრისტიანული ხანის საგანმანათლებლო ცენტრებმა სხვადასხვა ქვეყნებში გადაინაცვლეს, ეს ქვეყნები, სხვადასხვა დროს, რომის იმპერიის შემადგენელი ნაწილები იყვნენ. დასავლეთში საგანმანათლებლო ცენტრები შეიქმნა ირლანდიაში, უელსში (დიდი ბრიტანეთი), გერმანიაში, იბერიის ნახევარკუნძულზე, გალიაში (დღევანდელი საფრანგეთი). აღმოსავლეთში კი, მცირე აზიის ტერიტორიაზე, რომელიც ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ბიზანტიის იმპერიაში შეიქმნა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება, რომელმიც იოანე დუნს სკოტ ერიუგენას გზით დასავლეთ ევროპაში გავრცელდა და დიდი გავლენა მოახდინა მოგვიანებით ჰუმანისტურ აზროვნებაზე და აღორძინების ეპოქის იდეებზე, რომლის სათავე, აგრეთვე, ნიკოლაუს კუზანელის (1401-1464) ფილოსოფიაშიც უნდა ვეძებოთ. რომის იმპერიაში სწავლება არ მიმდინარეობდა სკოლებში, არამედ პატრიციების ოჯახში. ქრისტიანულ პერიოდში კი, რომელიც რომაული იმპერიის ნანგრევებზე გავრცელდა, ლიბერალური განათლების მოდელი ხორციელდებოდა სამონასტრო სკოლებში, როგორიც იყო კასიოდორეს მიერ დაარსებული ვივარიუმი, ბენედიქტეს მიერ

დაარსებული მონტე კასინო. ამ ტიპის სასწავლო ინსტიტუციები  არ გამოირჩეოდა მასშტაბებით,  იქ ძირითადად სწავლობდნენ წარჩინებულთა შვილები. მიუხედავად ქრისტიანული თეოლოგიის კრიტიკული დამოკიდებულებისა წარმართული ცოდნისამდი, ლიბერალური განათლების ძირითადი ანტიკური ტენდენციები მაინც შენარჩუნებული იყო სამონასტრო სკოლებში. V საუკუნის მეორე ნახევრიდან გერმანიკულმა ტომებმა მნიშვნელოვნად შეავიწროვეს ბრიტანეთის ნახევარკუნძულზე არსებული ავტოქტონური  მოსახლეობა.  ევროპაში გერმანიკული ტომების გაბატონებამ,  იტალიაში: ოსტგოთების, ვესტგოთებისა და ვანდალების, საფრანგეთში: ფრანკების და ნორმანების, ბრიტანეთში: ანგლო-საქსების - დიდი გავლენა მოახდინა  როგორც ამ ქვეყნების ტერიტორიულ, ეკონომიკურ მოწყობაზე, ისე  განათლებაზე. ბრიტანეთის ნახევარკუძნულზე, უელსში  და ირლანდიაში ანგლო-საქსებს ადგილობრივი კელტების მიერ განვითარებული სამონასტრო სკოლები დახვდათ, სადაც ისწავლებოდა Disciplinae Liberalis. “ირლანდია გახდა ლიბერალური განათლების მთვარი საუნჯე  მთელს ევროპაში და სხვადასხვა სამეფოდან კლერიკალები აქ სასწავლებლად მოდიოდნენ” (Kimball, 1995, p.49).

ანგლო-საქსონურ სამყაროში ირლანდიელების მიერ დაფუძნებული ლიბერალური განათლების დისციპლინები მოიცავდა  გრამატიკას,  ჰიმნოგრაფიულ პოეზიას, ისტორიას, პროსოდიას და არითმეტიკას.  ამ ტიპის კურიკულუმი, რა თქმა უნდა, ქრისტიანული მოძღვრების გავლენით იყო შექმნილი, მაგრამ მაინც ინახავდა წარმართულ ტრადიციებს, განსაკუთრებით, ორატორულ ტრადიციებს, რადგან დიდი ყურადღება ექცეოდა გრამატიკის სწავლებას, რომელიც ორატორებთან რეტორიკის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. IX საუკუნეში საფრანგეთის ტერიტორიაზე ფრანკთა ჰეგემონიის დამყარების და კაროლინგთა დინასტიის გაძლიერების შემდეგ შარლემანის[11] მეფობის დროს სამეფო საგანმანათლებლო ცენტრი  შეიქმნა აახენში, რომელიც უკავშირდება ალკუინის (735-804) სახელს. 782

[11]შარლემანი იგივე კარლოს (შარლ) დიდი (742-814), კაროლინგების დინასტიის წარმომადგენელი. ფრანკთა მეფე 768 წლიდან, ლომბარდიელების მეფე 784 წლიდან და რომის იმპერატორი 800 წლიდან. მის სახელს უკავშირდება კაროლინგთა იმპერიის დაფუძნება.

წელს ალკუინი გახდა ამ ცენტრის მაგისტრი. შარლემანის საგანმანათლებლო ცენტრმა ხელი შეუწყო კაროლინგების დინასტიის გაძლიერებას. ტუტორიალის გზით სწავლება ჩანაცვლდა სამონასტრო სკოლებში სწავლება-დახელოვნებით. შარლემანის საგანამანათლებლო ცენტრის კურიკულუმი აგრძელებდა ორატორების ტრადიციას. ლიბერალური განათლების რომაულ-ელინისტური მოდელიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტრივიუმის დისციპლინების სწავლებას, რომელიც მოიცავდა სიტყვიერებას. "ტერმინი trivium - სამი სიტყვიერების ხელოვნება გამოყენებული იყო ალკუინის სწავლების მოდელში კაროლინგების მეფობის ხანაში. ამ ფაქტმა შეიძლება გვავარაუდებინოს, რომ ბოეციუსის კვადრიუმისგან განსხვავებით, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ტრივიუმს. კაროლინგებმა დააკნინეს მათემატიკური ხელოვნებანი, კვადრიუმს ასწავლიდნენ რეტორიკის შემდეგ და მას ინტერპრეტაციას უკეთებდნენ არა როგორც quantitas abstracta - ს, არამედ როგორც ალეგორიულ ინფორმაციას ლიტურგიული პრაქტიკისა და ეგზეგესის შესახებ" (Kimball, 1995, p.52). საინტერესო ფაქტი იმის შესახებ, რომ მიუხედავად ორატორული ტრადიციების გაგრძელებისა, როგორც ირლანდიაში, ისე კაროლინგების ეპოქაში, ლიბერალური განათლების მოდელი - ტრივიუმი, დისციპლინების სახელწოდების უცვლელობის მიუხედავად, შინაარსობირვი თვალსაზრისით არ ემსახურებოდა ორატორების აღზრდას, არამედ ქრისტიანული მსოფმხედველობიდან გამომდინარე, ღვთისმეტყველური დანიშნულება ჰქონდა. გრამატიკის, დიალექტიკის და რეტორიკის სწავლებაც ხორციელდებოდა საღვთისმეტყველო ტექსტების ინტერპრეტირებისთვის და გარკვეული ქრისტიანული რიტუალების სწორად შესრულებისთვის, თეოლოგიური განმარტებებისთვის. ევროპაში გერმანიკული ტომების გაბატონების შემდეგ მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ტერიტორიაზე ლათინური სალაპარაკო ენა აღარ იყო, საღვთისმეტყველო და მეცნიერული ენა გახდა. სწავლება ევროპაში, XVIსაუკენეში რეფორმაციამდე და ნაციონალური უნივერსიტეტების გაჩენამდე ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. ტრივიუმის, სიტყვიერების დისციპლინებში დიალექტიკის და გრამატიკის სწავლება ექვემდებარებოდა რეტორიკას, როგორც ეს

ორატორულ ტრადიციებში იყო, თუმცა ეს უფრო ფორმალური მსგავსება იყო ორატორულ ტრადიციებთან, ვიდრე შინაარსობრივი, რადგან დროთა განმავლობაში ქრისტიანული თეოლოგიის გაძლიერებასთან ერთად, შინაარსობრივი მიდგომა ტრივიუმის მიმართ იცვლებოდა და სიტყვიერების სწავლებაში შერჩეული ტექსტები და მათი ინტერპრეტაციები ერთგვარად ავტორიტარულ ხასიათს ატარებდა. „თუმცა ალკუინის მიდგომა კარგი მოქალაქისა და საზოგადოებირვი ლიდერის აღსაზრდელად ორატორულ ტრადიციებს ატარებდა. პირველ რიგში, კარგი მოქალაქისა და საზოგადოების ლიდერის წვრთნა ალკუინის წიგნში: „Disputatio de rhetorica et devirtutibus“ არის წარმოდგენილი. ალკუინმა ციცერონის ორატორისა და სახელმწიფო მეთაურის სიმბიოზის იდეის ინკორპორირება გააკეთა თავის ნაშრომში თუ როგორ აღზარდოს მეფე“ (Kimball, 1995, p.53). ალკუინი ციცერონის ტრადიციებს აგრძელებს განათლებაში, რა თქმა უნდა, ქრისტიანული მოდიფიკაციებით და ელინისტური ხანის მიდგომებისგან განსხვავებით უფრო ავტორიტარული ხასიათი აქვს. ორატორული ტრადიციების გაგრძელება გამოიხატებოდა ეპისტემოლოგიურ და მეტაფიზიკურ მიდგომებში, როგორიცაა ჭეშმარიტების ძიება და ღმერთის იდეის წვდომა, რომელიც ადრექტისტიანული ხანის და შუა საუკუნეების ეპისტემოლოგიის იდეაფიქსი იყო. ორატორები თვლიდნენ, რომ ენაში ვლინდება მეტაფიზიკური ჭეშმარიტება, მაშინ როცა ფილოსოფიურ ტრადიციაში მათემატიკური ხელოვნებანის დასწავლა, მათ შორის, პლატონთან გეომეტრიის, პითაგორასთან არითმეტიკის, არისტოტელესთან ლოგიკის, არის ჭეშმარიტების ძიების და შემეცნების უმთავრესი საფუძველი. ადრექრისტიანული ხანის და შუა საუკუნეების სწავლულების დოგმატური ეპისტემოლოგია კი გამოიხატებოდა უკვე მოცემული ჭეშმარიტებების დასწავლა-გადაცემაში. ქრისტიანული რელიგიის და მსოფმხედველობის მიხედვით ქრისტეს სწავლების გზით ჭეშმარიტების გაცხადება უკვე იყო დიდი ეპისტემოლოგიური მოვლენა და ის არ საჭიროებდა გადახედვას, კრიტიკას, არამედ სწავლების გზით მის გავრცელებასა და დაცვას. შესაბამისად, ორატორული ტრადიციებში შემუშავებული რეტორიკული დახელოვნება მეხსიერებაში და იდეების გადაცემაში მნიშვნელოვანი იყო ქრისტიანი

სწვალულებისთვის უცვლელი ქრისტიანული სიბრძნისა და ჭეშმარიტების გავრცელებისთვის. რომის იმპერიიდან მოყოლებული თითქმის X საუკუნემდე ფილოსოფიური ტრადიციები მივიწყებული იქნა, მიუხედავად ბოეციუსის მიერ ჩატარებული დიდი სამუშაოებისა. გარდა ამისა, ევროპა V საუკუნიდან IX საუკუნემდე სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით სიმშვიდით არ გამოირჩეოდა. პარალელურად არაბულენოვანი სამყარო ძლიერდება აღმოსავლეთით და სარაცინების გავლენით ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიებიდან მავრების მიერ ესპანეთის დაკავებით და აღმოსავლეთით ისლამური სახელმწიფოების გაძლიერებით არაბულ სამყაროში მნიშვნელოვნად განვითარდა კულტურა, ფილოსოფიური აზროვნება და მათემატიკა. ფილოსოფიური ტრადიციები ისლამურ სამყაროში არისტოტელეს ნაშრომების არაბულენოვანი თარგმანებით ვრცელდებოდა, მაშინ როცა დასავლეთ ევროპაში ფილოსოფიური ტრადიციები ორატორული ტრადიციების გავლენით ფაქტიურად მივიწყებული იყო. აღმოსავლეთ რომის, იგივე ბიზანტიის იმპერიაში კი სხვა ვითარებაა. მიუხედავად იუსტინიანე I-ის მიერ წარმართული ფილოსოფიური სკოლების დახურვისა VI საუკუნეში, ბიზანტიაში ფილოსოფიური ტრადიციები არ მივიწყებულა, განსაკუთრებით, პლატონის ფილოსოფია, რომლის პოპულარობა ბიზანტიელი ნეოპლატონიკოსების დამსახურება იყო. ბიზანტიური ქრისტიანული ნეოპლატონიზმის საფუძველი კი იოანე ლაზთან[12] და და მის მოწაფე ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან, იგივე პეტრე იბერთან (411-491) უნდა ვეძებოთ. დასავლეთ რომის ქრისტიანული თეოლოგია დიდად არ წყალობდა პლატონის შეხდულებებს, ამასთან, სამების დოგმატს ნეოპლატონური ემანაციის პრინციპით ხსნიდნენ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის

[12]იოანე ლაზი, ერისკაცობაში მითრიდატე ლაზი, ცხოვრობდა V საუკუნეში, გარდაიცვალა სირიაში. ქართველი ფილოსოფოსი, თეოლოგი, მოღვაწეობდა ბიზანტიის იმპერიაში. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მასწავლებელი, რომელიც ქართველი ფილოსოფოსის შალვა ნუცუბიძის (1888-1969) და ბელგიელი ბიზანტიოლოგის ერნესტ ჰონიგმანის (1892-1954) თეორიის მიხედვით იგივე პეტრე იბერია, ერისკაცობაში მურვანი, იბერიის მეფე ბაკურ დიდის შვილიშვილი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი. იოანე ლაზი მასთან ერთად ითვლება არეოპაგეტიკის თანაავტორად. არეოპაგიტულ მოძღვრებაში სამყაროს იერარქია წარმოდგენილია იოანე ლაზის მიერ შემუშავებული იერარქიის საფუძველზე. წყაროების მიხედვით, იოანე ლაზი თანამშრომლობდა, თუ შეიძლება ითქვას, ანტიკური ფილოსოფიის უკანასკნელ წარმომადგენელთან პროკლე დიადოქოსთან (410-485).

თეოლოგია პლატონის და ნეოპლატონიკოსების დიდ გავლენას განიცდიდა. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის კატაფატიკურმა და აპოფატიკურმა თეოლოგიამ, რომელიც ეყრდნობოდა ნეპლატონურ შეხდულებებს დასავლეთ ევროპაში შეაღწია, მისი გავრცელება დაკავშირებულია იოანე დუნს სკოტ ერიუგენას (810-877) სახელთან. იოანე დუნს სკოტი შოტლანდიური წარმოშობის თეოლოგი და მოაზროვნე დასავლეთ ევროპაში აბრუნებს ფილოსოფიურ ტრადიციებს, კერძოდ, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის გავლენით ნეოპლატონურ მოძღვრებას. ერიუგენა ხელმძღვანელობდა კაროლინგების სასახლის სკოლას IX საუკუნის შუა ხანებში და მან ნეოპლატონური პერსპექტივა დააბრუნა ლიბერალურ განათლებაში. "იოანე დუნს სკოტმა დაწერა მარციანუს კაპელას ნაშრომის "De nuptiis" კომენტარები და ციცერონის იდეების დატოვებით ეცადა მჭერმეტყველებისა და სიბრძნის გაერთიანება. ის ამტკიცებდა, რომ ლიბერალური ხელოვნებანი არ არის მხოლოდ ინსტრუმენტი დასწავლისთვის, არამედ ღირებულია მისი როგორც თეორიული ფილოსოფიის შესწავლა და ასკვნიდა, რომ ვერავინ შევა სამოთხეში თუ არა ფილოსოფიის გავლით" (Kimball, 1995, p. 55).

აღსანიშნავია, რომ ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში საგანმანათლელო მისიონერობას ეწეოდნენ ირლანდიიდან წასული სწავლულები. კაროლინგების იმპერიის დაშლის შემდეგ საგანმანათლებლო ცენტრები სხვადასხვა ტოპოსებში განვითარდნენ. აქედან ყველაზე საგულისხმოა ბობიოს[13] (იტალია), რეიმსის[14] (საფრანგეთი) და სენ გალის[15] (შვეიცარია) მონასტრები, როგორც საგანამანთლებლო ცენტრები. ევროპაში XI საუკუნიდან იწყება ურბანიზაცია და ეკონომიკური აღმავლობა, რაც ხელს უწყობს ქალაქებში საგანმანათლებლო

[13]ბობიოს სააბატო, დაარსებული ირლანდიელი სწავლულისა და მისიონერის სენ კოლუმბანუსის (543-615) მიერ 614 წელს.

[14]რეიმსის სააბატო, დაარსებული VI საუკუნეში. რეიმსის სააბატოში დაცულია წმინდა რემის ნაწილები, რეიმის ეპისკოპოსი, რომელმაც ფრანკთა მეფე გააქრისტიანა V საუკუნეში. რეიმსის სააბატო მნიშვნელოვანი საგანამანათლებლო ცენტრი იყო შუა საუკუნეების ევროპაში.

[15]სენ გალის სააბატო შვეიცარიაში, ქალაქ სენ გალენში, დღეს კათოლოკური რელიგიური კომპლექსი. დაარსებულია 719 წელს კაროლონგების დინასატიის დროს. საფუძველი ჩაუყარა ირლანდიელმა მისიონერმა და სწავლულმა გალუსმა (550-646).

სკოლების გაჩენას. ამ სკოლებში ისევ გრძელდებოდა ორატორული ტრადიციები ტრივიუმის გაძლიერებული სწავლების საფუძველზე. საგანმანათლებლო სკოლების გაჩენა შუა საუკუნეების სხვადასხვა ქალაქებში ხელს უწყობდა ინტელექტუალურ მობილობას. სწავლულები მოგზაურობდნენ სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში, თარგმნიდნენ, ასწავლიდნენ, სწავლობდნენ, მონაწილეობდნენ დებატებში, ტექსტების ინტერპრეტირებაში. დებატებში მნიშვნელოვანი იყო რეტორიკული დახელოვნება, ამიტომაც ტრივიუმის დისციპლინის ფარგლებში დიდი ყურადღება ექცეოდა გრამატიკის, დიალექტიკის შესწავლას, რომელიც რეტორიკის უმნიშვნელოვანესს ნაწილებად ითვლებოდა. "ასეთმა ინტელექტუალურმა და სწავლულთა მობილობამ წარმოშვა ისეთი მიმდინარეობა შუა საუკუნეებში, როგორიცაა სქოლასტიციზმი, რომელმაც მოგვიანებით ნეგატიური შინაარსი შეიძინა" (Kimball, 1995, p.57)." სქოლასტიკური მსჯელობისთვის აუცილებელი დიალექტიკური მეთოდი, რომელიც ფილოსოფიური ტრადიციებიდან მომდინაროებს. სქოლასტიკური დებატები გულისხმობდა სამსჯელო თემის კატეგორიზაციას, სისტემატიზაციას და მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ღვთისმეტყველებაში. ამიტომ ხშირად შუა საუკუნეების ღვთისმეტყველებას და ფილოსოფიას სქოლასტიკას უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ ფილოსოფია თეოლოგიის მსახური იყო. გერბერტ დ'ორიაკი (946-1003) ბობიოსსა და რეიმსში X საუკუნეში, ბერანჟერი (999-1088) ტურში XI საუკუნეში და ანსელმი (1033-1104) იყვნენ დიალექტიკის დამცველი სქოლასტიკოსები. თუმცა არქეტიპულ სქოლასტიკოსად ითვლება პიერ აბელიარი (1079-1144), რომელიც ცნობილი გახდა განსაკუთრებით პარიზის სკოლაში მისი ქარიზმატული დებატების გამო. "აბელიარი ეთანხმებოდა ბოეციუსის იმასთან დკაავშირებით, რომ მათემატიკა ეს არის ლიბერალური განათლების საფუძველი და დანარჩენი ექვსი ხელოვნება დაუქვემდებარა ლოგიკას, რომელსაც მიიჩნევდა ფილოსოფიის პირველ ინსტრუმენტად" (Kimball, 1995, p. 57). პიერ აბელიარის სახელთანაა დაკავშირებული დიალექტიკური მსჯელობების განვრცობა და ე.წ. დიალექტიკური თეოლოგიის განვითარება, ის შუა საუკუნეების ყველაზე პოპულარული თეოლოგი და

ფილოსოფოსი იყო, რომელმაც ფილოსოფიური ტრადიციები აღადგინა ლიბერალურ განათლებაში და, შეიძლება ითქვას, ტრივიუმსა და კვადრიუმს დაუბრუნა ფილოსოფიური ტენდენციები. ტრივიუმის დისციპლინებში წამყვანი გახდა ლოგიკა, როგორც შესავალი თეორიულ ფილოსოფიაში და კვადრიუმში მათემატიკურ დისციპლინებს მიენიჭათ უპირატესობები ორატორული ტრადიციებისგან განსხვავებით. პიერ აბელიარის წყალობით პარიზის სკოლა მთელს ევროპაში გახდა ცნობადი და მის მოსასმენად ევროპის სხვადასხვა კუთხეებიდან უწყვეტად მოედინებოდნენ მსმენელები. თავად აბელიარის პირადი ცხოვრება კი ტრაგიკულობით გამოირჩევა. პიერ აბაელიარის დებატები რეალიზმისა და ნომინალიზმის შესახებ , შეიძლება ითქვას, ყველაზე გამორჩეულია შუა საუკუნეების ფილოსოფიურ დებატებში. "სქოლასტიციზმმა მნიშვნელოვანი გავლენა განიცადა ბერძნული ანტიკური ფილოსოფიური სწვალებების თარგმანების გზით, განსაკუთრებით, არისტოტელეს შრომებით. დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის კულტურას შორის კავშირის საშუალებით, როგორიცაა სირია, სიცილია, ესპანეთი, კონსტანტინეპოლი, ლოგიკის ოთხი ტრაქტატი, რომელიც ბოეციუს არ უთარგმნია მეთორმეტე საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა ევროპაში. ოთხივე ტრაქტატს ეწოდა „ახალი ლოგიკა" ბოეციუსის მიერ თარგმნილი ორი ტრაქტატის საპირისპიროდ, რომელსაც ეწოდა „ძველი ლოგიკა". მეთორმეტე საუკუნის ბოლოს არისტოტელეს ნატურალური ფილოსოფია და მეტაფიზიკა აღდგენილ იქნა, ხოლო პოლიტიკა, ეთიკა, ეკონომიკა და რეტორიკა მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ამასობაში არაბული, ებრაული და ბერძნულენოვანი ნაშრომები მათემატიკაში და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გაჩნდა ევროპაში, რომელმაც რევოლუცია გამოიწვია" (Kimball, 1995, p.58). რევოლუციაში იგულისხმება ლიბერალური განათლების კონტექსტში ცოდნის სტატუსის ცვლილება და ფილოსოფიური ტრადიციების დაბრუნება სწავლებაში, რაც გულისხმობდა ფილოსოფსთა ტრაქტატების დასწავლას ინტერპრეტირებას, ლოგიკისა და დიალექტიკური მეთოდების გამოყენებას თეოლოგიური პოსტულატებიის დასაბუთებაში, ხოლო რეტორიკულ ხელოვნების

მეორეხარისოხვნად ქცევას. მნიშვნელოვანი გახდა არა მხოლოდ რეტორიკულად დახელოვნებული დებატების წარმართვა საგანმანათლებლო სკოლებში, არამედ ინტერპრეტირებული ტექსტების შექმნა, გადაწერა, გავრცელება, ნაწერი როგორიც ცოდნის გავრცელებისერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი, **ცოდნის სტატუსის შინაარს უფრო აფართოებს და შემდეგ დროთა განმავლობაში საჭირო ხდება მისი ინსტიტუციონალური ორგანიზება, რაც უნივერსიტეტების სახით მივიღეთ სწორედ შუა საუკუნეებში ქრისტიანული თეოლოგიის იდეოლოგიურ კონტექსტში.** სწავლულების მიერ მოწაფეთა მომზადება ხდებოდა არა მხოლოდ სქოლასიტკური დებატებისთვის, არამედ ფილოსოფიური ტექსტების კითხვისა და ინტერპრეტირებისთვის, გადაწერისთვის. ტექსტების ინტერპრეტირებას, განმარტებას ავტორიტარული ხასიათი ჰქონდა ამდენად, სქოლასტიციმზი გამოირჩეოდა დოგმატური ეპისტემოლოგიური მიდგომებით სწავლებაში.

მიუხედავად ფილოსოფიური ტრადიციების დაბრუნებისა ლიბერალურ განათლებაში, ტრივიუმისა და კვადრიუმის შინაარსების მიმართ მიდგომაში და, აგრეთვე, ფილოსოფიის დისციპლინების დაყოფაში ერთგვარი ამბივალენტურობა არსებობდა. ჰუგო სენ ვიქტორი (1096-1141) პარიზის სკოლის აბატი არისტოტელეს ფილოსოფიის გავლენის მიუხედავად, იზიარებდა სტოიკოსების და ისიდორეს მიდგომას ფილოსოფიური დისციპლინების მიმართ, რომელიც ორატორული ტრადიციების გამგრძელებლები იყვნენ. "ჰუგო იზიარებს ლიბერალური განათლების დისციპლინების ისიდორისეულ დაყოფას და გრამატიკის დისციპლიონის ისეთ გაგებას როგორც ისიდორეს ნაშრომ Etymologiae-შია". (Kimball, 1995, p.60). მათ შორის, შარტრის[16] ეპისკოპოსი ჯონ სალსბერი (1115-1180) თავის ნაშრომში "Metalogicon" აგრძელებს ორატორების ტრადიციას და ტრივიუმის და კვადრიუმის სწავლება მიზანშეწონილად მიაჩნია მარციანუს კაპელას, ისიდორეს და კასიოდორეს ხედვების მიხედვით, ამასთან, ითვალისწინებს პიერ აბელიარის და

[16]შარტრის სკოლა, მდებარეობდა საფრანგეთში, პარიზში ე.წ. მაღალი შუა საუკუნეების საგანმანათლებლო ცენტრი დღევანდელ შარტრის კათედრალთან არსებული, დაარსებული 1020 წელს ეპისკოპოს ფულბერტის (დაახლოებით 952 ან 970-1028) მიერ, რომელიც იყო გერბერტ დ'ორიაკის (946-1003), იგივე პაპი სილვესტერ II, მოწაფე.

არისტოტელეს ფილოსოფიის გავლენას. მას აქვს მცდელობა გააერთიანოს ორატორული და ფილოსოფიური, განსაკუთრებით, არისტოტელიზმის ტრადიციები. დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული მსოფხედვის კონტექსტში გაჩენილი პირველ უნივერსიტეტებამდე პერიოდი გამოირჩეოდა სქოლასტიკურ ინტელექტუალური დებატებით, სადაც ორატორული და ფილოსოფიური ტრადიციები ანაცვლებდნენ ერთმანეთს, შედეგად ცოდნის სტატუსის შინაარსები და და განათლების იდეები განიცდიდა გარკვეულ მოდიფიკაციებს, იქმენოდა ახალი დისციპლინები, სწავლულთა გილდიები, რამაც ლოგიკურად ახალი საგანამანათლებლო გაერთიანებების შექმნის საფუძველი გააჩინა, რასაც მოგვიანებით უნივერსიტეტი ეწოდა, რომელიც მანამდე მონასტრებში არსებული საგანმანათლებო ცენტრების და სკოლების ლოგიკური გაგრძელება იყო.

## 2.2 უნივერსიტეტის ოთხი მოდელი ჯონ ბ. ქობისა და მარკუს პიტერ ფორდის მიხედვით

ამერიკელი თეოლოგი, ფილოსოფოსი ჯონ ბ. ქობი საუნივერსიტეტო განათლების საკითხებისადმი თეოლოგიური ხასიათის კრიტიკით გამოირჩევა და ქრისტიანული თეოლოგიის კონტექსტში აკრიტიკებს დასავლეთის თანამედროვე უნივერსიტეტების მიდგომებს განათლებისადმი. მისი აზრით, უნივერსიტეტები მეტისმეტად მიჯაჭვულები არიან შრომის ბაზარს და გარკვეული თვალსაზრისით მათთვის შრომის ბაზარი არის ერთგვარი კერპი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის იდეას, მის ფორმალურ და შინაარსობრივ მოწყობას (Cobb, 2002). შრომის ბაზრისადმი მიმართება გონივრულია, მაგრამ ჯონ ბ. ქობის აზრით, ის არ უნდა იყოს უნივერსიტეტის იდეის ცალმხრივად განმსაზღვრელი და, რეალურად, პირიქითაც უნდა ხდებოდეს, უნივერსიტეტში შექმნილი ცოდნა განსაზღვრავდეს საზოგადოების, ეკონომიკის და შრომის ბაზრის განვითარების მიმართულებას. ის განათლებაში იდოლების გაჩენას აკრიტიკებს და მიიჩნევს, რომ შრომის ბაზრის იდოლასთან ერთად, უნივერსიტეტები სიმდიდრის იდოლის გავლენის ქვეშ

მოექცნენ და ასეთი ტიპის მსოფხედვას უწოდებს ეკონომიზმს. „ეკონომიზმი“ ჯონ ბ. ქობმა გამოიყენა თავის სტატიაში „განათლება და ეკონომიზმი“ როგორც XX საუკუნის ეპოქის იდეების და პარადიგმების გამომხატველი ტერმინი. სტატია დაიბეჭდა 1987 წლის 17 ივნისს ჟურნალ „Christian Century”- ში. ქობის თანახმად “ადამიანის კეთილდღეობა გათანაბრებულია ეკონომიკურ წარმატებასთან და ასეთ ახალ რეალობას ვუწოდე ეკონომიზმი” (Cobb, 1987, p.260). ტერმინ „ეკონომიზმს“ და ზოგადად უნივერსიტეტის განვითარების ისტორიის ჯონ ბ. ქობისეულ პერიოდიზაციას იყენებს ამერიკელი ფილოსოფოსი, ჩრდილოეთ არიზონას უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორი და უმაღლესი განათლების ისტორიის მკვლევარი მარკუს პიტერ ფორდი თავის წიგნში: „მოდერნული უნივერსიტეტის მიღმა: კონსტრუქტივისტული პოსტმოდენრული უნივერსიტეტისკენ“ (Beyond the Modern University: Toward A construtive Postmodern University“ (2002)).

ჯონ ბ. ქობის და მარკუს პიტერ ფორდის აზრით, მატერიალისტური მიდგომა უნივერსიტეტისადმი და ცოდნის სტატუსიდმი აღარიბებს უნივერსიტეტის იდეას და ცოდნის სტატუსის შინაარსებს, შედეგად საზოგადოებაში წამყვანი ხდება სწორხაზოვანი პრაგმატული დამოკიდებულება ცოდნისადმი და ნებისმიერი დისციპლინა, რომელიც შრომის ბაზრისთვის არ წარმოადგენს რაიმე სახის ღირებულებას, მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი შემეცნებითი როლისა, შეიძლება უკვალოდ გაქრეს. უნივერსიტეტის ოთხი მოდელის დახასიათება ჯონ ბ. ქობის მიერ აღებულია მარკუს პიტერ ფორდის ნაშრომისგან, რომელიც ეყრდნობა უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ქობისეულ პერიოდიზაციას და მსოფმხედველობრივ პარადიგმებს: ქრისტიანიზმი, ნაციონალიზმი, ეკონომიზმი. ჯონ ბ. ქობის მიერ უმაღლესი განათლების ისტორიის პერიოდიზაცია ქრისტიანიზმად, ნაციონალიზმად და ეკონომიზმად ასახავს უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების იმ კონტექსტებს, რაშიც იქმნებოდა, იცვლებოდა და ვითარდებოდა საუნივერსიტეტო განათლება. უნივერსიტეტების ისტორია იწყება

ქრისტიანიზმიდან, როგორც ფორდი განმარტავს, ვითარდება ნაციონალიზმის პარადიგმაში, რომელიც უკავშირდება სეკულარიზაციას და დღევანდელი ტენდენცია საუნივერსიტეტო განათლებაში წარმოადგენს ეკონომიზმს, როდესაც უნივერსიტეტები დამოკიდებულები ხდებიან შრომის ბაზარზე (Ford, 2002). პროფესორმა ქობმა ამ ვითარებას უწოდა შრომის ბაზრისადმი კეპრთაყვანიმცემლობა, როდესაც ყველაზე მძლავრი იდოლა ხდება სიმდიდრე და შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი მსახურება (Cobb, 2002). ჯონ ბ. ქობი წარმოგვიდგენს უნივერსიტეტის ოთხი მოდელს მარკუს პიტერ ფორდის მიხედვით და განმარტავს, რომ ამ მოდელების დახასიათება აღებულია ფორდის ნაშრომისგან (Cobb, 2002). ეს მოდელებია:

**ა) პარიზის უნივერსიტეტის მოდელი**

**ბ) ჰალეს უნივერსიტეტის მოდელი**

**გ) ბერლინის უნივერსიტეტის მოდელი**

**დ) ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელი**

**ა) პარიზის უნივერსიტეტის მოდელი როგორც ქრისტიანიზმის იდეოლოგიის გამომხატველი**

შუა საუკუნეებში ევროპაში ვითარება შეიცვალა და, შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებმაც განიცადეს ცვლილებები. XI საუკუნიდან დაწყებული სხვადასხვა საგანმანათლებლო გაერთიანებები, კოლეგიები, სამონასტრო სკოლები თუ ურბანული სასწავლო დაწესებულებები გარდაიქმნენ უნივერსიტეტებად. ევროპის ისტორიაში პირველ უნივერსიტეტად მიიჩნევა ბოლონიის უნივერსიტეტი, რომელიც 1088 წელს დაარსდა. ლათინური სახელწოდება “Universitas” შუა საუკუნეებში აღნიშნავდა ფაკულტეტების ერთობას, კურიკულუმების, საგნების იმ კომპლექსს, რომლიც ისწავლებოდა ამა თუ იმ

ფაკულტეტზე და მასში, აგრეთვე, მოიაზრებოდა პროფესორთა და სტუდენტთა ერთობა. შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა ისეთი ცნებები, როგორიცაა "Studium Generale", "Universitas", "Commune". ეს აღნიშვნა დაკავშირებული იყო ე.წ. სასწავლო ცენტრთან ან, შეიძლება ითქვას, პატარა ქალაქთან, სადაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და ისწავლებოდა მთელი რიგი ჯგუფი საგნებისა. თანამედროვე უნივერსიტეტის სახელწოდებაც სწორედ "Universitas" – დან მოდის. პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტთა ამ ერთობის ჩანასახი ევროპაში (იტალია, ბოლონია) პირდაპირ დაკავშირებულია რელიგიურ ორდენებთან. ბოლონიის უნივერსიტეტი დარსდა როგორც იურიდიული განათლების ცენტრი, რომელიც, რა თქმაუნდა, კავშირში იყო საერო განათლებასთან, თუმცა მაინც ემსახურებოდა რელიგიური კანონიკის შესწავლას. თეოლოგიური ფაკულტეტი ბოლონიაში მოგვიანებით 1352 წელს, პაპინოკენტი VI –ს მითითებით გაიხსნა და მას შემდეგ ბოლონიის უნივერსიტეტის რომის კათოლიკური ეკლესიის სამსახურში ჩადგა. შუა საუკუნეებში პირველი უნივერსიტეტის გაჩენის შემდეგ  საგანმანათლებლო ცენტრების ასეთმა ორგანიზებამ სწავლულთა გილდიების, რომის პაპის, მეფეების მხარდაჭერა მოიპოვა და დაახლოებით ოცზე მეტი  უნივერსიტეტი დაარსდა XI საუკუნიდან მოყოლებული. "სალამანკას, ლისაბონის,  ვალადოლიდის და კოიმბრას უნივერსიტეტები - იბერიის ნახევარკუნძულზე, ბოლონიის,  პადუას, ნეაპოლის, ვიჩენცას,  არეცოს,  სიენას უნივერსიტეტი - იტალიაში,  პარიზის, ორლეანის, ანჟერის ტულუზის და მონპელიეს უნივერსიტეტები - საფრანგეთში,  ოქსფორდი და კემბრიჯი - ინგლისში" (Kimball, 1995, p.63).

უნივერსიტეტებში არსებული ფაკულტეტები იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  იდეით შექმნილი, სადაც არსებულ ფაკულტეტებზე უნდა მომზადებულიყვნენ სახელმწიფო მმართველები, თეოლოგები, იურისტები, ექიმები, ამისთვის საჭირო იყო მოსამზადებელი საფეხური, რომელსაც უზრუნველყოფდნენ კათედრალები, სამონასტრო სკოლები და ამ ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც ტრივიუმის და  კვადრიუმის მოსამზადებელი საფეხურის

შემდეგ შეეძლოთ უნივერსიტეტებში ფაკულტეტებზე ლექციების მოსმენა და გარკვეული მომზადების შემდეგ ინტელექტუალურ დებატებში მონაწილეობა, რომელიც დამახასიათებელი იყო სქოლასტიციზმისთვის. ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტისამიდან ხუთ წლამდე ისმენდა ლექციებს, რომელიც მოიცავდა, აგრეთვე, ტექსტების კომენტირებას, დებატებს და კითხულობდა ყველა იმ ლიტერატურას, რომელიც განკუთვნილი იყო ამ საფეხურებისთვის და ლიტერატურაში ძირითადად შედიოდა როგორც ფილოსოფიური, ისე საღვთისმეტყველო ლიტერატურა. "ბაკალავრიატის კანდიდატები მონაწილეობდნენ ლოგიკურ დისპუტებში, როგორიც იყო sophismata, რისთვისაც იყენებდნენ დიალექტიკის სქოლასტიკურ მეთოდს" (Kimball, 1995, p.64). დისპუტებში მიღწეული წარმატებული გამოცდების შემდეგ კანდიდატს ენიჭებოდა ლიბერალური განათლების ბაკალავრის ხარისხი და მას ჰქონდა უფლება ეტარებინა Cappa - ხარისხის დამადასტურებელი ეს მოსაცმელი აღნიშნავდა, რომ კანდიდატი მზად იყო გაგეგრძელებინა სწავლა შემდეგ საფეხურზე. მომდევნო საფეხურზე სწავლება განისაზღვრებოდა ერთიდან სამ წლამდე და ეს საფეხური გულისხმობდა ბაკალავრების კანდიდატების უფრო ფუნდამენტურ მომზადებას მაგისტრის ხარისხისთვის. გამოცდების (examinatio) ჩაბარების შემდეგ მას ენიჭებოდა მაგისტრის ლიცენზია და ის უკვე დახელოვნებული იყო რომელიმე არჩეულ დარგში, იქნებოდა ეს მედიცინა, თეოლოგია, იურსპრუდენცია. ლიბერალური განათლების დისციპლინების სწავლება, რომელიც ძირითადად XI საუკუნებმდე და შემდეგ ჯონ სალსბერის ხელმძღვანელობით შარტრში ჯერ კიდევ მარციანუს კაპელას, კასიოდორეს და ისიდორეს მოდელით მიმდინარეობდა, მაგრამ მოგვიანებით საუნივერსიტეტო სივრცეში ორატორული ტრადიციების ჩანაცვლება მოხდა ფილოსოფიური ტრადიციებით. ეს ჩანაცვლება გამოიხატებოდა მათემატიკური დისციპლინების, არისტოტელეს ლოგიკის და ნატურალური ფილოსოფიის გაძლიერებით. სქოლასტიკოსებთან სწავლება არისტოტელეს შრომებზე იყო აქცენტირებული. ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს აღორძინება შუა საუკუნეების სქოლასტიკოსებთან ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ, არაბი

ფილსოოფოსების თარგმანების გზით მოხდა. სქოლასტიკური მსოფმხედველობა ეყრდნობოდა არისტოტელეს რაეალიზმს. სკოტ ერიუგენას ნეოპლატონური ტრადიცია კი დასავლეთ ევროპაში ნიკოლაუს კუზანელთან (1401-1464) გაგრძელდა, მაგრამ უნივერსიტეტებში და, განსაკუთრებით, პარიზის უნივერსიტეტში დომინანტი იყო არისტოტელიზმი, პლატონის შრომები ფაქტიურად არც განიხილებოდა. მიუხედავად ამისა, იყო აზრთა სხვადასხვაობა აკადემიურ წრეებში პლატონის და არისტოტელეს ფილოსოფიურ მსოფმხედველობასთან დაკავშირებით. "ფრანცისკანელებისა და დომინიკანელების ბერები უნივერსიტეტებში XIII საუკუნის პირველ ნახევარში გაძლიერდნენ, მიუხედავად მაგისტრთა გილდიებს შორის მიმდინარე კონფლიქტებისა. XII საუკუნეში ბენედიქტელთა ორდენი, ფრანცისკანელები და დომინიკანელები გამორიჩეოდნენ მტრული დამოკიდებულებით ლიბერალური განათლების წარმართული მოდელისადმი, მიუხედავად ამისა, მაინც სხვადასხვა მიმართულებით და მიდგომებიდან უჭერდნენ მხარს ამ მოდელს. ფრანცისკანელები და მასთან ასოცირებულები, ბონავენტურა (1221-1274), რობერტ გროსეტესტე (1170-1253) და როჯერ ბეკონი (1219-1292) ფოკუსირდებოდნენ შემდეგ ტრადიციებზე: პლატონი, ავგუსტინე, სპირიტუალისტები, ხაზს უსვამდნენ გამოცხადების ჭეშმარიტების უპირატესობას რაციონალურ დასკვნებთან შედარებით და ფილოსოფია დაუქვემდებარეს თეოლოგიას. დომინიკანელები, ალბერტ დიდი (1200-1280) და თომა აქვინელი (1224-1274) ცდილობდნენ შეერიგებინათ ორთოდოქსალური სწავლება ახალ სწავლებასთან განსხვავებული სინთეზის გზით: არისტოტელური, ემპირისტული, ლოგიკური მეთოდების გამოყენება გამოცხადების კომენტირებისას და განეცალკავებინათ ფილოსოფია თეოლოგიისგან" (Kimball, 1995, p. 66).

დომინიკანელებისა და ფრანცისკანელების განსხვავებული მოსაზრებები ტრივიუმისა და კვადრიუმის დისციპლინების შინაარსზე განსაკუთრებით აისახა პარიზის უნივერსიტეტის კურიკულუმზე. ფრანცისკანელების მცდელობა ტრივიუმი და კვადრიუმი ყოფილიყო უფრო თეოლოგიზებული, რეალურად რომის პაპის მიერ

იყო მოწონებული და მისაღები. მაშინ, როცა თომა აქვინელი თვლიდა, რომ ლიბერალური განათლების დისციპლინები მკაცრად არ უნდა იყოს თეორიული ფილოსოფიით განსაზღვრული და ის ცდილობდა ორატორული ტრადიციების სინთეზი ისე გაეკეთებინა ფილსოფოიურ ტრადიციებში, არ დაკარგულიყო რეტორიკის და გრამატიკის სწავლების მნიშვნელოვნობა ორატორული მიდგომების მიხედვით. მიუხედავად ამისა, თომა აქვინელის მიერ არისტოტელიზმის გაძლიერებამ ფილოსოფიურ და თეოლოგიურ აზროვნებაში განაპირობა ფილოსოფიური ტრადიციების გამარჯვება ლიბერალური განათლების მოდელის მოწყობაში. "ალბერტ დიდმა, თომა აქვინელმა და სხვებმა განსაზღვრეს ხუთ საფეხურიანი პროგრამა, რომელიც თეოლოგიისკენ არის მიმართული: ტრივიუმი, კვადირუმი, ნატურალური ფილოსოფია, მორალური ფილოსოფია, მეტაფიზიკა. აბელიარის მსგავსად, რომელმაც არ იცოდა ახალი ლოგიკა, თომ აქვინელმა ლოგიკა აქცია ლიბერალური განათლების ცენტრად, რომელიც პირდაპირ აკავშირებდა ეთიკას რაციონალიზმთან" (Kimball, 1995, p.67).

რა პრინციპით გამოყო ამერიკელმა ფილოსოფოსმა მარკუს პიტერ ფორდმა და ამერიკელმა თეოლოგმა ჯონ ბ. ქობმა პარიზის უნივერსიტეტი როგორც მოდელი, მაშინ, როცა შუა საუკუნეებში პირველი უნივერსიტეტი ბოლონია და მასთან ერთად სხვა უნივერსიტეტები იტალიაში, იბერიის ნახევარკუნძულზე და ინგლისში არანაკლები პოპულარობით გამოირჩეოდნენ მაშინდელ სტუდენტებსა და სწავლულებში, მითუმეტეს ბოლონიის უნივერსიტეტი დღევანდელი გადასახედიდან ცნობილია როგორც სტუდენტებზე ორიენტირებული უნივერსიტეტი, განსხვავებით, პარიზის უნივერსიტეტისგან, სადაც პროფესორთა გილდიები წყვეტდნენ უმნიშვნელოვანეს საკითხებს და საუნივერსიტეტო, აკადემიური ცხოვრების მიმართულებას. მიზეზი მნიშვნელოვანია და ეს არის პარიზის უნივერსიტეტის განსაკუთრებულობა სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით, რომელიც გამოიხატებოდა აკადემიური ცხოვრების და კურიკულუმის დისციპლინების შექმნით, თუ შეიძლება ითქვას, სხვა უნივერსიტეტები პარიზის

მოდელს იმეორებდნენ. ეს იყო აკადემიური ცხოვრების ძირითადი ცენტრი, სადაც ხდებოდა scientia speculativa პარადიგმების შექმნა, რომელ პარადიგმებსაც მისდევდნენ სხვა უნივერსიტეტები. თუმცა ოქსფორდმა და კემბრიჯმა შემდგომ სხვა მიმართულება აიღო და მათი კურიკულუმის პარადიგმა უკვე განსხვავდებოდა პარიზის კურიკულუმისგან და არ დომინირებდა არისტოტელიზმი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პარიზის უნივერსიტეტი პირველი იყო, სადაც შეიქმნა შუა საუკუნეების აკადემიურ ცხოვრებაში კურიკულუმის ის მოდელი, რომელმაც განსაზღვრა შუა საუკუნეების თეოლოგიური და ფილოსოფიური მსოფმხედველობა. "პარიზის უნივერსიტეტში ლოგიკის სწავლება იყო უმნიშვნელოვანესი ბირთვი და მოსამზადებელი ეტაპი ფილოსოფიასა და ფიზიკაში. ეს ტენდენცია გაგრძელდა ბოლონიაში და მის მეზობელ უნივერსიტეტებში, ნეაპოლში და დომინიკანური studium artium ფლორენციაში პარიზის მოდელს მისდევდა. ოქსფორდის ჩანაწერების მიხედვით, ლოგიკა დომინანტური იყო trivium-ში, მათემატიკურ ხელოვნებეში კი განსხვავებული ტენდენცია იყო" (Kimball, 1995, p.68).

კვადრიუმის დისციპლინების სწავლება იყო ნატურალური ფილოსოფიის შესავალი. ოქსფორდში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ნატურალურმა ფილოსოფიამ, ეს როჯერ ბეკონის დამსახურება იყო და მისი ემპირისტული მიდგომა გახდა ისეთი ტრადიციის შემქნელი ოქსოფრდის უნივერსიტეტში, რომელმაც შემდგომ განავითარა სიღრმისეულად მათემატიკური დისციპლინები და, განსაკუთრებით,მათემატიკური ლოგიკა. ფრანცისკანელთა შეხედულებები პოპულარული იყო ინგლისის აკადემიურ სივრცეში, ამიტომ ოქსფორდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პლატონის ფილოსოფიას და ნეოპლატონურ შეხდულებებს. ლათინური ენის გარდა, ოქსფორდში ყურადღება მიაქციეს ძველი ბერძნულის სწავლებას, რაც მიუთითებდა ბერძნული ფილოსოფიისადმი განსაკუთრებულ ინტერესზე, თუმცა კვადრიუმის დისციპლინებში ნატურალური ფილოსოფიის, ფიზიკის სწავლებამ და მათემატიკური ხელოვნებისადმი გამორჩეული ყურადღება ემსახურებოდა თეოლოგიურ მიზნებს.

პარიზის უნივერსიტეტი გამოირჩეოდა ფილოსოფიისა და თეოლოგიის ფაკულტეტებით და ლოგიკის სწავლება აქ ცენტრალური მნიშვნელობისაა. ეს ფაკულტეტები იმდენად პოპულარული იყო, რომ საგრძნობლად დაჩრდილა ბოლონიის უნივერსიტეტი. ბოლონიაში ორატორული ტრადიციების მქონე ლიბერალური განათლება ჯერ კიდევ ძალაშია. ოქსფორდში კი, სადაც ფრანცისკანული მიდგომებით და არისტოტელიზმის პირნციპებით მიმდინარეობდა სწავლება, აქცენტი კეთდებოდა უფრო ნატურალურ ფილოსოფიაზე, რა თქმა უნდა, თეოლოგიურ კონტექსტში.

პარიზის უნივერსიტეტის დაარსება, აგრეთვე, დაკავშირებულია რომის პაპ ინოკენტი III – სთან. რა თქმა უნდა, რომის კათოლიკური ეკლესიის ჩანაფიქრი იყო უნივერსიტეტი სრულიად მოქცეულიყო რელიგიური გავლენის ქვეშ. რაზეც მიანიშნებს თეოლოგიური ფაკულტეტის პოპულარობა პარიზში. პარიზის უნივერსიტეტის პოპულარობა, აგრეთვე, განპირობებული იყო იმ პოლიტიკური მდგომარეობით, რაც მაშინ იყო საფრანგეთში. სფრანგეთის მეფეები დაინტერესებული იყვნენ პარიზის უნივერსიტეტის წარმატებით და ე.წ. “Universitas Parisiene”- თი შექმნეს ის გარემო, რომ გერმანიიდან, ინგლისიდან ჩამოსულ სტუდენტებს თავი ეგრძნოთ უსაფრთხოდ და მშვიდად. პარიზის უნივერსიტეტის ქალაქი იყო დამოუკიდებელი ერთეული, რომელსაც ერთდროულად აკონტროლებდა საფრანგეთის მეფე და რომის პაპი. რომის პაპი გავლენის გაზრდას ცდილობს თეოლოგიისა და ფილოსოფიის მეშვეობით, რომელიც დაქვემდებარებულია თეოლოგიას. თუმცა, აქვე უნდა გავიხსენოთ ფრანგი ფილოსოფოსისა და პარიზის უნივერსიტეტის პროფესორის პიერ აბელიარის მოღვაწეობა. ის იმდენად სახელგანთქმული იყო მაშინდელ ევროპაში თავისი დებატებით, რომ მის მოსასმენად სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ სტუდენტები. ესეც პარიზის უნივერსიტეტის პოპულარობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. მიუხედავად იმისა, რომ პარიზის უნივერსიტეტი, ისე როგორც სხვა შუა საუკუნეების უნივერსიტეტები, რელიგიური მსოფლმხედველობის წიაღში ამოიზარდა, ერთგვარი ფარული

კონფრონტაცია საერო სწავლებასა და რელიგიურ სწავლებას შორის იქ ყოველთვის არსებობდა. პარიზის უნივერსიტეტში არ იყო დავიწყებული ორატორული ტრადიციები და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა რეტორიკის სწავლებას, აგრეთვე, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ იურისპრუდენციის ფაკულტეტზე რომის სამართლის სწავლების პრეცედენტი, მოგეხსენებათ, რომის სამართალი სამოქალაქო სამართალია და ის რელიგიურ კანონიკურ სწავლებასთან არ იყო დაკავშირებული. რომის პაპს სხვა გზა არ ჰქონდა და მან აკრძალა რომის სამართლის სწავლება უნივერსიტეტში, რადგან აშკარა იყო, რომ იქმნებოდა ეკლესიისთვის საშიში ნიადაგი და მისი გავლენის შესუსტების საშიშროება. რა თქმა უნდა, პაპის მიზანი იყო უნივერსიტეტი ყოფილიყო რელიგიური საზოგადოება, რომელიც მტკიცედ იქნებოდა ინტეგრირებული სამოქალაქო საზოგადოებასთან. პარიზის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე პროფესორების მხრიდან იყო მოთხოვნები თავისუფლად ესწავლებინათ პოზიტიური მეცნიერებები, არისტოტელეს ფიზიკა, მეტაფიზიკა, ლოგიკა, დიალექტიკა. ჯონ ბ. ქობს მიაჩნია, რომ პარიზის უნივერსიტეტი შეიქმნა როგორც კათოლიკური ეკლესიის მსახური. ევროპელები თავს მოიაზრებენ ქრისტიანებად და ეკლესია არის მათი ქრისტიანულ - რელიგიური ინსტიტუცია, რომელსაც განამტკიცებდა უნივერსიტეტი. პარიზის უნიევერსიტეტში ოთხი ძირითადი ფაკულტეტი იყო: Liberal Artes (ფილოსოფია), იურისპრუდენცია (შემდგომ რომის პაპის მოთხოვნით იურისპრუდენციის კურიკულუმში რელიგიური კანონიკა ისწავლებოდა), მედიცინა, რომელიც სუსტად იყო განვითარებული (მედიცინის ფაკულტეტი უფრო ძლიერი იყო იტალიაში სალერნოს უნივერსიტეტში, სადაც ყურადღება ეთმობოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს) და თეოლოგია, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ფაკულტეტად ითვლებოდა ევროპაში. თეოლოგიის ფაკულტეტზე ტრივიუმის (გრამატიკა, ლოგიკა, რეტორიკა) სწავლება ემსახურებოდა თეოლოგიის განმტკიცებას და მომავალ საეკლესიო მოღვაწეებს შეიარაღებდა საჭირო არგუმენტებით ქრისტიანობის მოწინააღმდეგეთა ან ერეტიკოსთა წინააღმდეგ. იგივე დანიშნულების იყო კვადრიუმიც (გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, ასტრონომია) და თეოლოგიური

მიზნებით ისწავლებოდა. ტრივიუმისა და კვადრიუმის სწავლება აუცილებელი იყო ყველა ფაკულტეტისთვის, ანუ ე.წ. Artes Liberales იყო ერთგვარი კოლეჯი, რომელიც სავალდებულო იყო ყველა სტუდენტისთვის. თეოლოგიის კურიკულუმის პრიმატულობა პარიზის უნივერსიტეტში, პირველ რიგში, გამოიხატებოდა ლათინური ენის სწავლების აუცილებლობით, როგორც ეკლესიის დედა ენისა. რომის პაპების აზრით, პარიზის უნივერსიტეტი იყო საშუალება ქრისტიანულ სამყაროზე გავლენის მოსაპოვებლად. პარიზის უნივერსიტეტის იყო რომის პაპის ეკლესიური იმპერიის მნიშვნელოვანი ელემენტი. ჯონ ბ. ქობი სწორად მიიჩნევს, რომ ინგლისში ოქსფორდსა და კემბრიჯში სწორედ პარიზის უნივერსიტეტის მოდელი იქნა გადატანილი, რომლის მოდელები ახალი მიწის, ამერიკის აღმოჩენის შემდეგ XVII საუკუნი შუა ხენებში ბოსტონში ჰარვარდის უნივერსიტეტში გადაიტანეს (Cobb, 2002). თუმცა პარიზის უნივერსიტეტის მოდელისგან განასხვავებებით ენების სწავლება განსხვავებული იყო. ჰარვარდში ლათინურის მაგივრად ისწავლებოდა ძველი ბერძნული, არამეული, ებრაული, როგორც ერთგვარი პროტესტი იყო კათოლიკური ეკლესიის მიმართ, რომელიც მსახურებას ლათინურ ენაზე აღასრულებდა. რეფორმაციის შემდეგ ჰარვარდის უნივერსიტეტში გაჩნდა პრეტენზია იმისა, რომ ბიბლიას გაცნობოდნენ პირველადი წყაროდან, რომელიც, რა თქმა უნდა, რეფორმაციის და მარტინ ლუთერის მსოფლმხედველობის გავლენა იყო. მარტინ ლუთერმა პირველმა გაბედა და მშობლიურ გერმანულ ენაზე ეთარგმნა ბიბლია, ვინაიდან იგი მიიჩნევდა, რომ ქრისტიანული სწავლება ეს ადამიანის, ინდივიდისთვის განკუთვნილი სწავლება და ცხოვრების ფორმაა, ამიტომ იგი არ უნდა იყოს გაუგებარ ენაზე წაკითხული. ვინაიდან მხოლოდ განათლებული ადამიანი ფლობდა ლათინურ ენას და ლუთერის აზრით, ქრისტიანობა კათოლიკური ეკლესიის წყალობით ელიტის რელიგიად იქცა, ხოლო ხალხი გაბრიყვებული იყო მათთვის უწვდომელი „ღვთაებრივი ენითა'' და ინდულგენციებით. ბიბლია უნდა ეკითხათ დედანში და მშობლიურ ენაზე, რა თქმა უნდა, ეს იყო ქრისტიანობის ახალი ჰერმენევტიკის მცდელობა.

ჰარვარდის კურიკულუმი, აგრეთვე, მოიცავდა სხვა პოზიტიურ მეცნიერებებსაც. თუმცა მოგვიანებით ბიბლიური ენების სწავლება შესუსტდა, გასაკუთრებით, XIX საუკუნეში. ზოგადად ჰუმანისტურმა იდეებმა კურკულუმის აგებაში დიდი გავლენა იქონია და უნივერსიტეტი პროტესტანტული იდეების განვითარების კერად იქცა. ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტები აგრძელებდნენ პარიზის მოდელს, რომელიც გამოიხატებოდა Artes Liberales-ი სწავლებაში, მხოლოდ ეს უკვე ტრანსფორმირებული იყო პროტესტანტული იდეებით. მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის შუა ხანებიდან, განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან, როდესაც ამერიკაში განათლებაში ფეხს იკიდებს პრაგმატისტული იდეები, Artes Liberales სწავლების მოდელი ისევ შენარჩუნებულია, რის შედეგადაც ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პარიზის უნივერსიტეტის იდეის შეფუთვა მოხდა პროტესტანტული იდეებით, მაგრამ შეინახა ლიბერალური განათლების და Studium Generale-ს ძირითადი პრინციპები.

რითი განსხვავდებოდა შუა საუკუნების ოქსფორდის უნივერსიტეტი პარიზის უნივერსიტეტისგან, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელმა სტუდენტებმა და პროფესორებმა, რომელთაც განათლება პარიზში მიიღეს, დიდი ენთუზიაზმით ჩაიტანეს პარიზის უნივერსიტეტის იდეა ოქსფორდში. არსებობს მოსაზრება, რომ ოქსფორდის დაარსება შემთხვევითი მითითებით მოხდა, რომელიც პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და ეს გამოიხატებოდა სტუდენტების ყოველდღიური გადინებით ინგლისიდან პარიზში (Cobb, 2002). ოქსფორდის პროფესორ-მასწავლებელთა მსოფლმხედველობა განისაზღვრებოდა ძველი ავგუსტინური დისციპლინებით, რომელიც შეზავებული იყო პლატონიზმის მოძღვრებით, ფრანცისკანული იდეებით და პოზიტიური მეცნიერებების, ნატურალური ფილოსოფიის სწავლებით. მათემატიკურ დისციპლინებს დიდი ყურადღება ექცეოდა. კათოლიკური ეკლესიის გავლენა ოქსფორდის უნივერსიტეტზე შესამჩნევად მცირე იყო, განსხვავებით პარიზის უნივერსიტეტისგან, თუ ჩვენ მოვიძიებთ პაპ ინოკენტი III და გრიგოლ XI-ის ბულებს იქ ვნახავთ, თუ რა დატვირთვა აქვს პარიზის უნივერსიტეტს

ეკლესიისათვის და იგი მიიჩნევა ქრისტიანული სამყაროს ცენტრად. ასეთმა დამოკიდებულებამ რომის პაპებისგან პარიზის უნივერსიტეტისადმი, ასე ვთქვათ, გამოათავისუფლა ინგლისური უნივერსიტეტი ვატიკანის გავლენისგან, ამიტომაც იქ ფეხი მოიკიდა პლატონიზმის სწავლებამ, პრაქტიკულად არ ისწავლებოდა აქვინელის არისტოტელიზმი და არც ფილოსოფია მოიაზრებოდა როგორც ღვთისმეტყველების დამატება. მეცნიერებამ ოქსფორდში განსაკუთრებული როლი შეიძინა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა პოზიტიურმა მეცნიერებებმა, როგორიცაა ფიზიკა და მათემატიკა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ოქსფორდი სრულად განთავისუფლებული იყო ეკლესიის გავლენისგან, ვინაიდან იქ პროფესორ-მასწავლებლები ცდილობდნენ, რომ რელიგიის მსახურებაში ჩაეყენებინათ ფიზიკა და მათემატიკა, მაშინ, როცა პარიზის უნივერსიტეტში არისტოტელეს დიალექტიკას წამყვანი ადგილი ეჭირა თეოლოგიაში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეკლესიისგან ოქსფორდისადმი ნაკლებად გამოჩენილმა ყურადღებამ მას მისცა უნებლიე ავტონომია და ამიტომ იქ მეცნიერებები ვატიკანის პოლიტიკისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ემპირიულ კვლევებს მეცნიერებაში, მაშინ, როცა პარიზში მხოლოდ არისტოტელესეული დილექტიკით შემოიფარგლებოდნენ და ეს იძენდა მეტად კონსერვატიულ ხასიათს. მოგვიანებით ოქსფორდის სულისკვეთება გამოიხატა სწორედ ინგლისელი ფრანცისკანელი ბერისა და სქოლასტიკოსი ფილოსოფოსის უილიამ ოკამისა (1285-1347) და ინგლისელი ემპირიკოსი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის (1632 – 1704) ფილოსოფიასა და განათლების თეორიებში.

როგორც ვხედავთ პარიზის უნივერსიტეტის კურიკულუმის პოლიტიკა შემუშავებული იყო ვატიკანის მიერ. კურიკულუმები მოდიფიკაციას რომის პაპის მითითებებით განიცდიდნენ, ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ განათლების პოლიტიკის დაკვეთა დიდ გავლენას ახდენდა უნივერსიტეტის პოლიტიკის და განვითარების ვექტორის მიმართულებაზე, რამდენადაც ეს ხდებოდა გარედან და არა იმენანტურად, საუნივერსიტეტო სივრცეში. ქრისტიანიზმის პარაიდგმიდან გამომდინარე პარიზის უნივერსიტეტის პოლიტიკაზე და ცოდნის სტატუსზე

გავლენას  რელიგიური ინსტიტუცია ახდენდა. მარკუს პიტერ ფორდიც თავის ნაშრომში სწორედ პარიზის უნივერსიტეტს ახასიათებს ქრისტიანიზმის კონტექსტში და მიიჩნევს, რომ ეს უნივერსიტეტი გამოხატავდა შუა საუკუნეების ცნობიერებას (Ford, 2002). პროფესორმა ჯონ ბ. ქობმა კი პარიზის უნივერსიტეტი როგორც ცალკე მოდელი აიღო, როგორც უნივერსიტეტების განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი პარადიგმული მაგალითი.

**ბ) ჰალეს უნივერსიტეტის მოდელი როგორც პირველი სეკულარული უნივერსიტეტის იდეა**

XVII საუკუნის ევროპა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში  რეფორმაციის ქარცეცხლში იმყოფებოდა და რამდენიმე რელიგიური ომიც გადაიტანა კათოლიკეებს, პროტესტანტებს, კალვინისტებსა და ჰუგენოტებს შორის. XVII საუკუნის შუახანებში ევროპაში ჯერ კიდევ ბუნდოვნად, მაგრამ საგრძნობლად იკვეთება ეროვნული სახელმწიფოს იდეა. გარდა ამისა, უკვე აღმოჩენილია ახალი მიწები და სავაჭრო გზები, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სახელმწიფოსა და მეფის ძალაუფლების გაძლიერებისთვის. ნელ-ნელა ჩნდება სეკულარული მმართველი და რელიგია უკვე თავად უნდა ჩადგეს სახელმწიფოს სამსახურში, როგორც მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი. XVII – XVIII საუკუნის ევროპაში გაძლიერდა ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, მოგვიანებით, პრუსია. ომი სახელმწიფოებს შორის უკვე არ მიმდინარეობს რწმენის დაპირისპირების ხარჯზე, არამედ მას აქვს ეკონომიკურ-პოლიტიკური დატვირთვა. ომის მიზანია გავლენის, სიმდიდრის, რესურსების მოპოვება, სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება. უკანა პლანზე იწევს დაპირისპირება ლუთერანებს, კათოლიკებს, ანგლიკანებს შორის. რომის პაპის გავლენა უკვე მეორე ხარისხოვანია. რა თქმა უნდა, საზოგადოების ამ მიმართულებით განვითარება ხელს უწყობს სხვა ტიპის უნივერსიტეტის ჩამოყალიბებას, რომლის მოდელი ეკლესიამ კი არ უნდა განსაზღვროს, არამედ სახელმწიფომ და უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო

ინტერესებს. ასეთი ტიპის უნივერსიტეტი 1697 წელს დაარსდა ჰალეში. ფრედერიკ I ბრანდენბურგის თაოსნობით. თავიდან ჰალეს უნივერსიტეტი დაარსდა როგორც ლუთერანული რელიგიის იდეების გამომხატველი, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ, უნივერსიტეტმა თითქმის სრულად გაწყვიტა ლუთერანულ ეკლესიასთან კავშირი. ჰალეს უნივერსიტეტში აქტიურად აღარ ისწავლებოდა ლათინური და გერმანული გახდას წავლების ენა. რაც შეეხებოდა კურიკულუმის აგებას, მთავარი სადემარკაციო ხაზი, რომელიც მას გამოარჩევდა პარიზის ტიპის უნივერსიტეტისგან, იყო პოზიტიური მეცნიერების სწავლება. ჰალეს უნვერსიტეტს უნდა მომეზადებინა ადამიანები, რომლებიც ეკლესიის მთავარი ფიგურა კი არა, არამედ სახელმწიფოს მოხელე გახდებოდა. ჰალეს უნივერსიტეტში ისწავლებოდა გეოგრაფია, პოლიტიკა, ე.წ. საჯარო ადმინისტრირება, რომელიც სახელმწიფო მოხელეებს მოამზადებდა. უნივერსიტეტის ამ იდეამ მაშინდელ გერმანიაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა და სხვა უნივერსიტეტებშიც კურიკულუმები ისე იყო აგებული, რომ მომავალი სწავლული უნდა მოემზადებინა როგორც სახელმწიფო მოხელე და ადამიანი, რომელიც მოემსახურებოდა სახელმწიფო ინტერესებს. მაგალითისათვის, მოვიყვანოთ შტუტგარტის უნივერსიტეტი[17], სადაც ისწავლებოდა სამართალი, სამხედრო მეცნიერება, მედიცინა, ეკონომიკა და სხვა.

### გ) ბერლინის უნივერსიტეტის მოდელი როგორც კვლევითი უნივერსიტეტი

თუ პარიზის უნივერსიტეტი რომის პაპის და საერთოდ კათოლიკური რელიგიის მანიფესტი იყო საგანმანათლებლო სივრცეში, ჰალეს უნივერსიტეტი კი თითქმის რადიკალურად სეკურალიზებული, ორიენტირებული იყო სახელმწიფო ინტერესების შესაბამისი განათლებული სპეციალისტების და საჯარო მოხელეების აღზრდაზე. ბერლინის უნივერსიტეტი განსხვავებულ მოდელს წარმოადგენდა. თავად ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი მიიჩნევდა, რომ მეცნიერებას აქვს დანიშნულება

[17]შტუგარტის უნივერსიტეტი - გერმანული ტექნიკურ განათლებაზე ორიენტირებული უნივერსიტეტი, დაარსებული 1829 წელს. შტუტგარტის უნივერსიტეტის თავდაპირველი სახელწოდება იყო შტუტგარტის ტექნიკური კოლეჯი.

ერის მორალური კულტურისთვის და ეს არის მთავარი. უნივერსიტეტის დანიშნულება ის არის, რომ ობიექტური მეცნიერება გააერთიანოს სუბიექტურ განათლებასთან. რამდენადაც, ჰუმბოლდტის აზრით, სამეცნიერო დაწესებულებებს შეუძლია მიაღწიონ მიზანს იმ შემთხვევაში, თუ თითოეული მათგანი შეძლებისდაგვარად მიჰყვება მეცნიერების წმინდა იდეას, როგორც ასეთს (Humboldt, 1970). ბერლინის უნივერსიტეტის მოდელის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია გერმანულმა კლასიკურმა ფილოსოფიამ, განსაკუთრებით, იმანუელ კანტმა (1724-1804). მთავარი პრინციპი, რაც ბერლინის უნივერსიტეტს გამოარჩევს სხვადასხვა დროის სხვადასხვა ტიპის უნივერსიტეტებისაგან, ეს არის თავისუფლების იდეა და მეცნიერების იდეისადმი მსახურება. თავად მეცნიერების იდეისადმი მსახურება არის უკვე უნივერსიტეტის მთავარი დანიშნულება, რომელიც ერის მორალურ კულტურას გამოხატავს და არა სხვა გარეგანი ძალებისადმი მსახურებას. ჰუმბოლდტის აზრით, უმაღლესი სასწავლებლების განსაკუთრებულობა იმაშია, რომ მათთვის მეცნიერება ყოველთვის პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ უპოვია თავისი საბოლოო გადაწყვეტილება, ამიტომაც მასში ყოველთვის იკვლევენ, მაშინ როცა სკოლას გააჩნია მზა და უკამათო ცოდნები და რომელსაც გადასცემს მოწაფეებს (Humboldt, 1970). აქ ნათლად ჩანს ჰუბოლდტის პოზიცია უნივერსიტეტის იდეისადმი, მუდმივი კვლევა, სწავლება, მეცნიერების პროგრესი და განვითარება, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს ერის სულიერი მოთხოვნებიდან. ჰუმბოლდტის აზრით, უნივერსიტეტში მასწავლებელი ემსახურება სტუდენტს, მაგრამ ორივე ერთად მეცნიერებას, ამიტომ ისინი არიან თანამშრომლები. არა სახელმწიფოს და ეკლესიის, არამედ მეცნიერების მსახურები. შესაბამისად, ერის სულიერი კულტურისა, ვინაიდან გერმანელი მოაზროვნე თვლის, რომ მხოლოდ ერის სულიერ კულტურაზე ზრუნვა არის გარანტია მისი განვითარებისა და არა ცალსახად რამის მსახურება. სახელმწიფო ვალდებულია:

1. ყოველთვის მხარი დაუჭიროს მეცნიერების მოღვაწეობას მის ყველა გამოვლინებაში

2. არ მისცეს საშუალება, რომ მოდუნდეს, გაუსვას ხაზი მკვეთრ განსხვავებას სკოლასა და უნივერსიტეტს შორის (არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც)

სახელმწიფომ მუდამ უნდა ჩააბაროს თავისთავს ანგარიში, რომ ის არ უზრუნველყოფს მეცნიერების შედეგებს, მას არ შეუძლია ამის გაკეთება. პირიქით, ნებისმიერი სახის ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან ხელს შეუშლის მეცნიერების განვითარებას (Humboldt, 1970). ჰუმბოლდტის ეს იდეები საფუძვლად დაედო უნივერსიტეტების დიდ ქარტიას, რომელიც ბოლონიის პროცესის წინარე დოკუმენტი გახდა. ბერლინის უნივერსიტეტის იდეა და მისი გათავისუფლება რელიგიური გავლენებისაგან, რა თქმა უნდა, არ იყო შემთხვევითი. მას საფუძვლად უდევს იმანუელ კანტის იდეალისტური ფილოსოფია. იმანუელ კანტი ხაზს უსვამს გონების საზღვრებს რწმენასთან მიმართებაში, რელიგია ჩვენი გამოცდილების მიღმაა, ეს ერთგვარი სეკულარიზება იყო რელიგიისა მეცნიერული კვლევებისგან, რომელმაც დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ XIX საუკუნის მეცნიერულ კვლევებზე, არამედ XX საუკუნეზეც. ბერლინის უნივერსიტეტი იყო წმინდა კვლევითი უნივერსიტეტი, რომელმაც ძალიან დიდი გავლენა მოახდინა სხვა გერმანულ უნივერსიტეტებზე და გერმანია აქცია მეცნიერული კვლევების ცენტრად. კვლევისა და სწავლების ინტეგრირება არის ის კონცეფცია, რომელიც ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტს განასხვავებს სხვა მოდელებისგან. ბერლინის უნივერსიტეტის კურიკულუმი, დისციპლინები, საგნების სწავლება და მეთოდები ისე იყო აგებული, რომ თეორიული თუ პრაქტიკული კვლევის გარეშე არ მიმდინარეობდა სწავლება უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის პროფესორი ვალდებული იყო სტუდენტს დახმარებოდა კვლევებში და მასთან ერთად ეკვლია ამა თუ იმ მეცნიერების საკვლევი პრობლემა. გერმანული კვლევითი უნივერსიტეტის იდეა XIX საუკუნეში აიტაცეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკელი მეწარმის და ფილანთროპის ჯონ ჰოპკინსის სახელზე (1795-1873) ამერიკაში დაფუძნდა პირველი გერმანული ტიპის უნივერსისტეტი - ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი 1876

წელს, რომელიც ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის მიერ 1809 წელს დაარსებული ბერლინის უნივერსიტეტის მოდელის გადატანის მცდელობა იყო. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი გახდა თანამედროვე კვლევითი ამერიკული უნივერსიტეტების სანიმუშო მოდელი, რომელმაც ამერიკას საერთაშორისო ასპარეზზე დიდი წარმატება მოუტანა. როგორც ჰუმბოლდტი იტყოდა ჭეშმარიტი ცოდნა იბადება გამოცდილებისა და ენთუზიაზმის ურთიერთთამაშით (Humboldt, 1970), რომელიც შეიძლება ბერლინის კვლევითი უნივერსიტეტის მთავარ ლაიტმოტივად ჩავთვალოთ.

**დ) ფენიქსის უნივერსიტეტი როგორც შრომის ბაზრის დაკვეთის შემსრულებელი უნივერსიტეტის კონცეპტუალური მოდელი**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე ჩანს ეკონომიკური გლობალიზაციის კონტურები. ნაციზმგამოვლილი ევროპა, რომლის ეკონომიკა კრიზისშია, მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის ფეხზე დაყენებაზე ფიქრობს და ბერლინის უნივერსიტეტის, როგორც ამ შემთხვევაში ნაცისტური გერმანიის სიმბოლო, ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის გამორჩეული ინტელქტუალური ტვინების გადინება იწყება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ევროპა ნაკლებად ფიქრობს საუნივერსიტეტო განათლებაზე, მისი პრიორიტეტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიყენებული ეკონომიკური, მორალური და მატერიალური ზარალიდან რეაბილიტაციაა. ამ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები ყურადღების ცენტრშია და ამერიკის წამყვანი ფიგურები უნივერსიტეტების განვითარებას მიიჩნევენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გარანტად. როგორც ჯონ ბ. ქობი მიიჩნევს, ფენიქსის უნივერსიტეტი ჰალესა და ბერლინის უნივერსიტეტის ევოლუციური ფორმაა, საზოგადოების სეკულარიზაცია უკვე დიდი ხანია ნათელია, სახელმწიფოც ასეთ პოლიტიკას ატარებს (Cobb, 2002). ფენიქსის უნივერსიტეტი დაარსდა 1976 წელს ბიზნესმენ ჯონ გლენ სპელინგის (1921-2014) მიერ, როგორც მომგებიანი

იურიდიული პირი. ეს ის დროა, როდესაც მსოფლიო ინდუსტრიული განვითარების ყველაზე აქტიურ პერიოდშია. ფენიქსის უნივერსიტეტის იდეა გულისხმობს, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს მეცნიერების განვიათარებას, მეორე მხრივ, მოემსახუროს სახელმწიფოს ინტერესებს და საზოგადოების მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. ეკონომიკის განვითარების ტენდენციამ და მისმა გლობალურმა ხასიათმა ამერიკის შეერთებული შტატები დააყენა სხვა გამოწვევების წინაშე. ერთი მხრივ, ეკონომიკის განვითარება, რომელიც პრიოროტეტს ანიჭებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მეორე მხრივ, ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს ტექნოლოგიების განვითარებას, რომელიც შეუძლებელია მეცნიერული მიღწევების გარეშე. უნივერსიტეტები ვალდებულნი არიან მოემსახურონ ეკონომიკურ ინტერესებს, მოამზადონ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, იქნება ეს გამოყენებითი დარგის სპეციალისტი, თუ მეცნიერი, რომელიც იზრუნებს მეცნიერულ პროგრესზე. ჯონ ბ. ქობი შემდეგნაირად ახასიათებს ამერიკის შეერთებულ შტატებში შრომის ბაზარზე ორიენტირებულ უნივერსიტეტებს: "მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბუნებრივი კითხვა რომელსაც უსვამდნენ სტუდენტებს იყო „რომელ დარგზე სწავლობ?" კითხვა თავისთავად გულისხმობდა შემდეგ ქვეტექსტს: „რომელი სამსახურითვის გამზადებენ?" (Cobb, 2002). პროფესიონალიზმი გახდა ეკონომიკის გლობალიზაციის და შრომის ბაზრის ინდუსტრიალიზაციის პირობებში უნივერსიტეტებისთვის წამყვანი ვექტორი. რას გულისხმობს პროფესიონალიზმი? ამ ცნებას თუ შევხედავთ როგორც გარკვეული სახის უნარ-ჩვევების დაუფლებას ამა თუ იმ სპეციალიზაციით, რომლის საშუალებითაც ადამიანი მოემსახურება ამა თუ იმ დარგს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია ინდივიდის პროფესია, დახელოვნება რომელიმე დარგში. თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიების ისეთი დარგები განვითარდა, რომელიც ვიწრო ცოდნას მოითხოვს და როგორც შესავალში ვთქვით, ეს ვითარება ტექნოკრატიულ სამყაროში ცვლის ცოდნის სტატუსს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერება გაქრა როგორც ასეთი, მეცნიერებასაც შეეცვალა სტატუსი ცოდნის სტატუსის კვალდაკვალ. მართალია, ჰუმბოლდტის იდეა მეცნიერებისა და უნივერსიტეტის შესახებ, თუ შეიძლება

ითქვას, „შენახულია“ ბოლონიის პროცესის კოცენფციაში, მაგრამ იცვლება ცოდნის სტატუსი და მისი შინაარსებს ემატება ტექნოკრატიული იდეები, რადგან გლობალიზაცია სხვა გამოწვევების წინაშე აყენებს თანამედროვე უნივერსიტეტებს. ვინაიდან ეკონომიკა სახელმწიფოს განვითარების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა არის მთავარი იდეოლოგიაა, ამიტომ სახელმწიფო თუ კორპორაციები მნიშვნელოვნად ერევიან მეცნიერების განვითარების საქმეში და ამ ჩარევის ლეგიტიმაციიისთვის საკანონმდებლო ნიადაგსაც ქმნიან. როგორც ლიოტარი იტყოდა, მთავარია იდეის ლეგიტიმაცია, თუ გინდა ეს იდეა განხორციელდეს (Lyotard 1979)

ამერიკელი თეოლოგი ჯონ ბ. ქობი გვთაზობს მარკუს პიტერ ფორდზე დაყრდნობით უნივერსიტეტის ოთხ მოდელს, რომელიც, ქრისტიანიზმის, ნაციონალიზმის და ეკონომიზმის იდეების და მსოფხედვის ასახვაა საუნივერსიტეტო განათლების ისტორიაში. ამ მოდელების განხილვამ გვაჩვენა, რომ ძირითადი ტენდენცია, რაც უნივერსიტეტების განვითარების ისტორიაში შეიმჩნევა ის არის, რომ განათლების პოლიტიკის დაკვეთა გარედან ხდება, რაც შემდგომ უნივერსიტეტებში აისახება კურიკულუმების აგებისა და მისი განხორციელების გზებში. არ აქვს მნიშვნელობა, ეს დამკვეთი ვინ იქნება რელიგიური ინსტიტუცია, სახელმწიფო, შრომის ბაზარი თუ საერთაშორისო კორპორაციები. ეკონომიზმის ტენდენციები განათლებაში სწორედ ინდუსტრიალიზაციის განვითარებით არის ნაკარნახევი. ეკონომიზმი გულისხმობს საზოგადოებაში ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულობას, რომელზეც რედუცირდება ყველა სხვა სოციალური, კულტურული თუ ნაციონალური ფაქტორები. ეს ტენდენცია, მათ შორის, ინდუსტრიალიზაციამ მოიტანა, რომელიც ყველაზე ინტენსიურად XIX საუკუნიდან დაიწყო, როდესაც მანუფაქტურული წარმოება ნელ-ნელა გადადიოდა მანქანურ წარმოებაში. ქრისტიანიზმის იდეის გამოხატულება პარიზის უნივერსიტეტი, სეკულარიზაციის და ნაციონალური იდეების ჰალეს უნივერსიტეტი. ბერლინის უნივერსიტეტი, ამ კონტექსტში მნიშვნელოვნად განსხვავდება ჰალეს უნივერსიტეტის მოდელისგან როგორც უნივერისტეტის

ავტონომიაზე ორიენტირებული დაწესებულება, რომლის მთავარი მიზანია მეცნიერების მსახურება. ეკონომიზმის იდეაფიქსს კი ასახავს ფენიქსის უნივერსიტეტი. ამერიკელი მკვლევარის მარკუს პიტერ ფორდის მიხედვით უნივერსიტეტის განვითარების ათასწლოვანი ისტორია სწორედ ამ კლასიფიკაციის მიხედვით შეგვიძლია გავიაზროთ (Ford, 2002). სწორედ მარკუს პიტერ ფორდის და ჯონ ბ. ქობის კლასიფიკაციაზე და მოდელებზე დაყრდნობით ვეცადეთ ახალი კლასიფიკაციის შექმნა, რომელსაც მომდევნო თავში განვიხილავთ.

## თავი III. უნივერსიტეტების განვითარების ეტაპების ახალი კლასიფიკაციის მცდელობა

უნივერსიტეტების წარმოშობა ევროპაში ქრისტიანული რელიგიის წიაღში მოხდა და აქედან დაიწყო მათი განვითარების ისტორია, მაგრამ ევროპული ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ, უნივერსიტეტები განსხვავებულ კონტექსტში ქმნიდნენ და გადასცემდნენ ცოდნას. ეს კონტექსტები იქმნებოდა უნივერსიტეტებისა და ევროპაში არსებული პოლიტიკურ-სოცალურ-ეკონომიკური ამინდების მიხედვით, შეიძლება ითქვას, ერთმანეთსაც განაპირობებდნენ. ამერიკელი ფილოსოფოსის მარკუს პიტერ ფორდისა და ამერიკელი თეოლოგის ჯონ ბ. ქობის მიერ წარმოდგენილი უნივერსიტეტის ოთხი ძირითადი მოდელის დახასიათების საფუძველზე ვეცადეთ უნივერსიტეტის განვითარების ისტორიის განსხვავებული რაკურსით გაგვეკეთებინა კლასიფიცირება და უნივერსიტეტის განვითარების ისტორიული პერიოდიზაცია დავყავით ეტაპებად, რომლის მიხედვით შესაძლებელია უფრო ცხადად დავინახოთ, თუ რა კონტექსტში და როგორ ვითარდებობა საუნივერსიტეტო განათლება, ცოდნის სტატუსს როგორი შინაარსები ემატებოდა ან აკლდებოდა, რაც, შემლებისდაგვარად, გვაძლევს უნივერსიტეტის მომავლის პროგნოზირების საშუალებას.

ეს ეტაპები შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

**ა) რელიგიური ცნობიერება**

**ბ) ნაციონალური ცნობიერება**

**გ) ინდუსტრიული ცნობიერება**

**დ) ტექნოლოგიური ცნობიერება**

მარკუს პიტერ ფორდი თავის წიგნში: „მოდერნული უნივერსიტეტის მიღმა: კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტისკენ“ (Beyond the Modern University: Toward A construtive Postmodern University“ (2002)) იმეორებს ჯონ ბ. ქობის

მიერ წარმოდგენილ უნივერსიტეტების განვითარების სამ ისტორიულ პერიოდს: ქრისტიანიზმი, ნაციონალიზმი და ეკონომიზმი. სწორედ ეს პერიოდიზაცია გამოვიყენეთ უნივერსიტეტის ეტაპების განვითარების ჩვენეული კლასიფიკაციისთვის. თითოეული პერიოდი განვიხილეთ როგორც ცნობიერების განვითარების ცალკეული ეტაპი და ამ პრინციპით გამოვყავით სამი ტიპის ცნობიერება: რელიგიური, ნაციონალური და ინდუსტრიული, ხოლო მეოთხე ეტაპი თანამედროვე სამყაროს განვითარების ტექნოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, ვუწოდეთ ტექნოლოგიური ცნობიერება. ინდუსტრიული ცნობიერება აქ ასახავს ჯონ ბ. ქობის მიერ წარმოდგენილ ეკონომიზმის იდეას. ეკონომიზმის მაგივრად შევარჩიეთ ტერმინი „ინდუსტრიული", რადგან, ჩვენი აზრით, ეს უკეთ ასახავს იმ კონდიციას და ეკონომიკური განვითარების ტენდენციას, რაც იყო XIX, XX საუკუნეებში. ბოლო ორი საუკუნის პერიოდიზაციაში მიღებულია ტერმინ „ინდუსტრიულის" გამოყენება. პირველი ინდუსტრიული რევოლუციის ათვლას იწყებენ 1780 წლიდან, მეორე ინდუსტრიული რევოლუციის 1870 წლიდან, მესამე ინდუსტრიული რევოლუცია უკავშირდება მეორე მსოფლიო იმის შემდეგ კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებას, რომელიც გრძლდებოდა დაახლოებით 2000 წლამდე, ხოლო მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ათვლა იწყება ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის იდეის განვითარებიდან, რომელიც მოიცავს 2000 წლიდან დღემდე პერიოდს (Gleason, 2018). სწორედ ამ პერიოდს ჩვენ ვუწოდეთ ტექნოლოგიური ცნობიერება, რომლის ათვლას ვიწყებთ 1990-იანი წლებიდან. მარკუს პიტერ ფორდისა და ჯონ ბ. ქობის მიერ წარმოდგენილი უნივერსიტეტის ოთხი მოდელი, როგორიცაა პარიზის უნივერსიტეტის მოდელი, ჰალეს უნივერსიტეტის მოდელი, ბერლინის უნივერსიტეტის მოდელი, ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელი, ამ ცნობიერების ეტაპების მიხედვით შეიძლება გადავანაწილოთ შემდეგნაირად.

რელიგიური ცნობიერების ეტაპზე, შუა საუკუნეების უნივერსიტეტები ჰუმანისტური პრინციპების გავრცელებამდე, ფილოსოფიური ქრონოლოგიის მიხედვით ეს არის პერიოდი ადრეული ქრისტიანობიდან დეკარტეს ფილოსოფიამდე და 1088 წელს

პირველი უნივერსიტეტის დაფუძნებამდე პერიოდი ჰალეს უნივერსიტეტამდე. ჰალეს უნივერსიტეტის და ბერლინის უნივერსიტეტის მოდელი თავსდება ნაციონალური ცნობიერების ეტაპზე, ხოლო ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელი უკავშირდება ინდუსტრიული ცნობიერების ეტაპს. ტექნოლოგიური ცნობიერების ეტაპი კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გლობალური ინტერნეტის შექმნიდან, XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან, 90-იანი წლებიდან იწყება.

რელიგიური ცნობიერების ეტაპზე უნივერსიტეტები როგორც რელიგიურ ინსტიტუციებს დაქვემდებარებული სუბიექტები, ძირითადად, ორიენტირებულები იყვნენ ისეთ ინტელექტუალურ, მორალურ და სულიერ ღირებულებებზე, როგორიცაა: ღმერთის იდეა, ჭეშმარიტი შემეცნების მიღწევა, როგორც ღმერთის უმაღლესი იდეისადმი სწრაფვა, განღმრთობა და ღმერთი როგორც უმაღლესი ჭეშმარიტება. ყველა ინტელექტუალურ/ფილოსოფიური მონაპოვარი მიმართული იყოს თეოლოგიური კონოტაციის მქონე პოსტულატების დასაბუთებისკენ. უნივერსიტეტების კურიკულუმები, განსაკუთრებით, სორბონის, ბოლონიის, შედგენილი იყო რომის პაპის და რომის კათოლკური ეკლესიის მითითებებით და რეკომენდაციებით. სწავლების პირველი საფეხური, რომელიც ითვალისწინებდა ანტიკური ეპოქის საგანმანათლებლო იდეებს და გამოცდილებას, ტრივიუმ/კვადრიუმის პრინციპით აგებული შემდგომ ემსახურებოდა თეოლოგიური განათლების გაღრმავებას. მართალია, იურსპრუდენცია, მედიცინა ჩვეულებრივ ისწავლებოდა შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში, მაგრამ ყველაზე პრესტიჟული და, ამავე დროს, რთული იყო თეოლოგიური ფაკულტეტის დასრულება, შესაბამისად ამ დარგში დოქტორის ხარისხის მინიჭება. თეოლოგიის დოქტორი ითვლებოდა ყველაზე განსწავლულ და გავლენიან ადამიანად შუა საუკუნეებში.

თუ შეიძლება ითქვას, რელიგიური ცნობიერება განსაზღვრავდა ცოდნის სტატუსს და არისტოტელეს ფორმულირება „ცოდნა ცოდნისთვის“ რომელიც მოიაზრებოდა შემეცნების კვინტესენციად და თეორიული ჭვრეტის უმაღლეს მიზნად, შუა საუკუნეებში ხორციელდებოდა მხოლოდ ქრისტიანიზმის რეგისტრში. ამიტომაც

ამბობდნენ მოაზროვნეები, რომ ამ ეპოქაში ფილოსოფია ემსახურებოდა თეოლოგიას და, შესაბამისად, ცოდნის სტატუსი როგორც ასეთი წარმოდგენილი იყო რელგიური ცნობიერების განზომილებაში.

თომა აქვინელის „Summa Theologiae"-მ როგორც სისტემურმა ფილოსოფიურ-თეოლოგიურმა დოქტრინამ თითქმის თავიდან ბოლომდე განსაზღვრა შუა საუკუნეების უნივერსიტეტების განათლების პოლიტიკა, განსაკუთრებით პარიზში და ბოლონიაში. ამიტომ ამ უნივერსიტეტებში მხოლოდ არისტოტელეს ფილოსოფია და შესაბამისად არისტოტელიკოსების ინტერპრეტაციები დომინირებდა სასწავლო პროცესში, მაგრამ ოქსფორდში და კემბრიჯში პლატონს არანაკლები ყურადღება დაუთმეს, რამაც  გარკვეული იდეოლოგიური გავლენა მოახდინა ანგლიკანური ეკლესიის ჩამოყალიბებაზე და რომის გავლენისგან გათავისუფლებაზე.

თუმცა  შუა საუკუნეების შემდგომი ევროპა სწორედ კათოლიციზმის ძლიერი გავლენის გამო, რაც ფილოსოფიურად და თეოლოგიურად გამყარებული იყო, რელიგიური რევოლუციის წინაშე დააყენა, რაც, ერთი მხრივ, განპირობებული იყო  საეკლესიო ლათინური ენის დომინირების გამო.  ღარიბმა ფენამ არ იცოდა ეს ენა და შესაბამისად, არ ესმოდა არც რომის ეკლესიის იდეოლოგია, გარდა იმისა, რომ კორუფციული სისტემა არსებობდა ინდულგენციების სახით. ამასთან აღორძინების ეპოქამ ადამიანი როგორც უმნიშვნელოვანესი ღირებულება წინ წამოწია, ღმერთი, როგორც გაპიროვნებული ცენტრალური სუბიექტი ჩაანაცვლა და ანთროპოცენტრისტულმა იდეებმა რეფორმაციული ტალღა ააგორა.  რელიგიური ომების დაუსრულებელმა სისხლისღვრამ იმდენად გამოფიტა ევროპა, რომ  სეკულარული იდეების გაჩენას შეუწყო ხელი. სეკულარული იდეები  საუნივერსიტეტო სივრცეშიც აისახა, ამის დასტურია გერმანიაში ჰალეს უნივერსიტეტის დაარსება, რომელიც რეალურად თავისუფალი იყო რელიგიური ცნობიერების გავლენისგან, მიუხედავად ლუთერანული შეხედულებებისა. რელიგიური ცნობიერება გადავიდა ნაციონალური ცნობიერების სიბრტყეზე. სწორედ აქედან იწყება უნივერსიტეტის იდეის განვითარების მეორე ეტაპი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ნაციონალური ცნობიერება. ნაციონალური ერთ-ერთი ცნობიერების

ჩამოყალიბების წინაპირობა იყო ევროპაში ერების თვითგამორკვევის საკითხი. რელიგიური ომების შემდეგ ევროპული ქვეყნების მმართველთა ყურადღებამ გადაინაცვლა ნაციონალურ იდეებზე, რომელსაც თან უძღოდა სეკულარული ტენდენციები, ხელისუფლებისა და ეკლესიის გამიჯვნა.

სეკულარული იდეების განვითარებამ და რელიგიური ინსტიტუციების ნაკლებმა ჩარევამ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში, ერთი მხრივ, ნაციონალური ცნობიერების განვითარება გამოიწვია და, მეორე მხრივ, საზოგადოებაში მომწიფდა მეცნიერული კვლევების აუცილებლობა უნივერსიტეტის ავტონომიურობის იდეასთან ერთად, ჰალეს უნივერსიტეტის შემდგომ საფუძველი ჩაეყარა ნაციონალური ცნობიერების წინ წამოწევას. ინგლისელი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის (1561-1626) ტრაქტატის „ახლი ორგანონის“ გავლენა მეცნიერების არსზე და ცოდნის სტატუსზე იმდენად მნიშნელოვანი გახდა, რომ მეცნიერული კვლევა, როგორც ასეთი, არ მოიაზრებოდა როგორც მხოლოდ თეორიული ანალიზი, არამედ ექსპერიმენტული ხასიათი შეიძინა, ტერმინი „დაკვირვება“ და „ექსპერიმენტი“ მეცნიერული დასაბუთების უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა.

ეს ის პერიოდია, როდესაც ნიუტონმა აღმოაჩინა მიზიდულობის კანონი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა საზოგადოების განვითარებაში ფაქტიურად წამყვანი ადგილი დაიკავა. ამას დაემატა განმანათლებლობის იდეები, ვოლტერი (1694-1778), ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778), დენი დიდრო (1713-1784). ეს ის ეპოქაა, როდესაც უნივერსიტეტის იდეის განვითარება სწორედ ნაციონალური ცნობიერების რეგისტრში მიმდინარეობს.

თუ პარიზის უნივერსიტეტი რომის პაპის და ქრისტიანული რელიგიის მანიფესტი იყო საგანმანათლებლო სივრცეში, ჰალეს უნივერსიტეტი პირველი სეკურალიზებული უნივერსიტეტი გახდა და ნაციონალიზმის კონტექსტში ვითარდებოდა ბერლინის უნივერსიტეტის ჩათვლით. ჰალე ორიენტირებული იყო სახელმწიფო ინტერესების შესაბამისი განათლებული სპეციალისტების და საჯარო მოხელეების აღზრდაზე, ბერლინის უნივერსიტეტი უფრო განსხვავებულ მოდელს წარმოადგენდა და

ორიენტირებული იყო სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციაზე, ავტონომიაზე და მეცნიერული კვლევების განვითარებაზე. ბერლინის უნივერსიტეტის მოდელის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია გერმანულმა კლასიკურმა ფილოსოფიამ. მთავარი პრინციპი, რაც ბერლინის უნივერსიტეტს გამოარჩევს სხვადასხვა დროის სხვადასხვა ტიპის უნივერსიტეტებისაგან, ეს არის უნივერსიტეტის ავტონომიურობა, მეცნიერული კვლევის თავისუფლება, სახელმწიფოს ჩაურევლობა უნივერსიტეტის და მეცნიერების განვითარებაში. ჰუმბოლდტის აზრით, თავად მეცნიერების იდეისამდმი მსახურება არის უკვე უნივერსიტეტის მთავარი დანიშნულება, რომელიც ერის მორალურ კულტურას გამოხატავს და არა სხვა გარეგანი ძალებისადმი მსახურება (Humboldt, 1970)

ბერლინის უნივერსიტეტი ნაციონალური ცნობიერების იდეეების კონტექსტში ვითარდებოდა, მაგრამ მისი მთავარი მიზანი იყო მეცნიერული კვლევების განვითარება, მეცნიერების იდეისადმი მსახურება. ჰუმბოლდტი მიიჩნევდა, რომ მეცნიერების გარეშე სახელმწიფო ვერ განვითარდებოდა და ნაციონალურ იდეებსაც შესაბამისად არანაირ ღირებულება არ ექნებოდა (Humboldt, 1970). ბერლინის უნივერსიტეტი იყო კვლევითი ტიპის უნივერსიტეტი. გერმანიაში ეს უნივერსიტეტი იქცა მეცნიერული კვლევების ცენტრად XIX საუკუნიდან მოყოლებული და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ბერლინის უნივერსიტეტის კურიკულუმი, დისციპლინები, საგნების სწავლების მეთოდები ისე იყო შემუშავებული, რომ თეორიული და პრაქტიკის ინტეგრირების პრინციპზე იყო აგებული სწავლება და კვლევა. უნივერსიტეტის პროფესორი ვალდებული იყო სტუდენტს დახმარებოდა კვლევებში და მასთან ერთად ეკვლია ამა თუ იმ მეცნიერების საკვლევი პრობლემა. როგორც ნაშრომის მეორე თავში აღვნიშნეთ, გერმანული კვლევითი უნივერსიტეტის იდეა XIX საუკუნეში აიტაცეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის საფუძველზე 1876 წელს გაიხსნა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი. მიუხედავად ჰუმბოლდტის იდეების პოპულარობისა სამეცნიერო წრეებში და საუნივერსიტეტო სივრცეში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიზმი და შრომის ბაზრის მოთხოვნები ხდება წამყვანი, რაც

ინდუსტრიული განვითარების პარადიგმებით იყო ნაკარნახევი. ამერიკელი მკვლევარი მარკუს პიტერ ფორდი მიიჩნევს, რომ ფენიქსის უნივერსიტეტის იდეის ფუნდამენტი სწორედ ეკონომიზმი და პრაგმატიზმი გახდა, რომელიც გულისხმობს სტუდენტების აღზრდას მხოლოდ სარგებლიანობის და შრომის ბაზრის პრიმატულობის იდეებით. ფორდი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა განვითარების სამი ფაზა გაიარა: ქრისტიანიზმი - შუა საუკუნეების უნივერსიტეტები, ნაციონალიზმი - ევროპული უნივერსიტეტები რელიგიური ომების შემდეგ და ეკონომიზმის პრინციპებზე დაფუძნებული უნივერსიტეტები, განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული (Ford, 2002). ინდუსტრიული ცნობიერების ეტაპის ათვლა შეიძლება დაიწყოს XVIII საუკუნის ბოლო ოცწლეულიდან, თუმცა ასეთი ტიპის ცნობიერების ნიშან-თვისებები ყველაზე მეტად იკვეთება XX საუკუნეში. ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელი კარგად ასახავს ეკონიმიზმის გავლენას განათლებაზე და ცოდნის სტატუსზე. XX საუკუნის მეორე ნახევარი ის ეტაპია კაცობრიობის განვითარებაში როდესაც ინდუსტრიული განვითარება პიკს აღწევს და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის იდეა განსაზღვრავს უნივერსიტეტის იდეას, მისიას და მისი განვითარების გზას. ამ პერიოდს ფრანგი სტრუქტურალისტი ჟან-ფრანსუა ლიოტარი პოსტინდუსტრიულ, პოსტმოდერნულ ეტაპად ასახელებს (Lyotard, 1979), თუმცა ტექნოლოგიური ცნობიერების საწყისად მაინც მივიჩნევთ XX საუკუნის ბოლო ათწლეულს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებიდან პრიორიტეტი გახდა როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა, ისე ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობა, იკვეთება გლობალიზაციისა და პოლიტიკური ინტერნაციონალიზმის ნიშნები. ინტერნაციონალური ორგანიზაციების დაარსება - გაეროს გარდა, როგორებიცაა საერთაშორისო მონეტარული ფონდი, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), ევროპის ეკონომიკური კომისია, ევროსაბჭო, მსოფლიო ბანკი - უნდა დახმარებოდა ქვეყნებს ურთიეთანამშრომლობაში როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკურ და საგანმანათლებლო სფეროში, თუმცა წამყვანი პრინციპი მარკუს პიტერ ფორდის აზრით ეკონომიზმი იყო (Ford, 2002). ამ ტენდენციებისთვის, ცხადია,

უნდა ეპასუხა უნივერსიტეტებს, მათი კურიკულუმები და მისია  განსაზღვრული იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის და შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამ ეტაპს ვუწოდეთ უნივერსიტეტის განვითარების ისტორიაში ინდუსტრიული ცნობიერება. ინდუსტრიული ცნობიერების კონტექსტში უნივერსიტეტები ეკონომიზმის  პრინციპების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ქმნიდნენ კურიკულუმებს, სასწავლო კურსებს და მათი წარმატების ვექტორი მიმართული იყო შრომის ბაზარზე. "ეკონომიზმი, მეორე მხრივ, დაფუძნებული იყო  მომავალი ომის საშიშროების აცილებაზე იმ იდეით, რომ ეკონომიკა ინდივიდების ინტერესებს ჩაანაცვლებდა ცალკეული ერების ინტერესებს. ეკონომიზმი უნდა ყოფილიყო გზა მშვიდობისა და წარმატებისათვის.  ევროპული ეკონომიკური კავშირის დაფუძნება იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიზნის მიღწევისათვის და, მათ შორის, მსოფლიო ბანკის დაფუძნება,  მსოფლიო სავაჭრო შეთანხმება, საერთაშორიოს მონეტარული ფონდი, ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ ზოგადი შეთანხმება.  ინტერნაციონალიზმის ორივე ტიპი იქნა მიღებული, მაგრამ ეკონომიზმი,  გლობალური ეკონომიკა გახდა  თანამედროვე საზოგადოების ორგანიზების ძირითადი პრინციპი" (Ford, 2002, p.31).

ნაციონალური ცნობიერების ძირითადი განმსაზღვრელი კი ჰუმანისტური იდეები და ერების თვითგამორკვევა იყო. რელიგიური ომების დასრულების და  რელიგიური რეფრმაციების შემდეგ  ნაციონალურმა და ჰუმანისტურმა  იდეებმა მოიცვა მთელი ევროპა. ერებმა დაიწყეს თვითგამორკვევა, ამას ხელი  სწორედ რეფორმაციამ შეუწყო. მშობლიურ ენაზე ბიბლიის თარგმნამ,  ლათინური ენის ჩანაცვლებამ სხვა ევროპული ენებით, ერაზმუს როტერდამელის (1466-1536) იდეებმა, აღორძნების ეპოქის ხელოვნებამ და ფილოსოფიამ, განმანათლებლობის  იდეებმა,  ხელი შეუწყვეს რელიგიური ცნობიერების ტრანსფორმაციას. ჰუმანისტურ იდეების დაბადებამ, რელიგიური ომების დასრულებამ და ნაციონალურმა იდეებმა  განაპირობეს სწორედ XVII საუკუნეში გერმანული უნივერსიტეტების განვითარების ვექტორი, ეს ეხება ჰალეს და შტუტგარტს. მეორე თავში ჩვენ ჰალეს უნივერსიტეტი განვიხილეთ როგორც

სეკურალური და ნაციონალური ტიპის უნივერსიტეტი, რომელიც სწორედ ნაციონალური ცნობიერების კონტექსტში ვითარდებოდა და თავად უნივერსიტეტებში არსებული განათლება განაპირობებდა ევროპის განვითარების ასეთ კონტექსტს.

ინდუსტრიული ცნობიერების დაბადება, რა თქმა უნდა, დაკავშირებული იყო, XIX საუკუნეში მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციასთან და მანუფაქტურის ჩანაცვლებასთან უკვე მანქანური ხელსაწყოებით, თუმცა ყველაზე მეტად ამ მხრივ პროგრესი შეინიშნება XX საუკუნეში და, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ინდუსტრიული და ტექნოლოგიური ცნობიერების ეტაპები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ძნელია მათ შორის მკვეთრი საზღვრების გავლება, თუმცა ტექნოლოგიური ცნობიერების იდეა მეტწილად დაკავშირებულია ინტერნეტის და ვირტუალური სამყაროს გაჩენასთან, რასაც მოჰყვა ციფრული რევოლუცია საუნივერსიტეტო განათლებაში და ამის შესახებ უფრო გამოწვლილვით ვისაუბრებთ მეოთხე თავში.

მარკუს პიტერ ფორდის აზრით, ნაციონალიზმიდან ეკონომიზმში გადასვლა უფრო ნაკლებად დრამატული ხასიათის იყო, ვიდრე ქრისტიანიზმიდან ნაციონალიზმში გადასვლა (Ford, 2002). თუმცა ჩვენ პირიქით მიგვაჩნია. ევროპაში რელიგიურ ომებზე მეტად მასშტაბური იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომები XX საუკუნეში და ინდუსტრიული ცნობიერება, რომელიც ჩვენი პეიროდიზაციით მოიცავს მთელს XX საუკუნეს, მეტი დაძაბულობით, დესტრუქციით და ფართომასშტაბიანი ომებით გამოირჩევა, ვიდრე ევროპა შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ომები და რევოლუციები ევროპაში ინტენსიური ხასიათის იყო და ათეულობით წლები გრძელდებოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა პერიოდმა ხელი შეუწყო ინდუსტრიულ განვითარებას და ეკონომიკური ინტერესები გავიდა ვიწრო ნაციონალური ჩარჩოებიდან. ეკონომიკის განვითარება გახდა ქვეყნების უმთავრესი ინტერესი, ვიდრე პოლიტიკური და ტერიტორიული ძალაუფლების მოპოვება, თუმცა პოლიტიკური ძალაუფლების ზრდა სწორედ ეკონომიკური ძალაუფლების ზრდას ამოეფარა.

ეკონომიზმის იდეების  დომინირების შედეგად საგანმანათლებლო სივრცეში  შრომის ბაზრის ინსტერესები  გახდა წამყვანი და სწორედ შრომის ბაზრის ინტერესების გათვალისწინებამ მოითხოვა ახალი ტიპის უნივერსიტეტი, როგორიც არის  ფენიქსის უნივერსიტეტი, რომელიც დაარსდა 1976 წელს როგორც მომგებიანი ორგანიზაცია ინვესტორების ინტერესების გათვალისწინებით. "ფილოსოფია, რომელიც  ამ უნივერსიტეტს უდევს საფუძვლად არის  უმაღლესი განათლების უპირველესი ფუნქცია  გამოუმუშაოს სტუდენტს პრაქტიკული  უნარები და ცოდნები, რომელიც სჭირდება  ამ უნივერსიტეტის მომხმარებლებს, დაინტერესებულ პირებს" (Ford, 2002, p.32). ფენიქსის უნივერსიტეტის მთავარი მისია გამოიხატებოდა იმაში, რომ დამსაქმებელისთვის შეეთავაზებინა ისეთი კურსდამთავრებული, რომელიც იზრუნებდა მათ სარგებელზე, მოგებაზე და,  ზოგადად, შრომის ბაზრის ინტერესებს მოემსახურებოდა.  უნივერსიტეტში არსებული კურიკულუმები შემუშავებულია არა მხოლოდ შრომის ბაზრის ინტერესების გათვალისწინებით, არამედ დამსაქმებელთა მოლოდინების გათვალისწინებით. დამსაქმებელი ამ შემთხვევაში არის მთავარი აქტორი, რომელიც განსაზღვარვს რა უნარებით აღჭურვილი თანამშრომელი სჭირდება მას კომპანიაში, რომ მოგება მოუტანოს.  როგორც ფორდი აღნიშნავს, ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელიდან გამომდინარე, რომელიც ინდუსტრიული ცნობიერების კონტექსტში ჩამოყალიბდა, განათლების შინაარსი გამოიხატება როგორც ადამიანური კაპიტალის ხარისხის ზრდა და ცოდნის სტატუსმა შეიძინა ცალსახად პრაგმატული შინაარსი. რეალურად ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შინაარსი სწორედ ცოდნის სტატუსის ამგვარ გაგებაში მდგომარეობს (Ford, 2002).

ფენიქსის უნივერსიტეტში შემოთავაზებული კურიკულების შინაარსებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ  კურიკულუმების იდეა თავიდან ბოლომდე გათვლილია ბიზნეს ინტერესების  და განათლების მომხმარებელთა ინტერესების მიხედვით. "ფენიქსის უნივერსიტეტი  გავიდა უნივერსიტეტის იდეის მიღმა, როგორც დაწესებულება, რომელიც ემსახურება  საზოგადოების საჭიროებებს, როგორც ბიზნესის მომსახურების იდეა სხვა ბიზნესებისთვის" (Ford, 2002, p.34). ლიბერალური

განათლების ჯონ ჰენრი ნიუმანისეული კონსერვატული იდეაც არ არის აპრობირებული ფენიქსის უნივერსიტეტში და ამიტომ ამ უნივერსიტეტს განვიხილავთ როგორც ინდუსტრიული ცნობიერების მოდელს, რომლის იდეაფიქსია ბიზნესის საჭიროებების მსახურება და არა როგორც ისეთი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს მრავალმხრივ  განვითარების, სამყაროს შემეცნების ისეთ პერსპექტივებს, რის საფუძველზეც უნივერსიტეტი იქნებოდა არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის ფუნქციის მქონე და საზოგადოებრივი სერვისის  ორგანიზაცია, არამედ ცოდნის შემოქმედი, რომელიც საზოგადოებას მომავლის მრავალფეროვან ალტერნატივებს სთავაზობს. „კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ  თანამედროვე უნივერსიტეტი როგორ  როგორ პასუხობს ეკონომიკურ იმპერატივებს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო, არის  ის, რომ ისინი უნდა იყვნენ რენტაბელურები“ (Ford, 2002, p.35).

როგორც ვხედავთ, ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელი, რომელიც ინდუსტრიული ცნობიერების კონტექსტში შეიქმნა, სრულიად განსხვავდება პარიზის უნივერსიტეტის მოდელისგან და, თუ შეიძლება ითქვას,  ეს არის რადიკალური სხვაობა, ფაქტიურად, დრამატული სხვაობა უნივერსიტეტების დაარსებიდან ათასი წლის შემდეგ. ცოდნის სტატუსის შინაარსები, რომელიც განსაზღვრა ინდუსტრიულმა ცნობიერებამ, აგრეთვე, განსაზღვარს საზოგადოებრივ მოწყობას, სოციუმის ორგანიზებას, მაგრამ  არ სთავაზობს  ცოდნის შექმნას იმ რეგისტრით, რაც თანაბრად უკარნახებს შრომის ბაზარს ორიენტირებს, როგორც თავად შრომის ბაზრის ინტერესებს ითვალისწინებენ თანამედროვე უნივერსიტეტები. უნივერსიტეტის საქმე არ არის მხოლოდ შრომის ბაზრისთვის და დამსაქმებელისთვის საჭირო კანდიდატების მომზადება პროფესიული უნარებით, არამედ უნივერსიტეტი, როგორც შემეცნებითი დაწესებულება, ემსახურება მსოფლხედვის ჩამოყალიბებას, შექმნას, გადახედვას, ტრანსფორმაციას, აღმოჩენებს, არსებული ტენდენციების გაანალიზებასთან ერთად, საზოგადოების განვითარების შესაძლო პერსპექტივების განჭვრეტას, მისი საქმე არ არის მხოლოდ პროფესიული ცოდნებით აღჭურვა, მისი საქმეა სამყაროს, უნივერსუმის შეცნობა.  ამასთან, ეს არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის კურიკულუმები, სწავლების და კვლევის მოდელები,

მისი ხედვა არ უნდა ითვალსწინებდეს არსებულ ეკონომიკურ ტენდენციებს, მაგრამ ის არ უნდა  იყოს მხოლოდ ამ ტენდენციების მოპასუხე და საზოგადოებრივი სერვისის მიმწოდებელი. ევროპის საგანმანათლებლო ისტორიაში იყო დრო, როდესაც უნივერსიტეტები არ წარმოადგენდნენ  ინტელექტუალურ ცენტრს და ხშირ შემთხვევაში იჩენდნენ რიგიდულობას თანამედროვე ტენდენციებისადმი. ეს იყო პერიოდი დაახლოებით XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც ევროპაში იკვეთებოდა ინდუსტრიული რევოლუცია. მაშინ უნივერსიტეტები ჯერ კიდევ შუა საუკუნეების გარკვეულ ტრადიციებს მისდევდნენ, მიუხედავად ნაციონალური ცნობიერების კონტექსტში განხორციელებული ძვრებისა საუნივერსიტეტო განათლებაში, როგორც ეს ხდებოდა გერმანიაში, ჰალეს  და შტუტგარტის უნვერსიტეტებში.  მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ნიკოლაი კოპერნიკის (1473-1543), იოჰანეს კეპლერისა (1571-1630) და გალილეო გალიელის (1564-1642) აღმოჩენების მიუღებლობა ჯერ კიდევ არისტოტელესეული ფიზიკის ტრადიციული ხედვის  მიმდევარი უნივერსიტეტების მხრიდან და, ხშირ შემთხვევაში, ახალი აღმოჩენები სწორედ უნივერსიტეტების მიღმა ხდებოდა. “როგორც ფილოსოფოსი ალფრედ ნორზ უაითჰედი აღწერს,  XV და XVII საუკუნის დიდი მოაზროვნეები უნივერსიტეტებისგან დაშორებულები იყვნენ, ერაზმუს როტერდამელს სურდა საბეჭდი მანქანები,  ბეკონს, ჰარვის, გალილეოს, ლაიბნიცს - უფრო მეტად მთავრობის პატრონაჟი და დაცვა, ვიდრე  საუნივერსიტეტო კოლეგიების მფარველობა, რაც, ძირითადად, რეაქციონერული ხასიათის იყო.  როდესაც დეკარტემ, ლუთერმა, გალილეომ ან ლაიბნიცმა გადაიტანეს ინტელექტუალური ცენტრები, ეს არ იყო საუკეთესო უნივერსიტეტში, არამედ შესაფერისი მთავრობების პატორნაჟის ქვეშ მოხდა” (Ford, 2002, p.36).  ეს ფაქტი აჩვენებს,  რომ გარკვეული პერიოდი ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობები უნივერსიტეტების  მიღმა ხდებოდა, ვინაიდან შუა საუკუნეების და არისტოტელიზმის პრინციპების მიმდევარი ზოგი ევროპული უნივერსიტეტი არ იყო მზად სიახლის მისაღებად. ამიტომაც ნაციონალურ ცნობიერების პლათფრომაზე გადასვლა ევროპაში  ნელი ტემპებით მიმდინარეობდა, ვიდრე ნაციონალური ცნობიერების პლათფორმიდან ინდუსტრიული ცნობიერების პლათფორმაზე გადასვლა, თუმცა ამ უკანასკნელს უფრო

დრამატული სოციალური, პოლიტიკური, სამხედრო ხასიათის მოვლენები ახლდა თან. რელიგიურ ცნობიერების კონტექსტი ბევრად უფრო კონსერვატიული ხასიათის იყო და მისი წინარე ისტორია დიდი პერიოდს მოცავდა გვიანდელი ანტიკური ხანიდან XIII საუკუნის ჩათვლით, ქრისტიანული რელიგიის გავრცელებიდან, თეოლოგიური დოქტრინების განვითარებიდან დაწყებული, რამაც სინამდვილეში ფილოსოფიური აზროვნება თეოლოგიის მსახურად აქცია თომა აქვინელის მიერ ქრისტიანული დოგმატიზმის არისტოტელიზმით გაძლიერების შემდეგ. რელიგიური ცნობიერების კონტექსტში შექმნილი მსოფხედვის შეცვლა არ იყო მარტივი და მას ახლდა რეფორმაციის შემდეგ რელიგიური ომები, მსოფხედვის ფუნდამენტური ცვლილებები. ახალი მეცნიერული აღმოჩენები აღორძინების ეპოქაში ჰუმანისტური ფილოსოფიური დოქტრინების გავრცელების პარალელურად ხდებოდა. კოპერნიკის მეცნიერული გადატრიალება იყო ის ათვლის წერტილი, რამაც განსაზღვრა რელიგიური ცნობიერების გარდაქმნა, თუმცა მანამდე ამის ნიადაგი ფილოსოფიაში მზადდებოდა ნიკოლაუს კუზანელის და ჯორდანო ბრუნოს (1548-1600) მიერ. აგრეთვე, მათ გვერდით უნდა აღინიშნოს გერმანელი მქადაგებლის და სპირიტუალისტის იოჰანეს მაისტერ ეკჰარტის (1260-1327) მოღვაწეობა, რომელიც მშობლიურ ენაზე ქადაგებდა სახარებას.

მარკუს პიტერ ფორდის აზრით, უნივერსიტეტის იდეის გარშემო ორი ტიპის ტრადიცია ჩამოყალიბდა ერთი ტრადიციონალისტური მიდგომა, რომლის მიხედვით უნივერსიტეტმა უნდა გაიხსენოს წარსული ტრადიციები და დაეყრდნოს მას. ამ შეხედულებებს ავითარებდა, აგრეთვე, კარდინალი ჯონ ჰენრი ნიუმენი (1801-1890). ხოლო მეორე ტიპის ტენდენციაა - პროგრესივისტები, რომლებიც ძირითადად ჯეიმს დიუის (1859-1952) პრაგმარტიზმის იდეებს ეყრდნობიან, რომ უნივერსიტეტებმა სწორება უნდა გააკეთონ შრომის ბაზარზე (Ford, 2002). ტრადიცონალისტები უფრო ემხრობიან პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის მოდელს. მაშინ როცა პროგრესივისტები ჰალეს და ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელს იწონებენ. ეს არის ის ორი ძირითადი ალტერნატივა, საიდანაც უნივერსიტეტის მოწყობის და ცოდნის სტატუსის შინაარსების განსაზღვრა ხდება. ფორდი აღნიშნავს, რომ არსებობს “მესამე

ალტერნატივა - უნივერსიტეტის განვითარება მსოფლიო ისტორიის პოსტეკონომიკური ფაზის შემდეგ, მაგრამ ამ მოსაზრებას ნაკლები ყურადღება ექცევა უმაღლესი განათლების მომავლის შესახებ დებატებში. თუმცა ყოველთვის არსებობენ იმ მოსაზრების მქონენი, რომ უნივერსიტეტის მომავალი იქნება აწმყოს მსგავსი" (Ford, 2002 p.36). ეს ვითარება წარმოაჩენს, რომ უნივერსიტეტების მომავალს ეკონომიზმის იდეები და შრომის ბაზარი განსაზღვრავს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტებმა თავის თავზე არ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა გამართონ დისკუსიები საუნივერსიტეტო განათლების მომავლის შესახებ და ეძებონ მესამე ალტერნატივა, რომელიც იქნება ტრადიციონალიზმზე და პროგრესივიზმზე უფრო ეფექტური საზოგადოების განვითარებისთვის. უნივერსიტეტები გვერდს ვერ აუვლიან ამ საკითხს, ვინაიდან ის არა მხოლოდ საზოგადოების სერვისის მიმწოდებლები, არამედ, რეალურად, მათი განვითარების ტენდენციების მოკარნახეებიც არიან და წესით ეს იდეოლოგიური როლიც აქვთ, განსაკუთრებით, ამ ეპოქაში, როდესაც კაცობრიობა ტექნოლოგიური ცნობიერების პლათფორმაზე გადადის.

ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, რაც ცოდნის სტატუსმა განიცადა უნივერსიტეტის განვითარების ისტორიაში, ეს არის ინდუსტრიული ცნობიერების გავლენით გამოწვეული. **ცოდნა, როგორც პროდუქტი, ცოდნა როგორც კრედიტი** - მსგავსი ცნებები სწორედ ცოდნის სტატუსის ფუნდამენტურ რევოლუციაზე მიგვანიშნებს, რომელიც, თავის მხრივ, პრაგმატიზმის ფილოსოფიური მსოფმხედველობით არის ნაკარნახევი. თანამედროვე უნივერსიტეტები არაერთგვაროვანი და კომპლექსური ხასიათისაა, ამიტომ ძნელია ერთიან უნივერსალური ნარატივში მოაქციო. არც არსებობს ამის გარდაუვალი საჭიროება, თუმცა უნივერსიტეტი, როგორც ასეთი, დღემდე რა სახითაც არ უნდა მოსულიყო, ყოველ მათგანს დასავლეთის ცივილიზაციაში აქვს ერთი წარსული და ეს ქრისტიანული წარსულია. უნივერსიტეტების სასწავლო პროცესის განვითარება და ჩამოყალიბება მხოლოდ ინდუსტრიულ ცნობიერებაზე არ გაჩერებულა, დღეს ჩვენ

როგორი რეალობაც გვაქვს, ეს არის ტექნოკრატიული ეპოქა, ჩვენ შეიძლება მას ვუწოდოთ ტექნოლოგიური ცნობიერების პირველი საფეხური.

ტექნოლოგიური ცნობიერება არ გამორიცხავს არც ინდუსტრიულ განვითარებას და არ გულისხმობს მეცნიერული კვლევების მეორეხარისხოვნებას, მაგრამ მეცნიერებაც და ინდუსტრიაც ტექნოლოგიების სამსახურშია ჩაყენებული, დღევანდელი ადამიანი არ არის მხოლოდ Homo Faber[18], მწარმოებელი ან მომხმარებელი, დღევანდელი ადამიანი არის ტექნოკრატიული, მისი ცხოვრების ყველა სფერო თითქმის ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით არის გაჯერებული და დღეს ყოველდღიურობაც წარმოუდგენელია ამ ტექნოლოგიების გარეშე.

შეიძლება ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ უნივერსიტეტის მომავალს ხვალ სწორედ ტექნოლოგიური ცნობიერების მქონე ადამიანი განსაზღვრავს და, უფრო მეტიც, ეს მომავალი სავსებით შესაძლებელია იყოს ხელოვნური ინტელექტი.

ხელოვნური ინეტელექტის ცნების შინაარსი გულისხმობს იმ კოგნიტური უნარების ფლობას, ლოგიკური მსჯელობის, დედუქციური, ინდუქციური დასკვნების გაკეთების და, რაც მთავარია, ანალიზის უნარს ტექნიკური მოწყობილობის მქონე სტრუქტურაში, რომელიც ამ უნარებით ჰგავს ადამიანს და ექნება ადამიანის გონების შესაბამისი ქმედებების შესრულების უნარი. კაცობრიობის ისტორიის განვითარების მანძილზე ანთროპოლოგების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, სოციოლოგების მიერ მხოლოდ ადამიანი იწოდება მოაზროვნე არსებად, მაგრამ უახლოეს მომავალში მხოლოდ Homo Sapiens Sapiens-ის ეპისტემოლოგია არ იქნება ფილოსოფიური თუ საგანმანათლებლო

[18]Homo Faber ლათინური ტერმინია და ნიშნავს მკეთებელ ადამიანს. Homo Faber - ის კონცეფცია გულისხმობს, რომ ადამიანს შეუძლია გარდაქმნას გარემო, შეცვალოს სამყარო, განაგოს თავისი ბედ-იღბალი და ცხოვრება იმ ინსტრუმენტების საშუალებით, რომელსაც ის თავად ქმნის და ამზადებს. ტერმინი "HomoFaber" გამოყენებულ იქნა რომაელი პოლიტიკოსის აპიუსკლაუდიუსის (340-273 ძვ. წ. აღრ.) მიერ თუ შეიძლება ითქვას პოლიტიკური და ფილოსოფიური დანიშნულებით *Homofabersuaequisquefortunae* - ადამიანი თავისი ბედის შემოქმედია. ეს ტერმინი იტალიელი ჰუმანისტების მიერ იქნა აღმოჩენილი და ფართოდ გამოყენებული აღორძინების ეპოქაში. HomoFaberროგორც ფილოსოფიური კონცეპტი გაზიარებული იქნა გერმანელი ფილოსოფოსის მაქს შელერისა (1874-1928) და ჰანა არენდტის (1906-1975) მიერ. HomoFaber-ის კონცეპტმა დიდი გავლენა მოახდინა შვეიცარიელ მწერალ მაქს ფრიშზე (1911-1991), რომელმაც 1957 წელს ამავე სახელწოდებით გამოსცა რომანი.

კვლევის, ინტერესის საგანი, არამედ ანდროიდული ეპისტემოლოგია, რომელიც, ხელოვნური ინტელექტის ინჟინერთა და მკვლევართა ვარაუდით, მალე გაუთანაბრდება განათლების სფეროში ადამიანის გონებრივ უნარებს და შესაძლებლობებს (Del Monte, 2014)

ანდროიდული ეპისტემოლოგია ახალი ათასწლეულის ფილოსოფიური ტერმინია, რომელიც ცნებითი შინაარსი ჯერ კიდევ საბოლოოდ დაკონკრეტებული არ არის და გულისხმობს ხელოვნური ინტელექტის მიერ კოგნიტური უნარების განვითარების შესაძლებლობების შესწავლას (Ford, Glymour, Hayes, 2006).

რატომ ანდროიდული ეპისტემოლოგია თანამედროვე უნივერსიტეტთან მიმართებაში და საიდან მოვიდა ის? ანდროიდული ეპისტემოლოგია სწორედ რომ ტექნოლოგიური ცნობიერების პროდუქტია. თუ ხელოვნური ინტელექტს ექნება ადამიანის მსგავსი კოგნიტური, ლოგიკური უნარები, მაშინ იქვე ისმის კითხვა - შეუძლია თუ არა მას ჩაანაცვლოს ადამიანი და რომელ სფეროში ჩაანაცვლებს? ინფორმატიკოსის, გამომგონებელის და „სინგულარობა ახლოსაა“ (2005) ავტორის რეიმონდ (რეი) კურცვაილის[19] აზრით, სადაც ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დაიწყება საყოფაცხოვრებო სფეროებთან ერთად, პირველ რიგში, ეს იქნება უნივერსიტეტი.

ხელოვნური ინტელექტის რეალურად განხორციელებადი იდეა საგანმანათლებლო სივრცეში სვამს ისეთ ეპისტემოლოგიური თუ ონტოლოგიურ/აქსიოლოგიური მნიშვნელობის კითხვეებს, როგორიცაა: როგორი იქნება ანდროიდის ცოდნა და შემეცნება? ანდროიდი მხოლოდ ინფორმაციის გადამცემი და შემგრვებელია, თუ ცოდნის მწარმოებელიც გახდება? რამდენად ეთიკური იქნება ის? ექნება თუ არა მას შემოქმედებითი უნარები? თუ ექნება, ჩაანაცვლებს თუ არა ის პედაგოგს სავსებით?

[19]რეიმონდ (რეი) კურცვაილი, ამერიკელი მეცნიერი, ხელოვნური ინტელექტის მკვლევარი, ინფორმატიკოსი, გამომგონებელი, ფუტურისტი, მწერალი. მას ეკუთვნის ისეთი წიგნები როგორიცაა: გონიერი მანქანების ეპოქა (1990), სინგულარობა ახლოსაა (2005), როგორ შევქმნათ გონება (2012), გამოქვეყნებული აქვს, აგრეთვე, სხვა სახის პუბლიკაციები. რეიმონდ (რეი) კურცვაილი 2008 წელს დაარსებული სინგულარობის უნივერსიტეტის თანადამფუძნებელიაბერძენ ამერიკელ ინჟინერ, ფიზიკოს პიტერ დიამანდისთან ერთად. ამ უნივერისტეტის იდეა სილიკონ ველის პროექტის ფარგლებში შეიქმნა.

2030 წლისთვის, რეი კურცვაილის პროგნოზებით, საგანმანათლებლო ინსტიტუციებში ანდროიდები მნიშვნელოვნად იქნებიან წარმოდგენილი როგორც პედაგოგები, ლექტორები და უნივერსიტეტებიც მეტწილად ვირტუალურ სიბრტყეზე გადაინაცვლებენ[20].

ტექნოლოგიური ცნობიერება ეს არის ადამიანური ცნობიერების ევოლუციის მომდევნო საფეხური, რომელზეც გადავდივართ, როდესაც ადამიანის მსგავსი სინთეტური ორგანიზმები შეძლებენ კოგნიტური ოპერაციების განხორციელებას.

ბიოლოგიურად ცნობილია, რომ ადამიანის ტვინის უჯრედს ბევრად მეტი ინფორმაციის შენახვა შეუძლია ვიდრე ერთ კომპიუტერს და შეიძლება ითქვას ჩვენი ტვინი სუპერკომპიუტერის მსგავსია, თუმცა საკითხი ისმის შემდეგი სახით: თუ ადამიანს შეუძლია შექმნას ისეთი სუპერინტელექტი, რომელიც შეძლებს აქამდე კაცობრიობის მიერ შეგროვილი ინფორმაციის ერთიანად დამახსოვრებას, გადამუშავებას და საჭიროებისამებრ გააქტიურებას, მაშინ სად გადის ზღვარი ადამიანის და ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს შორის? შეუძლია თუ არა ხელოვნურ ინტელექტს შექმნას ცოდნა?

ცოდნა და ინფორმაცია სხვადასხვა ცნებითი შინაარსების მატარებელი კატეგორიებია. ცოდნა გულისხმობს ისეთი უნარების სიმბიოზს, როგორციაა ადამიანის მიერ დედუქციურ-ინდუქციური, ანალიტიკური, სინთეტური და წარმოსახვის შედეგად შექმნილ კონცეფციები, სისტემურ ხედვები, ჩამოყალიბებული, დასაბუთებული თეორიები, წარმოდგენები ადამიანის, საზოგადოების, სამყაროს შესახებ, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას და ვითარდება აქამდე არსებული შეძენილი გამოცდილების საფუძველზე. მეცნიერული ცოდნა კი, კარლ პოპერის აზრით, გულისხმობს ფალსიფიცირებისა და ვერიფიცირების მეთოდებს, ნებისმიერი მეცნიერული თეორია გადის ორ გზას: ის ან ვერიფიცირდება ან ფალსიფიცირედება

[20]Ray Kurzweil. (2009*). A university for The Coming Singularity*. Retrieved from https://www.kurzweilai.net/ted-ray-kurzweil-a-university-for-the-coming-singularity

ექსპერიმენტის გზით. დაკვირვება და ექსპერიმენტი სწორედ ის ინსტრუმენტებია, რომელიც მეცნიერულ ცოდნას ამოწმებს (პოპერი, 2000).

ინფორმაციის ფოლოსოფიური განმარტება გულისხმობს  რეალურ გარესამყაროში ადამიანის ცნობიერების მიერ არსებული ურთიერთკავშირების, მოვლენების აღქმას და გადმოტანას როგორც ვერბალური, ისე ვიზუალური ხერხებით.

ინფორმაციისა და ცოდნის ცნებით შინაარსებს ბევრი საერთო აქვს, ორივე გულისხმობს სამყაროში არსებულ მოვლენების და მათ შორის ურთიერთკავშირების აღქმას, მაგრამ მათ შორის აგრეთვე ფუნდამენტური სხვაობაა. რაში გამოიხატება ეს სხვაობა? ცოდნა გულისხმობს ამ ურთიერკავშირებს და მოვლენების ანალიზს, სინთეზს და ამასთან ამ საფუძველზე ახლის შექმნას, ხოლო ინფორმაცია ამ ურთიერთკავშირების თუ მოვლენების ვერბალურად ან ვიზუალური ხერხებით გადაცემას ერთი ობიექტიდან მეორეზე ან ურთიერთგაცვლას. ინფორმაცია არ გულისხმობს ახალი კოგნიტური თუ მენტალური ღირებულების მქონე კონცეფციების შექმნას, შემდეგ მეცნიერული მეთოდებით ამის შემოწმებას.

ცოდნის და ინფორმაციის მატარებლად ადამიანი მოიაზრება როგორც რაციონალური არსება, ტექნოლოგიურ ეპოქაში კი ინფორმაციის ტარება უკვე მხოლოდ ადამიანს პრივილეგია არ არის.  კომპიუტერული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი შეიძლება უფრო მეტ ინფორმაციას მოიცავდეს, ვიდრე კონკრეტული ადამიანის ტვინი. სხვა თემაა, რა მოცულობის ინფორმაციის შენახვა შეუძლია ადამიანის გონებას. მაგრამ მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხია - შეუძლია თუ არა ხელოვნურ ინტელექტს შექმნას ცოდნა და, შესაბამისად, საუნივერსიტეტო სივრცე უკვე აღარ იქნება ერთადერთი ცოდნის “მწარმოებელი” ტოპოსი?

2017 წელს სოციალური ქსელის ფეისბუქის ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორიაში შექმნილმა ხელოვნურმა ინტელექტმა, რომელშიც ჩატვირთული იყო ლინგვისტური ინფორმაციები, დამოუკიდებლად შეძლო ახალი ხელოვნური ენის შექმნა.  ამ მოვლენამ ბევრი კითხვა გააჩინა საზოგადოებაში და მეცნიერთა წრეებში: შეიძლება ვივარაუდოთ,

რომ ხელოვნურ ინტელექტს აქვს კრეატიული უნარები? თუ აქვს მაშინ რას უნდა ველოდოთ მისგან მომავალში? ეს არა მხოლოდ კოგნიტური ხასიათის კითხვებია, არამედ მორალურ-ეთიკური. XIX საუკუნეში პირველი პროგრამირების ენის შემმუშავებელი ადა ლოველასი (1815-1852), ჯორჯ ბაირონის (1788-1824) ქალიშვილი, თვლიდა, რომ შეუძლებელია ხელოვნური ინტელექტი იყოს ისეთივე შემოქმედი, როგორც ადამიანი (Ford, Glymour, Hayes 2006). ცხადია, ჯერ უნდა დავაზუსტოთ, რას ვგულისხმობთ შემოქმედებითობაში, აქამდე არსებულ ცოდნებზე დაყრდნობით ახალი ცოდნის, თუ არსებულ ცოდნებზე დაყრდნობით და წარმოსახვის საშუალებით რაღაც ახალის შექმნას? ეს ის კითხვებია, რომელზეც მსჯელობა მნიშნელოვანია სწორედ უნივერსიტეტის მომავლის განსასაზღვრად. რა გამოწვევები ექნება ტექნოლოგიური ცნობიერების მქონე ადამიანს, თუ შეიძლება ითქვას, ვირტუალური რეალობის და ანდროიდული ეპისტემოლოგიის ეპოქაში?

როგორც ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ დერიდა ამბობს, არავის წარმოუდგენია უნივერსიტეტი რაციოს გარეშე, მაგრამ თანამედროვე უნივერსიტეტების გამოწვევა გლობალიზაციის ეპოქაში მხოლოდ რაციონალური ხასიათის არ არის, ის, აგრეთვე, მორალურ, სპირიტუალური ხასიათის ხდება (Derrida, 2004). სწორედ ეს ვითარება გვაყენებს იმ ფაქტების წინაშე, რომ ადამიანი არ იქნება ერთადერთი გონიერი არსება, რომელიც დომინირებს ინტელექტუალურ სივრცეში, მას ეყოლება კონკურენტი ხელოვნური ინტელექტის სახით, რომელიც, დიდი ალბათობით, შეძლებს ინფორმაციის სრულყოფილად გადამუშავებასაც, სინთეტური დასკვნების გამოტანასაც. ხოლო რამდენად შემოქმედებითი/კრეატიული იქნება, ეს ჯერ კიდევ მწვავე კამათის საგანია. ტექნოლოგიური ცნობიერების ეპოქაში უნივერსიტეტი ეს არის კონცეპტუალური შესაძლებლობა იმ მომავლისა, რომელზე პასუხი ჯერ ბუდნოვნად გვესახება, კონცეპტუალური შესაძლებლობა შემეცნების იმ ფორმებისა, რომელსაც ახლაც ვეძებთ, არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქცევა ონტოლოგიური თუ მეტაფიზიკური ხასიათის პრობლემად. უფრო დაწრილებით უნივერსიტეტის ვითარებას ტექნოლოგიური ცნობიერების ეტაპზე, განვიხილავთ მეოთხე თავში.

## თავი IV. უნივერსიტეტი ტექნოლოგიური ცნობიერების კონტექსტში და ცოდნის სტატუსი

ტექნოლოგიური ცნობიერების საწყის ეტაპად სწორედ ინტერნეტის შექმნა  და განვითარება უნდა მივიჩნიოთ. ინტერნეტის განვითარებამ ცოდნის ახალი სივრცე შექმნა. ცნება „ცოდნის ახალი სივრცე“ დენვერის უნივერსიტეტის ფილოსოფიის და რელიგიური სწავლებების პროფესორმა კარლ ა. რაშკემ შემოტანა წიგნში: „The Digital Revolution and The comimg of The Postmodern University“ (2003). წიგნში ავტორი განიხილავს ცოდნის რევოლუციის სამ ფაზას და პოსტმოდერნული უნივერსიტეტის იდეის გაჩენას, რომელიც სწორედ ტექნოლოგიური ცნობიერების განზომილებაში ხდება. XX საუკუნის მეორე ნახევარი სწრაფი ინდუსტრიული და ტექნოლოგიური განვითარებით გამოირჩევა, რომელსაც ლიოტარმა პოსტინდუსტრიული და ტექნოკრატიული ერის დასაწყისი უწოდა (Lyotard,1979). სწორედ ამ ტრანფორმაციასთან არის დაკავშირებული ტერმინ  პოსტმოდერნის გაჩენა, რომელიც მოდერნის შემდგომ პერიოდს გულისხმობს. მოდერნი გრძელდებოდა განმანათლებლობის ეპოქიდან XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ჩვენ მიერ შემოღებულ კალსიფიკაციაში პოსტინდუსტრიულ და ინტერნეტის  შექმნამდე  ეტაპი უკავშირდება ინდუსტირული ცნობიერების განზომილებას, ხოლო XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გლობალიზაციის ტენდენციები, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, ბოლონიის პროცესის შექმნის პერიოდი - ტექნოლოგიური ცნობიერების გაჩენის საწყისს ეტაპს.

პროფესორ კარლ ა. რაშკეს მიხედვით, ცოდნის რევოლუციის სამი ფაზა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში დაკავშირებულია პრეცივილიზაციური პერიოდიდან მოყოლებული განვითარებას დღემდე. ცოდნის რევოლუციის პირველ ეტაპად ის მიიჩნევს ენის გაჩენას, როცა ადამიანებმა დაიწყეს საუბარი. ცოდნის რევოლუციის მეორე ეტაპი უკავშირდება დამწერლობის, პირველი ანბანის შექმნას, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს ინფორმაციის დამახსოვრება დამწერლობის

საშუალებით. მაშინ გაჩნდა პირველი ჩანაწერები ადამიანური ცხოვრების, ყოველდღიურობის, საქმიანობის, ცოდნის შექმნის, დაგროვების და გადაცემის შესახებ. მესამე ეტაპი კი უკავშირდება ციფრულ რევოლუციას (Raschke, 2003). რაშკეს მიერ წარმოდგენილი ცოდნის რევოლუციის ეტაპები კაცობრიობის ვრცელ პერიოდებს მოიცავს, რომელიც ათასწლეულები გრძელდებოდა და ეს კონცეპტი დაკავშირებულია ცოდნის სტატუსის შინაარსთან, თუმცა მოიცავს უნივერსიტეტებამდე არსებული ისტორიის ეპოქებს. ცოდნის რევოლუციის პირველ და მეორე ეტაპზე ცოდნის შექმნა და გადაცემა კაცობრიობის ისტორიაში დაკავშირებული იყო ქურუმებთან, რელიგიური დანიშნულების ტაძრებთან და განსხვავებული სახით არსებულ საგანმანათლებლო ცენტრებთან, რომლის მოწყობა და შინაარსი მკვეთრად განსხვავდება დღეს არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ჩვენი ინტერესის საგანია პროფესორ რაშკეს მიერ წარმოდგენილი ცოდნის რევოლუციის მესამე ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ განვითარებასთან, არამედ მოიცავს უფრო დიდ პერიოდს. “ცოდნის მესამე რევოლუციაში ჩვენ ვგულისხმობთ ცოდნას, რომელიც დამოკიდებული იყო მანუფაქტურულ სისტემაზე, ცოდნას როგორც გლობალურ და მომხმარებელზე ორიენტირებულ პროცესზე, როგორც კვლევაზე, ძიებაზე, და ინტერაქციაზე. ეს რევოლუცია გამოწვეული იყო კომპიუტერის გამოგონებით, მაგრამ მისმა მნიშვნელობამ ინტერნეტის და კომპიუტერის განვითარების ფარგლებს გარეთ გააღწია” (Raschke, 2003, p. 13).

ცოდნის შექმნა და გადაცემა პირდაპირ დაკავშირებულია უნივერსიტეტის იდეასთან. ცოდნის სტატუსის შინაარსი რელიგიური ცნობიერების ეტაპიდან მოყოლებული ტექნოლოგიური ცნობიერების ეტაპამდე იცვლებოდა უნივერსიტეტების ტოპოსში. შეიძლება ითქვას, ხდებოდა ცოდნის სტატუსის ინსტიტუციონალიზაცია უნივერსიტეტის კედლებში, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური ცნობიერებიდან ნაციონალური ცნობიერების გარადამავალ ეტაპზე მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენები და ახალი ცოდნის შექმნა უნივერსიტეტის კედლებს მიღმა ხდებოდა. ეს

აღმოჩენები და ცოდნის შექმნა, როგორც ასეთი, სეკულარიული იდეების გაძლიერების შემდეგ ისევ უნივერსიტეტს უბრუნდებოდა. თუმცა ტექნოლოგიური ცნობიერების რეგისტრში ცოდნის სტატუსი უნივერსიტეტის ტოპოსიდან გადის და ამის მიზეზი არა მხოლოდ ეკონომიზმია, რომელიც გლობალიზაციის ძირითადი ტენდენციებით არის ნაკარნახევი, მარკუს პიტერ ფორდი მიხედვით, არამედ ციფრული რევოლუცია განათლებაში. ციფრული რევოლუცია, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების, ინტერნეტის განვითარებასთან, რომლის საფუძველზე შეიქმნა ვირტუალური სივრცე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ჰიპერსივრცე ცოდნის შექმნისთვის და გადაცემისთვის, რამაც გარკვეული აზრით, შექმნა ნიადაგი იმისთვის, რომ ცოდნის და, კერძოდ, მეცნიერული ცოდნის შექმნა, უნივერსიტეტის ტოპოსიდან გავიდა. დღეს მეცნიერული კვლევების ნაწილი და აღმოჩენები, ხშირ შემთხვევაში, უნივერსიტეტებში არ ხდება და მსოფლიოში უნივერსიტეტების უმეტესობა ნაწილობრივ ცოდნის გადაცემა/ტრანსმისიისთვის განკუთვნილ დაწესებულებად იქცა, რომელიც შრომის ბაზრის კარნახიდან გამომდინარე, ქმნის და გარდაქმნის კურიკულუმებს. ესპანელი ფილოსოფოსი ხორხე ორტეგა ი გასეტი (1883-1955) წიგნში „უნივერსიტეტის მისია“ (1946) მიუთითებს ამ ტენდენციაზე, რომ უნივერსიტეტები პირველ რიგში განათლების აძლევს საშუალო ადამიანებს, ხოლო გამორჩეული მეცნიერების და მკველვარების აღზრდა მათი მთავარ ფუნქცია არ არის. მისი აზრით, მთავარია უნივერსიტეტმა აღზარდოს კარგი სპეციალისტი, რომელიც პროფესიულ ასპარეზზე შეასრულებს იმ მოვალეობებს, რაც აკისრია. გასეტი მეცნიერებას და პროფესიას მიჯნავს ერთმანეთისაგან და მიიჩნევს რომ მეცნიერული ცოდნის შექმნა არ ნიშნავს უნივერსიტეტის მიერ ლაბორატორიების აღჭურვასა და, უხეშად რომ ვთქვათ, მიკროსკოპის შეძენას (Gasset, 1946). ინტელექტუალური საქმიანობა, პროფესიის შეძენა და მეცნიერება არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში. გასეტის მიდგომა უნივერსიტეტის მისიისადმი თითქოს იკვეთება ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელში. გასეტი ხედავს იმ ტენდენციას, საითაც მიდის XX საუკუნის უნივერსიტეტებში სწავლების, კვლევის, ცოდნის ტენდენციები და ის

ამჩნევს იმ დაპირისპირებას ცოდნის სტატუსის შინაარსის გარშემო, რაც კარგად ჩანს ლიბერალური განათლების შინაარსსა და პროფესიონალიზმზე ორიენტირებულ კურიკულუმებს შორის, ზოგად განათლებასა და სპეციალიზაციას შორის, ტექნოლოგიურ ენთუზიაზმსა და ანტიტექნოლოგიურ ფუნდამენტალიზმს შორის, რომელიც ამ პერიოდში ჩნდებოდა. თუმცა ეს წიგნი დაწერილია XX საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს და ამიტომ გასეტი დღეს არსებული ტექნოლოგიური ცნობიერების რეგისტრში ვერ გააკეთებდა უნივერსიტეტის მისიაზე რეფლექსიას, თუმცა, როგორც ჩანს, გარკვეულ ტენდენციებს ხედავდა.

მეცნიერულმა რევოლუციამ, რომელიც ფრენსის ბეკონის „ახალი ორგანონის“(1620) და რენე დეკარტეს წიგნის „განაზრებანი მეთოდის შესახებ“ (1641) წყალობით მოხდა, ცოდნის და მეცნიერული ცოდნის შექმნის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია, რომელმაც განაპირობა რელიგიური გავლენების შემცირება უნივერსიტეტებისა და ცოდნის განვითარებაში. თუმცა მთავარი მეტამორფოზა ცოდნის სტატუსმა ჟან-ფრანსუა ლიოტარის და კარლ. ა. რაშკეს აზრით სწორედ პოსტმოდერნის და პოსტინდუსტირულ ეპოქაში განიცადა. პროფესორი რაშკე თვლის, რომ გლობალური ინტერნეტის შექმნამ ცოდნა და ინფორმაცია ვირტუალურ სივრცეში, ჰიპერსივრცეში განათავსა, სადაც არ არსებობს შემოსაზღვრული ტოპოსი როგორც უნივერსიტეტი ტრადიციული გაგებით, რომელსაც აქამდე კონკრეტული სივრცე ეჭირა კონკრეტულ ადგილას და ინსტიტუციონალურ დონეზე განსაზღვარვდა ცოდნის სტატუსის შინაარსს. “ციფრულ სამყაროში, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ ტერმინ „ცოდნაში“ ეს არის თვითსელექცია” (Raschke, 2003, p.15). რას გულისხმობს ავტორი თვითსელექციურობაში? ინტერნეტ სივრცე, ვირტუალური სამყარო, რომელიც დღეს არის გადავსებული სხვადასხვა ხარისხის ე.წ. ინფორმაციულ „საცობებში“, რომლის გამტარია უნივერსიტეტი, სხვადასხვა აკადემიური, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ინტერნეტ პორტალები, საიტები, ბლოგები, ტელევიზია, შლის საზღვრებს ცოდნასა და ინფორმაციას შორის, ის ხდება თვითსელექციური სწორედ ამ გამტარების წყალობით და ცოდნის სტატუსში აქამდე

არსებული შინაარსები, რომელიც  უნივერსიტეტის იდეასთან ერთად იქმნებოდა უნივერსიტეტების განვითარების ეტაპებზე -  რელიგიური, ნაციონალური და ინდუსტრიული ცნობიერების კონტექსტში, მნიშვნელოვნად იცვლება. "საზღვარი ცოდნასა და ინფორმაციას შორის საერთოა, განსხვავებით პრივილეგირებულისგან, მათი გამოყენება ბევრად უფრო  დახვეწილია, ვიდრე ჩვენ გვგონია" (Raschke, 2003, p.16). სოკრატეს და პლატონის მიერ გაკრიტიკებული სოფისტების დოქსასა და აკადემიურ ცოდნას შორის (ცოდნის პლატონისეული გაგებით), საზღვრები ფერმკრთალდება და გადამწყვეტი ხდება მისთვის მნიშვნელოვნობის სტატუსის მინიჭება ჰიპერსივრცეში ლეგიტუმურობის ხარისხის  შესაბამისად.  ლეგიტიმაცია კი მოდის  ძალაუფლების მქონე ინსტიტუციებიდან ან ავტორიტეტებისგან.  კარლ ა. რაშკეს აზრით, ცოდნის რევოლუციის მესამე  ეტაპი  შლის საზღვრებს დისციპლინებს შორის, რაზეც პოსტსტრუქტურალისტები როლან ბარტი (1915-1980) და მიშელ ფუკო (1926-1984) ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში საუბრობდნენ. დისციპლინებს შორის სადემარკაციო  საზღვრების გაუფერულება, ცოდნის ინფორმატიზაცია უნივერსიტეტებსაც ანაცვლებს ვირტუალურ სივრცეში, ჰიპერსივრცეში და იქმნება ვირტუალური  უნივერსიტეტები, სადაც სწავლებისა და სწავლის ფუნქციების  მკაცრი გადანაწილება არ ხდება და არ არსებობს პირისპირ პედაგოგიკა, რომელიც ტრადიციულად ხდება უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესში. ამასთან, ონლაინ კონტაქტების საფუძველზე, სტუდენტსა და ლექტორებს შორის  სინქრონულად ინფორმაციის მიმოცვლა თავისუფლად შესაძლებელია. ცოდნა, ინფორმაცია ხდება ხელმისაწვდომი ყველა დროს, ყველასთვის, ნებისმიერი ვითარებაში, სადაც არსებობს ინტერნეტ ხელმისაწვდომობა.  მას არ ჭირდება რომელიმე კონკრეტული, ლოკალური ადგილი, სადაც შესაძლებელია ის მიიღო, თუმცა ცოდნის  ამ ფორმით  ხელმისაწვდომობის უკან ყოველთვის დგას მისი ლეგიტიმურობის  და აღიარების ხარისხი, როგორც დაინტერესებული ინსტიტუციების, ისე ავტორიტეტების მხრიდან. ამ ძალაუფლებას კი ტექნოლოგიური ცნობიერების განზომილებაში, სახელმწიფოს გარდა, ფლობენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, როგორც გლობალიზაციის ყველაზე ძლიერი

აქტორები. „ნეთვორქზე დაფუძნებული სწავლება და ახალი ტექნოლოგიები, რომელიც ჩნდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცვლის აკადემიურ გარემოს და, განსაკუთრებით, ურთიერთმიმართება სწავლებასა და სწავლას შორის უფრო გამოკვეთილი იქნება, ვიდრე ეს წარსულში იყო“ (Raschke, 2003, p.18). ტექნოლოგიებმა შეცვალა არა მხოლოდ სწავლებისა და სწავლის ტრადიციული აღქმა და სტრატეგიები, არამედ უნივერსიტეტები გადაიტანა ვირტუალურ სივრცეში, შეიქმნა დისტანციური სწავლების ჰიპერსივრცე, სადაც განსაზღვრული არ არის სასწავლო პროცესის კონკრეტული ადგილი, აქტივობა აუდიტორიებში ჩაანაცვლა ვირტუალურმა სივრცემ და ამიტომაც ამ საგანამანათლებო სივრცეს უწოდეს ჰიპერსივრცე, სადაც ხდება ცოდნის შექმნა და გადაცემა/ტრანსმისია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მეტი აქცენტი კეთდება ცოდნის გადაცემაზე, ვიდრე ცოდნის შექმნაზე, ვინაიდან, გლობალიზაციის კონტექსტიდან გამომდინარე, ყველაზე აქტუალური და მოთხოვნადი გახდა პროფესიული ცოდნა, ცოდნა, რომელსაც გამოიყენებს კორპორაციები, ინდუსტრიები. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის იდეა გულისხმობს როგორც გლობალიზაციის გამოწვევებზე პასუხს, აგრეთვე, იმ საფუძველმდებარე პრინციპს, რასაც თავად ეკონომიზმი ეყრდნობა. კარლ ა.რაშკე 1990-იან წლებს მიიჩნევს კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფი რევოლუციის ხანად, რომელმაც შეცვალა არა მხოლოდ რეალობის აღქმა, არამედ საუნივერსიტეტი განათლება გადაიტანა ჰიპერსივრცეში. “ჰიპერკურსები შეიცვლიან თავის როლს, მაგრამ არა აკადემიური პერსონალის რუტინას იმ გაგებით, რამდენადაც ის ბუნდოვანია და მეტწილად აქამდე შეუცვლელი შინაარსის, როგორიცაა განსხვავება სწავლებასა და კვლევას შორის, ჩვენ ამ ახალ მოვლენას ვუწოდეთ უფრო მეტი სიზუსტისთვის ჰიპერუნივერსიტეტი” (Raschke, 2003, p. 19).

ტექნოლოგიური ცნობიერების კონტექსტში, საუნივერსიტეტო განათლების ტრადიციულმა იდეამ მეტამოფროზა განიცადა, თუმცა ეს არ მომხდარა ინდუსტრიული განვითარების ტენდენციების საფუძველზე შემუშავებული იდეების გავლენების გარეშე. ამიტომ ინდუსტრიულ და ტექნოლოგიურ ცნობიერებას შორის

ზღვარი მკვეთრი არ არის. ტექნოლოგიების განვითარება ნაკარნახევი იყო როგორც ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში არსებული აღმოჩენებით, რომელიც XX საუკუნეში რევოლუციურ ხასიათს ატარებდა, ისე, ამ აღმოჩენებით დაინტერესებული კორპორაციების მხრიდანაც, რომლებმაც, თავის მხრივ, ცოდნის კომერციალიზაცია დაიწყეს. ცოდნის კომერციალიზაციამ კი მოიტანა ეკონომიზმის იდეები საუნივერსიტეტო განათლებაში, რომლის დასტურია ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელი. შემდეგ კი მოხდა ტექნოლოგიური ცნობიერების განზომილებაში საკმაოდ ხავერდოვანი გადასვლა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო კომპიუტერული, ინტერნეტ ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული. სწორედ ამ პერიოდიდან ვიწყებთ ტექნოლოგიური ცნობიერების პირველი ეტაპის ათვლას.

პროფესორ კარლ ა. რაშკე გვთავაზობს ტრადიციული და ცოდნის რევოლუციის პარადიგმის ტიპოლოგიას ცხრილის სახით. ეს ცხრილი დაგვეხმარება დავინახოთ ის კონტექსტი, თუ როგორ იცვლებოდა ჩვენს მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში ცოდნის სტატუსი.

ცხრილი 1.1 (Raschke, 2003, p.21)

| | **ცოდნის ტრადიციული პარადიგმა** | **ცოდნის რევოლუცია** |
|---|---|---|
| **ცოდნის პროდუქციის ბუნება** | ცენტრალიზებული, ინსტიტუციონალური | დეცენტრალიზებული, პერსონალიზებული |
| **სწავლის ბუნება** | top down, ავტორიტარული, რეგლამენტირებული, განსაზღვრული შინაარსით | bottom up კლიენტზე ორიენტირებული, სწავლის შედეგების დიაზინი, ამოცანებზე ორიენტირებული |

| | | |
|---|---|---|
| **განათლების სტრუქტურა** | პროვაიდერის მიერ კონტორლირებული, გილდიაზე დაფუძნებული, კამპუსზე ორიენტირებული | კლიენტზე ორიენტირებული, სტანდარტიზებული, კომუნიკაციაზე ორიენტირებული |
| **ცოდნის შეძენა** | ფორმალური სწავლება, ხარისხის მისანიჭებელი პროგრამა, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული სასწავლი კურსებით, კოლეგებთან შეთანხმებული კურსის შინაარსი | დამოუკიდებელი სწავლა და კვლევა, სერტიფიცირებული პროგრამები, რომლებიც მოიცავენ სპეციფიკურ პროფესიულ სასწავლო კურსებს, კურიკულუმით შეთავაზებული ვარიანტები |
| **ცოდნის სივრცე** | ინსტიტუციონალურად კონცენტრირებული, ადმინისტრირებული დოცენტების, არისტოკრატების მიერ | სოციალურად განაწილებული, ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა, დემორკატიული ხასიათის |
| **ექსპერტიზის კრიტერიუმი** | ფორმალური განათლების ხანგრძლივობა, სპეციალიზაციის ხარისხი, ინსტიტუციებთან და პროფესიულ საზოგადოებებთან აფილიაცია | ფორმალური განათლების სწორება სოციალურ ცოდნასთან, ინტერდისციპლინარული უნარები, ფართო მასშტაბით მონაწილეობა საზღვრებს გარეთ, კულტურა: „ცოდნაზე |

| | | |
|---|---|---|
| | | დაფუძნებული“ კავშირები |

პროფესორი რაშკე ცდილობს ცხრილში  გააკეთოს ცოდნის სტატუსის დეფინიცია ორი პარადიგმის საშუალებით, პირველი არის  საუნივერსიტეტო განათლების ათასწლოვან კონტექსტში წარმოდგენილი ცოდნის სტატუსის შინაარსი, რომელიც ჩვენი კლასიფიკაციის მიხედვით მოიცავს ქრისტიანულ, ნაციონალურ ცნობიერებას. ამ კონტექსტში შეიძლება ცოდნის სტატუსი მოვიაზროთ როგორც ცოდნის ტრადიციული პარადიგმა, ხოლო ცოდნის რევოლუცია როგორც ინდუსტრიული და ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმა.

ტექნოლოგიური ცნობიერების კონტექსტში ცოდნის კონცეპტი და მისი ინფორმატიზაცია  სრულიად განსხვავებულ რეალობას ქმნის,  რომელიც განსაზღვრავს არა მხოლოდ  მისი გავრცელების არეალს,  ხელმისაწვდომობას, არამედ ქმნის, აგრეთვე,  განსხვავებულ ნარატივებს, სადაც მეცნიერული ცოდნა ვერ მოთავსდება  იმ გაგებით, როგორც ეს გვესმის ცოდნის სტატუსის ტრადიციულ შინაარსებში. მეცნიერული ცოდნა არის მეტანარიტივი, რომელიც  პოლიტიკური ძალაუფლების და ლეგიტიმურობის  კონტექსტში იძენს შესაბამის ღირებულებას და ამ ღირებულების მიხედვით განისაზღვრება მისი ვალიდურობა და რამდენად სასარგებლოა ის  კომერციალიზაციის თვალსაზრისით.  ამ იდეას აკრიტიკებს მარკუს პიტერ ფორდი ეკონომიზმის კონტექსტში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმა მოიცავს სწორედ ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ, თანამედროვე ვითარების შესაბამისად რომ ვთქვათ, ტექნოკრატიულ იდეებს, რომელიც, აგრეთვე, მიბმულია შრომის ბაზართან. შრომის  ბაზარი არ არის თავისთავად შექმნილი  ავტონომიური ტოპოსი, როგორც ასეთი,  არამედ განისაზღვრება ეკონომიკური  პოლიტიკის ხედვებით. გლობალიზაციის კონტექსტში,  სადაც ერთ-ერთი წამყვანი იდეაა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკაა, უფრო ცხადად ჩანს უნივერსიტეტის მიბმა შრომის ბაზართან როგორც ძალაუფლების მქონე თვითრეგულირებად, თითქმის ავტონომიურ ერთეულთან, რაც

განსაზღვარს როგორც  კურიკულუმს, კურიკულმში დასახული მიზნებიდან გამომდინარე სწავლების მეთოდებს, ტექნოლოგიებს. თუმცა აქ მთავარი არის კურიკულუმის და სასწავლო კურსების  სტრუქტურული შინაარსობრივი  უხილავი თუ ხილული ბმა შრომის  ბაზართან. შრომის ბაზარი გამოდის როგორ ძალაუფლების მქონე ერთეული, რომელიც უნივერსიტეტის ამა თუ იმ იდეას ანიჭებს ლეგიტიმურობის ხარისხს, ან პირიქით, განდევნის მას მის მიერ შემქნილი ნარატივიდან, როგორც ცოდნის გადამცემ არალეგიტიმურ და არარენტაბელურ სუბიექტს.

მეორე ცხრილში პროფესორი კარლ ა. რაშკე წარმოგვიდგენს განსხვავებას ტრადიციული და ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში შექმნილი ჰიპერუნივერსიტეტს შორის, რაც დაგვეხმარება ჰიპერუნივერსიტეტის იდეის გარკვეული თვალსაზრისით გაგებასა და განსაზღვრაში.

ცხრილი 1.2.

| | **ტრადიციული უნივერსიტეტი** | **ჰიპერუნივერსიტეტი** |
|---|---|---|
| სწავლების მოდელი | კურსის კრედიტები, განრიგი, საკონტაქტო საათები | ტუტორიალები, სერტიფიკატი, გამოცდები კომპეტენციებში |
| ადმინისტრაციული სტრუქტურა | უნივერსიტეტები - დაყოფილია სკოლებად ან/და დეპარტამენეტებად, რომელიც მოიცავს მიმართულებებს, სპეციალისტებს და პროგრამებს | უნივერსიტეტი დაფუძნებულია “pathway of study”  -ზე და სასერტიფიკატო პროგრამებზე, ფაკულტეტები მოცემულია კლასტერებად სასწავლო ცენტრებში და |

| | | |
|---|---|---|
| | | პროფესიულ ჯგუფებში, მაგალითად, როგორც სამედიცინო ან იურიდიული პრაქტიკა |
| სტუდენტური ცხოვრება | ბაკალავრიატი და სამაგისტრო სადოქტორო საფეხური ძირითადი და დამატებითი სპეციალობებით, კამპუსები, სტუდენტური სერვისი ფიზიკურად მოთავსებული ერთ სივრცეში | კომპეტენციებზე ორიენტირებული საფეხურები და სასერტიფიკატო პროგრამები, ე.წ. ჰიპერკამპუსი, სადაც ფიზიკური აუდიტორიები არ არის, არამედ ვირტუალური |
| ეკონომიკური სტრუქტურა | უნივერსიტეტი შემოსავალს იღებს საათობრივად კრედიტებზე დაფუძნებით, ან დასპონსორებული კვლევებით | შემოსავალი გაქირავებით, ხარისხის მოსაპოვებლად კურიკულუმის მოდულალური დატვირთვა და ინფორმაციული ინდუსტრია „ანტერპრენორობა“ |

**როგორც ვხედავთ, ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში ჩვენ უნივერსიტეტის მაგივრად ვიღებთ ჰიპერუნივერსიტეტს. ეს ცნება თავის თავში მოიცავს უნივერსიტეტის იდეას, როგორც ასეთს, მაგრამ ის არ არის ტრადიციული ფორმატის, არ აქვს კონკრეტული ლოკალური სივრცე, არამედ არსებობს ჰიპერსივრცეში, ვირტუალურ რეალობაში, რის გამოც მას შეიძლება ეწოდოს**

**ჰიპერუნივერსიტეტი.** ციფრულმა რევოლუციამ და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვამ ეს ვითარება შეცვალა, შედეგად მივიღეთ სხვა ტიპის უნივერსიტეტი, სადაც სწავლება და სწავლა განიცდის მეტამოფროზას და პირისპირ პედაგოგიკას ანაცვლებს ვირტუალური ტუტორიალები, ონლაინ კომუნიკაცია, ტელეპრეზენსი, მობილური საგანმანათლებლო აპლიკაციები. ეს ტენდენცია გარდაუვალია ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. ისმის საკითხი - როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტი, სწორი იქნება, ვთქვათ, ჰიპერუნივერსიტეტი ტექნოლოგიურ ცნობიერების კონტექსტში და რა მომავალი აქვს მას? როგორი იქნება ცოდნის სტატუსი, შემეცნება და, რამდენად შესაძლებელია ამ ახალ პარადიგმაში, სადაც ხელოვნური ინტელექტის განვითარება და ანდროიდული ეპისტემოლოგიური საკითხები დგება დღის წესრიგში, როგორ მოვიაზრებთ უნივერსიტეტის მომავალს? მაშინ როცა ხელოვნური ინტელექტის შემქნელები, ცნობიერების ფილოსოფიის მკვლევარები, მათ შორის, ინგლისელი პროფესორი, ფილოსოფოსი ნიკ ბოსტრომი[21], პროგნოზირებენ, რომ ადამიანის გვერდით ხელოვნური ინტელექტი ისეთივე შესაძლებლობების იქნება და მეტიც, ის იქნება ანდროიდი სუპერგონება, რომელიც სრულიად შეითავსებს სწავლებას, ცოდნის გადაცემა/ტრანსმისიას. "მანამდე არსებული ეპისტემოლოგია ეყრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ ცოდნა თავისთავად არსებული რამ არის, რომელიც უნდა იქნეს გადაცემული როგორც რადიო სიგნალი, მასწავლებლიდან მოსწავლეზე" (Raschke, 2003, p.30). პროფესორ რაშკეს აზრით, ტექნოლოგიური ცნობიერების კონტექსტში ცოდნის სტატუსი რადიკალურად განსხვავებულ შინაარს იძენს და ის არ წარმოადგენს ტრადიციულად გაგებულ კონცეპტს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მეტაფიზიკური რეალიზმი, რაც გულისხმობს უკვე აპრიორი არსებული ცოდნის გადაცემა/ტრანსმისიას სტუდენტზე. ასეთი კონცეფცია გულისხმობდა ცოდნის გადამცემ ავტორიტეტებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ, რა იყო ჭეშმარიტი ცოდნა და რა არა. ტექნოლოგიური

[21] ნიკ ბოსტრომი (1973--) შვედი ფილოსოფოსი, მუშაობს ცნობიერების ფილოსოფიაში, იკვლევს თანამედროვე, მომავლის ტექნოლოგიების ხელოვნური ინტელექტის გავლენას ეგზისტენციალურ რისკებზე, ადამიანის ეთიკაზე. ის არის Future of Humanity Institute იდეის ავტორი და დამფუძნებელი ოქსფორდის უნივერსიტეტში.

ცნობიერების განზომილებაში კი ეს ავტორიტეტები ჩაანაცვლა შრომის ბაზარმა, დამსაქმებელმა, ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა, მსოფლიო ბანკმა, გაერომ, საერთაშორიოს მონეტარულმა ფონდმა და სხვა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც, თავის მხრივ, სახელმწიფოს კარნახობენ განათლების პოლიტიკას. ტექნოლოგიური ცნობიერების კონტექსტში ცოდნის სტატუსი განისაზღვრება არა მხოლოდ ეკონომიზმის და გლობალიზაციის მიერ შექმნილი ტენდენციებით, არამედ საკმაოდ თამამი ფუტურისტული იდეებით, რომელიც გულისხმობს ანდროიდული ეპისტემოლოგიური ჰიპერსივრცის შექმნას ჰიპერუნივერსიტეტში, რომელსაც კარლ ა. რაშკემ უწოდა სწავლების დასასრული და რევოლუცია სწავლაში (Raschke, 2003, p. 30).

ტექნოლოგიური ცნობიერების განზომილებამ კი ქმნის ახალი ტიპის უნივერსიტეტებს ე.წ. ჰიპერუნივერსიტეტებს, სადაც ცოდნის სტატუსს, აგრეთვე, განსაზღვარავენ ლეგიტიმური ეკონომიკური თუ ძალაუფლების მქონე ავტორიტეტები. ამასთან, მეცნიერული ცოდნა გადის უნივერსიტეტის გარეთ და მისი შექმნა აღარ არის უნივერსიტეტის, როგორც ცოდნის შექმნელის ერთადერთი პრეროგატივა. კვლევითი ცენტრები ინაცვლებენ ისეთ კორპორარციებში, სადაც ხდება ცოდნის კომერციალიზაცია და განვითარებული ტექნოლოგიების საფუძველზე ცოდნაზე დაფუძნებული ძალაუფლების ლეგიტიმაცია. ვინც ფლობს ცოდნას, მას აქვს ძალაუფლება. როგორც ჟან-ფრანსუა ლიოტარი აღნიშნავს, ცოდნის სტატუსი იცვლება იმის შესაბამისად, როგორც საზოგადოებები, რომლებიც შედიან პოსტინდუსტრიულ ეპოქაში (Lyotard, 1979). ლიოტარო საუბრობს XX საუკუნის მეორე ნახევარზე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდზე, ხოლო ტექნოლოგიური ცნობიერების ეტაპი იწყება გლობალური ინტერნეტის შექმნიდან და ციფრული რევოლუციიდან, რომელმაც, აგრეთვე, დააჩქარა გლობალიზაციამ, რამაც, თავის მხრივ, ახალი ტენდენციები წარმოშვა განათლებაში. ერთ-ერთი მათგანი იყო ბოლონიის პროცესი, როგორც ერთიანი ევროპული სივრცის შექმის იდეა. ბოლონიის პროცესი ევროპაში, როგორც განათლების ამერიკანიზაციის საპირწონე, სწორედ

ტექნოლოგიური ცნობიერების დასაწყისიდან შეიქმნა, მაგრამ მას ჰქონდა სხვა ისტორიული წინაპირობები, რაც ნაკარნახევი იყო ინდუსტრიული ცნობიერების ეტაპზე.

# თავი V. იდეები პოსტმოდერნული უნივერსიტეტის შესახებ

## 5.1 კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტი

ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ დერიდა თავის ესეიში "გონების პრინციპი: უნივერსიტეტი სტუდენტთა თვალით" (2004) წერს: "არავი არ წარმოუდგენია უნივერსიტეტი რაციოს გარეშე" (Derrida, 2004, p. 129). თანამედროვე უნივერსიტეტები დაფუძნებულია რაციოს საფუძვლეზე. თუ არისტოტელესეული შემეცნება თვალის, ხედვისა და სინათლისაა, მეტაფიზიკური სინათლე, რომელშიც ვლინდება სამყაროს დაუსრულებელი შემეცნება, ექსისტენციალურ ფილოსოფიაში, განსაკუთრებით, მარტინ ჰაიდეგერის (1889-1976) მსოფლმხედველობა, სმენისა და ხმის მსოფმხედველობაა. ეპისტემეს ჰაიდეგერისეულ გზაზე ონტოლოგია და მეტაფიზიკა ხვდება ერთმანეთს. დერიდა შემეცნების ამ ორი პრინციპიდან აზროვნების ორ სხვდასხვა ტიპს გამოჰყოფს. აზროვნების ეს ორივე ტიპი ჭეშმარიტების ძიებაშია და, მისი აზრით, ჭეშმარიტების ძიება უნდა ხდებოდეს უნივერსიტეტებში. ჭეშმარიტების ძიება არსებითია რაციოსთვის, სხვაგვარად რაციო ვერ ილაპარაკებს თავისთავზე, როგორც ყოფიერების ერთგვარ გამოვლინებაზე (Derrida, 2004). ჭეშმარიტების მიზანი თავისუფლებაა, როგორც ძველი ლათინები იტყოდნენ Veritas Vos Liberabis – ჭეშმარიტება ათავისუფლებს. ჭეშმარიტების ძიება თავისთავში მოიცავს პირველმიზეზების ძიებას, რაც საგნის Architecton[22]-ის, პირველსაწყისი ჭეშმარიტების ფენომენოლოგიური ჭვრეტაა. როგორც ჰაიდეგერი იტყოდა, ჭეშმარიტება თავისთავს სინათლეში აყენებს, ავლენს: phainestai – ვლენა, გამოვლენა ბერძნულ ენაში, საიდანაც მოდის სიტყვა ფენომენი, ხოლო phainos დერივაციაა არსებითი სახელი phos, რომელიც სინათლეს ნიშნავს (ჰაიდეგერი, 2019). უნივერსიტეტი წარმოადგენს სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მთავარი მიზანია არა მხოლოდ სწავლება, დახელოვნება, როგორც არიტოტელე იტყოდა გარკვეული სარგებელისათვის (prattein), არამედ მეცნიერული შემეცნება, როგორც უმაღლეს იდეას

[22] ტერმინი „Architecton" გამოყენებულია ჟაკ დერიდას მიერ შემდეგი კონტექსტით „ვინც ფლობს თეორიულ ცოდნას ის არის ლიდერი და საზოგადოების არქიტექტონი" (Derrida, 2004, p.152), არქიტეტქონი როგორც „ამგები", როგორც შემოქმედი, რომელიც არსებული საგნების, ცოდნებისგან ახალი იდეების კონსტრუირებით არის დაკავებული.

სარგებლის გარეშე, რასაც გვერდს ვერ ავუვლით ტექნოკრატიულ სამყაროში, სადაც ჯერ კიდევ მატერიალიზმი და კონსუმერული მსოფხედვა ძლიერია. თუ აზროვნების ორი ტიპი შეიძლება გამოვყოთ: აზროვნება ხედვისა და სინათლის, აზროვნება სმენისა და ხმის, მაშინ შესაბამისად, შემეცნების ორ ტიპს მივიღებთ, რომელსაც დერიდასავე იზოსთენის პრინციპის თანახმად არსებობის უფლება აქვს. შემეცნება, მეცნიერება, ის წარსულის მოვლენებს იკვლევს თუ აწმყოსას, ფიზიკურ მოვლენებს იკვლევს თუ ბიოლოგიურს, რაციონალურს თუ ირაციონალურს, მაინც მომავლისკენ არის მიმართული, შესაბამისად, უნივერსიტეტი, არის ის ადგილი, სადაც იბადება, იზრდება მომავლის საზოგადოება (Derrida, 2004).

პოსტმოდერნული უნივერსიტეტი დღევანდელი სამყაროს არა მხოლოდ კომერციალიზაციის და გლობალიზაციის პირობებში ყალიბდება, არამედ ტექნოლოგიური ცნობიერების კონტექსტში. პოსტმოდერნულ სამყაროში გლობალიზაციის პროცესს აქვს თავისი შრეები და ქვეშრეები, რომლის დაკონკრეტება რთულია, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ თანამედროვე სამყაროში, როდესაც ყოველდღე იბადება ათასობით ჰიპოთეზა და ყოველდღე ეს ათასობით ჰიპოთეზა ფალსიფიცირდება კიდევ სხვა ათასნაირი ჰიპოთეზით. ეს არის ჩვენი, დასავლეთის ცივილიზაციაზე ორიენტირებული დღევანდელი ონტოლოგიური რეალობა ტექნოლოგიური ცნობიერების ქმნადობის პროცესში, რომელსაც ჯერ ვერ გამოურკვევია თავისი თავი და მუდმივად დეკონსტრუირდება, თუ დერიდას ტერმინს გამოვიყენებთ. შესაბამისად, დეკონსტრუირდება უნივერსიტეტის იდეაც. დერიდა იაპონელი მეგობრისადმი მიწერილ წერილში წერს, რომ დეკონსტრუქცია არ არის ერთჯერადი მოვლენა, ის არ ატარებს კატასტროფულ ხასიათს, ისე როგორც ჩვენ გვესმის კატასტროფა, ის არის ნაწერივით და ტოვებს თავის ხელწერას, რომელიც იდიომატურია და არ მეორდება. იდიომატური ხელწერა ძალიან ჰგავს მითოლოგიურ პერსონაჟს არგუსს, რომელსაც ბევრი თვალი აქვს. ეს თვალი ძალიან ჰგავს არისტოტელესეულ მეტაფიზიკურ, შემეცნების თვალს. საიდანაც იწყება გაკვირვება და შემეცნება. ჯერ კიდევ ჩვენი შემეცნება ვერ აერთიანებს აზროვნების

ორ ტიპს, თვალს და სინათლეს, სმენასა და ხმას. პოსტმოდერნული უნუვერსიტეტი ეს არის კონცეპტუალური შესაძლებლობა დეკონსტრუირებული მომავლისა, რომელიც ჯერ კიდევ ბუნდოვნად გვესახება, კონცეპტუალური შესაძლებლობა შემეცნების იმ ფორმებისა, რომელსაც ვეძებთ.

პოსტმოდერნიზმს ვერ განვსაზღვრავთ მოდერნის პარადიგმებით. თავად ტერმინი „მოდერნი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „modo“, რომელიც ნიშნავს „ახლა“. ცნებითი შინაარსი, რომელსაც ჩვენ მოდერნს ვანიჭებთ, არის ყველაფერი, რაც შეიქმნა განმანათლებლობის ეპოქიდან XX - ის მეორე ნახევრის ჩათვლით, მოდერნში დღევანდელობამდე არსებულ კონცეპტებს, კონცეფციებს, ვითარებას, ონტოლოგიურ, ისტორიულ პარადიგმებს, რომელიც კაცობრიობამ შექმნა განმანათლებლობის ეპოქიდან. თუმცა ზოგიერთი მოაზროვნე მოდერნის ხანის ათვლას დეკარტეს ფილოსოფიიდან და ჰუმანისტური მოძრაობებიდან იწყებს, განსაკუთრებით, მარტინ ლუთერის მიერ დაწყებულ რეფორმაციას მიიჩნევენ ათვლის წერტილად.

უნივერსიტეტის იდეის გარშემო შექმნილი კონცეფციებიდან, რომელიც განსახვავებული ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, კულტუროლოგიურ თუ რელიგიური მსოფმხედველობრივ პარადგმებში იქმნებოდა, ჯონ ჰენრი ნიუმენის, ალფრედ ნორზ უაითჰედის (1861-1947), მაქს ვებერის (1864-1920), კარლ იასპერსის (1883-1969), პიერ ბურდიეს (1930-2002), ჟაკ დერიდას (1930-2004), ჟან-ფრანსუა ლიოტარის (1924-1998) და სხვა მოაზროვნეების მიერ, ჩვენი კვლევის ინტერესებიდან და მესამე თავში მოცემული ახალი კლასიფიკაციის მცდელობიდან გამომდინარე, განვიხილავთ ამერიკელი მკვლევარების მარკუს პიტერ ფორდისა და რელიგიათმცოდნეობის პროფესორ კარლ ა. რაშკეს კონცეფციებს პოსტმოდერნული უნივერსიტეტის შესახებ. ამ ორი პროფესორის მიერ შემუშავებული კონცეფცია იქნება განხილული სკლუპურობულად და შევეცდებით შეძლებისდაგვარად განვჭვრიტოთ უნივერსიტეტის შესაძლო მომავალი. პოსტმოდერნული უნივერსიტეტების იდეების და კონცეფციების განხილვის შედეგად შესაძლებელია

გარკვეული ხედვის ჩამოყალიბების მცდელობა, რაც, იმედი გვაქვს, ხელს შეუწყობს ჩვენს სივრცეში დებატების გაძლიერებას ტექნოლოგიური ცნობიერების კონტექსტში. იმ გამოწვევების ფონზე, რასაც ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, ინფორმაციული ერა და ხელოვნური ინტელექტის განვითარება გვაყენებს.

ამერიკელი მკვლევარი მარკუს პიტერ ფორდი პოსტმოდერნული უნივერსიტეტის ახალ მოდელს გვთავაზობს, რომელსაც კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტი უწოდა (Ford, 2002). ჰალეს და ბერლინის უნივერსიტეტებს ის მოდერნული ტიპის უნივერსიტეტებად მიიჩნევს. ფორდი მოდერნული ტიპის უნივერსიტეტებში გულისხმობს ნაციონალიზმის და ეკონომიზმის ეტაპზე შექმნილ უნივერსიტეტებს. მისი აზრით, ნაციონალიზმის და ეკონომიზმის ეტაპებზე შექმნილი უნივერსიტეტის მოდელები დღესაც აქტუალურია. "ვინაიდან სამყარო კიდევ უფრო მიდის ეკონომიზმისკენ, როგორც მისი მოწყობის პრინციპისკენ, რეალობის აღქმა უფრო გვიანი მოდერნული მსოფხედვის პრინციპს ეფუძნება და იდეა, რომ უმაღლესი განათლების ჭეშმარიტი მიზანი ხდება ინტელექტუალური განვითარება ან ინფორმირებული მოქალაქე, ეს პრობლემატურია. დღეს არის ბრძოლა მოდერნული ტიპის უნივერსიტეტებს შიგნით ლიბერალებს და კონსერვატორებს შორის, ტრადიციონალისტებსა და პროგრესივისტებს შორის. თუმცა საგამანათლებლო დაწესებულების, როგორიცაა ფენიქსის უნივერსიტეტი, მიზიდულობა მდგომარეობს მისი მიზნების უნიკალურობაში და და საკუთარი თავის მანიფესტაციაში, როგორც მას აქვს მსოფლიოში არსებული დომინანტი პარადიგმის შესაბამისი ხედვები. იდეები, რომლებმაც ფენიქსის უნივერსიტეტის მზარდობა გამოიწვია მსოფლიოში, სხვა საგანმანათლებლ;ო დაწესებულებებისთვის მისაბაძ მოდელი გახადა" (Ford, 2002, p.95).

ის დიხოტომია, რომელიც მოდერნული ტიპის უნივერსიტეტებში არსებობს, როგორი ტიპის სწავლება და კურიკულუმებია უფრო რელევანტური ლიბერალური, ნეოლიბერალური თუ კონსერვატული, ან ჯონ ჰენრი ნიუამანისეული

კონსერვატორული ლიბერალური განათლების მოდელი, რომელიც რელიგიურ ფასეულობებს ეყრდნობა, განსაკუთრებით, დასავლეთის ქრისტიანულ კათოლიკურ ტრადიციებს, ჯონ დიუისეული პრაგმატული და პროგრესივიზმის პრინციპებზე დაფუძნებული სწავლება. რეალურად, ეს ვერ გვაძლევს თანამედროვე სამყაროსთვის ადეკვატურ საუნივერსიტეტო განათლების მოდელს და უნივერსიტეტი დღევანდელი გამოწვევების კონტექსტში ხდება არალევანტური. ვერც ქრისტიანიზმის პრინციპებზე დაფუძნებული საუნივერსიტეტო კურიკულუმები, რომელიც შუა საუკუნეებში არსებული უნივერსიტეტები ახორციელებდნენ, ვერც ნაციონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული უნივერსიტეტები, როგორიცაა ჰალეს და ბერლინის მოდელი, ვერ პასუხობენ თანამედროვე გამოწვევებს. ფენიქსის უნივერსიტეტი კი ნაწილობრივ ასახავს თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებს. მესამე თავში ეს უნივერსიტეტები ახალი კლასიფიკაციის თანახმად ნაციონალური და ინდუსტრიული ცნობიერების პარადიგმებში განვიხილეთ. ისმის კითხვა - როგორი ტიპის უნივერსიტეტი გვჭირდება?

მარკუს პიტერ ფორდის აზრით, დღეს მსოფლიოს, განსაკუთრებით, დასავლეთის ცივილიზაციას სჭირდება კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის მოდელი, რომელიც ნაწილობრივ ეყრდნობა ალფერდ ნორზ უაითჰედის ხედვებს განათლების შესახებ და, ამავე დროს, გარკვეული თვალსაზრისით, არის უფრო ენვაორომენტალისტური, გლობალური ეკოლოგიურ პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული (Ford, 2002). ეს არ გულისხმობს იმ ტიპის ინტელექტუალიზმს, პროფესიულ სწავლებას, რომელიც იგნორირებას უკეთებს გარემოზე ზრუნვას. “პოსტმოდერნული უნივერსიტეტი, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს უაითჰედის მსოფმხედველობას, როგორიცაა ორგანიზმის ფილოსოფია, გულისხმობს, რომ მას ექნება სწრაფვა იმ იდეისკენ, რომ სამყაროს აქვს უდიდესი ღირებულება, როგორც ასეთი, და ადამიანს აქვს ვალდებულება მოუფრთხილდეს და განავითაროს ეს ღირებულება” (Ford, 2002, p.96). ფორდის აზრით, პოსტმოდერნული უნივერსიტეტი, რომლის კურიკულუმი იქნება

ორიენტირებული გლობალურ და ლოკალურ ეკოლოგიურ საკითხებზე, არ იქნება ნეიტრალური, როგორც მოდერნული ტიპის უნივერსიტეტები გარემოს მიმართ, რომელსაც ზიანს ხშირ შემთხვევაში არასწორად წარმართული ეკონომიკური აქტივობები აყენებს. პოსტმოდერნული უნივერსიტეტის იდეა უნდა იყოს ბუნებრივი რესურსების მოფრთხილება და ადამიანის არსებობის არა მხოლოდ მატერიალურად და ტექნოლოგიურად გაუმჯობესებაზე, არამედ მისი არსებობის თვისებრივად მაღალ სტანდარტებზე ზრუნვა. ცხრილის სახით ქვემოთ იხილეთ ფორდის მიერ წარმოდგენილი თვისებრივი სხვაობა მოდერნული და პოსტმოდერნული მოდელის უნივერსიტეტებს შორის:

| **მოდერნული უნივერსიტეტი** | **პოსტმოდერნული უნივერსიტეტი** |
|---|---|
| დისციპლინური/პროფესიული | პრობლემაზე დაფუძნებული/ლოკალურ გარემოზე |
| ღირებულებები თითქმის ნეიტრალურია | ცხადად დატვირთულია ღირებულებებით და ფასეულობებით |
| აბსტრაქტული და ვიწროდ პრაქტიკული | კომპლექსური და უფრო პრაქტიკაზე ორიენტირებული |
| ანთროპოცენტრული და ინდივიდუალისტური | ბიოცენტრული და სოციალური |
| აპოლიტკური | ემხრობა ლოკალიზებულ, დეცენტრალიზებულ მმართველობის ფორმას |
| უნივერსალური | education for rootedness |
| education for rootlessness | ისწრაფვის სუბსტანციური ცვლილებებისკენ |
| სტატუს ქვოს გაძლიერება და ცდილობს მის გაფართოებას | |

“მოდერნული  უნივერსიტეტის კურიკულუმი არის  დისციპლინარულ სწავლებაზე დაფუძნებული და პროფესიულ განათლებაზე ორიენტირებული. დისციპლინარული კურსებს აქვთ ტენდენცია აბსტრაქტულობისკენ, უფრო თეორიულია და უადგილო კონკრეტიკის მსხვერპლი ხდება. პრაქტიკული კურსები მეტწილად დიზაინირებულია როგორც  სატრენინგო კურსი, რომელიც არის მცდარი ვიწრო სპეციალიზაციის  გამო გაკეთებული. ორივე მიდგომა  მორალურად ნეიტრალურია, რაც აისახება სტატუს ქვოს ეთიკურ მხარეზე. არცერთი კურსთაგანი არ გულისხმობს მიუდგეს სამყაროს როგორც კომპლექსურ მოცემულობას,  სადაც ყველაფერი ურთიერთკავშირშია როგორც  სოციალური ინტერაქცია,  ისე ადამიანის დამოკიდებულება  გარესამყაროსთან” (Ford, 2002, p.97). ფორდს აქვს მცდელობა პრობლემაზე  დაფუძნებული სწავლების დიუისელი, პრაგმატისტული მოდელი გადმოიტანოს კონსტრუქტივისტულ პოსტმოდერნული მოდელის უნივერსიტეტში. ზოგადად, ამერიკელი მკვლევარის კონსტრუქტივისტული მოდელი გულისხმობს უფრო ჯონ დიუის პრაგმატიზმის და ალფრედ ნორზ უაითჰედის ორგანიზმის ფილოსოფიის ეკლექტიზმს, რომელსაც  ემატება ენვაირომენტალისტური ხედვები და ეთიკა. ჩვენი აზრით, ეს მცდელობა შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს და გარდა ამისა, მოდერნული ტიპის უნივერსიტეტების სწორედ რომ ისეთ  ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, რომელიც სრულებით არ არის ნეიტრალური ხასიათის. რაც შეეხება ლოკალურ გარმეოზე ორიენტირებულ სწავლებას, ამ ტიპის კურიკულუმები არსებობს ამერიკის შეერთებული შტატების რიგ უნივერსიტეტებში, რომლებიც სწორედ რეგიონალურ ეკონომიკაზე და გარემოზე არიან კონცენტრირებულები.

თითქოს ფორდისეული კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის მოდელი  უპირისპირდება ფილოსოფიურ  მატერიალიზმს და სიახლეს წარმოადგენს, მაგრამ სინამდვილეში ფორდის კონსტრუქტივისტული მოდელი იმეორებს ჯონ დიუის  განათლებაში პრაგმატიზმის ფილოსოფიის ისეთ პრინციპს, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ეს პრინციპი  სიახლეს არ წარმოადგენს. ფორდი ცდილობს ფილოსოფიური მატერიალისტური მსოფხედვა ეკონომიზმი

წარმოადგინოს იმ იდეოლოგიად, სადაც ადამიანი არის მთავარი მომხმარებელი ფიგურა, რომელიც უსაზღვროდ და წინდაუხედავად მოიხმარს დედამიწის რესურსებს და, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკოლოგიური კატასტროფების კერების გაჩენას. მისი აზრით, ეკოლოგიური და ანთროპოგენური კატასტროფები აზარალებს ეკონომიკას, რაც, აგრეთვე, ფინანსური კრიზისის გამომწვევი ხდება. მოდერნული ტიპის უნივერსიტეტები მორალური ნეიტრალურობის გამო, არ არიან საზოგადოების განვითარების მთავარი შემოქმედები, არამედ ისინი იქცნენ მხოლოდ ეკონომიკური და საზოგადოების საჭიროებების მომსახურე, ანთროპოცენტრისტული და ეკონომიცისტური მსოფმხედველობის მწარმოებლები, ტრანსმიტერები და არა როგორც ცოდნის, იდეის შემოქმედები (Ford,2002). განსაკუთრებით, ამ ნაწილში ვერ დავეთანხმებით ამერიკელ მკვლევარს, რადგან ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის, როგორც მოდერნული ტიპის უნივერსიტეტის მთავარი იდეაფიქსი ახალი ცოდნის შექმნაა სწავლებისა და კვლევის ინტეგრირების გზით. ჩვენი აზრით, ფორდი მეტისმეტად რადიკალურად განიხილავს მოდერნული ტიპის უნივერსიტეტებს და არ ითვალისწინებს ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის მისიას. მისი აზრით, მომხმარებლური მიმართება სამყაროსთან უნივერსიტეტებს ხდის არარელევანტურს თანამედროვეობის გამოწვევებთან, რომელიც არის როგორც ტექნოლოგიური, ისე ანთროპოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ხასიათისაა. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც პოსტმოდერნული ტიპის უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს, შეძლებს დაძლიოს არსებული დიხოტომია დისციპლინებს და რეალურ სამყაროს შორის. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება კი, როგორც აღვნიშნეთ, პრაგმატისტების და პროგრესივისტების ძირითადი პრინციპია საუნივერსიტეტი განათლებაში. ფორდის აზრით, სწავლების ამ მეთოდის საშუალებით ხელოვნურად შექმნილი პირობითი საზღვრები დისციპლინებს შორის იშლება, მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული ტიპის სწავლება და კვლევა ხდება აქტუალური, რაც უფრო რელევანტურია თანამედროვე ვითარებასთან. როგორც ვხედავთ, პრობლემაზე და ლოკალურ გარემოზე დაფუძნებული სწავლების მოდელი ფორდისეული კონსტრუქტივისტული

პოსტმოდერნული უნივერსიტეტის მთავარი იდეაფიქსია. ლოკალურ გარემოზე დაფუძნებული სასწავლო კურსების მთავარი შინაარსი და აქცენტი იქნება ორიენტირებული იმ ტერიტორიის და რეგიონის პრობლემების გადაჭრაზე, სადაც ეს უნივერსიტეტები არსებობენ. "მოდერნული უნივერსიტეტი უკუაგდებს ლოკალურ პრობლემებს, შედეგად ინდივიდებს, რომლებიც ამ უნივერსიტეტებს ამთავრებენ არ აქვთ სრულყოფილი წარმოდგენა, თუ სად არიან ან როგორ უნდა იმუშაონ იმაზე, რომ სამყარო გახადონ უკეთესი თავის ნაწილში... პოსტმოდერნული კურიკულუმის უმთავრესი ინტერესი იქნება რეალური გლობალური სამყაროს კონტექსტის უკეთ გაგება და, ამავე დროს, ლოკალური სამყაროს, სადაც ის არსებობს, გამოწვევებზე რელევანტური რეაგირება" (Ford, 2002, p.98). ჩვენი აზრით, აქაც არასწორ პოზიციაზე დგას ამერიკელი მკვლევარი, რადგან ლოკალურ საკითხებზე ორიენტირება სწორედ რომ ვიწრო დისციპლინების საქმეა, დისციპლინებს შორის საზღვრების მოშლა გულისხმობს ინტერდისციპლინარული ხასიათის კვლევითი იდეების დაბადებას და არა დისციპლინური სწავლების გაქრობას. ფორდის აზრით, კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის მიზანი უნდა იყოს, როგორც გლობალური, ისე ლოკალური კონტექსტების კარგად გააზრება, სტუდენტებს ასწავლოს სხვადასხვა სახის მიდგომები ლოკალურ და გლობალურ კონტექსტში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, იქნება ეს სოციალური, ეკონომიკური თუ ანთროპოგენური ხასიათის. მისი აზრით, მოდერნული ტიპის უნივერსიტეტები, მაგალითად, ჰალეს და ბერლინის კურიკულუმები უფრო აბსტრაქტული ბუნების იყო და დისციპლინებს შორის მკვეთრი სადემარკაციო საზღვრებით. ამ ნაწილშიც ვერ დავეთანხმებით მარკუს პიტერ ფორდს, ბერლინის უნივერსიტეტის სწავლების მოდელი მოიცავდა როგორც აბსტრაქტულ, ის კონკრეტულ დისციპლინებს. კვლევისა და სწავლების ინტეგრაცია საშუალებას იძლეოდა ყოველმხრივ განევითარებინა სტუდენტი. ფორდის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბერლინის მოდელი ორიენტირებულია მეცნიერების განვითარებაზე, მჭიდრო ინტერაქცია პროფესორსა და სტუდენტს შორის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობაზე, ის არ ითვალისწინებს იმ კონტექტს,

რომელშიც არსებობს და ჰუმბოლდტის იდეებზე ოპერირება თანამედროვე კონტექსტის გათვალისწინების გარეშე არარელევანტურია. ფენიქსის მოდელის უნივერსიტეტები პასუხობენ მხოლოდ შრომის ბაზრის გამოწვევებს, მაგრამ ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში თანამედრო სამყაროს კონტექსტი უფრო მრავალმხრივია და საჭიროებს ისეთი ტიპის კურიკულუმების შექმნას უნივერსიტეტში, რომელიც სტუდენტს სრულფასოვნად დაეხმარება როგორც გლობალური, ისე ლოკალური კონტექსტის გააზრებაში, რომელიც ვერ მოთავსდება ვერც ნაციონალური ცნობიერების, ვერც ინდუსტრიული და ვერც რელიგიური ცნობიერების პარადიგმაში. ჩვენ ამ თვალსაზრისით ვეთანხმებით ფორდს, რომელიც მიიჩნევს, რომ სტუდენტს გარდა გლობალური და ლოკალური კონტექსტების სრულფასოვანი გააზრებისა, უნდა ჰქონდეს იმ კატეგორიის კომპეტენციები, რის საფუძველზეც რელევანტურად, სწრაფად უპასუხებს არსებულ და მომავალ გამოწვევებს ტექნოკრატიულ სამყაროში (Ford, 2002).

მარკუს პიტერ ფორდის აზრით, მოდერნული ტიპის უნივერსიტეტის დამახასიათებელია კურიკულუმებში არსებული სასწავლო კურსების აბსტრაქტულობა, რომელიც არ არის კონცენტრირებული ლოკალური პრობლემების გადაჭარაში. პრობლემაზე და ლოკალურ გარემოზე დაფუძნებული სწავლება საშუალება იქნება საერთო ჯამში გლობალური პრობლემების მოსაგვარებლად. ეს გულისხმობს შემდეგს - კონკრეტული ქვეყნების უნივერსიტეტები უნდა იყვნენ ორიენტირებულები ისეთ კურიკულუმებზე, რომლებიც მოიცავს ადგილობრივი გარემოში არსებული გამოწვევებისთვის საპასუხოდ და პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო კომპეტენციებს. ცხადია, ეს არ გულისხმობს კურიკულუმებიდან ამოღებული იყოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც საკაცობრიო მნიშვნელობის და ხასიათისაა, მაგრამ, განსაკუთრებით გამოყენებითი დარგების აბსტრაქტული პრაქტიციზმი შეუთავსებელია თანამედროვე სამყაროსთან. გამოყენებითი დარგები კურიკულუმების კონკრეტიზაცია უნდა მოხდეს იმ გარემოს შესაბამისად, სადაც ეს სწავლება ხორციელებდა, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს

ამ გარემოში არსებული პრობლემების უნარიანად და სწორად  გადაჭრა. ფორდის აზრით, მოდერნული უნივერსიტეტების მოდელების კურიკულუმების პრობლემაა აბსტრაქტული პრაქტიციზმი (Ford, 2002). კონკრეტულ გარემოზე და პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება სტუდენტებს მისცემს საშუალებას უკეთ გაეცნონ იმ კონტექსტს, ბუნებრივ თუ ურბანულ გარემოს,  სადაც მათ უწევთ ცხოვრება. ამ ტიპის სწავლებით მათ განუვითარდებათ მყარი კავშირის განცდა საკუთარ ურბანულ და ბუნებრივ გარემოსთან. ასეთი ტიპის კურიკულუმებს და განათლების მოდელს ამერიკელი მკვლევარი  უწოდებს „ფესვებზე“ (rootedness) ორიენტირებულ სწავლებას.  “ეს არის განათლება „ფესვებისთვის“. ამის საწინააღმდეგოა  მოდერნული უნივერსიტეტების კურიკულუმები, რომლებიც ფოკუსირდებიან რადიკალურ ინდივიდუალიზმზე და ზედაპირულობაზე და მიიჩნევს, რომ სტუდენტები დატოვებენ სახლს და მიაღწევენ ეკონომიკურ წარმატებას”  (Ford, 2002, p.99).

თანამედროვე საზოგადოება გლობალიზაციის კონტექსტში მობილური ტიპის საზოგადოებაა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ადვილია სოციალური, საგანმანათლებლო, ეკონომიკური მობილობა და სწორედ  ამ ტიპის გლობალურ გამოწვევებზეა ორიენტირებული მოდერნული ტიპის უნივერსიტეტების  მოდელები. მობილობა და გლობალიზაცია თავისთავად არ არის ნეგატიური ფენომენი, მაგრამ რეალურად ჩვენს მიერ აღწერილი მოდერნული ტიპის კურიკულუმებით არ ხდება რეალური გლობალური პრობლემების გადაჭრა.  თუ ინდივიდი კარგად არ იცნობს იმ გარემოს, ურბანულ, ბუნებრივ კონტექსტს, სადაც ის ცხოვრობს და მისი ზრუნვის, განვითარების ფოკუსი არ იქნება მიმართული ამაზე, გლობალური პრობლემები ვერ გადაიჭრება.  იმისათვის, რომ მთელი იყოს საღი, მისი მისი შემადგენელი ნაწილებიც საღად უნდა გამოიყურებოდნენ. “როდესაც ადამიანებმა არ იციან  საკუთარი  მიწის, ქვეყნის კულტურული, ისტორიული,  ეკოლოგიური დეტალები, მით უფრო მიმართული არიან ზიანი მიაყენონ მას „განვითარებისა“ და „პროგრესის სახელით“ . ადამიანთა ერთობა  ამ პირობებში ვერ იქნება მყარი და დედამიწაზე ეკოლოგიური პრობლემები ძირითადად გამოწვეულია საკუთრივ დედამიწის ეკოლოგიური

თვისებების და სპეციფიკური დეტალების  არცოდნის გამო.  სანამ ადამიანთა სოციალური და ფიზიკური მობილობა არის გარდაუვალი და სასურველი ნებისმიერი თავისუფალ საზოგადოებაში, აბსოლუტური ხასიათის მობილობამ გამოიწვია ინდივიდების კავშირის გაწყვეტა ბუნებისგან და ადამიანთა თემისგან. დისციპლინაზე და პროფესიულ განათლებაზე ორიენტირებულ სწავლებას აქვს ტენდენცია მაქსიმალურად გაზარდოს მობილობა,  ხოლო ლოკალურ გარმეოზე ორიენტირებული კურიკულუმი  შედეგად მიღებული განათლება, გამოიწვევს ოპტიმალურ  ურთიერთობას „ფესვებსა“ და მობილობას შორის, სადაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება იცხოვრონ  კომპლექსური და საინტერესო ცხოვრებით, რაც ხელს შეუწყობს  ჯანსაღ და ცოცხალ  ურთიერთობას ბუნებასა და ადამიანთა თემებს შორის” (Ford, 2002, p. 99). ჩვენი აზრით, ამ ნაწილში შესაძლებელია დავეთანხმოთ ამერიკელ მკვლევარს, მაგრამ  კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის მოდელის პრინციპების დახასიათებისას ის წინააღმდეგობაში ვარდება, ერთი მხრივ, სურს გლობალური დონის მოქალაქე, მეორე მხრივ, საკუთარ ლოკალურ გარემოზე ორიენტირებული ადამიანი, რომელიც წყვეტს ლოკალურ პრობლემებს, მაგრამ, ჩვენი აზრით,  კონტრუქტივისტული გზებით ამის გადაჭრა ზედაპირულად ხდება.  თუმცა ფორდის აზრით, ეს მიდგომა არ გულისხმობს მოდერნული ტიპის უნივერსიტეტის გადაკეთებას, ან ალაგ-ალაგ მთელ რიგ კურიკულუმებში რეფორმების გატარებას. არამედ ეს არის სრულიად განსხვავებული ტიპის უნივერსიტეტი, რომელსაც უწოდა კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტი (Ford, 2002).  ამერიკელი მკვლევარი ფიქრობს, რომ ფილოსოფიური მატერიალიზმი,  რომელიც დამახასაითებელია მოდერნული ტიპის უნივერსიტეტებისათვის, ფაქტია, ვერ პასუხობს სრულყოფილად დღეს არსებულ გამოწვევებს, როგორიცაა ეკოლოგიური პრობლემები, ტერორიზმი, სიღარიბე, სხვადასხვა სახის ანთროპოგენური თუ ბუნებრივი საფრთხეები.  ყველა მოდერნული ტიპის უნივერსიტეტის გამოცხადება ეკონომიზმის მსოფმხედველობრივი მიდგომების მქონედ არასწორი გვგონია, მაშინ როცა ბერლინის უნივერსიტეტის მოდელი ასეთ მიდგომას არ გულისხმობდა. “სხვა სახის განსხვავება, რომელიც არის

მოდერნულ და პოსტმოდერნულ უნივერსიტეტს შორის, მდგომაროებს მის პროფესიულ ორიენტაციაში. მოდერნული უნივერსიტეტის კურიკულუმი ვიწრო და ზედაპირულად პრაქტიკულია, მაშინ, როცა პოსტმოდერნული უნივერსიტეტის კურიკულუმი, როგორც ლოკალურ გარემოზე და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდით, უფრო ფართოდ და სიღრმისეულად პრაქტიკული იქნება" - მიიჩნევს ფორდი (Ford, 2002, p.100).

ფილოსოფიურმა მატერიალიზმმა, რომელიც XIX საუკუნიდან დამკვიდრა ზუსტ, საბუნებისმეტყველო და მის მომიჯნავე მეცნიერებებში, რის საფუძველზეც დაიბადა პოზიტივისტური მსოფხედვა მეცნიერებაში, თავის მხრივ, გამოიწვია საზოგადოების განვითარება ტენდენციურად სწორხაზოვანი მიმართულებით, რასაც ამერიკელმა თეოლოგმა ჯონ ბ. ქობმა ეკონომიზმი უწოდა (Cobb, 1987). ეკონომიკის განვითარება ეს არის საზოგადოების ფუნდამენტური განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაგრამ საზოგადოების და განათლების, უნივერსიტეტების კურიკულუმების რედუქციონიზმი ეკონომიზმზე სხვა უფრო რთული გამოწვევების წინაშე გვაყენებს, როგორიცაა ლოკალური და გლობალური ხასიათის ეკოლოგიური, სოციალური და ჰუმანიტარული პრობლემები. XX საუკუნეში შექმნილმა მეტაფიზიკურმა და ექსისტენციალურმა ჩიხმა პირველი და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უფრო მეტად გაამძაფრა ამ სახის პრობლემები. ინდუსტრიული ცნობიერების პარადიგმაში არსებულმა მთავარმა ფაქტორმა, როგორიცაა რედუქციონიზმი ეკონომიზმზე განათლების, სოციალურ, ჰუმანიტარულ და ტექნოლოგიურ ასპექტებში ხელი შეუწყო ასეთი მსოფმხედველობისგან გამოწვეული მეტაფიზიკური და ექსისტენციალური პრობლემების კიდევ უფრო გამწვავებას. ფორდის აზრით, პოსტმოდერნული უნივერსიტეტის კიდევ ერთი ფუნდამენტური განმასხვავებელი ნიშანი იქნება მეტაფიზიკის შეტანა კურიკულუმში. მეტაფიზიკა საშუალებას მისცემს სტუდენტებს ფუნდამენტურად დაფიქრდნენ არსებულ სინამდვილეზე, მორალურ-ეთიკურ ღირებულებებზე, თანამედროვე საზოგადოების განვითარების ტენდენციებზე და

პრობლემებზე (Ford, 2002). მეტაფიზიკა, პირველ რიგში, მათ დაეხმარება მსოფმხედველობის ჩამოყალიბებაში, რომელიც დაფუძნებულ იქნება არა რელიგიურ ღირებულებებზე, როგორც ეს ხდებოდა რელიგიური ცნობიერების პარადიგმაში შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში, არამედ იმ ფუნდამენტურ ღირებულებებზე, რაც ეხმარება ადამიანს გაიაზროს ანთროპოცენტრიზმის მცდარობა, რომელიც გაბატონებული იყო რელიგიურ, ნაციონალურ და ინდუსტრიულ ცნობიერებაში, გააცნობიეროს საკუთარი და ადამიანთა გაერთიანებების ადგილი სამყაროში, მათი ღრმა და აუცილებელი კავშირი ბუნებასთან. კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის კურიკულუმის აგებისას ფორდი გამორიცხავს მატერიალისტურ მიდგომასა და განმანათლებლობის შემდგომ რელატივისტურ შეხედულებებს, რომელმაც მეტაფიზიკური დუალიზმის და ნიჰილიზმის წარმოშობას შეუწყო ხელი. მისი აზრით, არცერთი ეს შეხედულება არ ემსახურება იმ კონსტრუქტივისტული მსფომხედველობის ჩამოყალიბებას, რაც აღვწერეთ (Ford, 2002).

კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტი არის ის ალტერნატივა, რომლის კურიკულუმები ორიენტირებული იქნება როგორც სამყაროს ფილოსოფიურ გააზრებაზე და რელევანტური წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე არსებული გარემოს, სოციალური დინამიკის, ეკონომიკის განვითარების შესახებ, აგრეთვე, ორიენტირებული იქნება იმ ტიპის პრაქტიციზმზე, რომელიც რელევანტურია არსებული სინამდვილისთვის. ამ ტიპის კურიკულუმში დისციპლინებს შორის არ არის მკვეთრი ზღვარი. სწავლება და კვლევა იქნება ინტერ და მულტიდისიპლინარულ რეგისტრში, რაც ხელს შეუწყობს სოციუმის და ეკონომიკის ჰარმონიულ განვითარებას ეკოლოგიურ კონტექსტში და ეს არ იქნება ეკონომიზმზე რედუქციონისტული ხასიათის. თავისუფლება, მორალურობა და თვისებრივად ჰუმანური და ეკოცენტრული ღირებულებები იქნება ფორდისეული კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის ტიპის წამყვანი ხედვა სწავლება, სწავლასა და კვლევაში.

კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტი ეფუძნება უაითჰედის ორგანიზმის ფილოსოფიას, როგორც ფორდი აღნიშნავს. “ორგანიზმის ფილოსოფია ეყრდნობა იმ იდეას, რომ სამყაროში რაღაცეები მცდარია, მაგრამ ის ემიჯნება იმ ხედვას, რომ დასავლური ცივილიზაცია არის მორალურად უფრო მაღლა მდგომი სხვა კულტურებთან შედარებით ან მხოლოდ ერთი უნივერსალური კულტურა წარმოადგენს საერთო პროგრესს განსხვავებულ ადამიანურ სისტემებთან შედარებით” (Ford, 2002, p. 103). კულტურული, სოციალური, ბუნებრივი მრავალფეროვნება არის ის საფუძველი, რომელსაც ემყარება ალფერედ ნორზ უაითჰედის ფილოსოფია, მაგრამ ეს მრავალფეროვნება ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული არ არის და ისე მუშაობს, როგორც ერთი ორგანიზმის სისტემა, ყველაფერი ურთიერთკავშირშია, თვით ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც ერთი შეხედვით ერთმანეთთან დაუკავშირებელი გვგონია. კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის იდეა სწორედ ამ პრინციპს ეფუძნება და კურიკულუმიც ყველა დისციპლინისა და დარგის ურთიერთკავშირის პრინციპზე იქნება აწყობილი.

მარკუს პიტერ ფორდი გვთავაზობს კურიკულუმის მოდელს, რომელიც მისი ხედვით კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის იდეას წარმოადგენს. კურიკულუმი არის სამწლიანი და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

**პირველი წელი** - იდეები სამყაროს შესახებ ( სოციალური, პოლიტიკური, გარემოს

შესახებ)

ლოკალური სოციალური/გარემოს შესახებ საკითხები

წერის კულტურა

მათემატიკური დისციპლინები

შესავალი მეტაფიზიკაში

მუსიკა, ხელოვნება, ცეკვა, პოეზია

**მეორე წელი** - არატრადიციული მდგრადი კულტურების მოდელები

დასავლეთის ცივილიზაციის ისტორია

თანამედროვე სოციალური პრობლემები

ეკონომიკა

მეტაფიზიკა

მუსიკა, ხელოვნება, ცეკვა, პოეზია

**მესამე წელი** - სოციალური მოძრაობები(ეფექტური ლიდერობა) მსოფლიოში

წერა, რეტორიკა და მედია ანალიზი

თემის/Community განვითარება - თეორია და პრაქტიკა

ინდივიდუალური კვლევა/აქტივისტური პროექტები

მუსიკა, ხელოვნება, ცეკვა, პოეზია. (Ford, 2002, p. 105)

პირველი წელი აქცენტირებულია უფრო ზოგად საკითხებზე, რომელიც ეხება სამყაროს შესახებ წარმოდგენების შექმნას, წერის კულტურის განვითარებას. წერის კულტურის ქვეშ იგულისხმება იმ სასწავლო კურსების განხორციელება, რომლებიც სტუდენტს დაეხმარება წერის უნარების განვითარებაში და წერის კულტურის ჩამოყალიბებაში. სტუდენტმა უნდა იცოდეს მშობლიურ და უცხო ენაზე წერითი კომუნიკაცია სრულყოფილად. მათემატიკური ტიპის დისციპლინების სწავლება ემსახურება რაოდენობრივი აზროვნებისა და აზროვნების მათემატიკური წესის ჩამოყალიბებას, რომელიც ინდივიდს დაეხმარება როგორც ლოგიკური აზროვნების განვითარებაში, ისე მონაცემთა შეგროვებასა და მათემატიკურ ანალიზში, რომელიც აუცილებელია გარკვეული ტიპის კვლევების ჩატარებისათვის. ვინაიდან კონსტრუქტივისტულ პოსტმოდერნულ უნივერსიტეტში სწავლება ორიენტირებულია ლოკალურ გარემოზე, ამიტომ აუცილებელია იმ სასწავლო კურსების შექმნა და სწავლება, რომლის ფარგლებში შესწავლილი იქნება ლოკალური

გარემოს სოციალური  და სხვა სახის პრობლემები.  მუსიკა, ხელოვნება, ცეკვა და პოეზია აუცილებელია შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის, ცეკვა ხელს უწყობს სხეულის მოძრაობების დახვეწას და ერთაგვარად გიმნასტიკის დანიშნულებაც აქვს.  “პირველი კურსის სტუდენტს აგრეთვე სჭირდება მეტაფიზიკის კურსი. კურსი, რომელიც განიხილავს აზროვნების სხვადასხვაგვარ გზებს სამყაროს შესახებ. კურსი ნაწილობრივ ისტორიული და არაისტორიული, ექსკლუზიურად დასავლური ცივილზიაციის უნდა იყოს ” (Ford, 2002, p. 107).  კურსის კურიკულუმში დასავლური მსოფხედვის გარდა, სტუდენტები შეისწავლიან მსოფლიოში სხვადასხვა კულტურებში არსებულ მსოფმხედვებს, რომ ესმოდეთ გლობალური მსოფმხედველობრივი კონტექსტი, სადაც მათ უწევთ არსებობა.  მეორე კურსზე სიღრმისეულად შეისწავლიან დასავლეთის ცივილიზაციის ისტორიას, ვინაიდან ამ ტიპის საფუძვლიანი ცოდნა აუცილებელია სტუდენტების მომავალი საქმიანობისთვის, ესმოდეთ კულტურულ ისტორიული კონტექსტები და შეეძლოთ თანმედროვე მსოფლიოს ვითარების ანალიზი.  მეორე წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკის, სოციალური საკითხების სიღრმისეულ შესწავლას. ეკონომიკის გლობალიზაციის, ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, ეკონომიკის განვითარების ისტორიული და თანამედროვე ტენდენციების შესწავლის აუცილებლობას ხედავს პროფესორი ფორდი და მისი აზრით, ეკონომიკის ცოდნის გარეშე ჩვენ ვართ მხოლოდ ეკონომიკის ექსპერტების იმედად (Ford, 2002 p.108)

მესამე წელს კურსზე წერის კულტურის გაღრმავებით სწავლებას ემატება რეტორიკის სწავლება, რომელიც აუცილებელია სწორად მეტყველებისთვის, არგუმენტაციისთვის და საკუთარი აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბებისთვის. რეტორიკის სწავლება ანტიკური რეტორიკის გამოძახილია და შეიძლება ითქვას ორატორების ტრადიციის გაგრძელება. მესამე წელს მედიის ანალიზის სწავლება სტუდენტს დაეხმარება გაეგოს როგორ მუშაობს მასმედია თავის ქვეყანაში და მსოფლიოში, მათ უნდა ისწავლონ როგორ გამოიყენონ მასმედია საკუთარი სოციალური აქტივობებისთვის, ინფორმაციის რელევანტურად მიწოდებისთვის და კონკრეტული ლოკალური თუ

გლობალური ხასიათის პროექტების განსახორციელებლად, რომელიც იქნება ჰუმანისტური და ეკოცენტრული. "სტუდენტებმა არ იციან ზოგადად როგორ ოპერირებს მედია და მათ უნდა ესმოდეთ, რომ მედია არის თანამედროვე სოციუმში დიდი ძალაუფლები მქონე ძალა" (Ford, 2002, p.109).

თემის/Community განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსია მარკუს პიტერ ფორდის აზრით, ინდივიდუალურ კვლევით და აქტივისტურ პროექტებთან ერთად. სტუდენტს ეცოდინება როგორ და რატომ იქმნება, როგორ მუშაობს თემი/Community და განვითარების როგორი დინამიკა აქვს. ინდივიდუალური კვლევითი და აქტივისტური პროექტების საშუალებით, რომელსაც წინაპირობა მანამდე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნები. კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის სტუდენტები უნდა გახდნენ სუბსტანციური ცვლილებების აგენტები და არა მხოლოდ საზოგადოების სერვისის მიმწოდებლები. სუბსტანციური ცვლილებებში იგულისხმება როგორც ცნობიერების გაფართოება, მეცნიერების და ეკონომიკის განვითარება, რომელიც იქნება ჰუმანისტურ და ეკოცენტრულ ღირებულებებზე დამყარებული და არაანთროპოცენტრისტული, რელატივისტური და ფილოსოფიური მატერიალიზმის მსოფხედვაზე დაფუძნებული. მარკუს პიტერ ფორდი, აგრეთვე, ეხება უმაღლესი განათლების პოლიტიკასა და პედაგოგიკის საკითხებს. ის მიიჩნევს, რომ მოდერნული ტიპის უნივერსიტეტები, განსაკუთრებით სახელმწიფო უნივერსიტეტები ორიენტირებული არიან სტუდენტების რაოდენობის გაზრდაზე, გარდა ამისა, ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ცოდნის შეძენა იქცა ინფორმაციულ „ჩამოტვირთვად", ცოდნის გადაცემა/ტრანსმისიად. ცოდნის შემქნის და გადაცემის შინაარსი არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციულ „ჩამოტვირთვას", სწავლება არ უნდა ეფუძნებოდეს ამ იდეას. პროფესორები სტუდენტების სიმრავლის გამო, ცუდად იცნობენ მათ, თუმცა სწავლება თავის შინაარსით გულისხმობს უფრო მეტს, გარდა ცოდნის გადაცემისა, ის არის ურთიერთობის ხელოვნება. ტექნოლოგიური ცნობიერების კონტექსტში კი, როგორც მეხუთე თავში აღვნიშნეთ პირისპირ

პედაგოგიკამ გადაინაცვლა ციფრული სამყაროს რეგისტრში. “განათლება საბოლოო ჯამში არის ადამიანური მოღვაწეობის სფერო და სწავლება მაშინ შედგება, როცა მასწავლებელი იცნობს საკუთარ სტუდენტს” (Ford, 2002, p.111). კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული მოდელის უნივერსიტეტი ითხოვს სტუდენტებს და პროფესორებს შორის კომუნიკაციის გაღრმავებას, აგრეთვე, პროფესორებს შორის მჭიდრო ურთერთკავშირს, რადგან სწავლა და სწავლება ემყარება დარგთაშორის და მულტიდისციპლინარულ პრინციპებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიდგომა ამერიკელ მკვლევარს ჰუმბოლდტის უნივერსიტეტიდან აქვს აღებული და ამიტომ ვფიქრობ, რომ ბევრ ასპექტში მის მიერ მოდენრული ტიპის უნვერსიტეტის, კერძოდ, ბერლინის უნივერსიტეტის კრიტიკა უსაფუძვლოა. ფორდის აზრით, პროფესორების მიერ წაკითხული სასწავლო კურსები არ უნდა იყოს იზოლირებული ერთმანეთისგან. კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტი ეფუძნება საზოგადოების განვითარების იდეას, მხოლოდ ეს განვითარება გულისხმობს ჰოლისტურ პრინციპებს, სოციუმს, და ბუნებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირს, ეკოლოგიაზე ზრუნვას. ადამიანთა გაერთიანებები უნდა იქმნებოდეს არა ანთროპოცენტრისტული, არამედ ეკოცენტრული მოსაზრებებით. ადამიანთა მოღვაწეობის ნებისმიერი სფერო უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ საზოგადოებაზე, ადამიანებზე, ინდივიდებზე და თემზე, არამედ გარემოზე ზრუნვას (Ford, 2002). მოდერნული ტიპის უნივერსიტეტები, რომელსაც აკრიტიკებს ამერიკელი მკვლევარი, განსაკუთრებით, ბერლინის უნივერსიტეტი და ამ ტიპის კვლევითი საგანმანათლებლო დაწესებულებები კანტიანური ფილოსოფიური მსოფხმედველობის საფუძველზე არის შექმნილი, რომელიც გულისხმობს მორალურ ღირებულებებზე ორიენტირებას. კანტის მორალური იმპერატივის შინაარსი არ მოიცავს ადამიანის უკიდურესად მომხმარებლურ დამოკიდებულებას გარემოს მიმართ და ამიტომ ფორდის კრიტიკა ამ თვალსაზრისით არარელევანტურად მიგვაჩნია. ის თითქოს იჭრება ერთგვარ უტოპიაში, სადაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა ყველაფერზე და არაფერზე ფორდისეული კონსტრუქტივისტულ პოსტმოდერნული უნივერსიტეტის

კურიკულუმის დასრულების შემდეგ. როგორც ვხედავთ, ამერიკელი მკვლევარი ეყრდნობა ჯეიმს დიუის პრაგმატიზმს, ალფრედ ნორზ უათჰედის ორგანიზმის ფილოსოფიას და ცდილობს მათ კონტრუქტივისტულ კომპილაციას. ფორდის აზრით, მოდერნული უნივერსიტეტები, განსაკუთრებით ბერლინის უნივერსიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერულ კვლევებზე ორიენტირებული სასწავლებელია თანამედროვე სამყაროს გამოწვევებთან რელევანტური კურიკულუმებს არ მოიცავს, მხოლოდ ეკონომიზმის იდეებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებები კი მარტო შრომის ბაზრის კარნახის მიხედვით ქმნიან კურიკულუმებს (Ford, 2002). ჩვენი აზრით, ციფრულმა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ და ვირტუალური ჰიპერსივრცის გაჩენამ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ საზოგადოება სხვა გამოწვევების წინაშე დააყენა, ვიდრე ეს ამერიკელ მკვლევარს წარმოუდგენია. თუმცა ციფრული ტექნოლოგიების და ინტერნეტის გავლენით კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა დედამიწაზე არსებული ლოკალური და გლობალური ხასიათის პრობლემები, რომლის გადაჭრა შესაძლოა მოდერნული ტიპის საუნივერსიტეტო განათლების მქონე კურსდამთავრებულებს ეფექტურად არ შეუძლიათ. ჯონ ბ. ქობის სიმდიდრის იდოლა და ეკონომიზმი არის მოდერნული ტიპის უნივერსიტეტების, უფრო კონკრეტულად, ფენიქსის უნივერსიტეტის მოდელის წამყვანი მსოფხედვა. ფორდის აზრით კი კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტი უნდა გახდეს სუბსტანციური ცვლილებების აგენტი საზოგადოებაში, რომლის კურსდამთავრებულები შეძლებენ არსებული გამოწვევებთან სინამდვილის შესაბამისად, ლოკალურ და გლობალურ დონეზე ეფექტურ გამკლავებას. ჩვენ არ ვეთანხმებით ამერიკელი მკვლევარის მარკუს პიტერ ფორდის კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის იდეას, რადგან ვთვლით, რომ მის იდეებში გარკვეული წინააღმდეგობაა და გარდა ამისა, მის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმი ზედაპირული ხასიათისაა. ვფიქრობთ, რომ გამორიცხავს უნივერსიტეტის ავტონომიურობას და მას უფრო მეტად აახლოვებს

გლობალიზაციის იმ ტენდენციებთან, რომელიც რთული გამოწვევების წინაშე აყენებს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას, შედეგად ახალი ცოდნის შექმნას.

სწორი იქნებოდა ამერიკელ მკვლევარს აქცენტი გაეკეთებინა იმაზე, თუ როგორ გავუმკლავდეთ ტექნოლოგიური ცნობიერების განზომილებაში ულევ ინფორმაციულ ტალღას სწავლების პროცესში და შემოეთავაზებინა ისეთი მოდელი, რომელიც უპასუხებს მესამე ათასწლეულის გამოწვევებს და არ გაიმეორებდა კონსტრუქტივისტულ მიდგომას დიუისეული პრაგმატიზმის და უაითჰედის ორგანიზმის ფილოსოფიის კომპილაციით.

## 5.2 ჰიპერუნივერსიტეტი როგორც პოსტმოდერნული უნივერსიტეტი

ნაშრომის მეოთხე თავში განვიხილეთ ციფრული ტექნოლოგიური რევოლუციისა და ჰიპერსივრცის გაჩენის შედეგად ჰიპერუნივერსიტეტის იდეა, რომელიც პროფესორ კარლ ა. რაშკეს აზრით სწორედ პოსტმოდერნული უნივერსიტეტის იდეის გამოხატულებაა (Raschke, 2003). ჩვენ მიერ შემუშავებულ ახალ კლასიფიკაციაში უნივერსიტეტის იდეის განვითარების მეოთხე ეტაპს, ტექნოლოგიურ ცნობიერებას კარგად ასახავს ჰიპერუნივერსიტეტის იდეა. ჰიპერუნივერსიტეტი რადიკალურად განსხვავდება მანამდე არსებული უნივერსიტეტის იდეისგან, როგორც კურიკულუმით, ისე სასწავლო კურსებით და მათი განხორციელების მეთოდებითა თუ ტექნოლოგიებით. პროფესორ რაშკეს აზრით, პოსტმოდერნულ ეპოქაში, რომელსაც თან ახლდა ციფრული ტექნოლოგიური რევოლუცია, დროისა და სივრცის ცნების შინაარსი შეიცვალა (Raschke, 2003). კვანტური ფიზიკის განვითარებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა დროის და სივრცის განსხვავებული აღქმა, ვირტუალური რეალობის, ჰიპერსივრცის გაჩენა. სივრცე, რომელიც კლასიკურ ფიზიკაში მიბმული იყო ლოკალურობის ცნებასთან, ტრანსფორმირდა და სივრცე გახდა არალოკალური. არ მოიაზრებს რაიმე კონკრეტულ ადგილს, განსაზღვრულ კოორდინატებს, ის არსებობს და, ამავდროულად, არ არსებობს, როგორც

კონკრეტული მოცემულობა კონკრეტულ დროში. ეს არის სწორედ ვირტუალური რეალობა და ჰიპერსივრცე. ჰიპერსივრცეში კი განათლების და სწავლების ტრადიციული ფორმატი იცვლება. "ტრადიციულ უნივერსიტეტში სწავლება იერარქიული ხასიათისაა „დამოკიდებული" სივრცეზე. იერარქია იყო ყველა სისტემის რუდიმენტული ანალოგი კლასიკური დროიდან მოყოლებული მეოცე საუკუნის ჩათვლით. ცოდნის სივრცე, სოციალური სივრცის მსგავსად და კათედრალების სასახლეების სივრცის მსგავსად, უნდა წარმოვიდგონოთ როგორც ვერტიკალური ღერძი" (Raschke, 2003, p.77). პოსტინდუსტრიულმა ერამ, ლიოტარის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ცოდნის სტატუსი შეცვალა. ახალი სოციალური კონტურები, რომელიც ინტერნეტის განვითარებამ, ციფრულმა ტექნოლოგიებმა მოიტანა, ცოდნის სტატუსზეც აისახა და მისმა კონტურებმაც განიცადა მეტამორფოზა. ცოდნა ვერ იქნება დაყვანილი ვერც მეცნიერებაზე და ვერც სწავლებაზე, ეს განაპირობა ციფრულმა რევოლუციამ. "პოსტმოდერნული ცოდნას ლიოტარი აღწერს როგორც კომპეტენციას, ან როგორც პერფორმატიულს, ნარატივის საპირისპიროდ. ნარატიულობა სავსეა იერარქიულობით" (Raschke, 2003, p.77). ცოდნის გადაცემის/ტრანსმისიის ტრადიცია, რომელიც ტრადიციულ განათლებას და სწავლებას ახასიათებს ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში, კარგავს ძალას, თუ შეიძლება ითქვას, და იძენს პერფორმატიულ ხასიათს. მეცნიერება, რომელიც მეტანარატივია და თავისი ენობრივი თამაშის წესი აქვს, თითქოს ამის მიღმა რჩება. ნარატივები და მეტანარატივები კარგავენ იმ ძალაუფლებას, რომელიც დამაკავშირებელია უნივერსიტეტსა და სოციუმს შორის, უნივერსიტეტსა და კულტურას შორის. "უნივერსიტეტის როლი დღეს არის ცოდნის ოპერაციების ფუნქციების სრულყოფა, ცოდნის ტრანმისიის საპირისპიროდ, რომელიც თავად საზოგადოების შიგნიდან მოდის" (Raschke, 2003, p. 77). ვინაიდან ნარატივები და მეტანარატივებიც გარკვეული წესების დაცვას მოითხოვს. სწავლება, რომელიც ნარატივების პრინციპზეა აგებული ტრადიციულ უნივერსიტეტში, მოითხოვს ნორმატიულობას და წინა ტრადიციების დაცვას, რაც ახასიათებს სწორედ ასეთი უნივერსიტეტების კურიკულუმებსა და სწავლების მეთოდებს. ტექნოლოგიური

ცნობიერების პარადიგმაში კი, პოსტმოდერნული დისკურსის გავლენით კურიკულუმის აგება და სწავლება, არ საჭიროებს  იმ წესების გათვალისწინებას, როგორც ეს მოიაზრებოდა ნარატივების და მეტანარატივების კონტექსტში. შესაბამისად, ტექსტი ციფრულ და პოსტმოდერნული აზროვნების  რეგისტრში კონსტრუირდება ჰიპერტექსტად, ხოლო სივრცე ჰიპერსივრცედ, უნივერსიტეტი კი ჰიპერუნივერსიტეტად.  პროფესორ კარლ ა. რაშკეს თანახმად, ჰიპერტექსტის ახალი გეომეტრია და ჰიპერსივრცის ახალი მატრიცა  ქმნის ცოდნის ახალ სივრცეს. “თანამედროვე სოციალური თეორიები გულისხმობენ ცოდნის სოციალურ კონსტრუირებას.  მაგრამ ციფრულ ეპოქაში კონსტრუქციის აქტი არის კოლექტიური ჟესტი და ამასთან ეს არ არის არც დამოუკიდებელი და „ცოდნის მოთამაშის“ თვითნებური ნაბიჯი...“(Raschke, 2003, p.78). ციფრული ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად ინფორმაცია გახდა ყველაზე ღირებული პროდუქტი, რომელიც მიეწოდება და, თავის მხრივ, თვითრეგულირება ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად.  სწავლებაში ნაწილობრივ წიგნების კრიტიკული კითხვა და ჰერმენევტიკული მიდგომები ჩაანაცვლა  სხვადასხვა სახის კრიტიკულმა, ანალიტიკურმა ვებ-დოკუმენტებმა, ჰიპერტექტსებმა,  რომლის ლეგიტიმაცია გარკვეული სტანდარტების შესაბამისად ხდება, მაგრამ  მაინც მოითხოვს გარკვეული სახის ვალიდურობას, ახსნა-განმარტებას მისი როგორც ღირებული ჰიპერტექსტის შესახებ.  ასეთი ელექტრონული დოკუმენტების, ჰიპერტექსტების ლეგიტიმაციის ავტორები ყოველთვის არ არიან აღიარებული  ორგანიზაციები, გამომცემლობები ან კორპორაციები.  სწავლებისადმი ასეთი მიდგომა არაკონსერვატიულია და აკადემიურ წრეებში იწვევს გარკვეული სახის წინააღმდეგობებს.  შუა საუკუნეების და მოდერნული მიდგომა ცოდნის კატეგორიისადმი  გულისხმობს ცოდნის  როგორც უკვე მოპოვებული, შემოწმებული, ვერიფიცირებული ერთი, მთლიანი  სისტემის გადაცემა/ტრანსმისიას სწავლების გზით, ნორმატიულ კურიკულუმში მოცემული გარკვეული ლოგიკური კალკულაციით შედგენილი სასწავლო კურსების განსაზღვრული სახელმძღვანელო მასალების გზით,  ჰიპერტექსტუალური მიდგომა სწავლებაში ამ პრინციპს არღვევს. სწავლებას და კვლევას ხდის უფრო

დამოუკიდებელი სახის  აქტივობას. სასწავლო კურსები  არ ექვემდებარება მანამდე არსებულ ნორმატიულ მიდგომას, ცოდნა როგორც ერთიანი ჰოლისტური  სისტემა, რომელსაც ლეგიტიმაცია ეძლეოდა გარკვეული აკადემიური წრეების მიერ, ირღვევა. ცოდნა როგორც სისტემა ხდება უფრო ღია. სწორედ ეს არის ცოდნის სტატუსის პოსტმოდერნული ციფრული ტექნოლოგიების მიერ გამოწვეული მეტამორფოზა. "ტრადიციული ლექცია და სასწავლო  კურსის ტექსტი, რომელიც არ არის მოცემული როგორც საკლასო აქტივობისა და გარკვეული განრიგის ჩარჩოში,  ხდება ცოდნის შექმნის გარდაუვალი მეთოდი. აქ იბადება პოსტმოდერნული გონება, რომელიც მწვალებლურად შეზღუდულია პრემოდერნული ადმინისტრაციული სისტემის მიწისქვეშა ადამანტებით. ეს წინააღმდეგობა დიდხანს ვერ გაგრძელდება" (Raschke, 2003, p.80). პოსტმოდერნული გონება ცდილობს გათავისუფლდეს ავტორიტეტებისგან და  გაცდეს  ცოდნაში არსებულ ლეგიტიმურობის ჩარჩოებს, შეეჭიდოს  ცოდნის და ინფორმაციის იმ წყაროებს, რომელიც ავტორიტეტულობის მიღმა დგას. მაგრამ აქ იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც პროფესორი რაშკე შენიშნავს. "თუ პოსტმოდერნული ინტელექტუალური მომთაბარე არ დაიღუპება უდაბნოში, ის შეიძენს ურთიერთქმედების უნარებს.  გაიწაფება და იქნება კომპეტენტური. მსწავლელზე ორიენტირებული სწავლების ტიპიური პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ის კარგია ზრდასრულებისთვის, მაგრამ  არ გამოდგება მოზარდი სტუდენტებისთვის, რომლებიც ჯერ არ არიან საკმარისად ზრდასრულები ან არ შეუძლიათ თვითგამოხატვა იმდენად, რომ საკუთარ თავზე აიღონ საკუთარი განათლების პასუხისმგებლობა" (Raschke, 2003, p.80). პოსტმოდერნული სწავლება  ჰგავს უდაბნოს, სადაც  მოულოდნელი აღმოჩენები ხდება, მაგრამ, ამავე დროს, შეიძლება ამ უდაბნოს ქარიშხალში ჩაიკარგოს მკვლევარი ან მსწავლელი. სწავლების მიზანია გარკვეული კომპეტენციების შეძენა და პოსტმოდერნულ ჰიპერსივრცეში  მოგზაურობა ამ კომპეტენციების მოსაპოვებლად ხდება, რომელსაც ერთი კონკრეტული ინსტრუქცია არ გააჩნია, ამიტომაც მოზარდისთვის ძალიან ძნელია საკუთარ თავზე მარტო მან აიღოს პასუხისმგებლობა თუ როგორი ტიპის და ინტენსივობის განათლება სჭირდება მას გარკვეული

კომპეტენციების შესაძენად. ამას ჭირდება კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება, რომელზეც პასუხისმგებელი, პირველ რიგში, უნივერსიტეტამდელი განათლებაა. პოსტმოდერნული აზროვნების მოდუსი ქმნის ცოდნის ახალ სივრცეს. "პოსტმოდერნული ცოდნის სივრცე არის მულტიმოდალური, ჰიპერტექსტუალური „ჰიპერსივრცე"... პოსტმოდერნული ცოდნის სივრცე ისეთნაირად აღქმადია ტრადიციული სწავლების სისტემის გადასახედიდან, როგორც ჩვენი დღევანდელი ცოდნა კოსმოსზე შუა საუკუნეების გადასახედიდან. ჰიპერუნივერსიტეტი, რომელიც არის ჰიპერსწავლების ახალი პედაგოგიკა, არის როგორც ჩარტერული სკოლა ცოდნის ახალი სივრცის გამოსაკვლევად" (Raschke, 2003, p.83). ციფრულმა რევოლუციამ განათლებაში თავიდანვე ეჭვქვეშ დააყენა აკადემიური სივრცეების მიერ კოლონიზებული ცოდნის სისტემის ნორმატიზება და მათი მხრიდან კონტროლი ამ სისტემაზე შესუსტდა, თუმცა World Wide Web - ის კომერციალზიაციამ მოიტანა ცოდნის, როგორც ძვირადღირებული ხარისხიანის და დაბალი ეფექტურობის მქონე უხარისხო პროდუქტად სეგრეგაცია, თუმცა კომერციალიზაციამ ლეგიტიმურობის და ეფექტიანობის გაზომვადობა დატოვა. სწორედ ეს არის ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმა, სადაც ხდება უკვე სრულიად სხვა ტიპის, პოსტმოდერნული ჰიპერუნივერსიტეტის შექმნა, ამ ტიპის უნივერსიტეტი სრულიად გადასულია სწავლების ონლაინ ფორმატზე და ასეთ სწავლებას პროფესორმა რაშკემ უწოდა ჰიპერსწავლება, რომელიც შეიძლება ახალი პედაგოგიკის დაბადების ნიშნებად მივიჩნიოთ (Raschke, 2003). ინტერნეტის ძალაუფლება დღევანდელ სამყაროში უსაზღვროა, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდამ სწავლებაში განსხვავებული შესაძლებლობები გააჩინა, რომელიც ჰიპერუნივერსიტეტის იდეის შექმნის წინაპირობა გახდა. ჰიპერუნივერსიტეტის იდეა ჰეტეროგენური ხასიათისაა. ჰეტერგონეურობა მდგომარეობს შემეცნების პროცესში ენობრივი თამაშებში არსებული ნიშნების, მნიშვნელობების, კონოტაციების, დენოტატივების კინეტიკას, კვანტურ გარდასახვებს, ურთიერთჩანაცვლებასა და მოლეკულურ დონეზე სტრუქტურირებას, შეცვლას, გადაადგილებას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ დერიდასეული

დეკონტრუქციის აქტი, სადაც ცოდნა და ინფორმაცია ურთიერთგარდამავალია. ნარატივები და მეტანარატივები კი ენობრივი თამაშის წესებს ექვემდებარებიან, როგორც ლიოტარი აღნიშნავდა (Lyotard,1979). "პოსტმოდერნული უნივერსიტეტის ჰეტეროგენური ცოდნის სივრცე არის ღია სივრცე. ეს სივრცე კი უსასრულო spacings and tracings არის. თავად უნივერსიტეტიც ღია უნივერსიტეტია" (Raschke, 2003, p.84). ამის მაგალითად პროფესორ კარლ ა. რაშკეს მოჰყავს ბრიტანეთის ღია უნივერსიტეტი, რომელიც 1971 წელს არის დაარსებული. უნივერსიტეტს აქვს სწავლების დიდი ონალინ პლათფორმა, სადაც მიღება ყოველთვის ღიაა ყველა მსურველისთვის, რაიმე სახის მოთხოვნების არ არის წაყენებული უნივერსიტეტში მსწავლელთა მსურველებისთვის, მათგან დაახლოებით 70% პროგრამას ყოველ წელს წარმატებით ასრულებს. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს 150 სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამას და დაახლოებით 40 000 სტუდენტზე მეტი ონლაინ ფორმატით სწავლობს. პოსტმოდერნული უნივერსიტეტის იდეას, როგორც ჰიპერუნივერსიტეტს და ღია უნივერსიტეტს რაშკე, აგრეთვე, უწოდებს გლობალურ უნივერსიტეტს (Raschke, 2003). გლობალურობის იდეა სწორედ ინტერნეტის, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან და ეკონომიკის როგორც ტრანსნაციონალურ აქტივობასთან არის დაკავშირებული. განსხვავებით ინდუსტრიული ცნობიერების პარადიგმისგან, ტექნოლოგიური ცნობიერების პირველი მახასიათებელი სწორედ არის ციფრული ტექნოლოგიების განვითარების და, თუ შეიძლება ითქვას, გლობალიზაციის აფეთქების იდეა. "ამავე დროს ინფორმაციის ტრანსფერის გაძლიერებამ ისტორიაში პირველად შექმნა პირობა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ცოდნის გლობალური ბაზა". ციფრული კულტურის თეორეტიკოსების ინტერნეტს წარმოისახავდნენ როგორც უზარმაზარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას უსაზღვრო რეზერვებითა და უნივერსალური წვდომით" (Raschke, 2003, p.87). ამ მოვლენამ სხვა სახის პრობლემა წარმოშვა, რომელიც არის ინტელექტუალური საკუთრების სენსიტიური საკითხები, თუმცა ეს ჩვენი განხილვის საგანი არ არის. ციფრული ტექნოლოგიური რევოლუცია, ინტერნეტის და ვირტუალური სივრცის შექმნა უკვე თავის თავში გულისხმობდა

ბუნებრივად წარმოქმნილ გლობალიზაციის ტენდენციებს, რომელიც მოიტანდა ცოდნის უსაზღვრო რეზერვების შექმნას და უნივერსალურ წვდომას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს როგორც პოლიტიკური, სოციალური, ისე ეკონომიკური ვითარება. ინტერნეტის ძალაუფლება არ არის ხილვადი და ხელშესახები, თუმცა ეს სწორედ პოსტმოდერნული ფენომენია, რომელიც რიზომად[23] გარდაიქმნება, მიუხედავად კულტურული, სოციალური განსხვავებებისა, ოპოზიციისა ადამიანური მოღვაწეობის ყველა დონეზე და, პირველ რიგში, ეს აისახება განათლებაზე, განსაკუთრებით, უნივერსიტეტის დონეზე. პროფესორი რაშკე მიიჩნევს, რომ კონსერვატორულია შეხედულება, რომელიც პირისპირ პედაგოგიკის ფარგლებში რჩება და გულისხმობს უშუალო კომუნიკაციას სტუდენტსა და პროფესორს შორის და სწორედ კონსერვატორების აზრით, რეალური განათლება მხოლოდ ამ ტიპის კომუნიკაციაში ხორციელდება. თუმცა დღევანდელი ვითარება უმაღლეს განათლებაში გვიჩვენებს, რომ ონლაინ სწავლება, ე.წ. ჰიპერკურსები, ღია კურსები ონალინ სივრცეში, ონალინ უნივერსიტეტები და ონლაინ საგანმანათლებლო პროგრამები პოპულარული ხდება სტუდენტებში. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი ონლაინ პლათფორმა www.coursera.org. აგრეთვე, სტენფორდის უნივერსიტეტის, მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის, დიუკის უნივერსიტეტის ონლაინ კურსები, რომელიც ძალიან პოპულარულია მსოფლიო მასშტაბით და უამრავი კურსდამთავრებული ჰყავს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ცნობადია ანგლოსაქსონური ქვეყნების

[23]Rhizome - რიზომა როგორც ფილოსოფიური კონცეპტი შემუშავებული იქნა ფრანგი ფილოსოფოსების, პოსტსტრუქტურალისტების ჟილ დელიოზისა (1925-1995) და ფელიქს გვატარის (1930-1992) მიერ. დელიოზი მას უწოდებს აზროვნების სახე-ხატს. თავად ტერმინი ბოტანიკის მეცნიერებიდან მოდის და ნიშნავს ჯუჯა მცენარეს, რომლის ფესვი და ყვავილი არ განსხვავდება ერთმანეთისგან. დელიოზისთვის და გვატარისთვის რიზომა, როგორც აზროვნების ახალი სახე-ხატი აღნიშნავს ცნობიერების ახალ ეტაპს, ძველი, კლასიკური, მოდერნული ეპისტემეს დასასრულს. რიზომული ეპისტემე და ცნობიერება არ არის მკაცრად მოწესრიგებული, კლასიკური მოდერნული ფილოსოფიური გაგებით. რიზომა გულისხმობს როგორც ცენტრულობის უარყოფას, რომელიმე მოსაზრების, შეხედულების არაპრიმატულობას, სადაც არ შეიძლება გამოიყოს რომელიმე როგორც მნიშვნელოვანი, არსებითი, მთავარი. ყველაფერი ერთნაირად იმსახურებს ყურადღებას, ყველა მოსაზრება გულისხმობს მნიშვნელოვნობას თავის თავში როგორც ასეთი. რიზომის ფილოსოფია დამახასიათებელია პოსტმოდერნული აზროვნებისთვის. ყველანაირი ნიშანი რაღაც საზრისის მატარებელია, თვით სიცარიელეც კი.

უნივერსიტეტები. “გლობალიზაციამ ციფრულ დონეზე გარდაუვალად მოიტანა ტრადიციული უმაღლესი განათლების როგორც გლობალური კაპიტალიზმის კრეატიული დესტრუქცია, შუმპეტერის პროგნოზების მიხედვით, ეს მოხდა ეკონომიკური ინსტიტუციების დონეზეც. ტრადიციული უმაღლესი განათლება შეიძლება განვიხილოთ როგორც ლოკალური მონოპოლიები, ან რეგიონალური ოლიგოპოლიები ცოდნის პროცესებზე, რომელიც შეიძლება აღიწეროს, როგორც „town and gown” სინდრომი” (Raschke, 2003, p.91) ავტორის აზრით, ტრადიციულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლება ეკონომიკურად, კულტურულად, ისტორიულად და გეოგრაფიულად ლოკალიზებული იყო ერთ ადგილზე, ერთ გეოგრაფიულ სივრცეში, სადაც ხდებოდა ცოდნის შექმნა და გადაცემა. ციფრული რევოლუციის შედეგად, ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში სწავლება და უმაღლესი განათლება, როგორც უნივერსალურად მისაწვდომი ციფრული ტექნოლოგიების გავლენით, კოსმოპოლიტური ხასიათის გახდა. ცოდნის სივრცე უფრო ღიაა და კონვენციონალური საზღვრები მოიშალა, რომელიც შექმნილი იყო ტრადიციულ საუნივერსიტეტო სივრცეში, სტანდარტული კურიკულუმების სახით. უნივერსიტეტი, როგორც ასეთი, ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში ცდება ისტორიის, ტრადიციის, სოციალური და ნაციონალური იდენტობის ფარგლებს, თუმცა გლობალური ეკონომიკის ტენდენციებში ეკონომიზმის შეხდულებების და ფილოსოფიური მატერიალიზმის დაძლევა არ ხდება და ახალი ეკონომიკა, რომელსაც ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას უწოდებენ, ისევ ეკონომიზმზე რედუქციონიზმის კონცეფციებშია მოქცეული. “ეკონომიკური ბაზა, როგორც ბევრი რეტორიკულად პროგნოზირებდა, ცოდნის ახალი ბაზა გახდება” (Raschke, 2003, p.93). აქ აზრი ორად არის გაყოფილი. ვირტუალურ ჰიპერსივრცეში განთავსებული თავისუფალი ინფორმაციის მომხრეები და კორპორაციები, რომლებიც ექსკლუზიურ უფლებას ფლობენ გარკვეული ტიპის ცოდნაზე, ინფორმაცია, კვლევებზე და ტექნოლოგიებზე. ეს არის პოლიტიკურ ეკონომიკური დისკურსის საკითხი, სადაც აზრები იყოფიან მარცხნივ და მარჯვნივ, თუმცა ტექნოლოგიური ცნობიერების მიერ მოტანილი ტრანსფორმაციები

ინფორმაციის და ცოდნის წვდომის თვალსაზირისით გამოიწვევს არსებული პოლიტიკურ, ეკონომიკურ ტრანსფორმაციას ადრე თუ გვიან, რომელიც გავა როგორც მემარჯვენეობის და მემარცხენეობის დიხოტომიიდან. "ფინანსური კაპიტალიდან ცოდნის კაპიტალზე გადასვლა არ მოდის თანხმობაში მემარცხენეობის და მემარჯვენეობის სტერეოტიპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ შეხდულებებთან. მემარცხენეებს ჰქონდათ იმედი, რომ მრავალი წლის განმავლობაში მათი ცოდნის ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, გაზრდილი იქნებოდა ფინანსური სუბსიდიები და დახმარება განსაკუთრებით მთავრობების მხრიდან. მემარჯვენეების გათვლა იყო სახელმწიფო უმაღლესი განათლების დაწესებულებების გაკერძოება ან მომგებიან კომერციულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებად გარდაქმნა, რომელიც არ იქნებოდა პასუხისმგებელი ბიუროკრატიული სამთავრობო საბჭოს ან განათლების სამინისტროს წინაშე. ისინი ელოდებოდნენ იმ დღეს, როდესაც მაღალი დონის სწავლება გახდებოდა ისეთივე სამომხმარებლო პროდუქტი, რომელიც გაიყიდებოდა როგორც კომპიუტერული ჩიპები, სწრაფი კვება, ავტომობილები ან კოსმეტიკა. ორივე ტიპის ოცნება არა მხოლოდ მოძველებულია, არამედ ახლომხედველური. მსოფლიო ეკონომიკის „კრეატიული" დესტრუქცია ციფრული ტექნოლოგიების მიერ განხორციელებული, მოიტანს მეგაორგანიზაციების საბოლოო კრახს, რომელიც დამახასიათებელი იყო ინდუსტრიული ეპოქისთვის. მემარცხენებიც და მემარჯვენეებიც თავიანთი მხირდან კორპორატივიზმის და კორპორატიული „ბრძანებითი ეკონომიკის" ერთგულები არიან, რომელსაც ითხოვდა ინდუსტრიული წარმოება. კორპორატივიზმი მეტ - ნაკლებად ყოველთვის იყო არაეთიკური ინფორმაციის თავისუფალ ბრუნვასთან და ინდივიდუალური გაძლიერების ეთოსთან დაკავშირებით, რომელიც მოაქვს ცოდნის ახალ ერას (Raschke, 2003, p. 93). ინტერნეტის განვითარებამ და ციფრულმა ტექნოლოგიებმა მოიტანა გამჭირვალობა, სოციალური მობილობის გამარტივება, ცოდნის და ინფორმაციის მეტ-ნაკლებად თავისუფალი წდომა, რომელიც მომავალში უფრო გაფართოვდება. ამ ტენდენციებმა გააძლიერა დამოუკიდებელი მკვლევარების გამოჩენა, რომლებიც ავტორიტეტული ცოდნის წყაროების და ტოპოსის მიღმა

ატარებენ კვლევით სამუშაოებს. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ახალი ცოდნის და მსოფხედვის შექმნას. ამ გზით ცოდნა გადის კორპორატიული ძალაუფლების არეალიდან და, აგრეთვე, ტრადიციული საუნივერსიტეტო სივრციდან. გარკვეული რაოდენობის და ხარისხის აღმოჩენები თუ მიგნებები, სწორედ დამოუკიდებელი მკვლევარების მიერ ხორციელდება, თუმცა ამას არ აქვს ფართომასშტაბიანი ხასიათი და მათი ლეგიტიმაცია სადაო საკითხია ჯერ კიდევ არსებულ ტრადიციულ აკადემიურ წრეებში. დღესდღეობით ცოდნის შექმნაზე და გადაცემაზე ძალაუფლება მეტწილად მაინც კორპორატიულ ეკონომიკურ სიბრტყეზე ხორციელდება და ლეგიტიმირდება ფილოსოფიური მატერიალიზმის იდეების გავლენით. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, ხელოვნური ინტელექტის შექმნის იდეამ, თავის მხრივ, დაბადა ტრანსჰუმანისტური იდეები და ამ იდეების გამოჩენას თან მოჰყვა ანდროიდული ეპისტემოლოგიური თეორიები. ყველა ეს ტენდენცია პირდაპირ კავშირშია უმაღლესი განათლების და უნივერსიტეტის იდეასთან. ამ ტიპის ტენდენციებიდან გამომდინარე, პროფესორი კარლ ა. რაშკე ფიქრობს, რომ ინფორმაციულ ერაში, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ ტექნოლოგიური ცნობიერება, ეკონომიკური მდგრადობა არ იქნება დაკავშირებული ეკოპოლიტიკურ და რომანტიულ აგრარულ იდეებთან, არამედ ეს იქნება ტექნოლოგიური ხასიათის. შეიძლება ითქვას ლიოტარის პროგნოზირებას ეთანხმება ტექნოკრატიული სოციუმის და ცივილიზაციის ამ მიმართულებით განვითარებაში, განსხვავებით მარკუს პიტერ ფორდის იდეებისგან, რომლის კოსნტრუქციული პოსტმოდერნული უნივერსიტეტი ეკოცენტრული ხასიათისაა და აქცენტირებულია ეკოპოლიტიკის და ეკოცენტრული ეკონომიკის შექმნაზე. პროფესორ რაშკეს პროგნოზებით ტექნოლოგიური ცნობიერების რეგისტრში, რომელიც ქმნის ცოდნის ახალ სივრცეს, ეკონომიკა იქნება მრავალდონიანი და განსხვავებული მოდუსის მქონე და ამ დონეებს შორის კავშირი იქნება მოქნილი. მოქნილობა და მდგრადობა იქნება მომავლის ეკონომიკის დამახასიათებელი, რომელსაც ცოდნის ახალი სივრცე შექმნის ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმით. "ეს დაკავშირებულია ეკონომიკური ორგანიზაციის მოკრძალებული საშუალებების მდგრადობასთან, რომლებიც

სხვადასხვა დონეზე ერთმანეთთან დაკავშირებულია ქსელურად ტექნოლოგებთან ერთად. რაც ერთმანეთთან აკავშირებს ამ გასხვავებულ საშუალებებს, არის ტრანზაქციულობის ძაფი, რომელიც მუდმივად აფორმირებს და გადაგეგმავს მრავალი საზოგადოებისა და კულტურის ცოდნის საერთო ბაზას. ეს ის ძაფია, რომელიც წარმოადგენს „გლობალურ უნივერსიტეტს“ (Raschke, 2003, p.94). გლობალური უნივერსიტეტი იგივე ჰიპერუნივერსიტეტი, რომელიც პოსტმოდერნულ ტოპოსში არსებობს, სრულიად ცვლის ცოდნის სტატუსს და ამ გზით სოციუმის მოწყობის ეკონომიკურ იდეებს და კონდიციას, რომელიც უფრო მომავლის პერსპექტივაა და დროთა განმავლობაში ეს ტენდენციები უკეთ გამოიკვეთება.

გლობალური უნივერსიტეტის, იგივე ჰიპერუნივერსიტეტის იდეა, რომელიც ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმის პროდუქტია და რომელზეც კარლ ა. რაშკე წერდა ჯერ კიდევ 2002-2003 წლებში, დღევანდელი გადასახედიდან, მისი პროგნოზები და მიდგომები მართლდება. ჰიპერუნივერსიტეტის სივრცეში შექმნილი ღია ონლაინ კურსები და ამის საფუძველზე სტუდენტების და დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი კურიკულუმის აგება, სწავლის დაგეგმა აქტუალური და პოპულარულია. ღია კურსების ხელმისაწვდომობა სტუდენტს აძლევს საშუალებას თავად დაგეგმოს გარკვეული სახის კომპეტენციების შეძენა, მომავალი დასაქმება. ასეთი მიმართება არა მარტო მოქნილია შრომის ბაზართან მიმართებაში, არამედ ჰიპერუნივერსიტეტის სივრცეში მიღებული განათლება, ნორმატიული კურიკულუმების მიღმა ბადებს ახალ პერსპექტივებს ცოდნის კაპიტალის შექმნისთვის, რომელსაც შრომის ბაზარი კი არ კარნახობს, არამედ თავად არის შემოქმედი როგორც შრომის ბაზრის, ისე სოციალური განვითარების ტენდენციების. აქ უკვე შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი და კულტურული ეპისტემოლოგიური განვითარების ტენდენციები ინდუსტრიული ცნობიერებისთვის დამახასიათებელი ფილოსოფიური მატერიალიზმის და ეკონომიზმის მიღმა გავიდეს. ღია კურსების შემქნაში პირველი ნაბიჯი გადადგა მასაჩუსეტის

ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა (MIT). “მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (MIT) იყო პიონერი ღია კურსების კონცეპტის შექმნის საკითხში, ღია კურსები და მასალები სტუდენტებისთვის განთავსებულ იქნა ონლაინ სივრცეში, მიუხედავად იმისა, ეს სტუდენტები ჩაწერილი იყვნენ თუ არა ამ კურსებზე. MIT - იმთავის თავზე აიღო გამოექვეყნებინა 2000 კურსის სასწავლო მასალა სტუდენტებისთვის ინტერნეტში. ჟურნალ „Syllabus” თანახმად სკეპტიკოსები გამოთქვამდნენ პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სწავლების ღია პროგრამა სხვა არაფერი იქნება, თუ არა როგორც ტრადიციული ვებსაიტი, ახალი აბრევიატურით შემკობილი” (Raschke, 2003, p. 94). მაგრამ სკეპტიკოსების ეს მოსაზრება არ გამოდგა სწორი. მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ნაბიჯმა განსაზღვრა ჰიპერუნივერსიტეტის, იგივე გლობალური უნივერსიტეტის იდეა და სწავლებამ, რომელიც მკაცრ აკადემიურ ჩარჩოებში და კონკრეტულ ლოკალურ სივრცეში იყო მოქცეული, ჰიპერსივრცეში გადაინაცვლა. მართალია, ჰიპერსივრცეში სწავლების, ცოდნის გადაცემისა და შექმნის იდეის გადანაცვლებამ, თავის მხრივ, ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით ბევრი კითხვა და პრობლემა გააჩინა, მაგრამ ეს იყო სერიოზულად გადაგმული ნაბიჯი ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში და, აგრეთვე, ციფრული ტექნოლოგიები, ინტერნეტის ძალაუფლების ხმამაღალი განაცხადი. “ღია კურსები აჩქარებს ცოდნის გლობალიზაციას, რომელიც არ ემორჩილება შრომის ბაზრის დისბალანსს, რომელიც გამოიწვია გლობალურმა კაპიტალიზმმა ინფორმაციულ ერაში” (Raschke, 2003, p.95). ღია კურსების არსებობა თავისთავად გულისხმობს ცოდნის ხელმწისაწვდომობას და თავისუფლებას მოდერნული, ტრადიციული აკადემიური ნორმატიული სივრცისგან, რომელიც ლოკალურ დონეზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში იქმნება და სადაც განსაზღვრულია როგორც ცოდნის შექმნის, გადაცემის ლეგიტიმურობის საკითხები, ისე ფინანსური ხარჯები და საერთო ჯამში ცოდნის წარმოების ეკონომიკური პოლიტიკა თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ. ციფრულმა რევოლუციამ კი დააჩქარა ცვლილებები, ცოდნის და ინფორმაციის გაცვლა გლობალური დონეზე, რომელმაც განაპირობა ახალი კაპიტალის - ცოდნის კაპიტალის შექმნა. “ცოდნის კაპიტალი ახალი და უფრო

სოციალური პროდუქტიული საზოგადოებებისთვის. ამ კაპიტალის ზრდა პროცესშია, მაგრამ ეს ზრდა არ ხდება  კლასიკური ეკონომიკის  წესებთან თანხმობაში. იმ თვალსაზრისით, თუ ცალკეული უნივერსიტეტები, მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულებები,  იქცევიან როგორც მეწარმე მოთამაშეები, რომლებიც ისწრაფვიან დაიკავონ საკუთარი ადგილი ფინანსურად მომგებიანი კურიკულუმებით, ისინი განიცდიან მარცხს" (Raschke,2003, p. 95).  ამ მარცხის მიზეზი იქნება სწორედ ღია კურსები და ჰიპერუნივერსიტეტის იდეა, რომელიც გვთავაზობს ღია, თავისუფალ ჰიპერსივრცეს ინტერნეტის წყალობით ცოდნის შექმნისა და გადაცემა/გავრცელებისთვის გლობალურ დონეზე. პროფესორი კარლ ა. რაშკე თვლის, რომ  გლობალურ დონეზე ინფორმაციისა და ცოდნის  თავისუფალი დინება არის ახალი გლობალური თავისუფალი ეკონომიკის შექმნის პირობა, რომელიც განსხვავებული იქნება კლასიკური ეკონომიკური პარადიგმისგან, თუმცა შემაფრეხებელი შეიძლება იყოს სწავლის და გლობალური, ჰიპერუნივერსიტეტის ჰიპერსივრცეში არსებული ღია კურსების პრივატიზაცია მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების  მიერ, რომლებაც შეიძლება შეზღუდონ ცოდნის და ინფორმაციის თავისუფალი ნაკადი სოციუმში, ასევე, განსაზღვრული ღია კურსების და ამ გზით გადაცემული ცოდნების და ინფორმაციების ლეგიტიმურობის საკითხი. ეს სრულებით რეალური პროგნოზია და  აქტუალური, დღევანდელი ვითარებით მსგავსი ტენდენციები იკვეთება. უამრავი ონლაინ პლათფორმა, რომელიც მსხვილი კორპორაციების საკუთრებაა ახალი ცოდნის ნაკადის თავისუფალ წვდომას ზღუდავს საკმაოდ დიდი გადასახადის სანაცვლოდ. ამ მიდგომამ  უბიძგა  პროგრამისტებს შეექმნათ ისეთი ონლაინ პლათფორმები, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ამ კორპორაციების ხედვასთან და პოლიტიკასთან, ამის მაგალითია  SciHub[24]-ის არსებობა, სადაც მეცნიერებს

[24]https://sci-hub.tw/ ამ საიტის დევიზია: მეცნიერების გზაზე ყველა ბარიერის მოშლა. ეს არის პირატული საიტი, რომელიც იდევნება  მეცნიერების სივრცეში არსებული ორგანიზაციების და კორპორაციების მიერ, რის გამოც საიტი ხშირად იცვლის დომეინს. საიტი შექმნილია ყაზახეთის მოქალაქის. პროგრამისტის ალქსანდრა ელბაქიანის მიერ, რომელიც უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში დაინტერესდა ნეირომეცნიერებებითა და ცნობიერების კვლევით, ტრანსჰუმანისტური იდეებით, მუშაობს ნეიროინჟინერიაში, პროგრამირებაში. მას აკრძალული აქვს ამერიკაში შესვლა.

შეუძლიათ უფასოდ მოიპოვონ ძვირადღირებული სტატიები და კვლევები. ამ ტიპის პლათფორმების ავტორები კი არ მიიჩნევიან ლეგიტიმურ ინტერნეტ მეწარმეებად ტრანსნაციონალური და მსხვილი კორპორაციების გადასახედიდან. ახალი გლობალური ეკონომიკის პარადიგმაში კერძო საკუთრების იდეა არ ქრება, მაგრამ ის უფრო მრავალშრიანი ხდება და კაპიტალის კორპორაციული ტიპის აკუმულაციის საზღვრებიდან გადის. "ახალი „ცოდნის ეკონომიკა" უცნაური  რამ არის, რომელიც თავის თავში მოიცავს კონკურენციის და თანამშრომლობის წინააღმდეგობრივ იმპულსებს.  ორი საუკუნის მანძილზე ადამ სმიტის თეორიის სისწორე იქნა დადასტურებული, რომლის მიხედვით პირადი გამორჩენისკენ სწრაფვა ასტიმულირებს ეკონომიკურ პროგრესს" (Raschke, 2003, p.95). თუმცა განათლებაზე, როგორც სოციალური კაპიტალზე, ამ პრინციპის სრული მიყენება უკუშედეგს იწვევს საზოგადოების თავისუფალი განვითარების თვალსაზრისით. განათლება, როგორც ცოდნის კაპიტალი უნდა იყო სოციუმში ღია კოლაბორაციის მასტუმლირებელი, რაც სოციალურ მობილობას ხდის თავისუფალს და  შედარებით მარტივს.  ეს პარადიგმა არ უნდა ჰგავდეს ეკონომიკაში არსებულ კონკურენციას. თუ ცოდნა და ინფორმაცია ჰიპერსივრცეში არ არის თავისუფლად ხელმისაწვდომი, მაშინ ეს მოდელი გვაბრუნებს ისევ ინდუსტრიული ცნობიერების პარადიგმაში, სადაც ცოდნის შექმნა და გადაცემა მოდერნული ტიპის აკადემიური ჩაკეტილი სივრცის პრეროგატივაა და სადაც ცოდნა იქმნება, როგორც პროდუქტი შრომის ბაზარს მორგებული,  მისგან ნაკარნახევი და არა ცოდნა, როგორც კაპიტალი. ცოდნა როგორც კაპიტალი, შექმნილი ჰიპერუნივერსიტეტის თავისუფალი სწავლების და კურიკულუმების, ღია კურსების მოდელის წყალობით, ხელს უწყობს საზოგადოების და ეკონომიკის თავისუფალ განვითარებას, მიუხედავად იმისა, რა ფინანსური კაპიტალი აქვს დაგროვილი ინდივიდს, რომელიც ისწრაფვის ცოდნის მიღებისკენ და ახლი ცოდნის შექმნისკენ. ეს პარადიგმა არ ჯდება მემარცხენე  და მემარჯვენე ეკონომიკური პოლიტიკის კლასიკურ დეფინიციაში. ციფრული რევოლუციის და ტექნოლოგიურ ცნობიერების

---

მეცნიერები აქტიურად იყენებენ ალექსანდრას მიერ შექმნილ საიტს, საიდანაც შესაძლებელია ძვირადღირებული სტატიების უფასოდ ჩამოტვირთვა და განოყენება.

მოტანილი ახალი ტენდენციები ჯერ კიდევ სიღრმისეულად არ არის გამოკვლეული არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური რეგისტრიდან. "მიუხედავად, ტრადიციონალისტების შიშებისა, რომ ციფრული სწავლის კონტექსტები შეასუსტებენ ძველი სტილის პედაგოგიკის რიტორისტულ ხასიათს, საპირისპირო აღმოჩნდა. ონლაინ ფორმატი უფრო ადვილს და ნაკლებად ძვირს ხდის სწავლას..." (Raschke, 2003, p.96). რა თქმა უნდა, არსებობს რიგი დარგები, რომლებიც საჭიროებენ პროფესორებთან და პრაქტიკოს ლექტორებთან პირისპირ კომუნიკაციას, მათ უშუალო ჩართულობას სწავლებაში და ამიტომ ონლაინ ფორმატი ვერ ჩაანაცვლებს სწავლების პროცესისთვის აუცილებელ ცოცხალ კომუნიკაციას, თუმცა ეს ხელს არ უშლის სტუდენტის მხრიდან საკუთარი სწავლის და კურიკულუმის დაგეგმვას ონლაინ პლათფორმაზე, სასწავლო კურსის გარშემო მრავალფეროვანი მასალის თავისუფალ მოძიებს მულტიმედია ჰიპერსივრცეში, რომელიც პროფესორ კარლ ა. რაშკეს თანახმად, ქმნის საუნივერსიტეტო განათლების არასტრუქტურირებულ შინაარსს (Raschke, 2003). მოდერნული ტიპის უნივერსიტეტებში ნორმატიული და დადგენილი კურიკულუმების თანახმად, ასევე, ნორმირებულად დადგენილია სასწავლო კურსის მასალები. სტუდენტი დამოკიდებულია პროფესორების და ლექტორების მითითებებზე. შეიძლება ითქვას, ცოდნის სტატუსი პრემოდერნული და მოდერნული ტიპის უნივერსიტეტებში განსაზღვრული იყო მათ მიერ, ვინც მართავდა და ანიჭებდა გარკვეული სახის სტრუქტურას, იქნებოდა ეს აკადემიური სივრცე, თუ პროფესორი. "ციფრული განათლება ემსახურება შინაარსის არასტრუქტურირებადობას, ის მიმართავს სწავლის ღირებულებას არა იმ ტერმინებში თუ ვინაა ავტორი ან როგორ იქნა ეს ცოდნა მიღებული, არამედ რა როლს თამაშობს მთლიანობაში კონსერვაციასა და კვლევაში" (Raschke, 2003, p.96). ონლაინ პლათფორმების, ონლაინ ფორუმების გაჩენა, როგორიც არის მაგალითად Mendeley[25] გლობალურ დონეზე შესაძლებელი გახადა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოვლგვარი ოფიციალური შეხვედრების, კონფერენციების მიღმა ინტელექტუალური საუბრები, დისკუსიები, დებატები, ინფორმაციის გაცვლა, ცოდნის გადაცემა,

[25] https://www.mendeley.com/?interaction_required=true

კვლევის შედეგების, იდეების კრიტიკული ანალიზი, გაზიარება, რაც დიდი ალბათობით, უფრო ეფექტურია ხშირ შემთხვევაში, ვიდრე ტიპიური სემინარები, კონფერენციები, სადაც ხდება მოხსენებების წაკითხვა, აუდიტორიის მიერ არაფექტურად ოპონირებული, თუმცა კონტაქტების დამყარების მიზნით საკმაოდ ეფექტური. Mendeley ფორუმზე არსებული ინტერაქცია თანამედროვე ციფრულ სამყაროში მეტად ეფექტურია, როგორც არსებული თუ მოპოვებული ცოდნის და ინფორმაციის გაცვლისთვის, ისე კომუნიკაციის გაიოლებისთვის გლობალურ დონეზე, სადაც არანაირი სივრცული ბარიერი არ არსებობს, ირღვეა საზღვრები და, აგრეთვე, ზრდის შესაძლებლობებს დარგთაშორისი თუ მულტიდისიპლინარული კვლევების უფრო გაფართოებისთვის. ასეთი სახის კომუნიკაციები საშუალებას აძლევს ინდივიდებს არა მარტო თავის დარგში გაამარტივონ ინტერაქცია მსოფლიო მასშტაბით, არამედ სხვა დარგის წარმომადგენლებთან იქონიონ აქტიური კომუნიკაცია, რაც ერთგავრი სტიმულია ახალი დაგრთაშორისი და მულტიდისციპლინარული იდეების გენერირებისთვის. „გლობალური უნივერსიტეტი არის ციფრული რევოლუციის როგორც ბუნებრივი, ისე გარდაუვალი შედეგი, სადაც ცოდნის დეზინტერმედიაცია ხდება, რომელიც პირდაპირ იყენებს მულტიინფორმაციული პროცესების ურთიერთკავშირსა და დაახლოებას. დეზინტერმედიაციის ეს ტენდენცია შეიძლება აღვწეროთ, როგორც „უნივერსალური სივრცე“ ცოდნისთვის, რომელიც არ არის განპირობებული კულტურისა და ადგილის გარემოებებით“ (Raschke, 2003, p.97). სწორედ ამ ტიპის გლობალური, იგივე ჰიპერუნივერსიტეტი არის პოსტმოდერნული აზროვნების გამოძახილი, რომელიც არსებობს კონცეპტუალური რელატივიზმის ტოპოსში, თუმცა ეს ტოპოსი იმდენად ცვალებადია ციფრული ტექნოლოგიების გავლენით, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება ტექნოლოგიები და ტექნოლოგიური ცნობიერება. ამ მოდელის უნივერსიტეტები ჭეშმარიტად დერიდას იზოსთენიის პრინციპის მიხედვით არსებობენ დღემდე მოქმედი მოდერნული ტიპის უნივერსიტეტების „გვერდით“, რომლებიც ნაციონალური და ინდუსტრიული ცნობიერების პარადიგმების გავლენების

შედეგია. ცოდნის სტატუსი, რომელიც განისაზღვრება გლობალური, ჰიპერუნივერსიტეტის ეპისტემოლოგიურ ჰიპერსივრცეში, მოიცავს შემდეგ შინაარსებს: ცოდნისა და ინფორმაციის თავისუფალი ნაკადი, მათ შორის კონვერგენცია, დამოუკიდებელი მკვლევარების გამოჩენა, სწავლის, კურიკულუმის თავისუფალი დაგეგმვა, ღია სასწავლო კურსები, მეცნიერული მეტანარატივის ენობრივი თამაშების გამრავალფეროვნება და გასვლა აკადემიური ლოკალური სივრციდან, გადანაცვლება ჰიპერსივრცეში, ინტელექტუალური ტრანსაქტიურობის ზრდა, ცოდნის კაპიტალის შექმნა.

## კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

- ნაშრომში ჩვენ მიერ განხილულია საკითხი ცოდნის სტატუსის შესახებ, რომელიც დაისვა ანტიკურ და ელინისტურ პერიოდში, კერძოდ, როცა დაიწყო დავა განათლების იდეების შესახებ ფილოსოფოსებსა და ორატორებს შორის. როგორც კვლევამ აჩვენა, განათლების იდეები ორატორული ტენდენციების დომინირებით განვითარდა. ლიბერალური განათლების შინაარსები და ცოდნის სტატუსი ნაკარნახევი იყო ორატორების - ისოკრატეს, მარციანუს კაპელას, ვარონის, ციცერონის, კასიოდორეს მიერ. ეს იდეები საუკუნეების მანძილზე განვითარებას პოულობდა, როგორც ადრეული, ისე გვიანდელი შუა საუკუნეების ევროპის სხვადასხვა ტოპოსში, მიუხედავად იმისა, რომ განათლების იდეებში ფილოსოფიური ტრადიციების აღდგენა მოხდა გვიან შუა საუკუნეებში.
- ფაქტობრივად, ფილოსოფოსთა შეხდულებები განათლებაზე არ განხორციელებულა როგორც განათლების გარკვეული სახის მოდელი. ტრივიუმისა და კვადრიუმის ნორმატიზების იდეა სწორედ ორატორების შეხედულებებიდან მოდის, მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში არისტოტელიზმს, ფილოსოფიურ ტრადიციებს დიდი გავლენა ჰქონდა თეოლოგიურ დოქტრინებზე და მის სისტემატიზაციაზე. ცოდნის სტატუსის შინაარსები ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ადრეული შუა საუკენეების ჩათვლით, დაახლოებით XII საუკუნის მეორე ნახევრამდეც განისაზღვრებოდა ორატორთა შეხდულებებით.
- დისერტაციაში გაანალიზებულია საგანმანათლებლო კერების განვითარების ისტორია ევროპაში პირველი უნივერსიტეტების შექმნამდე. აღსანიშნავია, რომ ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში საგანმანათლებლო მისიონერობას ეწეოდნენ ირლანდიიდან წასული სწავლულები. კაროლინგების იმპერიის დაშლის შემდეგ საგანმანათლებლო ცენტრები სხვადასხვა ტოპოსებში განვითარდნენ. დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული

მსოფხედვის კონტექსტში გაჩენილი პირველ უნივერსიტეტებამდე პერიოდი გამოირჩეოდა სქოლასტიკურ, ინტელექტუალური დებატებით, სადაც ორატორული და ფილოსოფიური ტრადიციები ანაცვლებდნენ ერთმანეთს. შედეგად, ცოდნის სტატუსის შინაარსები და განათლების იდეები განიცდიდა გარკვეულ მოდიფიკაციებს, იქმნებოდა ახალი დისციპლინები, სწავლულთა გილდიები, რამაც ლოგიკურად ახალი საგანამანათლებლო გაერთიანებების შექმნის საფუძველი გააჩინა, რასაც მოგვიანებით უნივერსიტეტი ეწოდა და რომელიც მანამდე მონასტრებში არსებული საგანმანათლებო ცენტრების და სკოლების ლოგიკური გაგრძელება იყო.

- განათლების იდეების გავითარების ანალიზმა პირველ უნივერსიტეტებამდე გვიჩვენა, რომ ცოდნის სტატუსი თავისი შინაარსებით იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ დროთა განმავლობაში მისი ინსტიტუციონალური ორგანიზების საჭიროება გაჩნდა, რაც ფორმალურად უნივერსიტეტებში განხორციელდა შუა საუკუნეებში ქრისტიანული თეოლოგიის იდეოლოგიურ კონტექსტში.
- ნაშრომში განხილული გვაქვს თანამედროვე ავტორების, ამერიკელი თეოლოგის და ფილოსოფოსის ჯონ ბ. ქობის, ამერიკელი მკვლევარის მარკუს პიტერ ფორდის უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების კლასიფიკაცია.
- **უნივერსიტეტის შექმნის იდეის** პრეისტორია სწორედ ორატორებისა და ფილოსოფოსების დაპირისპირებაში უნდა ვეძებოთ. პირველი უნივერსიტეტების შექმნიდან უნივერისტეტებმა განვითარების დიდი და რთული ათასწლოვანი გზა გაიარეს. ამერიკელი თეოლოგის ჯონ ბ. ქობის მიერ შემუშავებულმა უნივერსიტეტის განვითარების ეტაპების ისტორიულმა პერიოდიზაციამ - ქრისტიანიზმი, ნაციონალიზმი, ეკონომიზმი და ამ პარადიგმების მიხედვით ამერიკელი მკვლევარის მარკუს პიტერ ფორდის წარმოდგენილმა უნივერსიტეტების - პარიზის უნივერსიტეტის, ჰალეს უნივერსიტეტის, ბერლინის უნივერსიტეტის და ფენიქსის უნივერსიტეტის

მოდელებმა გამოკვეთა ის ძირითადი პარადიგმები, რომელთა საფუძველზეც ვითარდებოდა უნივერსიტეტის იდეა და ცოდნის სტატუსი.

- თანამედროვე ვითარებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ჯონ ბ. ქობისა და მარკუს პიტერ ფორდის მიერ შემუშავებული უნივერსიტეტების განვითარების კლასიფიკაცია სრულად ვერ ასახავს უნივერსიტეტების განვითარების პარადიგმებს, რის გამოც დისერტაციაში ვეცადეთ უნივერისტეტის განვითარების ეტაპების ჯონ ბ. ქობის და მარკუს პიტერ ფორდის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის საფუძველზე, შეგვექმნა **ახალი, მოდიფიცირებული კალისიფიკაცია,** რომელშიც, ვფიქრობთ, რომ მეტ-ნაკლებად ისახება დღეს უნივერსიტეტის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევები. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოწოდებული კლასიფიკაციის საფუძველზე შესაძლებელი იქნება უნივერსიტეტის მომავლის შესახებ დებატების გააქტიურება მულტიდისციპლინარულ და ინტერდისციპლინარულ რეგისტრში.
- ჩვენი კლასიფიკაციის მიხედვით, უნივერსიტეტის იდეის განვითარება ემთხვევა კაცობრიული აზრის განვითარების შემდეგ ეტაპებს:
    - **რელიგიური ცნობიერება;**
    - **ნაციონალური ცნობიერება;**
    - **ინდუსტრიული ცნობიერება;**
    - **ტექნოლოგიური ცნობიერება.**
- ნაშრომში განვიხილეთ ოთხივე ეტაპი. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ტექნოლოგიურ ცნობიერებას, უნივერსიტეტის ვითარებას ცოდნის სტატუსის თვალსაზრისით ტექნოლოგიური ცნობიერების რეგისტრში. ჩვენს მიერ წარმოდგენილი კლასიფიკატორიდან ვეცადეთ მეოთხე ეტაპის ტექნოლოგიური ცნობიერების დაწვრილებითი ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე ფილოსოფიურ ტენდენციებს, აგრეთვე, ახლახანს წარმოშობილ დებატებს ხელოვნური ინტელექტის, ტრანსჰუმანისტური იდეების გარშემო, რამაც ეპისტემოლოგიურ თეორიებში

ახალი გამოწვევების წარმოქმნას შეუწყო ხელი  და გაჩნდა ე.წ. ანდროიდული ეპისტემოლოგიური კვლევები, რომლის მიზანია შეისწავლოს ხელოვნური ინტელექტი ფილოსოფიურ სიბრტყეზე და მისი როლი შემეცნების თვალსაზირით.

- ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში არსებული უნივერსიტეტის და ცოდნის სტატუსის  შინაარსების გაანალიზების გზით ვეცადეთ გვეჩვენებინა არსებული გამოწვევები საუნივერსიტეტო განათლებაში, რომელიც, კერძოდ, ეხება საუნივერსიტეტო დისციპლინებისა და სწავლების მეთოდების კონცეფციების გამოყენებას. თუ რამდენად რელევანტურია  ეს მეთოდები შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვის  და დედამიწაზე  არსებულ გამოწვევებზე  რეაგირებისთვის.
- ტექნოლოგიური ცნობიერების საწყის ეტაპად სწორედ ინტერნეტის შექმნა  და განვითარება მივიჩნიეთ. ინტერნეტის განვითარებამ ცოდნის ახალი სივრცე შექმნა. ცნება „ცოდნის ახალი სივრცე“ დენვერის უნივერსიტეტის ფილოსოფიის და რელიგიური სწავლებების პროფესორმა კარლ ა. რაშკემ შემოიტანა წიგნში: „The Digital Revolution and The coming of The Postmodern University“ (2003).
- ცოდნის შექმნა და გადაცემა უკავშირდება  უნივერსიტეტის იდეას. ცოდნის სტატუსის შინაარსი  რელიგიური ცნობიერების ეტაპიდან მოყოლებული ტექნოლოგიური ცნობიერების ეტაპამდე, იცვლებოდა უნივერსიტეტების ტოპოსში. შეიძლება ითქვას, ხდებოდა ცოდნის სტატუსის ინსტიტუციონალიზაცია უნივერსიტეტის კედლებში, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური ცნობიერებიდან ნაციონალური ცნობიერების გარდამავალ ეტაპზე მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენები და ახალი ცოდნის შექმნა უნივერსიტეტის კედლებს მიღმაც ხდებოდა. ეს აღმოჩენები და ცოდნის შექმნა, როგორც ასეთი, სეკულარული იდეების გაძლიერების შემდეგ უნივერსიტეტის სივრცეში მოექცა. თუმცა ტექნოლოგიური ცნობიერების რეგისტრში  ცოდნის სტატუსი უნივერსიტეტის ტოპოსიდან გადის და ამის მიზეზი არა მხოლოდ

ეკონომიზმია, რომელიც გლობალიზაციის ძირითადი ტენდენციებით არის ნაკარნახევი, არამედ ციფრული რევოლუცია განათლებაში. ციფრული რევოლუცია, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების, ინტერნეტის განვითარებასთან, რომლის საფუძველზე შეიქმნა ვირტუალური სივრცე და რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ჰიპერსივრცე ცოდნის შექმნისთვის და გადაცემისთვის, რამაც გარკვეული აზრით, შექმნა ნიადაგი იმისთვის, რომ ცოდნის და, კერძოდ, მეცნიერული ცოდნის შექმნა, უნივერსიტეტის ტოპოსიდან გასულიყო. დღეს მეცნიერული კვლევების ნაწილი და აღმოჩენები, ხშირ შემთხვევაში, უნივერსიტეტებში არ ხდება, კორპორაციებთან არსებულ კვლევით ცენტრებში გადაინაცვლა და, მაშასადამე, მსოფლიოში უნივერსიტეტების უმეტესობა, სამწუხაროდ, მხოლოდ ცოდნის გადაცემა/ტრანსმისიისთვის განკუთვნილ დაწესებულებად იქცა, რომელიც შრომის ბაზრის კარნახიდან გამომდინარე, ქმნის და გარდაქმნის კურიკულუმებს.

- ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, რაც ცოდნის სტატუსმა განიცადა უნივერსიტეტის განვითარების ისტორიაში, ეს არის ინდუსტრიული ცნობიერების გავლენით გამოწვეული. **ცოდნა, როგორც პროდუქტი, ცოდნა როგორც კრედიტი** - მსგავსი ცნებები სწორედ ცოდნის სტატუსის ფუნდამენტურ რევოლუციაზე მიგვანიშნებს, რომელიც, თავის მხრივ, პრაგმატიზმის ფილოსოფიური მსოფმხედველობით არის ნაკარნახევი.
- თანამედროვე უნივერსიტეტები არაერთგვაროვანი და კომპლექსური ხასიათისაა, ამიტომ ძნელია ერთიან უნივერსალურ ნარატივში მოაქციო. არც არსებობს ამის გარდაუვალი საჭიროება, თუმცა უნივერსიტეტს, როგორც ასეთს, დღემდე რა სახითაც არ უნდა მოსულიყო, დასავლეთის ცივილიზაციაში აქვს ერთი წარსული და ეს ქრისტიანული წარსულია.
- ნაშრომში განხილული პროფესორ კარლ ა. რაშკეს ტიპოლოგიიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში ჩვენ უნივერსიტეტის მაგივრად ვიღებთ ჰიპერუნივერსიტეტს.**

**ეს ცნება თავის თავში მოიცავს უნივერსიტეტის იდეას, როგორც ასეთს, მაგრამ ის არ არის ტრადიციული ფორმატის, არ აქვს კონკრეტული ლოკალური სივრცე, არამედ არსებობს ჰიპერსივრცეში, ვირტუალურ რეალობაში, რის გამოც მას შეიძლება ეწოდოს ჰიპერუნივერსიტეტი.** ციფრულმა რევოლუციამ და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვამ ეს ვითარება შეცვალა, შედეგად მივიღეთ სხვა ტიპის უნივერსიტეტი, სადაც სწავლება და სწავლა განიცდის მეტამოფროზას და პირისპირ პედაგოგიკას ნაწილობრივ ანაცვლებს ვირტუალური ტუტორიალები, ონლაინ კომუნიკაცია, ტელეპრეზენსი, მობილური საგანმანათლებლო აპლიკაციები. ეს ტენდენცია გარდაუვალია ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად.

- ჩვენ ვცხოვრობთ ტექნოლოგიური სასწაულების სამყაროში, - წერს ჯოზეფ ე. ეაუნი წიგნის: „რობოტის მტკიცებულება: უმაღლესი განათლება ხელოვნური ინტელექტის ერაში (Robot Proof. Higher Education in The Age of Artificial Intelligence)“ შესავალში (Aoun, 2017), რომელსაც ჩვენ ტექნოლოგიური ცნობიერების განზომილება ვუწოდეთ. ციფრული რევოლუცია უწოდა პროფესორმა კარლ ა. რაშკემ, მეოთხე ინდუსტიული რევოლუცია უწოდეს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, 2017 წელს (Gleason, 2017). თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ეპოქას სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა სახელით აღწერს: „ტექნოლოგიური სასწაულების სამყარო“, „ხელოვნური ინტელექტის ერა“, „ციფრული რევოლუცია“, „მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია“ და სხვ. ადამიანის ცხოვრების ამ პერიოდს, ჩვენ „ტექნოლოგიური ცნობიერების განზომილება“ დავარქვით. ამ თვალსაზრისით, შეიძლება დავსვათ მნიშვნელოვანი კითხვა - როგორია ტექნოლოგიური ცნობიერების განზომილებაში უნივერსიტეტის მომავალი?
- სასექსის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორმა ჯერარდ დელანტიმ თავის სტატიაში, 2004 წელს (Odin, 2004) დასვა კითხვა - აქვს თუ არა უნივერსიტეტს მომავალი? ამ კითხვის პასუხად, სასექსის უნივერსიტეტის პროფესორი უნივერსიტეტის იდეას მიმოიხილავს ჯონ ჰენრი ნიუმენის

კონსერვატორული შეხედულებებისა და ჟან ფრანსუა ლიოტარის პოსტმოდერნულ პერსპექტივაში და თვლის, რომ **მოდერნული ტიპის უნივერსიტეტებმა განიცადეს ტრანსფორმაცია, ცოდნა გახდა პერფორმატიული, საზღვრების მოშლამ ცოდნასა და ინფორმაციას შორის უნივერსიტეტები დააყენა ტექნოლოგიების განვითარებით განპირობებული გამოწვევების წინაშე.**

- ამერიკელი მკვლევარი ჯეშრი ოდინიც თვლის, რომ **ცოდნა როგორც კომპეტენცია გადაიქცა პერფომატიულ ცოდნად,** რასაც სწორედ ფრანგი სტრუქტურალისტი ჟან ფრანსუა ლიოტარი აღნიშნავდა.
- ახალ მოდელებს და ორიენტაციას გვთავაზობს როგორც ამერიკელი მკვლევარი მარკუს პიტერ ფორდი, ისე ამერიკელი თეოლოგი კარლ ა. რაშკე. ფორდის კონსტრუქტივისტული მიდგომა არის მცდელობა მოდერნი და პოსტმოდერნის იდეები შეარიგოს ერთმანეთს, თუმცა, ჩვენი აზრით, წარუმატებლად, ხოლო პროფესორი კარლ ა. რაშკე ცდილობს ლიოტარის მიერ პოსტმოდერნული ვითარების შესახებ გაკეთებული პროგნოზების საფუძველზე, დაგვანახოს ჰიპერუნივერსიტეტის ვითარება და მოდელი, რომელიც მისი აზრით მომავლის უნივერსიტეტია.
- პროფესორი კარლ ა. რაშკე სწორ დასკვნებს აკეთებს, როცა თვლის, რომ ცოდნის სივრცე ციფრული და ინტერნეტ ტექნოლოგიების გავლენის შედეგად გარდაიქმნა ცოდნის კიბერსივრცედ, სადაც ცოდნასა და ინფორმაციას შორის საზღვრები თითქმის წაშლილია, რაც ხელს უწყობს ცოდნის გატანას აკადემიური სივრცეებიდან და მისი მონოპოლიზაცია არ ხდება კონკრეტულ აკადემიურ ლოკალურ ადგილას, თუმცა ცოდნის ლეგიტიმაციის საკითხი მაინც აკადემიური ისნტიტუციების ან ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის ქვეშაა.
- თანამედროვე სამყაროში გაჩნდა კორპორაციული უნივერსიტეტების ფენომენი, საკმაოდ სწრაფად განვითარებადი, როგორც ბიუჯეტით, ისე სტუდენტების მხრიდან დაინტერესების ზრდით. ისეთ მსხვილ კორპორაციებს

როგორიცაა: Cisco, Motorola, IBM, გააჩნიათ საკუთარი კორპორატიული უნივერსიტეტები, რომელზეც მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება, ამ ტიპის უნივერსიტეტები უფრო ინდუსტრიული ცნობიერების პარადიგმაში შეგვიძლია მოვათავსოთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რელევანტურად პასუხობენ ციფრული ტექნოლოგიების გამოწვევებს.

- ციფრული ტექნოლოგიების და ბოლო ათლწლეულის მანძილზე ყველაზე სწრაფად განვითარებადი ხელოვნური ინტელექტის საუკეთესო მაგალითია 2008 წელს ამერიკელი გამომგონებლების - რეი კურცვაილისა და პიტერ დიამანდისის[26] მიერ დაფუძნებული Singularity Univeristy[27], რომელიც სილიკონ ველის პროექტის ფარგლებში იქნა დაარსებული. ეს არის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საუკეთესო ნიმუში, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ ტექნოლოგიური ცნობიერების პარადიგმაში და რომლის მიზანია გაზარდოს ტექნოლოგიური უნარებით აღჭურვილი თაობა. 2012 წლიდან სინგულარობის უნივერსიტეტი მომგებიან კორპორაციად იქცა, რომელიც, აგრეთვე, მოიცავს არამომგებიან იურიდიულ სტატუსსაც. 2013 წლიდან სიგნულარობის უნივერსიტეტი ინკორპორირებული იქნა, როგორც „სინგულარობის განათლების ჯგუფი“, რომელიც დღეს მისი სავაჭრო ნიშანია. 2015 წლიდან სინგულარობის უნივერსიტეტი თანამშრომლობს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან და მის სამიზნეს წარმოადგენს სოციალური მეწარმეობა. რეი კურცვაილის ფუტურისტული იდეების მიხედვით, სწორედ ხელოვნური ინტელექტის, ნანოტექნოლოგიების და ბიოტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ხელოვნური ინტელექტი სრულფასოვნად ჩაერთოს განათლების სფეროში და მეტიც, შესაძლოა 2030 წლიდან პედაგოგები ჩაანაცვლოს ჭკვიანმა ანდროიდებმა.

---

[26] პიტერ დიამანდისი ბერძნული წარმოშობის ამერიკელი ინჟინერი, ფიზიკოსი, მეწარმე, X Prize Foundation - ის დამფუძნებელი და რეი კურცვაილთან ერთად Singularity University-ს თანადამფუძნებელი. ის იყო Zero Gravity Corporation -ის აღმასრულებელი დირექტორი. ამერიკელ მეწარმე, ჟურნალისტ სტივენ კოტლერთან ერთად თანაავტორია წიგნისა Abundance: The Future Is Better Than You Think (2012)

[27] Singularity University www.su.org

- ჯერ კიდევ პროფესორმა  კარლ ა. რაშკემ 2003 წელს  იწინასწარმეტყველა ტექნოლოგიების გავლენა უნივერსიტეტის  მომავალზე და ახალი ტიპის უნივერსიტეტს მან ჰიპერუნივერსიტეტი, მეორენაირად, გლობალური უნივერსიტეტი უწოდა. ამის საპირისპიროდ ამერიკელი ავტორი მარკუს პიტერ ფორდი ცდილობს  ახალი უნივერსიტეტის იდეა დააფუძნოს კონსტრუქტივისტულ პარადიგმას, რომელსაც ის უწოდებს პოსტმოდერნულ კონსტრუქტივიზმს და საფუძვლად  უდებს  ალფრედ ნორზ უაითჰედის ორგანიზმის ფილოსოფიას,  რომელიც გამოიხატება შემდეგში, რომ ადამიანი წარმოადგენს მთლიანობას გარესამყაროსთან და გარემოსთან ერთად, ყველაფერი როგორც ერთიანი ორგანიზმი ექვემდებარება საერთო კანონზომიერებას. სწორედ ასეთი მიდგომა არის მარკუს პიტერ ფორდის კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის  იდეის საფუძველი, რომელიც დედამიწაზე, გარემოზე, ეკოლოგიაზე ცენტრირებულია (Ford, 2002).  კონსტრუქტივისტული უნივერსიტეტის იდეა, როგორც „rootedness“, ორიენტირებული ფესვებზე, საფუძველზე, კურიკულუმის აგებისას ლოკალურ გარემოს, თემის და მედიის მუშაობის პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს, მიზნად ისახავდეს აღზარდოს ეკოლოგიურად ემპათიური თაობები, რომლებიც ლოკალურ გარმეოზე ზრუნვით შეძლებენ გლობალური პრობლემების გადაჭრას და გამოწვევებზე რელევანტურად რეაგირებას.  მარკუს პიტერ ფორდი ცდილობს მეტაფიზიკა ახალი მიდგომებით დააბრუნოს  უნივერსიტეტებში, რომელიც, შეიძლება ითქვას, მოდერნული ტიპის უნივერსიტეტის მემკვიდრეობაა. მაგრამ ის გვთავაზობს უფრო ჰოლისტური სახის მეტაფიზიკას, რომელიც არ არის თავისი არსით და მიდგომებით მატერიალისტური, ვინაიდან ამერიკელი ავტორი თვლის, რომ მატერიალისტურმა მიდგომებმა და ეკონომიზმის მსოფხედვის გაბატონებამ დედამიწაზე ხელი შეუწყო ეკოლოგიურ კატასტროფებსა და აქედან გამოწვეულ სხვადასხვა სახის პრობლემებს, რომელსაც ჩიხში შეჰყავს ცივილიზაცია. ჩვენი დასკვნა მარკუს პიტერ ფორდის

იდეებთან მიმართებაში მდგომარეობს შემდეგში: კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის მოდელის და კურიკულუმის შინაარსი ვთვლით, რომ წინააღმდეგობაში მოდის საუნივერსიტეტო განათლების იდეასთან მისი მეტისმეტად ზოგადი ხასიათის გამო. ერთი მხრივ, ის ცდილობს მოდერნის ტიპის უნივერსიტეტი და პოსტმოდერნული მოდელის სინთეზირება გააკეთოს, რაც გამოიხატება ჰოლისტური მეტაფიზიკის დისციპლინის შემოღებაში, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი მოდელი გულისხმობს ზოგად განათლებაზე გადაჭარბებულ აქცენტს საუნივერსიტეტო სივრცეში, მაშინ როცა შეიძლება ამ ტიპის განათლება სწორად ორგანიზებულ სკოლებში განხორციელდეს და უნივერსიტეტმა კი უზრუნველყოს უფრო სიღრმისეული განათლება, კვლევები და ცოდნის შექმნა. ამიტომაც მარკუს პიტერ ფორდის მოდელს ზედაპირულად ვთვლით. შეიძლებოდა მისი უფრო დამუშავება, დახვეწა, მეტად გაღრმავება და არგუმენტირება. მიუხედავად იმისა, ბევრისთვის მიმზიდველია ეკოლოგიაზე ორიენტირებული განათლება, ფორდის მოდელს ბევრი ნაკლი აქვს და არც ლიბერალური განათლების ისტორიულ გამოცდილებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ფორდის საუნივერისტეტო განათლების ვექტორი, აგრეთვე, ტექნოლოგიური ცნობიერების გამოწვევებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს. პროფესორ რაშკესგან განსხვავებით. ფორდი აქცენტს არ აკეთებს ტექნოლოგიური ცნობიერების გავლენაზე საუნივერსიტეტო განათლების სივრცეში. კარლ ა. რაშკე კი მიიჩნევს, რომ სწორედ **ციფრული ტექნოლოგიური რევოლუცია შეცვლის უნივერსიტეტის არა მარტო იდეას, არამედ მის სივრცულ აღქმასაც და ის გადაინაცვლებს ჰიპერსივრცეში.** ცოდნის გადაცემა არ იქნება მხოლოდ საუნივერისტეტო დაწესებულებების პრეროგატივა, რომლის დასტურია დღეს არსებული სხვადასხვა სახის ონლაინ პლათფორმები და რომლებიც ყოველთვის განახლების რეჟიმში ამატებენ ახალ ონლაინ კურსებს, რაშკეს ტერმინს თუ გამოვიყენებთ - ჰიპერკურსებს. ციფრული და ინტერნეტ ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება გვიჩვენებს, რომ კარლ ა. რაშკეს

პროგნოზები  უფრო მართლდება და რეალობასთან ახლოს დგას,  უფრო მეტიც, ხელოვნური ინტელექტის  განვითარებაც უფრო აჩქარებს უნივერსიტეტის იდეურ და სივრცობრივ ტრანსფორმაციას ჰიპერსივრცეში. უნივერსიტეტები შეუწყვეტლივ მისდევენ ტექნოლოგიებს და, ამავე დროს, თავად,  ან მის სივრცეში აღზრდილი გამომგონებლები არიან ტექნოლოგიების შემოქმედები, თუმცა  კვლევების და აღმოჩენების რაღაც ნაწილი საუნივერსიტეტო სივრციდან გასულია სწორედ ციფრული ტექნოლოგიების წყალობით შექმნილ ახალ სივრცეებში, როგორიცაა, მაგალითად, სილიკონ ველი[28]. სწორედ სილიკონ ველის ტოპოსში დაიბადა სინგულარობის უნივერსიტეტის იდეა, რომელიც 2008 წელს განხორციელდა.

- ამერიკელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე ალფრედ ნორზ უაითჰედი თვლის, რომ  უნივერსიტეტის მთავარი ფუნქცია ვერ იქნება მხოლოდ ცოდნის გადაცემა, მან უნდა შეძლოს სტუდენტს განუვითაროს წარმოსახვა, სწორედ წარმოსახვის განვითარება უნდა იქცეს მის მთავარ ფუნქციად, რომ შესაძლებელი გახდეს ახალი ცოდნის შექმნა (Whithead, 1929). როდესაც საკითხს ვსვამთ უნივერსიტეტის მომავალზე, თუ როგორი შეიძლება იყოს ის, აუცილებლად ვგულისხმობთ ტექნოლოგიურ ცნობიერების იმ პარადიგმას, რომელიც განსაზღვრავს დღევანდელი თუ არა, ხვალინდელი უნივერსიტეტის, როგორც იდეას, ისე, მისი არსებობის ფორმას.  ამერიკელი ლინგვისტი ჯოზეფ ეაუნი წერს, რომ ისეთ სამყაროში, რომელიც ტექნოლოგიური საოცრებებით იქნება გამორჩეული, უნივერსიტეტის მთავარი მამოძრავებელი იდეა უნდა იყოს  სტუდენტში  შემოქმედებითი უნარების განვითარება (Aoun, 2017). სწორედ ეს უნარები იქნება მთავარი განმასხვავებელი სუპერ გონების მქონე  ანდროიდების სამყაროსგან, რომელსაც კაცობრიობა მალე იხილავს. მისი აზრით, ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტის განვითარება ქმნის ახალ

[28] სილიკონ ველი (Silicon Walley) ჩრდილოეთ კალიფორნიის სან ფრანცისკოს ყურის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, რომელიც მაღალი, ციფრული ტექნოლოგიების, ინოვაციების და სოციალური მედიის გლობალური ცენტრია, რომლის ისტორია იწყება 1970-იანი წლებიდან.

ეკონომიკურ რეალობას, რომელთან ადაპტაცია და რელევანტურობა უნივერსიტეტებს უჭირთ. თუ უნივერსიტეტის მიზანი იქნება სტუდენტის მხოლოდ შრომის ბაზრისთვის მომზადება, დიდი ალბათობით, ასეთი უნივერსიტეტი და სტუდენტი წარუმატებელი იქნება, ვინაიდან მთელ რიგ სამუშაოებს რობოტები ჩაანაცვლებენ უახლოეს ორმოცდაათ წელში. ეაუნი თვლის, რომ XXI საუკუნის უნივერსიტეტები უნდა გათავისუფლდნენ გარედან მოტანილი კარიერული მოდელებისგან და გააჩნდეთ ავტონომიურობა საკუთარი მომავლის შესაქმნელად (Aoun, 2017).

- ნაშრომში ჩვენ მიერ განხილული იდეებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ დღეს, ტექნოლოგიური ცნობიერების ეტაპზე უმაღლეს განათლებას ჭირდება ახალი მოდელი და ორიენტაცია. სწორედ ამ ახალ მოდელებს და ორიენტაციას გვთავაზობს როგორც ამერიკელი მკვლევარი მარკუს პიტერ ფორდი, ისე ამერიკელი თეოლოგი კარლ ა. რაშკე. ფორდის კონსტრუქტივისტული მიდგომა, როგორც აღვნიშნეთ, არის მცდელობა მოდერნი და პოსტმოდერნის იდეები შეარიგოს ერთმანეთს, ხოლო პროფესორი რაშკე ცდილობს ლიოტარის მიერ პოსტმოდერნული ვითარების შესახებ გაკეთებული პროგნოზების საფუძველზე დაგვანახოს ჰიპერუნივერსიტეტის ვითარება და მოდელი, რომელიც, მისი აზრით, მომავლის უნივერსიტეტია. მარკუს პიტერ ფორდის მცდელობა შეარიგოს მოდერნისა და პოსტმოდერნის იდეები ახალი კონსტრუქტივისტული პოსტმოდერნული უნივერსიტეტის გადაჭრით უსაფუძვლო არ არის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი მოდელი მოკლებულია სიღრმისეულ გააზრებას, თანამედროვეობასთან რელევანტურობას და, ჩვენი აზრით, უტოპიაში გადადის. გარდა ამისა, ფორდის მიერ მოდერნული უნივერსიტეტების კრიტიკა ტოვებს განცდას, რომ ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის მოდელს არ გამოარჩევს მოდერნის ტიპის სხვა უნივერსიტეტებისგან, რომლისგანაც ეს უნივერსიტეტი მკვეთრად განსხვავდება. მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც 1859 წლის 10 აპრილს დაარსდა ოფიციალური წყაროებით სწორედ ევროპული

პოლიტექნიკური განათლების, კერძოდ, პრუსიული მოდელის გადმოტანა იყო. ამ მოდელის უნივერსიტეტი გულისხმობდა სწავლების პროცესის ჩართვას კვლევით საქმიანობაში, სადაც სტუდენტი და პროფესორი ერთად ახორციელებენ კვლევას და კვლევითი ლაბორატორიები სრულად ჩართულია სასწავლო პროცესში. პრუსიული მოდელის უნივერსიტეტების დაფუძნებამ ამერიკის შეერთებულ შტატებს დიდი წარმატება მოუტანა დროთა განმავლობაში. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ამერიკელ სოციოლოგს ჯერარდ დელანტისაც, რომელიც მოდერნული ტიპის უნივერსიტეტს არ მიიჩნევს ცოდნის შემოქმედად.

- ამდენად, ჩვენი უნივერსიტეტების განვითარების ახალი კლასიფიკაციით მოცემული მსოფმხედველობრივი პარადიგმები დაგვემხარება გავიაზროთ უნივერსიტეტის ვითარება და შეძლებისდაგვარად განვჭვრიტოთ მისი განვითარების მომავალი ტენდენციები, რაც მოგვცემს საშუალებას მნიშვნელოვანი, ღირებული მეცნიერული დისკუსიები წარიმართოს ამ საკითხის გარშემო, ვინაიდან უნივერსიტეტი არა მარტო ცოდნის გადამცემი და შემოქმედია, არამედ კაცობრიობის განვითარების კომპასის როლსაც ითავსებს.

რთულია **რეკომენდაციების** შემუშავება აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ვინაიდან უნივერსიტეტს განვითარების და ცოდნის სტატუსის ცვლილების დინამიკა მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო და გარდაუვალი ფაქტორითაა განპირობებული. რთულია ივარაუდო უნივერსიტეტის მომავალი განვითარების ვექტორი როგორც ცოდნის შემქნელის, რეალური მეცნიერული კვლევის განმახორციელებელის თვალსაზირისით. მიუხედავად ამისა, შევეცდებით უნივერსიტეტებს შევთავაზოთ რამდენიმე ჩვენეული რეკომენდაცია, რომელიც ვფიქრობთ, დაეხმარება გაცნობიერეულად გადადგას ესა თუ ის ნაბიჯი, კერძოდ:

- უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიის განსაზღვრისას, თითოეულმა უნივერსიტეტმა უნდა გააცნობიეროს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული

ვითარება, შეძლოს გარკვეული სახით ტენდენციების პროგნოზირება  და შეეცადოს შრომის ბაზართან რელევანტურობის შენარჩუნებით არ დაკარგოს თავად უნივერსიტეტის იდეის რაციონალური მარცვალი, ავტონომიურობა და ავთენტიკურობა. ვინაიდან უნივერსიტეტის საქმე არ არის მხოლოდ შრომის ბაზრისთვის და დამსაქმებელისთვის საჭირო კანდიდატების მომზადება პროფესიული უნარებით, არამედ უნივერსიტეტი, როგორც შემეცნებითი დაწესებულება, ემსახურება მსოფლხედვის ჩამოყალიბებას, შექმნას, გადახედვას, ტრანსფორმაციას, აღმოჩენებს, არსებული ტენდენციების გაანალიზებასთან ერთად, საზოგადოების განვითარების შესაძლო პერსპექტივების განჭვრეტას, მისი საქმე არ არის მხოლოდ პროფესიული ცოდნებით აღჭურვა, მისი საქმეა სამყაროს, უნივერსუმის შეცნობა.

- აკრედიტაციის სტანდარტები, რომლებიც პრინციპში  ნათლად ასახავს კლასიკური დიდაქტიკის პოზიციებს, და კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო შეძლებისდაგვარად იძლეოდეს  ფლექსიბილურობის საშუალებას, რომ უნივერსიტეტებმა შეძლონ საკუთარი ავტონომიურობის შენარჩუნებით განვითარებისთვის შექმნან ახალი დისციპლინები, დარგები და, ზოგადად, ახალი ცოდნა. გარდა ამისა, თითოეული ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისას, ასევე, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული უნივერსიტეტის რეალური მისია და ხედვა. პროგრამის განხორციელების პროცესში შეიქმნას რელევანტური პირობები  გაწერილი სწავლის შედეგების მისაღწევად, კერძოდ, ახალი ცოდნის შექმნისა და კვლევის უნარებისთვის.
- თანამედროვე უნივერსიტეტებმა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და სწავლების მეთოდოლოგიების შემუშავებისას შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ, რომ ახალი ცოდნის შექმნისთვის და კვლევითი უნარებისთვის აუცილებელია ცოდნისა და წარმოსახვის, შემოქმედებითი უნარების სინთეზი. უნივერსიტეტის იდეის ცნების შინაარსის ერთ-ერთი მთავარი იდეაფიქსი სწორედ ცოდნისა და წარმოსახვის, შემოქმედებითი უნარების გაერთიანებაა, რომელიც სწავლებასა და სამეცნიერო კვლევებში

გამოცდილებას ამდიდრებს, ამრავალფეროვნებს, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებაში ახალი იდეების გენერირებას უწყობს ხელს.

- თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური ცნობიერების ეტაპზე უნივერსიტეტებმა უნდა შეძლონ სტუდენტები აღჭურვონ ისეთი ცოდნით და უნარებით, რომ კურსდამთავრებულებს არ გაუჭირდეთ ადაპტაცია მომავლის ტექნოლოგიებით ნაკარნახევი ახალ ეკონომიკურ რეალობასთან, შეძლონ ლოკალურ და გლობალურ გამოწვევებზე რეაგირება შემოქმედებითი მიდგომებით.
- ტექნოლოგიური ცნობიერების განზომილებაში უნივერსიტეტებმა სწავლებისა და კვლევის პროცესში უნდა შეძლონ გაუმკლავდნენ ულევ ინფორმაციულ ტალღას და და შეძლებისდაგვარად აირჩიონ მომავალი განვითარებისთვის შესაბამისი პლათფორმა ან/და მოდელი, რომელიც შეძლებს რელევანტურად უპასუხოს მესამე ათასწლეულის გამოწვევებს. როგორც დერიდა იტყოდა, უნივერსიტეტი, არის ის ადგილი, სადაც იბადება, იზრდება მომავლის საზოგადოება.

## გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები


1.დეკარტი, რ. (1955). *მეტაფიზიკური განაზრებანი.* (თარგმანი: ს. დანელია). (ვ. მაჭავარიანი, რედ). თბილისი. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცელობა. (ორიგინალი წიგნი გამოქვეყნდა 1641 წ.)

2. თევზაძე, გ. (1995). *ანტიკური ფილოსოფია.* თბილისი, საქართველო. მეცნიერება.

3.თევზაძე, გ. (2008). *აღორძინების ეპოქის ფილოსოფია (მარსილიოფიჩინოდან იაკობ ბოემემდე).* (თ. ირემაძე, რედ). თბილისი, საქართველო. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

4.სამნიაშვილი, ლ. (2017). *ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესები.* (სადოქტორო დისერტაცია). თბილისი. საქართველო. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

5. პლატონი. (1966). *ფედონი.* (თარგმანი: ბ. ბრეგვაძე). თბილისი, საქართველო. ნაკადული.

6.პოპერი, კ.რ. (2000). *ვარაუდები და დარღვევები. მეცნიერული ცოდნის ზრდა.* (თარგმანი: ამბოკაძე მ,. მჭედლიშვილი ზ., მჭედლიშვილი ლ., ჭიაბერაშვილი ზ.,). თბილისი. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“. (ორიგინალი წიგნი გამოქვეყნდა 1963 წ.).

7. ჰაიდეგერი, მ. (2019). *ყოფიერება და დრო.* (თარგმანი: გ. თევზაძე). თბილისი, საქართველო. გამომცემლობა Carpe Diem. (ორიგინალი წიგნი გამოქვეყნდა 1927 წელს)

8.Aoun, J. E. (2017). *Robot Proof. Higher Education in The Age of Artificial Intelligence.* Cambridge, Massachusetts. London, England: The MIT press.

9.Bacon, F. (2000). *The New Organon.* Jardine, L., & Silverthorne, M. (Eds). Cambridge, Uk. Cambridge University Press. (First Published 1620).

10.Black Books of Bologna Process. (2005). Bergon, Nowray, May 2005. Retrieved from http://www.aic.lv/bolona/Bologna/contrib/ESIB/0505_ESIB_blackbook.pdf

11.Bok, D. (2003). *Universities in The Marketplace. The Commercialization of Higher Education.* Princeton and Oxford. Princeton University press.

12.Bourdieu, P. (1988). *Homo Academicus.* (Peter Collier, Trans.) Stanford. California. Stanford University Press. (Original Work Published 1984)

13.Cahn, S.M. (1997). *Classic and Contamporary readings of The Philosophy of Education.* New York, NY. The McGraw-Hill Companies, Inc.

14. Clark, B. (1984).*The Higher Education System. Academic Organization in Crioss-National Perspective.* Berkeley: University of California Press.

15. Cobb, Jr. J.B. (1987). Education and Economism. *Christian Century Foundation, 24,* 258-260.

16.Cobb, J.B. (2002).*Four Types of Universities.* The second of three lectures delivered by Dr. Cobb at the Sinclair Thompson Lectures, Chiangmai, Thailand, June 26-28, 2002. Retrieved from https://www.religion-online.org/article/four-types-of-universities/

17. Delanty, G. (2000). *Modernity and Postmodernity:Knowledge, Power and The Self.* London, EN. SAGE Publications Ltd.

18.Del Monte, L. A. (2014). *The Artificial Intelligence Revolution: Will Artificial Intelligence Serve Us or replace Us.* (Kindle Fire Version). Retrieved form www.amazon.com

19.Derrida, J. (2004). *Eyes of University. Right to Philosophy 2.* HamasherW.,&Welbery D.E. (Eds). (Jan Plug and Others Trans.). Stanford. California. Stanford University Press.

20. Derrida, J. (1967). *De La Grammatologie.* Paris, France. Les Editions de Minuit.

21.Deutsch, K.W. (Eds). (1959). *The Idea Of University.* United States of America. Beacon Press.

22.Documents and Publications of Bologna Process. Retrieved from http://www.ehea.info/pid34248/history.html; https://eua.eu/resources/publications.html.

23.Dutton, W.H.,& Loader, B.D. (Eds). (2002). Digital Academe. The New Media and Institutions of Higher Education and Learning. London and New York. Routledge. Francis&Taylor Group.

24.Fleming, West A. (1909). *Alcuin and The Rise of Christian Schools.* Butler Murrey N. (Ed). New York. Charles Scribner's Sons.

25.Ford, M.P. (2002). *Beyond The Modern University: toward a constructive postmodern university.* Printed in The United States of America.

26.Ford, K.M., &Glymour, C.,&Hayes, P.J. (Eds). (2006). *Thinking About Android Epistemology.* Menlo Park. Cambridge. London. AAAI Press &The MIT Press.

27.Foucault, M. (1972). *The Archeology of Knowledge and Discource on Language*. (Sheridan Smith A.M. Trans.). New York. Pantheon Books.

28.Gerson, L.P. (2009). *Ancient Epistemology.* New York. Cambridge University Press.

.Gough, S.,& Scott W. (2007). *Higher Education and Sustainable Developement. Paradox and Possibility.* London and New York. Routledge. Francis& Taylor Group.

30.Gleason, N. (Ed). (2018). *higher Education in The Era of Fourth Industrial Revolution.* Singapore. Palgrave Macmillan.

31.Gwynn, A. (1926). *Roman Education From Cicero to Quintilian.*Oxford, Uk. Oxford University Press.

32.Hodgkin, T. (1886). *The Letters of Cassiodorus. A Condensed Translation of The VariaeEpistolae of Magnus Aurelius Cassiodorus Senator*. London: Henry Frowde, Amen Corne, Paternoster Row, E.C.

33. Humboldt, W. Von. (1970). On the spirit and the organizational framework of intellectual institutions in Berlin. Minerva, 8, 242–250. (Original work published 1809)

34.Isenhour, T. L.(2013). *The Evolution of Modern Science*. Retrieved from https://bookboon.com/

35.Jackson, N., & Oliver M., & Shaw M., & Wisdom J. (Eds). (2006). *Developing Creativity in Higher Education. A imaginative Curriculum.* London and New York. Routledge. Taylor & Francis Group.

36.Kimball, B.A. (1995). *Orators &Philospophers. A history of The Idea of Liberal Education.* New York. College Entrance Examination Board. Printed in The United States of America.

37.Lyotard, J.F. (1979). *La condition Postmoderne*. Paris. France. Les Editions de Minuit.

38.Maudlin, T. (2012). *Philosophy of Physcis. Space and Time.* Princeton. Princeton University Press.

39.McGettigan, A. (2013). The Great University Gemble. Money Markets and the Future of Higher Education. Retrieved from https://www.plutobooks.com/.

40.Moodie, G. (2016). *Universities, Disruptive Technologies and Continuity in Higher Education. The Impact of Information Revolutions.* Toronto, Ontario, Canada: Palgrave Macmillan.

41.Newman, J.H. (1982). *The Idea of A University.* United States of America. Notre Dame Press.

42.Odin, J.K.,&Manicas P.T, (Eds). (2004). *Globalization and Higher Education.* Honolulu. Hawai. University of Hawai's Press.

43.Ortega Y Gasset, J. (1946). *Mission of The University.* (Nostrand Howard Lee, Trans.)London and New York. Routledge. Taylor&Francis Group.

44.Raschke, C. A. (2003). *The Digital Revolution and The Coming of The Postmodern University.* London and New York. USA and Canada. RoutledgeFalmer. Taylor & Francis Group.

45.Sorlin, S.,&Vessuri, H. (Eds). (2007*). Knowledge Society vs. Knowledge Economy: Knowledge, Power, and Politics.* The United States of America. Palgrave Macmillan.

46. Toynbee, A. (1946). *A Study of History.*London. England. Oxfrod University Press.

47.Treadgold, W. (2018). *The University We Need. Reforming Amercan Higher Education.* New York, NY. Encounter Books.

48.Whithead, A.N. (1967). *The Aims fo Education and The Other Essays.* New York. The Free Press. Macmillan Publishing Co.

49.Whithead, A.N. (1948). *Science and The Modern World. Lowell Lectures, 1925.* The United States of America. Pelican Mentor Book.

50. Whithead, A.N. (1948). *Science and Philosophy*. New York. Philosophical Library.